არ თავი დაიხელთა ძროხის კუდი შემოისხსა, უთხრა, „ყადო,
ეს რის კუდი არისო“ ყადმან უთხრა „ძროხის კუდიო.“ ქო-
სამ უთხრა ლანძღვით: „მაშ თხად რად გამყიდვინეო.“ ქოსა ხელს
ძლიერიც იყო ყადზე, დასცა შიშველი ყადი, ეგოდენი სცა კუდითა
მკრედას მიამსგავსა, მსახურნი შორს იუწენ და მეშველნი დაუპვი-
რდა ყადს. ქოსამ კარი გამოიარა და წავიდა. მსახურთ იდროეს ყა-
დი არ გამოვიდა. შევიდნენ, ნახეს ყადი შიშველი და განიკებული
იდვა, იგი ღიაცი აღარ ახლდა. ყადი ძლივ სულბას მოაბრუნეს და
ყოველი ყოფილი ჰსცნეს. რა მოკეთდა ახანოში წასულა მოინდომა
და ზეთით სამკურნალოდ ნაცემთა დასელა. შეიტყო ქოსამ, მებახანო-
ქთან მივიდა და უთხრა. „ღია სელ-მარჯვე დალაქი ვარ და აქ მა-
მსახურეო.“ მებახანოეს იამა და ეგრე უთხრა. „თურმე ბედნიერი ხარ,
ყადიც აქ მობძანდებო“ არდაგს შიგნით ძროხის კუდა შემოირტყა
და მზად დადგა. ყადიც მობძანდა. მივიდა ღიად კარგად სამსახური
დაუწყო. იამა ყადსა და დასელა უბრძანა. დალაქმა მსახურთ აგრე
უთხრა. „რა ზელას დაუწებო ტან-მტკივნეულად ბძანდებო და
გვნესას და სასილს იწუებს და ხურა ვინ ნუ შემოსვალთო, თუ უნებს
რამეო შემოვალ და მე გეტყვითო.“ მონანი გაიტყუვა და დალაქმა
კუდი გამოიძრო. „რისა არისო.“ ყადს ელდა ეცა. ესკეწებოდა ყადი
და ეფიცებოდა მრავლის მიცემას; მაგრამ ქოსა არ მოეშვა, ამდენი
სცა სიკრდილზე მიიყვანა. გამოვიდა ქოსა მონათ უთხრა. „კარგად
დამიზელიო, ახლა კი ჰსძინავსო, ნუ შესვალთო, ძილი არ გაუკრთო-
თო, მე კიდევ წამლის მოსატანად მივალო.“ ჩაიცივა ტანსა და წავიდა.
ქოსა თავის გზასა. რა მონანი შევიდნენ ნახეს ყადი ღია ავად დასე-
ლილი და დაღურჯებული, უარესად დასიებული იდვა, სულს ძლივ

იბრუნებდა. აიღეს სიწარულით შინ წაიღეს და მუნ დააწვინეს. წა-
სულობას მოვიდა და მოიძვობინა თქვა. „მე ამ ქოსას აქ ვერ და-
უდგები, თათრებს კიდევ შემაძთსვეკს და ცოცხალიც ვერ მოუწიე-
ბიო.“ უბძანა მონათ „აქლემები იქირავეთო, ქაბას წავალო.“ რა აქლე-
მების თხოვნა დაიწყო ქოსა მეაქლემესთან გაჩნდა და სამის დღის
პირობით აქლემები იქირავა, ქოსამ წასსა და ყადის კარზე გაატარა.
იკითხეს აქლემები და მან უთხრა. „ვინ იქირავებსო, კაცს ვეძებო.“
იამათ და ყადს მოასხენეს, გაურიგდეს, ყადი ქეჯაოში ჩასვეს, აჭვიდეს
აქლემს და წავიდა თავისის ქონებით, ყველა თან გაიყოლა. მეაქლე-
მე გზა-გზა უცნო ზღაპრებს მოასხენებდა ყადს და ყადს იამებო-
და. მონათ უბძანა ყადმან. „წინ წადითო და მე და მეაქლემე ნელა წა-
მოვაღთო.“ რა იგინი გაშორდნენ ქოსა ზღაპრად მას მოჭყვია, რაც მას
და ყადს გარდასდომოდათ ყველა თქო. ყადმა უთხრა. „ეკ ბევრჯელ
მასმია, სხვა მიაბძეო.“ ქოსამ უთხრა. „მე ეს მწევას გუფსაო, ამას
ვიტყვიო, სხვა რასა ჭკვიანო.“ ყადი გადმოუძასა აქლემიდან, ამოი-
ძრო ძროსის გული, აძღესი სცა, რომ სული ამოართო. გამობრუნდა
აქლემები ჰატრონს მოუსსა და საქონელი თვითონ წაიღო და წავიდა.

10. მეფე ვინმე იყო დიდებული, ოცდა ათი ვაჟი ჭყვანდა. რა
მოიწია დრო სიგუდილისა მისისა მოუწოდა ძეთა თჯსთა, მოაღებინა
ოცდა ათი ისარი, შეჭკრა მაგრად და მოიზიდა, რათა გატყოს და ვერ
გატყოს; მეჩმე თითო თითოდ მოიზიდა და ყოველივე დაღეწა. უთხრა
შვილთა ოვისთა. „თუ რომ ერთად ხართ და ერთ-პირზე ჰსდგესართ
მტერი ეგრე ვერ გაგსტყოსთ, ვითა წელან მე შეკრული ისარი ვერ
გავსტყეს; თუ გაიყარენით ესრეთ თჯთო თჯთოდ დაგლეწთ და
თუ ერთობა გაქმნთ და სიყვარული გაქმნებათო მტერს; თქვენ და-
ღეწთო და მეფობაც დაყარებულე გაქმნებათო და თუ ერთი მეორის
ურჩი იქმნებითო წაუსდენელე ვერ მოუწიებითო.“

11. ერთი მკელი მოუსჴდა ვირს შეჭმას ლამოდა. ვირმა
უთხრა. „ვიცი შემჭამ და ეს ანდერძი აღმისრულე, ქაჩაში ლურსმნის
ხატესი დამჩნა და იგი ამოიღეო.“ მკელმა პირი მიჭყო უნდა ამო-
ელე, ვირმა წისლი ჭკრა, კბილები ჩანატურვიჯა, ვირი ველარ შეჭამა მკელ-
მან. თქვა. „მამა ჩემი ხარაზი არ იყოო და მე ნაღბანდობას რა მრჯოდაო.“

12. ორნი ძმანი იუჲნენ: უხუცესს ცოლ-შვილი ჰყვანდა, მრწემი უცოლო იყო. გაიყარნენ ძმობისაგან და ერთად ველარ დასდგნენ; უოკელევე გაიყვეს რაც ჰქონდათ. რა პური გაიყვეს, ერთისა ორმო კალას აქეთ იყო და მეორისა კალას იქით, უხუცესი მოიპარეუდის თავის ორმოდამ პურსა და ძმის ორმოში ჩაჭყრიდის, და იტყუადის. „მე ღმერთმან ცოლი და შვილი მიბოძა, მოძგები მყავსო და მას ძმას არა ვინა ჰყავსო, ეს მისი იყოს და მან მოიხმაროსო.“ ეგრევე უმრწემესი ძმა მოიპარეუდის თავის ორმოდამ და უხუცესის ორმოში ჩაჭყარის და იტყუადის. „მე მარტოვარ, სხდაც იქმნებაო უოკელთვინ ჩემს საზრდოს ადვილად ვიშოვნიო, იგი ძმა ჩემი წვრილ-შვილი არს და მას უიგრეო მოუნდებს და მისი იყოს“ ესრეთ დაჭყვეს უოკელნი დღენი და ღმერთმან ორთავ გაუმჩაგლა უოკელი საჩხო მათი და ამ ბედნიერობით აღსრულდნენ.

13. ერთი აქლეში და ერთი ვირი დია დაღლეტილნი დაძმობილდნენ და თავის პატრონს გაეპარნენ და წავიდნენ ავართა ადგილთა, იმთაბარეს და დიდად გასუქდნენ და დაავიწყდათ თავიანთი მწუხარება: სიმჭლე და ზურგის სიმპალე. და უთხრა ვირმა აქლემსა. „ძმაო, სიმღერა მინდა ვსთქვაო და კაი ბანი მითხარიო.“ აქლემმა დაუშალა. „ნუ ძმაო, აღარ გასსოკს რას ჭირში ვიყავით, არამც ასლოს კაცნი იუჲნენ და სმა ესმათ, მოვიდნენ და წავიყვანონ, უარესს გვიზმენ.“ არ დაიჯერა ვირმან და დაიფრთყინა, მეტად მადალი სიმღერა მოუვიდა, ასლოს თურმე მოგზაურნი იუჲნეს, აქლებები და კარულები დასცვივნოდნენ, ესმათ მათ სმა ესე, გაესარდათ დიდად და თქვეს „წავიდეთ ვინაოთო ან შენობა იქმნება ანუ ქარავანი, ეგება ულაყი გვაქირაონო.“ მივიდნენ, ნახეს ერთი აქლემი და ერთი ვირი გასუქებულნი უპატრონონი იუჲნენ, წაიყვანეს და ორთავ მიძიდეს აჭკიდეს, და რა გზა გაგრძელდა ვირი დავარდა. კაცთა მათ აიღეს ვირის ტვირთი და ორივე აქლემს დაადვეს. წაიარეს, ერთი ვიწრო გზა დასუდათ, დიდი კლდე გარდასავარდნელი იყო. აქლემმა უთხრა ვირსა. „ძმაო, მინდა დავროკდეო და სამაია და ტეკო ვჭქმნაო.“ ვირმა უთხრა. „რას აღვს ტეკვა გინდაო.“ აქლემმან უთხრა. „იმისთანა სიმღერას ამისთანა ადგილს ტეკვა უნდაო.“ ჭავრით აემართა აქლემი და ვირი კლდეს გადაკდო და დაჩესა.

14. თვალ-სილუღლი კაცი ვინმე მოვიდოდა გზასა და ოცი მარ-
ჩილი თანა ჰქონდა, გზაზე ერთი უსინათლო და უწინამძღვრო
გლახა შემოეყარა, რომ ჯოხის ცეცებით ჰპოებდა გზასა. თქვა თვალ-
სილუღლმა „ამ გლახას გამოეცდიო, თუ ვითარი სიძარტლე აქნესო.“
წავიდა მის პირის-პირ და ზედ-შეეცა და დაიძასა. „ვინ მეტკერე
ბრძანა ამას, რომელს წინამძღვარიც არა მყავსო, რად დამარეტა-
ნე, ღუთისა არ გეშინოდა, რომ ესე მიჭაო.“ მან ბრძამან უთხრა.
„მეც ბრძა ვარო და ჯოხით დავალო, უცნაურად გეტაკე, ნუ მაბრა-
ლებო.“ დასდნენ და საუბარი რამ დაიწყეს და ალერსობდენ. უთხრა
თვალ-სილუღლმა. „მე ნათსოუნი ოციოდე მარჩილი მაქნეს და არ ვიცი,
რომელი წმინდა გეცხლიათ და რომელი ყალბიაო.“ ბრძამ უთხრა.
„მე ვიდრე თვალი მედგა გეცხლის მუშა ვიყავ და მე ვსჭრიდი, მომეც
განვისილავ, უგელას გელით ვიცნობ და მე გაუწყებ.“ მისცა ყოველი
და მან ბრძამ ყოველი სარტყელს გაიხვია, გაეპარა და სხულში ჩაწვა,
დამალვა ეგონა. რა ხანი გამოვიდა ამ კაცმა ძახილი დაუწყო. „რა ჰქენ
და რა უყავ აქმდისინაო, ნუ წამართმეო უსინათლოს მრავლისა ჭი-
რით და სჯვით მიშოუნიაო, ჩემი ცოდო ნუ გინდაო.“ მან ბრძას და-
სტურ ბრძა ეგონა და ეძალებოდა. თვალ სილუღლმა რა ვედრება და-
სწრულა და არ შეიბრალა, აიღო ერთი ქვა თერსთა ზედა ჰჭრა. ბრძა
იგი მუნით ადგა და სსკვან დაწვა, გაპარვა ეგონა, აიღო მეორე
უდიდესი ქვა და ეკედრა ღმერთსა „მე უსინათლოსაო ესოდენი ნაგლა-
საკარი მომპარა, თუძვა ვემართლებოდე ბეჭთა ზედა ვჭკრაო.“ სტყურ-
ცა, ბეჭთა ზედა დაჭცა. ბრძამან იგიც გასძლო და სმა არ გასცა.
მუნითგან გაიპარა და სსკვან დაწვა „მესამე უდიდესი ქვა აიღო
და სთსოვა ღმერთსა. „თუ მე წართმევას არ ემართლებოდესო ეს
ქვა სწორედ შუბლში მიმასვედრებინეო.“ ბრძას ყველა ესმოდა
და თქვა გულში. „ორი თსოვაო ღმერთმან უბინაო და მეც ძლივ
შეუძელო იმ ქვების დარტყმასაო და მესამესაც შუბლსა მკრავს, ვი-
ციო არც მას დამაცდეს და ვერც გადურჩებიო, და რომ მომკლასო
ეს თეთრიც დაიკარგებაო და მეც უბრალოდ მოკვდებიო.“ შეჭქმნა
ძალა ძახილი ბრძამ რას სწუსარო. „შენს თეთრს ვარჩეო, კარგსა
და ცუდს ცალ-ცალკეო და მოგციეო.“ მან თვალ-სილუღლმა აგინა

და ეგრე უთხრა. „ბოროტი კაცი ჰყოფილ-ხარო, გამოგცადეო, მე ბრმა არ ვარო და სამართლიანადცა გარტყი შენ ქვებიო. მე თვალ-ხილულსა შენ ბრმა ვეცხლსა მხარდა.“ თეთრი გამოართო და ბრმა განუტყვა.

15. ერთი გუ და ერთი მორიელი დამბობილდნენ, წავიდნენ გზასა და გასავალი წყალი დახუდათ. მორიელი დადონდა გასულა არ ეძლო. გუ უთხრა. „ზურგს შეძვექო, მე გაგიუვანო.“ შეაჯდა მორიელი ზურგზე, გუ რა წყალში შეცურდა მორიელმა ზურგზე კბენა დაუწყო. გუ ჰკითხა „ძმაო რასა იქო.“ მორიელმა უთხრა. „რა ვუქნა არც მე მნებავს; მაგრამ ასეთი გვარისანი ვართ მტკრსა და მოუვარეს ეგელას უნდა ვუკბენდეთო.“ გუ დაიურყუძელავა, მორიელი წყალს მისცა და უთხრა. „ძმაო არც მე მნებავს, მაგრამ ჩემი გვარი თუ გისლიანს ხორცს არ გაიბანს გასივდება და მოკუდებაო.“

16. სტანბოლს ერთი ქრისტიანი და ერთი მდიდარი ურია ქიშხად იუწიეს, ურია ძალ-ძალ ქრთამს გაიღებდა იმ საბრალო ქრისტიანს დააჭერინებდის თათართა, ხან ჰსტინ და ხან დაბიან, იყო დიდს საპატრიარქოში. დღეს ერთსა მან ქრისტიანმა უთხრა: „სახელები დასწერეო რაც წმინდათაგანნი არიანო.“ ურიამ ეგელა დასწერა. ქრისტიანმა უთხრა. „ძამადი რაღა დააკელო.“ ურიამ უთხრა. „როდის იყო წმინდათაგანიო.“ ქრისტიანმა მისის მტრობით ამ სიტყვაზე თათარი დაიხუდრა მოწმად, თათარი წაკიდა ყადს უთხრა, დაიჭირეს ურია და დაარჩვეს.

17. მელამ წერო აწვია, ოსზი მოუხარშა და სზილენძის თეფშზე დაუსხა, ორთავ ჭამა დაუწევს, მელი ენით ჰსთქლათევედა და წერო რას შეჰსჭამდა, თეფშზე თითო. თითოც თუ აიღებდა მეორეს დღეს წერომ აწვია. მელი და მუხუდო მოუხარშა და პირ ვიწრო ქათანში ჩაუსხა. ორთავ ჭამა დაუწევს, წერომ ნისკარტი ჩაჭყო და ჭამა, მელამ ტუჩი ვერ ჩასტია, რასა ჰსჭამდა. იწვინა მელამ აუ-მტერდა და შეამერაღა, მერმე წეროს ეწვინა და თვალთ შეასკინტლა. ანუ მათი სიტკობა და წყალობა რა იყო ანუ მათი რისხვა და მტერობა.

18. ორნი ამხანაგნი ნადირობდნენ, ხევი იყო და ხევეს გაღმა

რონინებდნენ. ერთს ამხანაგს დათვი შემოეჭიდა და ქვეშ ჩაიდვა, მეორე ამხანაგმა დაუძახა. „გაუშვი ეგ დათვი და წამოდი სხვა საქმე გვაქვს.“ მან დაუძახა. „დათვი არ მიშვებს, თორემ წელანვე გაუშვებდიო.“

19. ერთი კაცი მოვიდოდა გზაზედ, ნახა ერთს ძეძვს ცეცხლი შემოჭვინებია და ზედ გველი გასულა, წასასვლელი გზა არა აქვს, ღონობს და წივის. ნახა მან კაცმან, შეეწვალა და თქვა. „ამ გველს მოვარჩენ მადლია ჩემთვისო.“ მივიდა, შუბის წვერი მიუშვირა, გველი ზედ შემოესვია, მკარზე შეასლტა და ეელს შემოედრეწარტა, მაგრამ მოუჭირა. ჭკითხა მან კაცმან „რა გაწყინეო, რატომ მიზამო, სიკეთედ ილს მოვარჩინეო.“ გველმა უთხრა „კარგის თვს კარგი არა ვის უქნიაო.“ კაცი შეესვეწა „ამდენი მაცალე იგი ჭანდარი დგას მუნამდინ მივიდე და მას ვჭკითხაო, თუ ჩემის ცოდვით ხემატ ხმა ამოიდოს და დაგიშალოს გამიშვი, თუ არა რაც ვინდა მიყავ.“ ცოტა მოუყოტა გველმან და მივიდნენ ჭანდართან, ჭკითხა მან კაცმან „ეს გველი სიკეთედ ილს მოვარჩინე, აწ ასე მიზამს.“ მან ჭანდარმან აკრე უთხრა. „ამ ცხელს მინდარში მარტო მე ერთი ხე ვდგევარ, მგზავრი თუ არ ჩემ ჩრდილზე ვერსად განისვენებს, მოკლენ, მოიგრილებენ, მერმე სტოებს დამამტრევენ, ზოგს დასწვენ და ზოგს კოლოფებად აკოთებენ და იტყვიან. „ეს რა კარგი ხეაო.“ კარგისათვს კარგი არა ვის უქნია, მოუჭირე გველო.“ მოუჭირა გველმა. შეესვეწა კაცი. „ცოტა კიდევ მაცალეო, აგერ ძელა არის და მასცა ვჭკითხაო.“ მივიდნენ ძელას ჭკითხეს. კაცმა თავისი საჩივარი უთხრა, და გველმა ჩისა და სარის მოწმობა მოახსენა. ძელამ უთხრა გველს. „ეელზე შემოჭვინებინარო და ისე ჭხნივიო, როგორ იქნებაო, მოუშვი, შენც დაიხიქე ამ კაცსავითაო.“ რა გველი შემოეშვა, დაბლა ჩავიდა, დაჭკრა ძელამ ცოტი თავში და თქვა „გველის სამარათალი ეს არისო.“ და მერმე მან კაცმან ის ძელა

არ დაინდო და შუბის შეტემა მოინდომა, კარგი რამ ტყავი აქა.“
შეუტეო ძელამ და გაექცა და თავს აბრალა „დავაშაკე, მოვარჩინეო.“

20. იყო ერთი გლახაკი, წავიდა სამწიროდ, დაჭყეო ერთი წელი და ცხრა ფლური მოიღვაწა და წლის გასრულებასე წამოიღო და წამოვიდა თავის თემსა. რა ქალაქს მოახლოვდა მდინარე იყო, გაშიშვლდა და ებანა და ტანს ჩაიცვა, წამოვიდა, ფლურები მუხეუ დაჩხა, მოაგონდა ფლურები და აღარა ჰქონდა. ღმერთს აღთქმა დაუდგა „თუ კი ჩემი ფლურები ვჭვავო ერთი შენს სასჯელზე გლახაკს მივსცეო. მივიდა საცა ტანი ებანა მუხეუ ჰჭვავა, წამოვიდა ქალაქად, ერთი გლახა ჰჭვავა, უთხრა თავისი ამბავი. „ასე აღთქმა დამიძს და აჭა ფლურიო.“ იგი გლახა ორისავე თვალთ ბრმა იყო. ასე უთხრა „რადგან ღმერთისათვის შეგიწინავს ცხრავე მოძეც და მე რომელიც მინდა მას გამოვარჩიეო.“ დაენდო კაცი იგი და ცხრავე მისცა და მან ბრმამ ცხრავე ჯიბეში ჩაიდვა. მან კაცმან თხოვნა დაუწყო, გლახამ უხასილი შეჭქმნა „მიშველეთო, ეს კაცი რას მიპირებსო“ მოწამე არ ჰქვანდა, წაართო მან ბრმამ ფლურები, დაღონდა საბრალეო კაცი, თან გაჭყვა „ამ ჩემ ფლურებს რას უზამსო“ შევიდა ეს გლახა თავის სახლში ერთი ქილა ამოიღო, ხუფ ფლური ეყარა, ისიც ზედ დააყარა და უთხრა „ჩემო ხუთასო ფლურო, ეს ცხრავე შემოგმატეო“ სამ-ჯერ შეაგდო ქილა და დაიჭირა, შემოთხედ რა შეაგდო მან კაცმან ჰაკში კელი მოჭკრა და დაუძალა, ეძება ბეკრი; მაგრამ სადღა იზოვიდა. გამოვიდა დაიწყო ტირილი, მოვიდა სხვა უხინათლო კაცი და უთხრა „რა გატირებსო.“ უამბო მისი ამბავი „ასე ხუთასი ფლური დაკვკარგე.“ მან მეორემ ბრმამ უთხრა „აგრე უნდა ფლურის შენახვაო, ამ ჩემს მრუდე ჯიბეში შეიდასი ფლური ძეკს, სადაც დავაგდებ და ვინც აიღებს მე ვე მომიტანს.“ უწინდელმა ბრმამ ჰხლხლავა „მიჩვენეო“ რომ მიაწოდა ეს საბრალეო კაცი იქ იდგა მან გამოართვა. რა დაგვიანდა თხოვნა დაუწყო. მან უთხრა „არ მოგიციაო“ ამაში შუღლი გამოერიათ, ერთი სხვა უხინათლო ბრმა კაცი მოვიდა, უთხრა „რა გაშუღლებსიო.“ მან მისი უთხრა და მან მისი ამბავი. მესამემ ბრმამ უთხრა „ვაი თქვენს-ტყუასა რა კარგა შეგინახავსო ფლურები, ამ ჩემს ძველს ჩოხასში ათასი ფლური ძეკს, სადაც ვაკვადებ მევე მომიტყეიენო.“ საბრალეო კაცი

იგი მუნვე დგას, ესმოდა, წავიდა თაფლი იყიდა და ჩოხაზედ შეჭსტ
სო. ფუტკარი დაეხვია. ბრძამ ჩოხა გაიხადა და გაჭყინა, ისიც მან
კაცმან წაიღო. შეჭქმნეს ამ სამთავე ბრძამთ ტირილი და ყვირილი,
ეს საქმე სამეფოდ გასდა, მეფემ კაცი დააძახა „ეინც ჭქმენით მოდით
შიამბეთ, თვარა სულ ამოგწევეტო.“ იგი საბრალი კაცი შეშინდა,
მივიდა და ყველა მოასხენა. ასრე კარგი უყავ და სიკეთის მაგიერი
ეს მიყო. მან მეფემ ესე უბძანა. „რადგან კარგისათვის კარგი არა-
ვის უქნია, ას ასი ფლური შენ სამლოცველოდ მიეტი და სსკა შე-
ნი იყოს.“

21. ერთი გლასა კაცი მოვიდოდა გზასა ზედა და ერთი ქილა
ჭბოკა, აიღო ქილა საკიდანში ჯოსი. გაუყარა და მხარსე შეიღო,
დაიწყო გზა-გზა სვლა და გუფთა აძას უბნობდა. „აწ გამდიდრება
ჩემი მოინება დმერთმან, ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩი-
ლად გავჭყედი, მით თორმეტ სამამლე ვარჩიას ვიყიდი, მოვიყვან,
დავზდი, დავჭყვეკრავ, დავასუქებ და თითო თოთოს ახასათ გავჭყე-
დი, მერმე მით საეშვე გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ, დავაკერატავ და
ორ-ოლ მარჩილად გავჭყედი, და მერმე მით სახარე ხბოს ვიყიდი,
სარებს დავჭზდი, მოვსნავ და ვთესავ და აშენებული შევიქმნები. ამ
გულის თქმაში შეშა აუღვა და ქალაქს გასასყიდად წამოიღო. ერთი
ხიდი დასუდა, თქვა მან კაცმან. „აქ სარი არ გაიარს, ხმა გაესტყო“
შესძასა „ჭერიო“ დაუქნია ჯოსი, ერბოს ქოთანის ხიდზე დაჭკრა,
ქოთანის გატეხა, ერბო დაიქცა, მისის გულის თქმით გამდიდრება
წუთზე წაუხდა.

22. ერთი თხა და ერთი მელა დამბობილდნენ და საზიაროდ
ყანა დათესეს, რა მოვიდა დათ კარგი ყანა მოვიდა, მომკეს, დალეწეს
და დაანიავეს, ხვავი ცალ-კერძო დააგროვეს და ბზე ცალ-კერძო, მელამ
უთხრა თხას. „ხვავი მე და ბზე შენაო.“ თხამ უთხრა. „არა, სამარ-
თალი ეს არის ორივე შუა გავიყოთო“ მელამ უთხრა. „მაშ მე წავალ
ბიძა ჩემს მოვიყვანო და მან განგვიყოსო“ ვირომ მელი ბიძას მო-
ყვანდა. თხა წავიდა ცხვირიდამ ორი დიდი ქოფავი მოიყვანა და
ბზეში დამალა. მოვიდა მელი ერთი ასეთი მგელი მოიყვანა თხას თვალთ
დაუბნელდა. უთხრა მგელმა „ჩემს დისწულს რატომ აჩივლებო.“

თსამ უთხრა „მაშ რადგან მოწმად მოჭყალისაათ მეც მამა ზიძანი აჲ მისაფლავიან, მათ სსფლავზე შედეგ და ისულებ და მართალი მოწამე იქმნებიო“ ბგელმა რა თხის შეჭმა მოინდომა, წამოხლტნენ ძა-
 ლლები მელი და მთხი მოწამე ასე გასადეს შარშანდელიც დაავიწყეს, აწამც თუ წლეული ეშოენა.

23. ორნი მწეკარნი ნადირობას დადიოდნენ ერთს მინდორში, ნასეს მელას თაკვი შეუბურია და ხან გაუშეკებს და ხან დაიჭერს, ხან ჭყარ-
 ში შეაგდებს და ათამაშებს. მიეზარნენ მწეკარნი და მელი შეიბურეს უთხრა მელამ ძაღლებს. „ჩემი დლე აღსასრულისა სომ მოვიდა, ღმერთ-
 მა ჩემი თაკვი თქვენ მოგცათ, სადღა წაგივადთ ამ მინდორს. კედავთ, აძღენი შემისკეწიეთ, თქვენც იცით რორორც ჩემი გვარი თაკვის მტერია, გამიშვით ერთი თაკვი დავიჭირო, ვათამაშო, მერმე რაც გინდათ მივაკითო.“ მოტყუებდნენ მწეკარნი გაუშეკეს, მელამ თაკვი დაი-
 ჭირა, ათამაშა, შეაგდო ხან აქათ ხან იქით, თურმე ახლო სორო ჭქონდა და შიგ შევარდა და მოუსხდნენ მწეკარები და უთხრეს. „მე-
 ლაო, მელაო, გამოდდი ერთი თაკვი ათამაშე, ის სომ დიდად გიუვარ-
 ხო და მერმე შედიო.“ მელამ უთხრა „შარშან რაც ვათამაშე ისიც მიმძიძის, არა თუ ახლა გამოვიდე და ვათამაშო.“



II.

ამირან და რეჯანის ანისაგან.

ვარი ძეათე მზის ჭახუკის ამხავი ახო და მშეკნიერი:

ისმენდი მეფეთ მეფეო, ცხოვრდი უგუნისაძდე, ადიდნეს ღმერთ-
 შან მოუვარენი თქვენნი და არცხვინოს რორუღთა თქვენთა. თქვა,
 ღირველად ეს მოგასხენო, მე სანელად რაბი მქვიან და ხოლა ვარ, ცოტა
 ურმა ცკკვად წამიუვანეს არაბთა, და არაბეთს გაზრდილ ვარ. რაღს მო-
 ვიწიუე და შუღლი შეემძლო მეკობრობა დავიწეე, ჩემ გვარი კაცი

მე ჭაბუკად ვერა მჯობდა. სამნი ვინმე კაცი გამოჩნდეს სამ ათასითა
კაცითა არაბნი, ლომნი ჭაბუკნი, თუცა ძმანი არ იყვნეს ეზომ მო-
ყვარულნი იყვნეს, რომელ არცა ძმანი და არცა გვარნი კაცნი
არ ნახულან; აოსრებდეს ქვეყანასა და მრავალნი ქვეყანანი წაესჭ-
ნეს არაბეთსა შინა, ოდეს განა სადაცა დაშქარნი შეგკებმიან და-
კსოცენით და გავაქციენით. დიდად ლომნი და კარგნი ჭაბუკნი იყუ-
ნეს. ასე მეგონა მე რომელ ამათებრნი ჭაბუკნი ქვეყანასა ზედა არ
არიან მეტი. დღეს ერთსა წაკვლით და კვლეთ ორმოცი დღე, ქედი
იყო დიდი, ზედა წაკვდეგით, სძოვდა რემა-ჯოგი, რომ არ იყო
რიცხვი, არცა შეგება. ჩავგზავნეთ ათასი კაცი და მოექცნენ რემასა
უგაცურსა, წამოასხეს რემა და წამოკვლით, არა ვინ გვინასავს კაცი.
რემისა სიკეთე და სიდიდისაგან გვიან ვიარებოდით, გვინაროდა
მის რემის წამოსხმა, რომე ვიწონეთ ოცი ათასი ცხენი იყო; ჩვენ-
სა ეტიგსა უსაროდის და იცინოდის, გადგას ქედზედა და უკუ-
ღმართ ისეღვის, ეგრე თქვის „მდეკარი არა ვინ მოდისო, ვირემდინ
სცნობენ რემისა წასსმასა ჩვენ სადაც გვინდა იქ მივალთო“ და სშირად
ისეღვიდის უკუღმართ. ერთი კაცი ვინმე იყო ბერი ჩვენთანა დაშქარ-
თა შინა, მან ეგრე თქვა. „მე ბერი-კაცი ვარ მეგობრობათა და ომთა
შინა დაბრებული, თუ ისი კაცი ჩვენი ეტიგა ჩვენსა მუსთლობასა
შინა არ იყოსო, მაშა მე თურე არა ვიციო.“ ზოგთა გაკვირცხეთ, ზოგთა
ყოლა არა უსმინეთ, სამი დღე ვიარეთ და ისეღვიდის იგი ეტიგა
უკუღმართ. ამაზედას ოთხი ცხენიანნი ნახნა, ეგრე თქვა „შორს ოთხი
ცხენოანნი მოკლენ, განა ამბისა მცნობელნი მგონიან.“ გაესარეს
მას ჩვენსა ეტიგსა მეტად, მოგვეწივნენ, ერთი დიდი კაცი დიდსა
ტაიჭსა იჯდა, დიდად მშვენიერი წინ მოვიდოდა, იგი სამი უკან მოს-
დეკდეს. ამა ეტიგმან ჩვენმან იცინა ფიცხლად და ეგრე თქვა. „გამო-
ღმერთო გცდისთ რა ძი ჭაბუკნი სართ.“ დაგვიძიძა ესე სიტყვა
მისგან, მაგრამ არად დაუაკვირვენით, სამი ათასნი კაცნი ვიუკენით
ცხენოანნი და იგინი ოთხნი. წამოკლნო მან კაცმან და წინათ გარ-
დაგვიდგა სადა ჩვენი გზა იყო და ეგრე გვითხრა. „ვინ სართ ძმანო,
ეგ რემა ჩემი არის, მე ვარ მზე-ჭაბუკი, წამოსხმა უბადო გიქნიათ,
აწ დაჭყარეთ რემა და მშვიდობით წადით მოკლდომილ სართ ამა

გზასა ზედან.“ ზსუსი არა გავეცით და კუელაჲ იგივე სიტყვა გკითხრა. ვაგინეთ ჩვენ და მერმე ჩვენსა ეტიკსა ჰკითხა. „არაბნი არიანო“ მოასსენა მან ეგრე „არაბნიო.“ სელი მიჰყო და ოროლნი უძასა გამოუხუნა, ეგრე თქვა. „რადგან არ ისმინეთ თქვენი სისხლი თქვენს თავსავე იუოს.“ ფიცხლად შემოუტია, გამოეგებეს სამნივე, წინა-პირველვე რომელიცა მივიდა, აილა ოროლთა დასცა და მოკლა, ოროლნი დაყარა, ხმალი ამოიღო, ჰკრა და მოკლა მეორეცა, და მესამესა ხმალი არა ჰკრა და თქვა „კითხათა კაცთა აბჟრითა ვებძვიო“ ხმალი ჩააგო, მიჰყო სელი, უნაგრისაგან მოხდა და ქვეყანასა დაჰკრა და მოკლა. ამაზედა გავიქეცით, მოგვეწივნეს, აგვეწიგეტეს, რომე ჩისსკა ღუთისა დაგვეცხ. მე დაკოდილი ვიყავ და ცხენი არა მუვა, ზედ მამადგა მზე ჭაბუკი და ეგრე მიბმანა „ბედამლაშეო, ვინ გაგონათ ჩემისა რემისა წამოღება.“ მე ეგრე მოვასსენე. „ამა ჩვენმან ეტიკმან მოგვაცდუნა.“ იგი ეტიკი დგა და იცინოდა და ეგრე თქვა „ნეტარ მზის ჭაბუკის რემა ქარავანი გგონათო“ ოდეს ჰსცნა უკანასკნელ მის ეტიკის დაკოდა და უველა სრიკი უოფილაიყო, რომე მოგვადოდა და რემა ატვალეობინა და მზე ჭაბუკს დაგვასოცინა. ჰკითხა მზემან ჭაბუკმან მას ეტიკსა. „კითა იყო მითხარ ჩემსა მზესაო“ მან თავი დგან უველა მოასსენა. ეგრე უთხრა. „თუძცა ესე სრიკი არ გვექმნა იგინი აჲ არ წამოვიდოდენ და სხვა ვეწავინ მოერეოდათო თქვენგან კიდე ამათაო, მოვაცთუნენით და თქვენი რემა ავადებინეთ, თქვენ ვითა შეჰტვანდა სისხლნი ჩვენნი ეგრე სძებნეთო.“ გაიცინა მზემან ჭაბუკმან და ეგრე ბრძანა. „დიდად, ღმერთო, კარგო სრიკი მოგიგონებიაო“ წაუედით, მე თან წაძიტანა, ესე იყო პირველი ომი მზისა ჭაბუკისა, რომელ მე ვნასე, თვარა ომნი მრავალნი გადაესდნა. გავძოთელდი დაკოდილობისაგან და მიბომუნა საბომკარი დიდი და ეგრე მიბმანა „წადი შენს სასლსაო.“ მე ეგრე მოვასსენე. „სასლი ჩემი არსად არის, მე მათი უმა ვიყავი აწ რადგან იგინი აღარ არიან ვირეკოდინ ცოცხალ ვარ თქვენი უმა ვარ, თქვენებრი ჰატრლნი ხად ვიმოვსოლო“ საუბარი შეიქნა და ეგრე მიბმანა „მიძძიმს მეც იმათ კაცთა დახოცა, არა ვლამოდი, ღბილად ვეუბნობოდი და იგინი გაფიცდეს; გან არაბნი დიდად ამჰარტაკანნი არიან და ღბილად უბნობა არ მოუხდებოის.“ ვნასე სასლი, დიდება, რომე არა ითქმის კაციხა ენისაგან მზის

ჭაბუკისა. ესე მოგასსენო რა დაკბადებულვარ ჩემთა თვალთა მისი უშუენიერესი არა უნახავსრა. ჭაბუკობისა თვით მოისმინე, ძონადირე იყო, ხშირად ინადირებდის, ჰკადრებდა ვერავინ, ყოლას მტკერი არავინ უჩნდა. დღესა ერთსა ნადირობას ვიყვებით, მშვილდოსნანი იყო რომელ არა ნასულა მისებრი, ინადირა დიდად, კაცი ვინმე მოვიდა მას ნადირობასა შინა და ეგრე მოასსენა „ვინაღვან ნადირობა ეგრე გიყვართ მე წაგიყვანო სანადიროსა ეგეთსა რომე მისებრი არა გინახოს; მაგრამ შორი არის, თუ სიშორეს არ ერიდებით სანადირო მისებრი არ ნასულა.“ გაესარხეს მსესა ჭაბუკსა და წამოკედით შინა და იგი კაცი თან წამოვიტანეთ. ეგრე უბრძანა. „ვინა ხარ დასადაურა.“ მან ეგრე მოასსენა. „ღარიბი კაცი ვინმე ვარ, არცა მე მიცნობ და არცა ჩემს ქვეყანასაო.“ უბრძანა „რაზომ შორავს იგი სანადირო.“ მან მოასსენა. „არს თხუტმეტის დღის სავალიო.“ ასრე ბრძანა. „ზენაჩმან ღუთისამან, თუნდა რომოცის დღი სავალიც იუოს, წავალო.“ შეეკაცებინით და წაკედით, წავკვიძლა იგი კაცი წინა და ვიარეთ თორმეტისა დღისა სავალსა ძნელსა და უბადოსა, ჩვენ გვიძინდა პირველ სიშორე გზათა და მეჩმე სიძნელე, მსესა ჭაბუკსა არა. მიკედით მას ადგილსა, დაკვსკდა ქვეყანა დიდად შუენიერი და სანადიროდ კარგი. ვინადირეთ დიადი; მისგან კიდე არა იყო აუგი მას სანადიროსა, რომელ მსეტთა სიმჩავლე დიადი იყო, განა მსესა ჭაბუკსა არა გაჩნდა, ვითა კატა სოცდა. თავმან მეფობისა შენისამან, მრავალ ჯერ მათრასითა მოკლული ღომი მინახავს. დავუავით და ვინადირეთ, დიდათ მოეწონა იგი ადგილი მსესა ჭაბუკსა, მაგრამ ეს გვიგვირდა ეგრე კარგსა ქვეყანასა სამისა დღისა სავალსა არცა სოფელი და არცა ქალაქი იყო; განა ამას ვგონებდით, რომელ ეზომისა მხეცისა სიმჩავლისაგან ვერ მივიდოდა კაცი. უბრძანა მაღლი მას კაცსა წინამძღვარსა „რომელ ეზომ კარგსა სანადიროსა მამიყვანეო.“ მან ქება შეასხა და ეგრე მოასსენა. „ამას ქვეყანასა შენგან კიდე, ღმერთო, ნადირობად ვერა ვინ მოსულ არსო, განა შენ რაზომ ღომი ხარ ჭაბუკობისა შენისაგან ყველა ადვილი არისო; მაგრამ ვინათგან ეგეთი ჭაბუკი ხარ არა სიასლოვს ვიცი ქვეყანა სანადირო, რომელ ესე არა ჰკავს მას, ვითა იგი თქვენსი ამას არა ჰკავს; მაგრამ აწვე მოგახსენებ

მხეტია სიმრავლე საშინელი არის და სხვა ადგილი არის დღის
 ერთისა სავალსა სულიერი კერა მიეხლოვდების, მხეტი არის ერთი
 საკვირველი მისი სახელი არავინ იცის, კერცა ვის გაუცდია, დიდი უსო-
 მო, სხილს ოდენი არის, მსგავსი ლომისა, პირი კაცისა აქუს, შებმა
 მისი მოუალი არის კაცისაგან, აზომ რომე მარტო ჭყა იყო მასვე
 ქვეყანასა უსომოდ დიდი, აილო, დაჭსცა და მოკლა. მას მხეცს
 ლომ-კაცი ჰქვიან. კაცთაგან გავსდია ანბად, თუ ერთი არისო, თუ არა
 იცის არა ვინ. დაგვიძიდა მისი ანბისა თხრობა, მის კაცისათვის
 გული გავიწერომეთ; მსე ჭაბუკი ჩვენ გავვიწერა. „თუ ანბასა გვი-
 თხრობს. რად უწერებითო.“ უბძანა მას კაცსა „წინა წავგიძელო და
 მაგვიყვანეო მას სანადიროსაო.“ მას ეგრე მოასსენა „ფიცი მოძეც რომ
 მე მუნ აღარ წამიტანო, სადა იგი მხეტი არიო.“ ეგრე უბძანა. „მტკიცედ
 იცოდე შენ დასტურად არ წავიტანო; მაგრამ გვიჩვენე შორითგიო.“
 წავედით მას ქვეყანასა სანადიროდ, დიდად უკეთესსა მის ჰირველი-
 სასა და დაყავით ხანი დიდი, მუნ ვინადირეთ, მხეცის სიმრავლე დი-
 დად იყო, მართლს თქო მან კაცმან, განა ეკეთთა მხეტია სიმრავლე
 ჩვენ ვერას გვაკნებდა, ვსოცდით ჩვენცა რომელი მუნ ვიყვენით და მსე
 ჭაბუკი ვითა კატათა. გვქონდა შიში მის მხეცისა. მას ზედა მო-
 სულსა მზის ჭაბუკისაგან. ვითა ვინადირეთ, დაყავით დიადი დღე,
 ეგრე უბძანა მას კაცსა „გვალე და მიჩვენე იგი ადგილი, სადა იგი მხე-
 ტი არისო.“ ატირდა იგი კაცი და მოასსენა, შეაწყალე ჭაბუკობა შენი
 და ნუ წახვალ მის მხეცისა თანა. „ეგრე უბძანა.“ ვინათგან აქა მოვსულს
 ვარ წახვლისა გან კიდე სხვა ღონე არ არისო. დაუძიდა მას კაცსა,
 განა ღონე არა იყო, ჩვენ ვერას ვკადრებდით. წავედით, ზედა წავადეგით,
 ქვეყანა იყო შევნიერი. თქვა მან კაცმან „აჭა იგი ქვეყანა, სადა იგი
 მხეტი არისო“ წავედით და ნადირობა დავიწყეთ, მას თურე არესა არა
 იყო, უბძანა. „სტუევი, სად არის იგი მხეციო.“ მან მოასსენა. „იყო
 დასტურად, არ მიმტუეუნია; მაგრამ წათურესულს“ ამზედა სული
 თურე იცა კაცისა, მოვიდა იგი მხეტი და შანბსა გამოალეწებდა, ფერს-
 თა მისთა ხმა კლდეთა რხევასა ჰგვანდა. იუივლა მან კაცმან და გაიქცა.
 მსემან ჭაბუკმან აბჯარი ჩაიტყა, ცხენს შეჯდა და სიშტნი აისვნა.
 გამოვიდა იგი მხეტი შანბითგან და მიხედვიდა მზესა ჭაბუკსა, იბრ-

დღეინვა და შემოუტია. მზემან ჭაბუკმან. ფიცხლად ცხენი შეუტია, პირველ მისვლასა სიშტი ჰკრა პირში და ყაბდინ ჩასსვა და მუსღნი დაუცნა, ადგა მზე ჭაბუკი და სმალი გამოიწოდა, ქვეითად შეუტოვა, შეიბნეს, მამინ არა ნასულა რძი მისი მხტავსი. მზე ჭაბუკი ხლმითა სცემდა და იგი თათითა. როდესაც ჯზარსა თათი ჰკრის, ღმერთმან იცინ, სმა ასეთი გამოვიდის, ვითა ჭესა და რდესცა მან ჰკრის სმალი ძვალთა მისთა, ეკეთივე სმა გამოვიდის. იბრძოლეს დიდი სანი, იგი მსეტი პირველსავე ნაკრავსა ზედა შეაკებული იყო, თავმან თქვენმან, მზე ჭაბუკი ასრე დამაშვრალეულ იყო, ვითამცა ნადიდაძე ჯდომილ იყო. იეივლა მზემან ჭაბუკმან და თქვა. „აწ ნასეთ ჭაბუკობა მზინა ჭაბუკისაო“ შეუზასნა და სმალი ზურგსა ჰკრა და შუა გაწყვიტა და მისსა დაცემასა ზედა ქვეყანა შეიძრა. რდეს დავსედევით უოკელი ქვეყანა კაცი ზედა მოგვადგა, რა იგი მსეტი მომკვლარი ნასეს, მოვიდეს და ეველამან ქება შეასსეს და თქვენ. „რა ნასულა ჭაბუკი შენებრი პირსა უოკლისა ქვეყანისასა.“ გაესარნეს მას ქვეყანისა კაცთა, ამისთჳს რომელ იგი კვეკელი ქვეყანა მას მსეტსა აუოსრებინა, უძღვნეს ურიცხვი. შეიქნა სისარული, დავეყენით დღენი მრავალნი მუნ. რდეს უკანისა ვსტანით იგი ეტიკი მის ქვეყანისა იყო, თჳთ გაზრასკვით მზინა ჭაბუკისა მოყვანებად მოსრულ იყო, ასმოდა ქება ჭაბუკობისა მისისა. ენადრობდით და გავისკვენებდით და სისარული დიდი იყო, მათ უკაცურთა ადგილთა მის ქვეყანისათა შენობა დაიწყეს, რომე მას ნადირს აუოსრებინა. მოვინმევიდა დიდებული კაცი მის ქვეყანისა მზინა ჭაბუკისა ნასვად და ქება დიდი შეასსა და ეგრე მოიუბნეს და მოახსენსა. „გუროთხელმცა არს ვის შეუქნისარ და მიწა რომელსა გაუზდისარ, რომელ არა არს შენებრი კაცი პირსა უოკლისა ქვეყანისასა“ და დიდი ძღვენი უძღვნა, დაჰყენა მან კაცმან ჩვენთან დღენი მრავალნი, ინადირა და გაისვენა და ეგრე ჰკრქვა მზესა ჭაბუკსა. „საუბარი მიც შენთანაო.“ ეგრე უბძანა. „მიოხარ.“ იგი ქვეყანა და იგი კაცი საზარათა მეფისა იყო, ეგრე მოახსენსა მან კაცმან იღუმალ. „მე რატა ვიცი თქვენ მოგახსენებ, თქვენ რატ გინდა იგი ჰქენით, თჳლად და ჭაბუკად მშეენიერი კაცი დღეს პირსა ქვეყანისასა არა არს და ამას საქმესა შენთანა არა დავმალავ, საზარათა მეფე არს ამ ქვეყნისა

პატრონი და თვით-მზერობელი, ძე არა უზის, ასული უეის, რომელ ქალი მისებრი დღეისაძღის არა ვის უნასავს და ზენარითა მამასა მისსა უთქვამს. „ვირემდისინ ეგეოი ჭაბუგი არა ვპოვო, რომელ მისებრი ეოგელსა ქვეყანასა არა იყო, ასულსა ჩემსა ცოლად არა ვის მივცემო.“ აწ შენ მინასავსარ, ქება შენი მასმოდა; მაგრამ ვითარი შენ სარ ვერავის უთქვამს ქება შენი, სასართა მეფესაცა ასმია სიკეთე შენი და ისი კაცი მას გამოეგზავნა, რომელმან ამ მხეცისა თვის მოგიყვანა, შენ გაგიმიჯჯვა ღმერთმან და მოჭკალ, რომელ მოუყალი იყო კაციისგან რაცა ჭქენ. აწ ასმიათ სიკეთე და სიმშენიერე პატრონისა ჩემისა ასულისა და მოსულ არიან წაყვანებად მისად ქველნი და გალიათნი: ღამარ ღაზნელი, ორ დავრელი და მოსორ ნადირძე. ესე სამნო მოსრულ არიან და ქალაქისა კარსა დგანან და ამირინდოსაც მოქლოდეს; მაგრამ ამირინდოს ეგრე იტყვიან, ვითა მისებრი ჭაბუგი არა არსო. აწ მათგანი რომელიცა სჯობდეს ასულსა მისსა ცოლად შერთავს სასართა მეფე და სამეფოსაცა იმას მისცემსო, ესე მე ვიცოდი და შენდა მომისსენებია და შენ ვითაცა გწადიან იგიცა ჭქენო. „ღამადლა მზემან ჭაბუგმან და ეგრე არქვა. „შენ კარგი კაცი სარ, ჩემთვის ეველასა კარგა იტყვიო, აწ წამიძელე წინა და წავიდეთო.“ მან ეგრე მოასსენა. „შენ აქა ნადირობად მოსულსარ მტირედითა ლაშქრითა, გაგზავნე კაცი და შენი ლაშქარი მოვიდესო.“ მზემან ჭაბუგმან ეგრე არქვა. „მე ლაშქარი არად მინდა, ჩვენცა ვგმარვართ, წავგიძელო.“ წავგიძელვა, წავედით, სადაცა მივედით მან კაცმან, ვითა პატრონი, დავაყენის, ქალაქნი და ქალაქნი წინა მოგვეგებინან და ქება შეგვასსმიან, და ეგრე დიდებითა მივდიოდით. მას კაცსა რომელ ჩვენთანა იყო აბრაჰამ ერქვა, დიდებული კაცი იყო და იტყოდენ სასართა მეფისა გამზრდელი არისო. ვიარეთ ოცისა დღისა სავალი და მივეწურენით სასარეთისა თავადსა ქალაქსა. მივედით კართა ქალაქისათა, დგეს ოთხნი იგი ჭაბუგნი: ამირინდო, ღამარ ღაზნელი, ორ დავრელი და მოსორ ნადირძე. ამირინდოს ედგა წითელი პალატი და შიგან მოწუელნი კარავნი და ლაშქარნი დიდნი. იგი სამნივე ჭაბუგნი მას გვერდით დგეს. მზე ჭაბუგი ნადირობით წამოსული ლარი არა ჭქონდა, წინა წავიდა აბრაჰამ, ვირე ჩვენ მივიდოდით, ჩამოიხვნა საკარმანგნი კარავნი და პალატნი

და დასტა მზის ჭაბუკისათვის და ლარი, ვითა სწუდების საგებლითა და ნობითა და ტაშტა-სბრაკითა და ყოველითა ფერითა შეკაზმული. მიკედით და გარდაკედით მათ კარაკთა და დადგეს ჩვენსა გვერდით დორათ დილაძი და ამირ იამანელი. დაყვავით იგი დღე, ესე გაითქო ქვეყანასა შინა, ვითა მოვიდა მზე ჭაბუკი, გამოვიდა ყოველი ქალაქი ნახვად მზისა ჭაბუკისა და თქვა ყოველმან კაცმან „არა გვინახავს ესეთი კაცი ამისებრიო.“ მეორესა დღესა მოვიდა დარბაზობად ამირინდო და ლამარ ღანელი და რა დაკრელი და მოხორ ნადირიძე, თვალად უკეთესნი ჭაბუკნი არ ეგებოდეს: ამირინდო კარგი და საბატო კაცი იყო, ეკეთიკი ვერ იყო, ვითა მზე ჭაბუკი, თვარა სხვად კაცად კმა იყო, მხარული ამხანაგი, მდაბალი, მზე ჭაბუკსა დიდად მოეწონა. ღანარ ღანელი იყო დიდი კაცი საჭაბუკოდ შექნილი, უებარი, თვალად იგიცა კმა იყო; მაგრამ ეკეთი ვერ იყო, ვითა ამირინდო, ჭკვანდა მესისხლე იყო. მოხორ ნადირიძე და რა დაკრელი იგიცა კარგნი ჭაბუკნი იყვნენ; მაგრამ ყველათა უკეთესი ამირინდო იყო. ამას დღესა არ გაუშვნა მზემან ჭაბუკმან, ზური მუნ ჭამეს და ნადიმი გარდისადეს, მისცა მისაცემელი ყველასა დიადი, მას ზურობასა ზედა მოვიდა ვინმე დიდებული სოხრო საზართა მეფისა, კიდე ყველასათვის საბოძვარი ჭკონდა: მზისა ჭაბუკისათვის დიდად ებოძა, იმაზე ცოცხად უძროხი ამირინდოსთვის, სხვათათვის სწორად ებოძა და ებრძანა. „ვამად ბრძანეთ და მოხვედითო, დიდად გამესარნეს თქვენი მოსწულა.“ ადგეს ყოველთა და თაყვანისცეს და დღე მუნ დაჭყვეს. მეორესა დღესა მიკედით ამირინდოსასა, ყველანი მუნ შემოკრბეს, ეგრევე გარდავისადეთ ნადიმი და ყველასა კიდის კიდე უძღვნა ამირინდომან. ეგრევე მოვიდა იგი კაცი მეფისა, მოიღო შესამოსელი და საბოძვარი კიდის კიდე ყველასათვის. იგი დღე მუნ დაყვავით, დიდი სისარული იყო; ბასტნი და მოშაითნი იძუერდეს და განცხრობოდეს და გავისვენეთ, რაღასა ვაგრძელებ, შვიდნი ჭაბუკნი იყივნეს: მზე ჭაბუკი, ამირინდო, რა დაკრელი, დორათ დილაძი, ღანარ ღანელი, მოხორ ნადირიძე და ამირ იამანელი. ყველასთან კიდის კიდე მიკედით და ნადიმი გარდავისადეთ, ეგრეთვე ერთმანერთსა უძღვნიან დიდი. ყოველთა მეფემან საბოძვარი უბოძვის. დაყვავით მრავალნი დღენი, ვსზარეზობდით, ვიმღერდით, ვნადირობდით

და სისარული იუვის დიდი, მშვილდოსანსა ყველასა მზე ჭაბუკა სჯობდა, მოასპარაშესა ყველასა ამირინდო სჯობდა, ორთლით მოძღერალსა ყველასა ორ დავრელი სჯობდა, ცხენოსანსა ყველასა დორათ დილამი სჯობდა, ვითა მოშითი იძღერდის ცხენსა ზედა აბჯრითა, მონადირესა ყველას მონორ ნადირიძე სჯობდა, მოჭადრაკესა ყველასა ამირ იამანელი სჯობდა, მტურავსა ყველასა ღამარ ღასნელი სჯობდა; ესე მინასაკს მისგან რაზომცა დიდი წყალი იუვის, შეკაზმული კაცი ილლიასა შემოიგდის და იმიერ გაიტანის და ჭაბუკად რომელი სჯობდის აწ სცნათ. ოდეს გვესმა, ისმენდი მეფედ მეფეო, ესე ას ბაუი მის კაცისაგან დიდად გვიამებოდა, თქვენ არ ვიცი, მეფეო; ვთნავს თუ არა. დაუყვენით ამას განსკვენებასა შინა დღენი მრავალნი, ნადიდად ვსხედით ამირინდოსასა, ადგა აბრატამ, აისგნა ორნი ჭიქანი ერთი ამირინდოსა და ერთი მზე ჭაბუკსა, ეგრე მოასხენსა „ღვინო შესვით ღომთა ღომნო და თქვენ შეებენით ერთმანერთსაო.“ და ყოველთა თქვენს. „უამი არს თქვენისა ომისაო.“ ეგრე თქვა ამირინდომ. „შესვი. ღვინო ყველას გვეტყვის ზმასა თუ არაო.“ ავოცეს ერთმანერთსა და შესვეს ღვინო, დასკვენეს ომი, გაიყარა ნადიმი. მოასხენეს მეფესა „სკალისა მზეჭაბუკისა და ამირინდოს ომი არისო“ ეგრე ებძანა „ვირემდის მე არა ჩამოვიდე, ნუ შეიბძითო.“ დილასა ჩამოისუნეს ოქსინოსი კარავნი, დადგეს და დასხენეს საჯდომნი ოქროქსოვილი სანი და დადგეს სვეტნი. გამოვიდა ხოსრო ხაზართა მეფე და დაჯდა საჯდომთა და დაისხნა დიდებულნიცა თჳსად; მოვიდეს მეზუკენი და მე დაბდაბენი, წამოდგეს ყოველი ქალაქი, დაიდგო ნადიმი მეფემან, მივედით ყველანი მეფისასა. გამოვიდა დედოფალი და დასხდეს მასვე ბანსა ზედა, მოვიდა ასული მეფისა დაჯდა დედისა გვერდით. სმა იყო დიდისა სისარულითა, შეეკაზმა მზეჭაბუკი და გავიდა და თქვა ყოველმანს. „იმიო ომი კაცისაგან არ ეგებოსო.“ გამოვიდა ამირინდოცა შეკაზმული მოეწონა იგიცა ყველასა, თუძცა გენახნეს ბრძანებდი ამ ორთა კაცთა უკეთესნი არ არიანო. იარებოდეს მოედანსა შინა, მეფემან მოუგზავნა კაცი. „ჩემგან ამისი მოწმობა არ გინდათ, მაგრამ ერთმანერთსა მუსთლად ნუჩას უზამთო.“ მზემან ჭაბუკმან ეგრე მოასხენსა. „ჩვენგან მუსთლად არ ეგებოსო“ შემოუვლეს ნავარდი, შეუტყეს და შეიბნეს, რა

მელ ომი ეგეთი არ მინასავს, თუით მუნ მყოფელმან ეკელამა თქვა. „არა ნასულა ეზომი ფიცხელი ომიო.“ იბრძოლეს მწუხრამდისინ და სილამემან გაჭყარნა და ვერა რომელან აჯობა. გაესარნეს მეფეს და ყოველსა გაცსა მათი მშვიდობით დარჩომა და დამოსნა და დედოფალმანცა მოსცა შესამოსელი. წავიდა მეფე და ჩვენ დავიდევით ნადიმი. მეორეს დადეს გამოვიდეს და შეიბნენ, თაემან თქვენმან, წინასასა უფიცხე შეიბნეს, ეგრევე გაყარნა სილამემან, ვერა რომელმან აჯობა. დაუძიიდა მსესა ჭაბუგსა გასწორება; კვლავ შემოსნა მეფემან, ქება შეასსა და უბრძანა. „აღარა გაბრძოლებთ, ვიცი რომ თქვენებრი ჭაბუგნი არა არს პირსა ყოვლისა ქვეყნისასა. ამიწინდომან არა თქვარა, ერსია თუძცა აღარ შებმულაიფუნენ. მსემან ჭაბუგმან ეგრე მოსსენა მეფეს. „ხვალე კიდევ შევიბმით და თუ კიდევ გავუსწორეთ, აღარა შევიბნეთო.“ დასაკენეს ხვალისა უფიცხე ომი და დადგა მეფე. ჩვენშინა წამოკედით, მსემან ჭაბუგმან ეგრე თქვა. „ამა გაცმან ამისთვის გამისწორა, რომე სიკვდილისა მეშინიან, კარგი გაცი არის და გულისად ვერა კვრავო.“ შეიქნა ლაშქართა შინა ცილობა ზოგი მას აჯობინებდენ და ზოგნი სწორად იტყოდეს; ვითა ზედა გათენდა დაჯდა მეფე და დიდებულნი დაისხნა, გამოვიდეს დედოფალი ასულით და დასსდენ ბანთა ზედა. გამოვიდა ყოველი გაცი ხელვად. ეგრე არქვა მსემან ჭაბუგმან ამიწინდოს. „დღეს გარდაწვეკცა არისო.“ მან ეგრე არქვა. „დასტურ, თუ ძლადობელნი არა ვართო.“ შეიბნეს, თაემან თქვენმან და ზენაარმან ღუთისამან, პირველისა დღისა ომი, ვითამცა ლაღობა ყოფილ იყო, შუა დღემდისინ იბრძოლეს, პირველად ოროლითა და ოროლი დაემტურათ და ცხენზე რკინაობა დაიწეს. იმათი ერთმანერთისა ჯახება ცისა ჭესასა ჭკვანდა, მის უკან აიღეს ხუთას ხუთასი ლიტრის ლახტები იმით ერთმანერთსა ასე მედგრად სცემდეს, რომ მათი ცემა კლდის რღვევასა ჭკვანდა და ზღვისა ღელვასა; დაეკრინათ ლახტები, დაჭყარეს და თითო ხლმები გამაიწოდეს და გაიყენეს ცხენები და შეუტოეს და ერთავე მუზარადები დაუღეწეს და ხლმებიც დაღეწეს და გაუდგნენ ერთმანერთსა და დაახხნეს ისარი, ვითა ტყე ტანში ასე იყო, და ჯახვის სიკეთით ვერცერთს ვერ შეატანა, შეუზახნეს ერთმანერთსა და სიტები შესტყორცეს, ორთავ ზოლორტიკი რკინიანი დაემხვრათ.

ასე გაუხდათ ხაომარნი საცმელი, რომ ფაღსანივით კუარა დაფრეწილი. გამოიწოდეს თითოე სმალი კიდევ, ფიცხლავ ცხენი გაიყენა ამირინდომან, შემოიქცა და შემოუტია და ეგრე შეჭვივლა. „კარგად გამომაგრდითა შემიძლია, კმაღავ აღარა.“ ჰკრა სმალი ამირინდომან პოლორტიკი რკინიანი გაკვეთნა და ჩაბალსი გასეთქა და თავსა დიდი შეკვეთა და სისხლი მადლა შეასსა, ჯობნა გვეგონა, მზემან ჭაბუკმან სმალი გადაადგო, აღარა ჰკრა, სიკვდილისა შეშინდა. „არ შემომაკვდესო, დაჩემს ნაკრავს ვერღარა წაუვალსო.“ ხელი მიჭყო, ხლმიანი ხელი შესტატა, აიღო უნაგრისგან ასეთი დასტა ქვეყანასა ზედა, რომელ შეზნიდა და ქვეყანა ასე შეიძრა მასსა დაცემსზედან, ვინცა ფეხზე, ვიდევით მიწასა ზედა დავეცენით. ადგა მეფე და ივივლა. „ღმერთმან ნუქნას სიკვდილი ამირინდოსიო.“ მზემან ჭაბუკმან ეგრე თქვა. „მე ჯობნა მხვდა და მიჯობნებია, სიკვდილი რასა ჰქვიანო.“ მეფემან უბრძანა. „კურთხეულმცა არს იგი ღმერთი, რომელმან ეგეთი გული და ჭაბუკობა მოგტა.“ გაეხარნეს ყოველთა ჯობნა მზისა ჭაბუკისაგან და შეასსეს ქება. დიდი ხანი დაბხედილი დაჭყო ამირინდომან. მოვიდა სულად ამირინდო, წასხსნა მეფემან ორნივე თვისად კარავსა, შემოსნა და უბოძა დიდი მეფემანცა და დედოფალმან და წავიდა მეფე ქალაქსა. მეორესა დღესა მივიდა ამირინდო მზისა ჭაბუკისასა და ეგრე თქვა. „მერჩია ესე რომემცა, ღმერთო, მეჯობნა, ვინათგან შენ გაგიმარჯვა ღმერთმან მერად გემდურვი, დიდად მადრეელი ვარ, სიკვდილი შეგემლო ჩემი და არ მამკალ.“ დაიმოყვრნეს და ქმად იფიცნეს და მოკვლოდით ყოველთა დღეთ ქორწილსა. მიმწუხრს მზე-ჭაბუკი, და დორათ დილამი, და ორ დაკრელი და მოსოჩ ნადირძე ერთგან სხდეს, მოვიდა აბრახამ დაჯდა დაღრეჯილი. ჰკითხა მზემან ჭაბუკმან „რად დაგიღრეჯიაო.“ მან ეგრე თქვა. „არ ვიცი, მეფისა სიტყვა არს, თუ არა უმძიმს მასცა, დედა-მამემს მის ქალისასა უმძიმდა გათხოვება, მოუპარავს წუხელის და გრძნეულთა ქვეყანასა წაუყვანია, რომელ არცა მისვლა ეგების და არცა გამოყვანა, თუ ყოველნი გმირნი და გოლიათნი ერთგან შეკრბენ, აწ ვინცა წახვალთ გამოყვანებად ნება თქვენიაო.“ დაგვიძმიდა ყველასა, ამირინდომან ეგრე თქო. „არცა, ღმერთო, ვიარები და არცა შეკვლად დავდგები.“ მზემან ჭაბუკმან ეგრეთ თქვა. „ვინათგან აქა მო-

კსრულვარ, ვირე არ გამოვიყვანო უსიკრედილოდ დასტურ არ შევი-
ქცეო.“ ეგრე არქრე აბრაჰამ. „მზე ჭაბუკო, მე სიყმე და სიმშენიერე მე-
წყაღვის შენი და სიჭიაბუკე მოუვალე არის, მუნ ნუ წასვალ. ვინცა
შესვლას ცდილა, მთელი ვერ გამოსულა.“ ეგრე თქვა. „ჩემებრ, ღმერთო,
არა ვინ ცდილა, წინამძღვარი მამეც და სხვა ნუ გაგვა.“ მან ეგრე თქვა.
„წინამძღვარნი სადამდისინ ეგებოდეს მოგცნე, რა აღარ ეგებოდენ
მიღმა გიჩვენონ რა უნდა ჰქმნი.“ დასკვნა წასვლა მზემან ჭაბუკმან.
ღორათ დილამან ეგრე მოახსენა „მე თან წამოგვევებო.“ მაღლი უბრძა-
ნა. მოვიდა მოსორ ნადირიძეცა მოახსენა. „ჩემთვის არა მიც საქმე, მა-
გრამ შენთვის თავსა არა ვსწყალობო“ დავასკვენით წასვლა. მოვიდა
ამირინდო მე ესე უწინ მითქვამს. „ჩემთვის ამა გზასა არ წავალ; მა-
გრამ თუ შენ გინდა წამოგვევებო.“ უთხრა მზემან ჭაბუკმან „ნუ იტვირვი,
ჩვენცა ვკმარვართო.“ და დავასკვენით წასვლა. მოახსენა აბრაჰამ „ისმინე,
ნუ წასვალ, ნუ მოიგლავ თავსა, მოუალა მუნ წასვლა.“ ეგრე უბრძანა.
„წინამძღვარი მამეც, და ვაზირობა არ გვიხდაო.“ მოახსენა წინა-
მძღვარნი, ღმერთო, მოგცეო. მოიყვანნა ოთხნი კაცნი გზისა მეცნიერნი
იგი კაცნი თავს იცემდეს. „არ წავევებითო, არათ ღონითა, აჰა თავნი
ჩვენნი, აქავე დაგვსოცენითო.“ ვირემდისინ ამასუდ სიმტკიცე არ მივევით
„სადამდისინ ეგებოდეს წავკვიძვითო.“ მერმე თქვეს წამოსულა, ეგრე.
თქვეს. „სხვაგან ნუ თუ მიხვლებოდეს სამი ადგილი არის ყოლა წა-
სულისა ღონე არა არს, თუ იგიცა წავიაროთ, სადა მეფისა ასული არის
მუნ შესვლა ყოლე არა ეგების.“ მზემან ჭაბუკმან ეგრე უთხრა. „გაუშვით,
ეგე თქვენი სილი ეტიკობა არის.“ ვითა ველარა დაუშალეთ წასულა,
დიდად იტვირა აბრაჰამ, რაზედა გათენდა, წავედით მზე ჭაბუკი, ღორათ
დილამი, მოსორ ნადირიძე, მე და ორნი ყმანი მზე ჭაბუკისანი. ისმენდი
მეფეთ მეფეო, აწყა იწყობის ანბავი მზისა ჭაბუკისანი სიმსნე და ჭა-
ბუკობა, წავკვიძვეს იგი ეტიკნი და წავედით, ვიარეთ მრავალნი დღე-
ნი და გავიარეთ სამეფო საზართა მეფისა, მივსვდით ქვეყანასა კარგსა,
დიდსა; მაგრამ უკაცური იყო, ეგრე თქვეს ეტიკთა. „მივსრულ ვართ ქვე-
ყანასა გრძეულთასა ამას აწვე მოგახსენებ დიდად გაფთხილება გინ-
დათ, რომე მუსთლად არა წაგვედოხთ რაო, თუ ვით რომელ საცხა-
დო ხახოთ ჭირად იგიცა გვეყოფისთო.“ არა გვარნი კაცი არ გამოგვი-

ჩნდა, ოღეს ვნასეთ ექვსნი ვინმე ტაიჭაოსანნი მოდიოდეს, ხელთ
აქროლები ჭქონდესთ, ფიცხლად მოდიოდეს, მათ ეტიკთა ეგრე თქვეს.
„ომად მოვლენ იხი გაცნით.“ ჩვენ აღარა ვაზმა გვინდოდა, ვითა მოგვე-
ასლნეს ცხენის შესატყვევლად ერთი გაცი უკანა მიეწია და ეგრე უთ-
ხრა. „მაგათი ის გიჯობსთ ახად იბაშსა წაუგვლიათ და მასეუდ წადითო.“
რა მან გაცმან ესე თქო. მათ ექვსთა გაცთა თქვეს, ოტიო, და შეიქეცეს
და ფიცხლად წავიდეს. მზემან ჭაბუკმან ეგრე თქვა. „დამიძძიმდა რომე
იბად აბაშმან წაგვასწრაო.“ მათ ეტიკთა ეგრე მოასსენეს „ნუ გიძძიმს,
ვერცა, ღმერთო, იბად აბაში მივაღს, სდაც მეთვის ასულთა და ვერცა
ჩვენაო.“ წავედით და მიგდიოდით ყოველისა ქვეყანისა ლაშქარი მო-
დიოდა და იბად აბაშსა ასსენებდენ ყველა და ჩვენ. არა გვითხრეს რა-
დორათ დილამძან ეგრე თქვა. „არს ვინმე თურმე ვარგი ჭაბუკიო იბად
აბაშიო.“ ველეთიგი დღე და არა ვინ გამოვკვირნდა, მეორეს დღესა ცო-
ტასა სისხლისა წყაროსა გარდავევიდენით, გაგვიკვირდა ეგრე. თქვეს
ეტიკთა ესე წყალი ჩვენ არ ოღეს გვინასავსო ნუ თუ იბად აბაშსა
ზედა ომი არსო და ესე სისხლი მუნით მოდისო.“ შევევეკით მას სი-
სხლსა, გაცი ვინმე მოხროდა ფიცხლად და მოვიდოდა და ტიროდა. მზე
ჭაბუკმან ჭკითსა. „ვინა ხარ, ანუ რა გჭირსო.“ მან ეგრე თქვა. „მე იბად
აბაშის უმა ვიყავ და ასერა იმასედა ომი არისო, და ესე სისხლი
მუნით მოდის, მგონია მოკვლესო.“ გარეიქცა და ჩვენ წავედით ფი-
ცხლავ, ჩვენ წარვევისწრაფეთ „ომსა ზედა მივიდეთ იხი სჯობსო“ ოღეს
მივედით იბად აბაში ჩამოეგდოთ, დაეკოდათ. სასიკვდილოდ, რა დავბა-
დებულვარ ეზომ დიდი გაცი არ მინასავს, იგი სისხლი მისი ჩამოდი-
ოდა, ხმალი სისხლიანი ხელთა ჭქონდა და ცხენი ხელთა ეჭირა, აღარა-
ვინ იყო, დაეგდოთ და წასულაიყვნეს. ჩვენ ზედა-მივადევით გაცსა,
ენა აღარა ჭქონდა, შემოგვხედა, თუცა გენასა საზაროდ ვმა იყო, და-
უძძიმდა მზესა ჭაბუკასა ვერ მისწრობა მისი. მათ ეტიკთა ესრე თქვეს.
„რადგან იბად აბაშსა ესე წაჭკიდებიაო ჭაბუკობისაგან იმედი ნულარა-
ვისა აქწესო.“ დაგვიძძიმდა და შეგვეშინა. ეგრე თქო ნოსარ ნადირმემან,
„ცხენსა გამოუღებ და თან წამოვიტახებო“ ეზომ დიდი ცხენი არა ვის
უნასავს.“ ხელი მიჭყო თუმიტა გამოუღო, ეგრე თქვა იბად აბაშმან. „რად-
გან მამკვლარვარ ჩემსა ცხენსა არა ვის მივცემო.“ მან დაყოლილმან

სიკვდილზე მიწვენილმან თავის ცხენსა უნაგირსა ზედა ხმალი ჰკრა, თავმან შენმან, ცხენი შუა გაკვეთა და ხმალი მიწასა გამოაკვლო, ცხენიც მოკლა, უგუჯდა და თვითცა მოკვდა. გაგვიგვირდა ეკეთი გვეთი ნობა. მზემან ჭაბუგმან ეგრე თქვა. „ავი ვინტე ყოფილ-არსო ესე კაცი, თვარე ეკეთისა გვეთინობა შექმლო, ვითა ვინ მოჰკვლათ. მათ ეტიკთა ეგრე თქვეს. „უკეთესნი თურე დასვედრიანო.“ მზემან ჭაბუგმან ეგრე თქვა, „ღმერთო ავსა გზასა ვართო.“ ჩვენ არა გეწადოდა წასვლა, შევშინდით დიდად, განა ვინ გვიხმენდა. ეგრე თქვა მზემან ჭაბუგმან „გვალეთ, რას უჭვრეტო ჰკვდარი ვინმე ყოფილ-არსო. წაკვდით მუნით ვიარეთ. ვიარეთ, დიდი ხანი არა გამოჩნდა არა ჩვენსა საჩინოსა, ტბა იყო ცოტა, მოვიდნეს ხუთნი კაცნი ჩასხდეს, იბანეს და ღამად შეიქცეს და წავიდეს გზასა სითაცა ჩვენ მივდიოდით, მოვიდეს ხუთნი სხვა კაცნი ჩასხდეს, იბანეს და ვეშხად გახდნენ და წავიდეს, მოვიდეს კიდევ ხუთნი სხვა კაცნი, ჩასხდეს, იბანეს და მივიჩინებოდ შეიქნეს და წავიდეს. ვთქვით. „რანი არიან, ვინ იყვნეს, რომელ ჩვენ არა შემოგვიზახნეს, შეგვეშინნა, ზარმან აგვიხვნა. მზე მან ჭაბუგმან ეგრე თქვა. „ის ყველა ეშმაურიაო.“ დაკვდევით მას დღესა და ღამესა არა გამოგვიჩნდა არა, მათ ჩვენთა ეტიკთა ეგრე თქვეს. „ერთი საჭიროა და სამსელა დღევანდელი დღე არის.“ ჩვენ ვკითხეთ რა არის.“ მათე გრე თქვეს. „ესეთი ხანასავი რამე არის, ვინც რომ მას ხასავს დასტურად გაიქცევა, ვისსაცა გუფსა შიში არა იყოს მას ზედა ომი შეიქნების და ღმერთი გაუძარჯვეს.“ დორათ, დილამმან ეგრე თქვა. „მე ეგრე ვიცი ეზომ, ღმერთო, შიში არის გუფსა ჩემსა, რომელ რიცხვი და შეგება არ არის. მზემან ჭაბუგმან ეგრე უთხრა. „დორათ, გეშინიან ჩემსა მზესაო.“ მან ეგრე თქვა. „მე შინიან შენმან მზემან, მან გაიციან და ეგრე თქვა. „მე და მოსო რს, ღმერთო, არ გვეშინიანო.“ მოსო რე ეგრე მოასხენა. „მე ნუ მთვალავო, ესდენ, ღმერთო, მე შინიან, რომელ სული ცოტადა მითქსო.“ ამას ვიციანოდით; მაგრამ შიში გუფსა ყველასასა იყო, მის ერთისაგან კიდევ მზისა ჭაბუგისა. კვითხეთ მათ ეტიკთა. „რა არის იგი გრძნებითა შექნილი.“ მათ ეგრე თქვეს. „არ ვიციო აშინგან კიდევ, რამე რაზომცა ეშინიან, გაიქცევისო.“ გათუნდა ზედა, წაკვდით ოდეს და ვნახენით მათ ღამითა. ზედა ხუთნი კაცნი

სხდეს, იგი კაცნი რომელნი ვეშადა შეიქნეს დაშორს თვალისა
სახინოდ დაშქარი მოვიდოდა ურცხვი. მოვიდეს იგი კაცნი, შევიბენით
ფიცსლად ომსა შინა. ჩვენ მოგვაკლდებოდა ძალი და შიში შეგვექმ-
ნებოდა, მაშინ რაღა ვთქვა, მზე ჭაბუკი მარტო დავაგდეთ ომსა შინა,
ანაზღაო კაცი მოვიდა, ვეშაპსა ზედა ჯდა, ხელსა შეილდი ჭქონდა.
ფიცსელნი: შემოგვიძახსა, ისარი შემოგვეტეოცა, სმა მისი ჯერეთ
ცა უერთა ჩემთა არის. მუნ ვეკლამან ზარსა დასტეს და შემოგვი-
ტეეს. მათ ჩვენთა ეტივთა თქვეს. „ამას ვიტეოდითო, ფიცსლავ გაიქც-
ნეს და ჩვენცა გავიქცეთო, დამარტო დავაგდეთ მზე ჭაბუკ, მოვიდა იგი
უოკელი ქვეყანა დაშქარი მარტოსა ომი დაუწევს, იგი დღე და ღამე
იბრძოლეს ჩვენ, არა ვიცოდით, იგი დღე და ღამე უკუდმა ვირბინეთ.
მეორესა დღესა მათ ჩვენთა ეტივთა ეგრე თქვეს. „აწ განუკეტილსა
რაცა ქნილსა, შევიქცეთო,“ ოდეს მივედით მზე ჭაბუკი დგა იგი და-
შქარნი გაექცივნეს და დაესოცნეს, ჩვენ მიძავალნი გენსსა, გაიცინა.
ჭაბუკნო, შიში თურე გაქვსთო, რომელ გაიქცითო, არა თუ სიჯა-
ბნით გაიქცითო.“ იგი ორნი კაცნი ჭაბუკი იყვნეს დორათ და მოსორა
კელმწიფეთა ძენი იუზენ, განა აგრე რამე შექნილ-იყო იგი გრძნები-
თა, თურცა რაზომცა შიში გულისა ჭქონდა უღონოდ გაიქცეოდა. მზი-
ხა ჭაბუკისაგან კიდე სორციელისა კაცისაგან არ ეგებოდა ომი; მისთჳს
რომ ეზომ ძნელისა გზისა შიში გულისა არა ჭქონდა. მე ეგრე მიბრძანსა
დარეჳანის ძემან, სავარსნიძემო, დიდი არის ისი, რომელსა ისეთსა გზა-
სა შიში არა ჭქონებია.“ მე მოვასსენე. „დიდი არს ზომისაგან მეტად
და დაუჯერებულნი.“ მან კაცმან დაიწყო მბობა, იგი კაცი რომელი ვე-
შაპსა ზედა ჯდა ჩვენ გავკაქცივნა და იგი კაცნი რომელ ღომთა ზედა
სხდეს იგი ვეკლანი დაესოცნეს მზე ჭაბუკსა. ჩვენ გვიბრძანსა „რა ესე
დავსოცნენ, მაშინდა გაიქცა დაშქარიო.“ გაუკვირდა მათ ჩვენთა ეტივთა
და ქება შეასხეს და ეგრე მოასხენეს. „კაცისაგან, რომელს სორცნი
ასხენ შეუძლებელია აწ რომელი შენ ჭქმენიო და აწ ვიცით რომელ ში-
ში არა არს გულისა შეისა, კურსეულმცა არს გული შენიო.“ დავუავით
იგი დღე მუნ, მეორესა დღესა წაკედით, ვიარეთ იგი დღე და ციხე
მოგვსვდა, მის ციხისა ძირსა წალგოტი იყო მშვენიერი და წყარო გამო-
დიოდა, კაცი ვინმე ჩვენებურად მოსილი წყალსა ავსებდა, რა გენსა

თავკანის გვცა, ეგრე ვკითხეთ. „ვინა ხარ, რომელ ჩვენებური სამოსელი გაცვია.“ გვითხრა. „პატრონო, მე იბად ახაშისა ვიყავ, იგი მოკლეს ჩვენ უმანი ტყვედ წამოგვასხეს, მე მარტო აქა ვარ ჩემთა მოყვასთა არა ვიცი.“ ეგრე ვკითხეთ. „ვისი არის ესე ციხე ანუ შიგ ვინ არისო.“ მან ეგრე თქვა. „ციხე ამათი ვისიმე არის, მე ასლა მოყვანებული ვარ, შინა არა ვინ არის, ერთი დიაცი არის ბერი, რაცა ლაშქარი იყო ყველა თქვენსა მოსვლასა იტყოდეს, ჩაღმა წამოვიდესო.“ ნოსარ ნადირქმან ჰკითხა. „ყოლა წინა საჭირო გზა გვიცხსო.“ მან ეგრე არქვა. „მე არა ვიცი, იგინი დია ძნელსა იტყვიან.“ წავედით მან უბამ ეგრე ვკითხრა. „შორით მოსვალთ დადგით ამას ღამე ამა ციხესა შინა, გაისვენეთ, რაცა გინდათ ცხენთა და კაცთა თვის გვეშოებისო.“ უხმინეთ, ციხესა დადგით, შიგ კაცი არა ვინ იყო. ციხე იყო და სასლუბი კარგი. შეკედით, სასლი იყო დიდი, შეკასმული, ერთი დიაცი-ბერი ჯდა, ზე ადგა გაწვივნა, დავსხედით ეგრე თქვა მან დიაცმან. „მაშკრალნი საწო პური ბრძანეთო.“ ორნი მოხანნი ჰქაეს მას დიაცსა, ტაბლა მოიღეს და სახუკვარი ყოვლი ფერი. მზე ჭაბუკი მარტო დაჯდა დავსხედით პურსა ვსჭამდით. მას სასლსა შინა სამნი კაცნი იყვნეს ანაზღად იჩითად ორნი კაცნი მოვიდეს ხმაღ მოწვდილნი, მზე ჭაბუკი ვერ სედვიდა ზურგით კერძო იუწნეს, დორათ დილაძი და მოხორ ნადირქე ახლტეს და შეუტრეკეს, ვინემ მზე ჭაბუკმა მიისედა და ან მოვიდოდნეს და დახორცეს, თუცა დორათ და მოხორ არ ყოფილიყვნეს მზე ჭაბუკს მუსთლად მოჰკლევდენ. და რა იგი კაცნი დახორცეს დიაცსა დაუძი მდა, ზე ავარდა, იყივლა და მათ სამთა კართაგან შემოდენა დაიწყო ლაშქარმან. ერთსა კარსა მზე ჭაბუკი დადგა, ერთსა დორათ და ერთსა მოხორ ნადირქე. ომი შეგვექნა დიდი დილით მწუხრამდე ომი იყო. უიოდა იგი დიაცი, მოვიდოდა ლაშქარი, შეუტრია დორათ, დიაცი მოკლა. რა იგი მოკვდა ლაშქარი გაიქცა, გზა და კვალი ველარა გავიკეთრა. მადლი უბძანა მზემან ჭაბუკმან დორათს. „ძმაო, გურთხეულმცა ხარ, რომელ იმა დიაცისაგან დაგვისხენო, სულთერი კაცი მას ციხესა შიგან ველარა ვპოვეთ, ვერცა იგი რომელ ეგრე თქვა. „იბად ახაშის უმა ვიყავო.“ მათ ეტრიკთა ეგრე თქვეს, „თუმცა იგი დიაცი არ მოკვლათ დორე დახსნისა არა იყო, თუნდ წელიწადი ერთიცა გებრძოლათ.“

დაკავით იგი დღე მუნ, დილასა წავედით, მათ ეტიკოს ეგრე გავაჩქევს.
„აწ უფრო საგრძნეულოსა ქვეყანასა შესრულ ვართ, გაუფთხილდითო.“
ვიარეთ დიდი ხანი, მოგვსვდა მშვენიერი სასლი, შინა შევედით, გაცი
არა ვინ იყო, პური დაგებულნი იყო, მზემან ჭაბუკძან ეგრე თქვა. „ამას
პურსა ეოლე არა ვჭამ საგრძნეულო არს.“ ანაზდად იგი მფრინველნი
მოფრინვიდეს, რომე მას ტბასა შინა გაცინი მფრინველად შეიქმნეს.
მოვიდეს, საჩქელნი შემოვლნეს, დასხდეს და გაცად შეიქმნეს, ამაღ
რომე დასოცასა იგონებდეს. ჩვენ ვერა გავიგეთრა, თუძცა პირველად
შემოსულნი დაგვესოცნეს მშვიდობით დაკრებოდით, არცა რა ჩვენ
გვითხრეს, დიდი ხანი დაჭყვეს, მერმე ეგრე გავაჩქევს. „რად არ სჭამთ
პურსა, თუქვენ არა სჭამთ, ჩვენ ვსჭამთო. მზემან ჭაბუკძან ეგრე არქვა.
„ჩვენ არა გვინდა, თქვენ ჭამეთო.“ დასხდეს, ჭამდეს და იცინოდეს. ჩვენ
გავვიკვირდა გაცი ვინმე მოვიდა და ეგრე გვითხრა. „ისი პური თქვენთვის
შეკმაზული იყო, მათ ეშმაურთა რათ შეაჭამეთო.“ მათ რომელ პურსა სჭა
მდეს ადგეს მას აგინეს, შეუტყეს და იგი გაცი მოკლეს. ჩვენ, დაგვიძძიდა
ჩვენითა მიზუნითა მოკრულა მის გაცისა. ჩვენ შეუტყვეთ მათ, იგინი
მფრინველები შეიქნენ, ფრთები პირს გვკრეს. ჩვენ ცნობა წავვიხდა,
ოდესცა მოვიქეცით საზარეთსავე გარსა ქალაქისათა ვიყავით. განცა
განადა გვიძძიდა. დორათ დოღამძან ეგრე თქვა. „დმერომან იცის,
მგონია სიზმარსა შინა ვიყუნეთო, თვარა ეს ვითა მოხდა.“ მოვიდა
აბრაჰამ ეგრე თქვა „არ მოგასხენე, რომელ ვერ შესვიდოდით. დაუძძი
და მზესა ჭაბუკსა ძნელად. აბრაჰამ ეგრე ჭკითხა. „სადამდის იყვენითო.“
ჩვენ უკვლა უთხარით. ეგრე თქვა „საჭირო უკვლა ჩავივლია მოცთო
მით წავკვიდებიათო, თუცა წინას: მფრინველნი დაგვესოცნეს მშვიდო
ბით დარჩებოდითო.“ მზე ჭაბუკძან ეგრე თქვა. „მე უღონოდ წავალ
იცოდეთო.“ მოსორ ნადირიძემ მოასხენა მე ვერა გვადრე. „თვარა უღო
ნიოდ წასვლა სჯობსო.“ არ ომისა შიშითა წავკვიდებიან საეშმაგო საქმე
წავკვიდაო, მას სახლსა მივედით სით წავსულვიყვენით, ვიარეთ რაც
ჭირი გვეჩასა მეორეთაც ის ჭირი და შიში ვჩახეთ. მივედით მას
სახლსა და სიღამაც დაგვაბრუნეს მფრინველთა ფრთისა გრუნთა შე
ვედით მასა სახლსა, არა სულიერი არ იყო, ანაზდად რვივე მფრინველ
ნი მოვიდნენ. დორათ ეგრე თქვა. „აჭა იგი ფრინველნიო, ვითა დაგვე

სწორნეს ქვე ჩამოცვივდეს და მოკუდეს. გაგვიკვირდა. „თუ რამან და-
ხოცნაო, ღმერთმან იცის ეშაური საქმე არს, დაეხსენითო.“ დოწათ
ეგრე თქვა. „ვნახავ რა სჭირსთო.“ მოსო რ ეგრე ჰქქვა. „სელსა ნუ
მიჭპუოთ.“ ორთავე ორთლის ტარი მიჭყევეს, ცუცხლი გამოვიდა და
ორთლები დასწვო. იყო ესე დასატი მათი, თუძცა სელი მიგვეყო დავი-
წოდით, განა გვიხსნა ღმერთმან მათის გრძნებისაგან. მათ ეტივთა
ეგრე თქვეს. „ღმერთო, დიდსა ფათეჩაკსა დავრჩითო, აწ იმა მფრინ-
ველთაგან ნულარ გეშინიანთო.“ წაკედით მუნით და მიხვდით სამარო.
კანსა, ყოვლის ქვეყანის მკედარი ყველა ზე წამოდგა და ხელსა გვი-
ხრიდენ. „მოკედით ჩვენ თანა, თუ მოსულა გინდათო.“ ეს ჩვენთვის სა-
ზაროდ საშიშარად კმა იყო. მზემან ჭახუკმან ეგრე თქვა. „ნუ თუ შეშინ-
დეთო, ყველა საეშმაკო არისო.“ მათ მკუდართა ეგრე თქვეს. „რა ცოტა
ხანი ჩაივლის ორპირად მოკალთო და ამოგწვევტო.“ არა დაკსედენით
და არცარა ზასუსი გავეცით, ვითა ცოტა ჩაზიარეთ, კლდენი იყვნეს, იმიერ
და ამიერ შუა გზა გავიდოდა, კეშაში იყო დიდი და უმაგალითო გზასა
ზედა დადგომილი, პირი აეშკმო, ცუცხლი გამოვიდოდა პირისა მისი-
საგან, ამას ბრძანებდი საზაროდ კმა არისო, ეზომ დიდი საკვირველი
არ მინახავს. მათ ეტივთა ეგრე უთხრა მოსო რ ნადირიქმან. „სხვაგნით
გზა არსით არისო.“ მათ ეგრე თქვეს. „თუ ვით გაიარებთ გზა ასდენო.“
მზემან ჭახუკმან თქვა. „იქი გზა, ღმერთო, მეშვექმნაო.“ შეეკაზმა სი-
შტი აიღო, მიმართა მას კეშაჰსა, იგი ხვენი ლაშქრითა აივსო, ჰკიოდეს,
გვესროდეს ისარსა და ზოგნი ორთლითა, ზოგნი ქვითა, საზაროდ
კმა იყო, ეგრე ბრძანა. „თქვენ ლაშქართა ებძოლეთ, ვირემდინ კეშაჰისგან
მოვიცლიდეთ, თუნდა კეშაჰსა ზედა მიდით და ლაშქარნი ქმე შეგიკაზმენ,
ვითა ხამს, ისი რომელ ისურვიან ქვითა, ისრითა, ცუცხლითა და ორთ-
ლითა, ნუ გეშინიანთ ყველა გრძნებით არისო. “ მათ ეგრე მოახსენეს.
„მივედ შენ კეშაჰსა ზედა და ჩვენ ლაშქართა ზედა მივიდეთო.“ შეე-
ქცეს მოსო რ და დოწათ ლაშქართა, შეებნეს ფიცხლად, რომელ კაცთა-
გან ბეტი არ ეგებოდა. მზე ჭახუკი კეშაჰსა ზედა მივიდა, წინა-მოეკე-
ბა კეშაში, ჰკრა სიშტი პირსა, შეუტია კეშაჰმან და ცხენი შეუპურა,
კაცი ზე კარდაესწრა, ცხენი მოკლა, ჰკრა ხმალი მზემან ჭახუკმან და კე-
შაში გააქცია, მოეწია, კიდევ ზურგსა ჰკრა ხმალი და კეშაში შუა გა-

კვეთს და მოკლას. შემოიქცა ფიცხლად შეკლად ჩვენდა, მოვიდა ქვევითი, ვითა კეფსვი უფიცხედ. მოვიდნენ ორნი კაცნი ფრთოსანნი ცხენსა ზედა სსდეს ფრთოსანთა, მოვიდა დორათ დილამსა, აიღო უნაგირით და გაფრინდა ცხენ-კაცი. მიწის მზე ჭაბუკი და სმალი ჭკრს და მოკლას. მერმე იგი მეორე მზე ჭაბუკს მოვიდა, ვირე მზე ჭაბუკი სმალსა ჭკრევდა, ნახს მასორ ნადირიძემან, შეუტია და მან იგი მოკლას. ამასუდა გაიქცეს ლაშქარნი და მათ ეტიკთა ქება შეასსეს მზესა ჭაბუკსა. „არა არს ჭაბუკი ჰირსა ყოვლისა ქვეყანისასა, არცა ვის შენებრნი უმანნი ჭყვანან.“ ისმენდი მეფეთ მეფეო, ცხოვნი უკუნისამდე, მოუვალი იყო კაციისაგან ამა ვეშაჰისა მოკვლას, ლომურად ივენეს სელმწიფის ძენი: დორათ და მოსორ, თვარა მზე ჭაბუკსა ომი გაუმარცხდებოდა, თუცა მოერეოდა ყველასა განა ამათ დიდი უშკელებს. დავსდევით მას ღამესა მუნ. ეტიკთა მოასხენეს. „ჩვენად ფიცად გებძანა, სდა არ გწადდეს არ წაგიტანთო, აწ მიწურვილ ხართ, სდა მეფისა ასული არს, სკალე გიჩვენებთ ადგილსა, ჩვენ აღარ წამოვალთო.“ მზე ჭაბუკმან ფიცით უთხრა. „მიჩვენეთ და აღარ მიგიტანთო.“ დილასა წავედით ადგილთა ძნელთა, მიუვდით და საკვირველი კლდე იყო დიდი, ძირსა ქვაბი იყო, მის ქვაბისაგან სმა გამოდიოდა საკვირველი. მათ ეტიკთა ეგრე თქვეს. „იმას შიგან არის მეფის ასული, ჩვენ აღარა წამოვალთო.“ დადგეს იგინი, ჩვენ წავედით და ვითა მიგიწიენით ჩვენ გული შეგვიჯახბნდებოდა, მზე ჭაბუკსა არა შეეკუებოდა რა. შეეკაზმა საქვეითოთა აბჯრითა. ეგრე გვითხრა. „ვერ შეგიძლიანთ წამოსულათო.“ წავედით და ქვაბისა ძირსა მივდევით. გამოვიდეს კაცნი აბჯროსანნი, მივიდა მზე ჭაბუკი და მიჭყვეს დორათ და მოსორ, იგი დღე ქვაბისა კარსა იბძოლეს, შეუხდა შინა მარტო, ჩვენ დავრჩით გარეთ, გვესმოდა სმა ომისა დიდი. ცოტა ხანი ვაცადეთ, გამოვიდა ერთი კაცი მზისა ჭაბუკისა მშენიერი ბრწყინვალე მოჭრილი თავი სელთა ეჭირა, ეგრე თქვა. „ასეცა მინასავს ყოველი კაცი.“ ჩვენ ეგრე გვითხრა. „თქვენ არას გაბრალებთ, არცა დავსოცთ, წადითო.“ ჩვენ ტირილი და თავსა ცემა დავიწყევით, მართლსა სიკვდილი გვეგონა, წამოვედით, სდა ვეშაჰი მოკვლას მუნ მოკვდით, ვსტიროდით მაღლისა სმითა და ვიტყმდით მკერდსა, ვიგონებდით იმის სიმხნე ჭაბუკობასა და მშენიერებასა მზისა ჭაბუკისა-

სა და ვიტყვოდით. „მოკვასსენეთ და არ გვისმინა, ვითარი ჭაბუკი, ლომ-
 თა ლომი ვითა მოკვდა, არ ეგებოდა თვით აქამდისცა მოსვლა.“ და-
 კვავით მუნ საძი დღე, ანაზდად მოკვისდეთ და მოვიდოდა მზე ჭაბუკი
 და საზარათა მეფის ასული მსარსა უჯდა და მოჭყვანდა. წინ მიკუბე-
 ბენით დიდის სისარულითა. მზე ჭაბუკმან ქვრე ბრძანა. „კაი რომე ვენა
 მხედავდითო, თვარე ჭაბუკისა ნაქმრად კმა იყო, რომელ მე ვიყავ, ზე-
 ნარმან ღმერთმან, სუთი დღე და ღამე ომსა შიგან დამიყოფია, რა-
 მელ დღეთა ჩემთა ეგეთი ომი არ გარდამისდია, განა ესე ჩემი ომი
 ამას, ღმერთო, დირსაო.“ მიჭყო ჰირსა ბრწყინვალესა და აგოცა. ჩვენ
 დიდი ქება შევასსით. ხოსრო საზარათა მეფესა ფიცი დაეკვა. „ვირე
 ეგეთი ჭაბუკი არა ვპოვო, რომელ მისებრი ქვეყანასა ზედა არ იუოს
 ასულსა ჩემსა არა ვის შევერთამო და სამეფოსა ჩემსა არ მივცემო.“ გა-
 მოსცადა, რომე დასტურად არ იპოებოდა მისებრი კაცი და ჭაბუკი.
 წამოკვდით მხიარულნი ხოსრო საზარათა მეფისა ასული თან წამო-
 ვიტანეთ, გაკვზავნეთ მასარობელი მეფისა წინაშე და ძაწუელის ია-
 გუნდით ჰირი გამოუტენეს და ერთი ქალაქი მისცა სამასარობლო
 და შემოსა. მოკვეება საზარათა მეფე წინა ყოველითა მის დიდებულ-
 თა და ლაშქრითა და შეასსეს ქება და უკაზმიდენ გზასა სტავრას-ატ-
 ლასითა და თავსა აყრიდენ გუარსსა მზესა ჭაბუკსა. ეგრე უთსრა. ხო-
 სრო საზარათა მეფემან. „შვილი-სიმე და მამულისა უსუტესი ეგეთი
 მინდოდა, ვითარი შენ სარო.“ წამოკვდით და მოკვდით საზარეთს, შე-
 მოკრიბნა ხოსრო საზარათა მეფემან ყოველნი მისნი დიდებულნი და
 მცირებულნი, შერთო ასული მისი ცოლად მზესა ჭაბუკსა და დაადგა
 სამეფო გვირგვინი თავსა მისსა, მისცა სამეფო მისი ყოველი. ეგრე
 უბრძანა დიდებულთა მისთა. „აჰა პატრონი თქვენი და მეფეო“ მათ ყვე-
 ლამა დალოცეს და თაყვანი-სცეს მეფედ. საჭურჭლეთა, ქალაქთა და
 ლაშქართა არა იყო რიცხვი, დაიჭირა უმაღ დოროთ დილაძი და მო-
 სორო ნადირძე, დიდად გაადიდნა და დიდადცა ემსახურა. დაჭყვნა მრავ-
 ვალი წელი და მოკვდა საზარათა მეფე, დაიპყრა ყოველი სამეფო მისი
 მზემან ჭაბუკმან, ინადირებდა და გაისვენებდა, არა ვინ იყო მეუნებულე
 მისი, მრავალნი სსვანიცა ქვეყნები შემოიმაცნა. მისისა სიკეთისა და-
 ლაშქართა ხიმრავლისა არ ითქმის ჩიშანი. არა ვინ უჩნდა მტერი და

თუ იყო კერა ვინ ჰკადრებდა. მინასავს მრავალი ჭაბუკი, მაგრამ მისუ-
ბრი არა ვინ მინასავს. დაჰყენა მრავალი წელი და მიეტა შვილი მათ
ორთავე მსგავსი მათი; ოდესცა მოკაზმულნი ცოლ-ქმარნი საჯდომსა
დასხდინან კაცისა თვალი მათებრსა კერასა სასვიდა, სინარულისა და
ნადირობისა არ იყო რიცხვი.

III.

რ უ ს უ დ ა ნ ი ა ნ ი ს ა გ ა ნ

აქა დაბადება ჯიმშედ კელმწიფისა.

დაიბადა ვაჟი ცისკრის უნათლესი, ღომის მონაკრეთი, საფალა-
კნოდ შექნილი, რომელ კაცისა თვალსა ეკეთი არა ენასა რა. შეიქნა
ნაღარის ტემა, სტვირის კერა ყოველი საღვინო სმა და სინარულის
გამრავლება. მათი საკადრისი ძეობა გარდაიხადეს, მათად საკადრი-
სად დაუწევს ვაჟსა ზდა და გასცა ბრძანება ხელმწიფემან. „რომელ
ვინც კვერცხი გამოაჩინოს სრულსა სათაელთა ქვეყანასა შინა და
ანუ მისი სასელი ასხენოს მწარისა სატანჯველითა გაისაჯოს, ქვეყ-
ნისაგან აღისოცოს სასხენებელი მისიო.“ დავარდა კელმწიფის ყა-
დაღის ხმა მისსა საბრძანებელსა შინა და ვერცა ვინ სჭამდა კვერცხსა,
ვერცა ვინ ასხენებდა, ვერცა ნახეკდა, ვერცა რა ვინ სასელს იტყოდა.
იზღებოდა უმაწვილი სათუთად და ნებიერად. გვაახლეს ასაღვასდა
უმაწვილები ორასიოდ, ყველასაგან ცოტად დღითაც უფროსი ვიყავ,
და მწვე ნამსახურისა და გავლენილის ვეზირის შვილი ვიყავ, რომლი-
სა ქება და სიკეთე თუთ მამისა შენისაგან გასმია. ყუელასაგან უფრო-
სად და თამამად ვიყავ, შევაქცევდით და ვათამაშებდით, რომელიც იამ-
ბოდა და ასრე იზღებოდა, რომე სიკეთითა თვალი მის უამეს კერას
ნახეკდა და სინარულითა. ერთის წლისა სამის წლისას გვანდა და სა-
მის წლისა რომ შეიქნა ქვეითად ასეთს სათამაშოს. არ ვითამაშებ-
დით რომ ის არ ითამაშებდა, ხუთის წლისა რომ გათავდა ძალსე-
ცხენს არბეკდა და უბახს ესროდა, არა ზნეობა და მოწიფულობა
არა აკლდა რა, რომ არ იცოდა: ნადირს თამამად მოჰკლევდა, ფრინველი

არ მოუჩიებოდა. უხაროდა მეფესა და დედოფალსა, სულ მათსა კეთილის მღვდელსა მისი ესეთი სიკეთე და სასიხარულოცა იყო მისთა ერთგულთა უმათავის იყო დიდი სიხარული და ღუთის მადლის მიცემა. ნადირობდის და ნადიმობდის, ბურთობდის და ასპარესობდის ვახლდით და კემსურებოდით, გათავდა ამა ცხოვრებითა ათის წლისა, რომ კვერცხის სახელი არ გაეგონა, გაუწყრა ღმერთი ჩემს უბედურობასა და ნარდის თამაშობაში მე და კელმწიფის შვილი შევხარხლდით, დაიყინა იმანა, დავიყინე მე, მე უმართლე ვიყავ; მაგრამ პირი ვერ მივტყე, მაწინა და შემოვსწევ, წამოვბტი და უკუუყვილე. „გახტდი კვერცხივითა.“ წამოხლტა ისიცა „როგორ კვერცხიო.“ გამომევიდა უკანა „რას ჰქვიან, ჰამიას ჭირიმეო, მართალი მითხარო.“ გარდვიფიცე „არ ვიცი მეთქი, ისე ცუდათ ვთქვი მეთქი.“ არ ექნა, არცა ჯადიგლო გულიდამ და არცა დაიჯერა ფიცი. ვისაც ჰკითხის უკვლამ შეჭფიცის. ის რომ აღარა ვინ უთხრა, შევიდა ტირილითა დედასთან „კვერცხი რასა ჰქვიანო, მითხარო.“ იმან იმას დაუწყო ვითხვა „შვილო რას ამბობ კვერცხი რასა ჰქვიანო.“ შექნა ტირილი, კვლართი დაჩუმეს, შევიდა კელმწიფე, რა ნასა რომე ეს გმირვით კაცი უმაწვილურად ტირილდა და ჯავრობდა, იწინა უელმწიფემა. „ვის გაუჯავრებიაო.“ მიუჯდა და პირს აკოცა, უელს მოეხვია, თავს შემოეკლა. „რად სჯავრობო ამის სიტყვსლეო, ვინ გაგაჯავრაო, თვარა შენ ვინ და ტირილი, რა გინდა ასეთი, რომ ვერა ჰქნაო რომ სტირიო.“ „ჯიმშედ ასე მოახსენა. „როგორ არა ვიტირილო ანუ ქვეყანა ზედ რამ იყო, რომ სახელი მე იმისი არ ვიცოდეო, არამ თუ ამ ქვეყანაზე კაცმა იცოდეს და მე არაო.“ რა კვერცხის სახელი ხელმწიფემ გაიგონა ასე გაჯავრდა, რომ თუ სთქვა პირით აღი ამოხდიოდა. „ვინ გამამჭრა უელი, ვინ უთხრაო და ანუ ვინ ახსენა კვერცხიო, შემიტყევითო.“ შვილმა არ უთხრა შიშით რომ უეგარდი მწკედ და იცოდა ხელმწიფე გამიწყებოდა, არ ვემეტებოდი და სსვამ ვერავინ მოახსენა. რა ხელმწიფისაგან ისე თავს შედება ნასა ჯიმშედ უფრო გაჯავრდა და თავს შეიღვა, ასე ეგონა უცხო რამ არიო და შეჭფიცა მამასა. „თუ არ მეტყვეთ კვერცხი რასა ჰქვიან თავს მოვიკვლო.“ შეწუხდა მეფე და დედოფალი. „როგორა ვქნათო.“ გამდელმა მოახსენა. „მან დაცმან რომ მოგვაბარა რა-

ტომ იმას არ ვაჩვენებთო“ იამა ხელმწიფესა მოგონება. „უბრძანა. „მო-
 ატანეო“ წამოვიდა გაძღული და ოდეს ნახა სსკა ყველა წამხდა იყო,
 მის დიაცისა მიზარებული ისეკ იდვა, აიღო და მოუტანა, აჩვენა. „გვე-
 რცხი ამას ჭკვიანო, რატომ სჯავრობო.“ რა ნახა გამსიარულდა და
 ასე თქვა „ან მე რას ვაქნევდიო ამასო, მაგრამ თქვენ რათ მიმაღეკდი-
 თო, წამოხტა და კარში გამოვიდა, ვითამ ჩემთან მოჭქონდა. „არ გა-
 სტრუვდიო რომე ასე ცუდი რამ ყოფილა და მწვე გამოძნედეო.“ ხე-
 ლში რომ იგორებდა დავარდა ხელიდამე და ასეთი შეიქნა, ვითა
 ობოლი მარგალიტი. რომ დანვა გაუგორდა და უფრო შეკნიერი შე-
 იქნა, მიგორავს ის კვერცხი და მისდევს ემაწვილი, რაც მუსლი აქვს,
 რომ მიეწვიის დანწვდის სასაღებსად უფრო შორ გაუგორდის, რომ
 აღარ იქნა და ვეღარ მიწია, მობრუნდა გაჯავრებული, შევიდა საჯი-
 ნიბოში, შეაკაზმინა, ბედ-შავი ერქვა ცხენსა და შეჯდა, გამოუდგა.

აქა ჯიმ შედ დაიკარგა გრძნების კვერცხითა.

დავლონდი მე და წაკულ მამის ჩემისაკენ მამინ, უსინათლო იყო,
 მაგრამ კელმწიფე არ იყრიდა. შეველ ტირილითა და შეკნივე „ასე
 მოვიდა ჩემი საქმე მეთქი.“ მან აგრე მიბრძანა. „ბევრჯულ ვითხარო და
 ამისთვს გესვეწობდიო, რომე სიჩქარით ცეცხლში არ ჩასჭირილ-
 იყავი, აწ რა გიყო რასთვს აქამდინ, არ მითხარო, ვიცოდი რომ მისთანა
 დედაგაციის მოსვლა მისთანა რაგინდა რაც მოეტანა ფარსავი არ
 იქნებოდა, თუ არ გრძნეული იყო და არ გრძნებით შექნილი
 კვერცხი რა დანამალავი იყო ანუ რა შესანასავი, რატომ არა სჯო-
 და მარტალი კვერცხი მიგეტათო; მაგრამ ამისთვის უთქვამო რომ
 აგრე დამალულს საქმეს უფრო გამოეკიდებოდაო. ვიცი ის ემაწვი-
 ლი ბევრს ძნელს საქმეში და გრძნეულობაში ჩავარდების, ამის მეტი
 აღარა გაეწეობარაო, მანდ რკინის მშვილდი და ბოძალი ძეკსო ის წა-
 იდეო.“ ერთი თვალი ამოიღო ჯიბიდანე. „ესეც წაიდეო, ის ბედშავს
 შემჯდა რა შენ ბედ-უგუდმარტოს შეჯეო და გაუდეგ უკანაო, ღმერთმან
 უიბისოდ ამ ქვეყანასა ნუ დაგაუენოსო, დაიკარგოს შენც დაიკარგე-
 მოვიდეს შენც მოდიო, მიაშურე სანამდი ზღვაში შევიდოდეს მიუსწ-
 რო, სადაც საქმე გაგიჭირდესთ ამ თვალს ვინში ჩაუდებდე და ამ შვი-

ლდ-ისარს ახროლინებდო.“ გამოვესალმე მამასა, შევჯე ბედ-უკუდმართს და წავუელ, ვიარე რომ არც დღე გაკარჩიე და არც ღამე. მივიდოდა იხი და მივდეკდი მე, თვალით ვხედეკდი, რომ ის კვერცხი მიგოროკდა და ჯიმშედ მისდეკდა, მე იმას მივდეკდი, ვერ მივეწივე, შეცურდა ზღვაში კვერცხი და შეჭყვა თანა. რა მისი ზღვაში შესულა და ვინასე ცხენი-საგან გადავიჭერ და ვიეც თავში, მანამდი ვიტორე სანამდი სიკვდილზე მივარდი. და ვხნდი და დავეცი, ვიდევ უხულო, ღმერთმან იტის რამდენს სანს, როდესაც ჭკუას მოკელ დავდოხდი, ასე ვთქვი. „და ვბრუნდე, ჩემს ქვეყანას არ მიმესულება მეთქი, და არა ვიცი რა ზღვას გავიდა, თუ დანიჩო მეთქი.“ მერმე ასე ვთქვი. „ზღვაში შევიდა ჩემს ბარობა-ზედ დაიკარგა, მეც იქ უნდა შევიდე და რაღაც უნდა დამეძართოს მეთქი.“ შევესვეწე ღმერთსა, რომ ცოცხალი იყოს შემყარე და მკვდარი იყოს მეც მასთან მამკალ მეთქი.“ ვილოცე და შევჯე ბედ-უკუდმართს, შეველ ზღვაშია და ვიარე, როგორც ხმელსე ვიდოდი და ვიარე სანამდინ ნაპირს გავიდოდი. რა გაველ ზღვის კიდესა ბედ-შავის სვივილი გავი-გონე, გამიკვირდა და მეუცხოვა, აქეთ ბედ-უკუდმართმა და ისვიედა, ამისი სმა რომ გაიგონა იმან უფრო ძალიანი და ისვიედა. მივისედე ერთი დიდი მინდორი იყო და იმ მინდორში ერთი ასეთი ხე იდგა რომ საგდებელი ძლივ შემოსწვდებოდა და ბედ-შავი იმ მინდორში სძოკდის, წავიდის და იმ ხეს ქვეშ დადგის. რა ბედ-შავი და ვინასე დია მიამა, მივმართე და როდეს მიველ, და ვხედე და გოდელი კელ მწითის შვილი გულ-აღმა გდია, სისხლისაგან შესუსტებული, რომ მისი ვარდის ფერი ლოყები ზაფრანის ფრად შექნია, და ის გმირი ტანი და ალვისა მზგავსი კელ-ფესი უძრავად უყრია, ცხენი ცოტით მიწასა სცემს და და სვივის და და სტირის, ვერცარა შეუტყობინებია. რა მისი ისრე გახდომა ვნასე და ეგეტ მეღვა გულში. „რომ ჩემის ენით დამართა ესე მეთქი, ან დღეს უკან რადღა ვიცოცხლო, თუ სხვა ბატონი ვნასო, რაღას პირითა ვნასო ანუ რადღა უნდა ხმელსე ვიარო მეთქი.“ კმალი ამოვიღე და ტარი კელმწითის შვილს და ვადგი და პირზე მე მინდა და ვკებულა ვიყავ რომ ზედ და ვკდომოდი. მერმე ასე ვთქვი. „მე რომ თავი მოვიკლა და სული წავიწყმინდო ან ამას რას არკებხ და ან რა სამსახური იქნება და ჩემგან იმისი და ვარკვის

ჰასუსი, ეგების არ მოკვდეს და სისხლისაგან შესუსტებული იყოს; ჯერ ვეცდები და თუ ღმერთმან იპყრის და მოხერხდა ამანვე გარდასახდეინოს ამისი შეცოდება მეოქი, თუარა და მას უკანაც მოკვებწრები მე გარდავასდეინებო ჩემს თავსა მეოქი.“ მამისა ჩემისაგან გამოცანებული დაკოდლის წამალი მქონდა, მოვიტანე წყალი, დაკოდლი მოვბანე, წამალი დავაყარე და მოვიტყურე კახის კალთა ჯერ იმითი შეუხვიეს, მერმე შალი შემოვიხსენ და მაგრად შეუკარ. ზოგი რამ ხასუნებელი, ზოგი ერთი ვეცადე, ზოგი მეორე, მანამდინ ვქენ, მოვბრუნე. თვალი აასილა და ცრემლები გარდმოყარა. „ვაი ჩემო თაო, რა ცუდად მოჭკვდიო.“ ვიტყვი და ვიეც თავში, ჯერ მაგდენი ცნობაკი არა ჭქონდა რომ ჩემი იქ ყოფნა შეეცყო. ცოტა ხანი გამოვიდო ბრძანა. „ნეტავი ერთი წყალი დამაღვიანო.“ გავიქეც ჩქარად, წყალი მოუტანე, დავაღვიანე, მითხრა, ვინხარ ძმაო, რომ ამისთანას დროს მამეშვიდე.“ მე არა ვთქვირცა. ზატარა კიდევ მიწვა, წამოჯდა და მიიხედა მოიხედა, რომ დამინახა, გაიცინა. „დიდება ღმერთსაო, რომ უხატრონოდ არ მოკვდიო.“ ფეხზედ კი კერ ადგა. რა შევატყე, რომ მიცხა, თავად თავ-პირ დამტყრეული ვიყავ და სისხლით გახასრული; მერმე მიველ და მის წინ დავეცდი და სძალი წინ დავუდე. „შეცოდე ვარ და სიკვდილის მეტი აღარა გამეწეობარა მეოქი.“ ვიტყვი და აგრე მიბრძანა. „ადე ძმაო, ღმერთმან მუნამდი ნუ მოგკლავს ხანამდი მე შენ არ მოგკლავ, არცა რა შენი ბრალა, არცა რა ჩემი, ის რაღაც იყო ჩემის დაკარგვის ნიშანი ის იყო და ასლაც თვალს ქვეშა მაქვს, რომ წინ მიმიძღვის, ის კვერცხი პრის ჩემი წინა-მძღვარო სდაც მიყავარო.“ მე ზე ასეღვის პირი არა მქონდა და ვეგდე მიწაზედა პირ-ქვე კიდევ მიბრძანა. „მე არ შემიძლიაო რომ ავდე და ავაყენო, რასა თვის არ ვსდებო, ღმერთმან იცის, მე შენ არ გემდურიო, კიდევ მისამა რომ გხახეო, ვითამც არ დავკარგულვარო, რასან შენ შეგვეყარეო; მაგრამ უხინათლად ვეზირის ცოდო რას გარგს გვიზამსო ან შენა და ანუ მეო, შენის-მეტი არა ჭყავს რაო.“ მე ავდექ ზე და კვლავ მიწას პირ დამხობით ვეთავსებ და ეგრე მოვასხენე. „თუ ცომეჩან მეთვის ცოდვას შეგვიდობს ღმერთი, რომ მისთვის ცა შვიდი მუხის ტყხით დაეცა, სიმტკველე ცინა უკუღმა მოხერხდა, ხათელთა მზე უფესკრულთა

ჩავარდა, აღარ ელიან მიზნად აღმოსდომასა, გვესირის უხინათლობა და უძობა როგორღა მოიგონება, თავმან შენმან, სული არ დამასუნთქვინა, ასე გამომაგლო; მაგრამ ამას შემოგეხვეწა „რომ ეშმაურს ვეს საქმეს ნუ ჰჭყებო, ეგ ბედითი და მატურთი რამ საქმეაო, არა კარგია მისი აყოლაო.“ „მე რა ვასუსნი მქო რომ თქვენთან სიტყვალა ვთქვამეთქი; მაგრამ რადგან ჩემის შეცოდების ვასუსნი არ მიყავ და არ მამკალა ამას მოგასსენებო, რომ დავბრუნდეთ, იქივ მივიდეთ მეთქი.“ მან ეგრე მიბრძანა. „მაგისტანს სიტყვა აღარ ვარგაო და გვერც დავბრუნდებო და გინდა შენ მიბრუნდო.“ მე მოგასსენე. „ნუ ჭყოს დიქრთმან, თუ მე უშინოდ ბატონი ვნასო მეთქი და არც მოხდება ჩემგან შენი გაყრა მეთქი, მე რომ კიდევ მინდოდეს ვისთანაც მივალ რას მეტყვის: თუ ვაი კაცი ყოფილ-იყავ შენს სელმწიფეს და სელმწიფის შვილს არ გაეყრებოდო.“ და ანუ მე რასდა ვიამებ, თუ შენგი ველარა ვამეკრა მეთქი. იამა და უგუიყარა ჩემს სიტყვასუდა. მერმე მკითხა. „რა ჰქნეს და ან რა თქვესო.“ მოვასსენე. „არა შემიტყვიარა იქაური, რა თქვენ წამოსული გნასე შეველ, მამა ჩემს შევჩივლე და მან დამარიგა, რაცა მე ვაფრობასა გაეწყობოდა და წამი არ დამაყოფინა, მასინვე თქვენ გამოგიდევ, აწ ეს მიბრძანე. „რა მტერი დავსუდა ასეთი, რომ შენ ასე გაგსადა მეთქი.“ მან მიბრძანა. „ნეტამც მტერი დამსდომოდა და ვინც ეს მიყო ის არ დამსდომოდა, ზღვიდამ რომ გამოველ და შესვენება მოვიხდომე ცხენს ლაგამი წავყარე და სამოვარზე მიუშვი, მე თვარალათი ვქენი და ამ ჩრდილს ქვეშ მოვიხვენე. ბედ-შავი მიჭყვა სამოვარსა. ზღვის პირს წავიდა, თურმე ნასა, რომ ზღვიდამ შავი ღრუბელივით აემართა და მინდარს რომ მომართა, ცხენის უგონიერესი რომ არა არის რაო, იმან შეიტყო, რომ ვეშაპი იყო. შექნა სვივილი და ტოტის ცემა, მე ასე მეგონა დაება რაზედმე და მისთვის სვივის მეთქი, შევშინდი არ დამეჩინოს მეთქი ანუ არ მამიკვდეს მეთქი, ახალუხზე სმალთი შემოვირტყე, შვილდ-ისარი ვიდე, მივმართე, ოდეს შევხედე საკვირველი შავი ვეშაპი გამოწოლილა ზღვისა პირსა ტბის ოდენს, თვალებს ცეცხლებრ ანთებდა, ცხენისაკენ იმხერდა, შეტეგებს ულამის. მეუცხოვა და მედიდა ამისთვის რომ კვლავ არ მენახა, არც მისი საქმე ვიცოდო; მაგრამ ნასატი რომ მენა-

სა იმასუდ მივსვდი. ვასსენე ღმერთი და ჩემთა მშობელთა უძეობა, გარდავატვი მშვილდსა არკის ისარი, გესროლე და ტვინში გავავლე, ასეთი დაიწიულა, რომ ასე ვთქვი ცა ქუსს და მიწა იქცევა მეთქი, გარდაიქცა და მოიღრუღაჭნა; მე რეგვრობამ აღარ მაცალა შვილდი გა- ჯგდე, ხმალი მოვიწვადე, მივარდი ზედა, და კვარ და თავის კვინისი ავა- გდებინე, გაიშალა და გამწვავებულს ასლო შევჩნი, გამოძეკა ტოტი, ასე გამსადა, რომ მხედრო, ისიც მოკვდა და მეც აღარ შემეძლო რა ამის მეტი, რომ აქამდი ამ ცალის ფეხით მოთრევეით ძლივს მოვაწიე. აქ დავეტი, ველარა შევიტყურა, წადი ნახე როგორი ვეშაში უოფილა, რომ მე ასე გამსადა. ავდექ და წამოველ სისხლის კვალი მისდევდა და იმას მივეყე; მაგრამ უცხელ სისხლი სდენოდა, ერთი აღაჯი გზა იყო, აქეთ იქამდი, ასე ეგონებოდა კაცსა, რომ გზასუ ყირმიში ქვა ჩაუსხა მსო, ის სისხლი რომ გამშრალა იყო სიბიერთ შექნილ იყო. მივეყე იმ სისხლსა და მიველ, სადაც ვეშაში მოკვდა, დავხედე მე მკვდრისაგან შევშინდი, ცოცხლის იმისგან კაცს როგორ არ შევშინდებოდა, მის უსაკვირველებსი და უდიდესი ვეშაში მას აქეთ აღარ მიხანავს, თორემ მასშინ როგორ მენახა: თავი სვილოს ოდენი ჰქონდა, ფათარი მის ტანს ჰფარევდა, ტანი მისი შავს მთასა გვანდა, ჯაგარი თვითო მტკა- ველი უფრო ესსა. ერთი ფეხი მოვჭერ და წამოვიდე „ოღონდ ავი მოწიფულობა არ გიქნია მეთქი.“ მოვასხსენე. „ამისი მოკვდა კაცთაგან შეუძლებელი არის მეთქი.“ მიბრძანა. „მითომ არ დამახინიაო, ცალი ბარ- კალივი გამაგდებინაო და რაღა სიცოცხლე მეტყობაო.“ მოვასხსენე. „ღრთის ძალით ადრე გამოუღდები, სამაგისო არა გჭირს რა მეთქი.“ დაღამდა და დავიძინე მას ხეს ქვეშ. შუა ღამისა ყამი რომ შეიქნა, ასეთი სინათლე მოვიდა, რომ ის მიხდოარი და ხე ასე განათლდა, ასე ვთქვი ხულ ცეცხლი ანთო მეთქი, გამოვიდა ერთი შეენიერი ქალი მის სიდამე, მოვიდა, თავს დამადგა და ასე მიბრძანა. „შენს ბარობა- ზედ დაიკარგა ეგ ყმაწვილიო, ამჴას კიდევ მოკვდებო, რატომ არას ინაღვლიო.“ შევშინდი და თრთოლება მამივიდა. მერმე მიბრძანა. „ხუ- გეშინიან თქვენთა მშობელთა დაემართათ ავი საქმე, რომ თქვენ გა- გეყარენო, თვარემ მე კარგი მიყო, ამ ვეშაშის ტყვე ვიყავ, რადგან თქვე- ნის საქმით ამისგან დავიხსენ, მეც თუ მაგორს არა ვიქ არ იქნებო.

აწ ამ ხის ძირს მიწა მოთხარეო, წმინდით გაჭსტერ და იმ ნაკოდში ხა-
 აყარეო, ასე რომ სულ აავსო, მეტე მოზილე და შემოსდე და შე-
 უხვივე. სამსა დღეს აგრე იეოსო, ნუ დასძრო და მას უკან, სადაც
 გინდათ წადითო.“ მე მოვასხენე. „ამდენი სანია მშიერი და ამ სამსა
 დღეს კიდევ მშიერი იეოს, რაღა დააჩხენს მეთქი.“ მიბრძანა. „ამ სამის
 დღის სამყოფს ჰურსაც მოგტემო და ღვინოსაცო და მასუგან თქვენ
 იცითო. მინდოდა მეკითხა. „ვინა სარ მეთქი.“ განა ნამეტნავისა შიშით
 და საკვირველობითა ველანა ვკითხე და უჭკუოდ შევიქენ, რომ ვე-
 რა შევიგონერა რა იქნა. რა გაკერთი და გამოძევიდა, კიდევ გა-
 თენებულ იეო და ხელმწიფის შვილს ამდენი სისხლი სდენოდა, რომ
 სასვეს ვერ დაეჭირა და ქვეშ ტბასავით წასდგომოდა და შესუსტე-
 ბული სმას ძლივლა იღებდა. მივიხედე მოვიხედე აღარსად სინათლე
 იეო და აღარც ქალი იეო და კელმწიფის შვილი სულზე წაწურვილი
 იდგა. მაშინვე მოუთხარე მიწა მანდილის წვერში, გავტერ, შევასენ მო-
 ვბანე ნაკოდი, იმ მიწით გაუტენე, მოვზილე და შემოყადე, შეუსვიე
 და ასე მოვასხენე. „უთუოდ საღამომდინ გამოთლდები მეთქი.“ მიბრძანა.
 „ამანაც არ მამკლას შიმშილი მამკლავსო.“ მოვასხენე „ღმერთი საჭმელ-
 საც მოგვცემს მეთქი.“ მივიხედე მოვიხედე მის სიზმრის იმედითა და-
 ბლას არა იეორა, რდეს აღმა ავიხედე, **X**იმ ხის სტოში ერთი ასეთი
 ჰური იდგა, რომ ჩემს თვალს არც იმ სითეთრე და არც იმ სიწილე
 ჰური არ უნასავს. ერთი ჰაწაწა მინა ღვინო იდგა სტოსა და სტოს
 შუა. მიამა და გავიხარე, მიველ და ღმერთს მადლი შევწირე, ჩამოვიღე
 და მივართვი. რა ნასა გაჭკვირდა მისსა სიკეთესა და ბრძანა. „თუკმე
 ღმერთს არ გამოუმეტები ვართო, გვეშეელება რამეო.“ და გატყხა ნა-
 სევარი მე მიბოძა, ნასევარი თვითონ დაიჭირა. რდეს გემოდ ვნასეთ
 ის უსაკვირველესი იეო რომე იმ გემოსი არცაჩა მიჭამია და არც
 მინასავს, თითო ლუკმა რომ შევჭამეთ ასე გვეგონა სულ ნადიდად
 ვმსხდარვართო, თვითო წვეთი ღვინო რომ დავლიეთ დავიძინეთ, ასე
 მოსვენებით ვიყავით, ვითა რბილად ლოგინზე ვწოლილ ვიყავით და რა
 დილა გათენდა ღმერთსა მადლობა შევწირეთ და ასეთის გუნებით
 ადგა ხელმწიფის შვილი ვითამ არა სჭირებოდარა. მე მოვასხენე.
 „დღეს ნუ დაიძვრი და ხვალ აქ ვიყვნეთ მეთქი და მასუგან რომელი

ღმერთმან გამოაჩინოს ისი კქნათ მეთქი.“ ბრძანა. „ისომ არა მჭირს-
რათ, რატომ ნუ დავიძვრიო.“ მე მოვასსენე ღმერთისაგან ასეთი იმედი
მაქვს, რომ არა გჭირსრა, მაგრამ სჯობს წყლული არ გასარჯო მეთქი.“
ვიყავით მას სამსა დღესა იქი, ის ერთი ჰური და ერთი თასი იქნე-
ბოდა ის ღვინო, თვითო ლუკმა და თვითო ცვარი კმარობდა. გათა-
ვდა სამი დღე და გათავდა ის ჰური და ღვინოცა, რა მეოთხე დღეს
გათენდა შეკსედით, დაკმარეთ აღმოსავლეთით კერძო და ვიარეთ
ამ საზღვლითა თხუთმეტი დღე და ღამე, რომ არც კაცი გვინასავს,
არც ფრინველი და არც ნადირი. ვიარეთ დია გაუძღებელი ალაგი და
მეთხუთმეტისა დღესა გაკედით ერთსა თვალუწდომელსა მინდორსა
შინა, რომ არსად მთა სითმე ჩნდა და არცა კლდე, არცა სისა მწვერ-
ვლო სითმე იპოებოდა, არც ბალსის გაჭაჭი. შეკწუსდით დიდად,
განა რას ვიქმოდით სიარულის მეტსა. ვიარეთ, რაც შეგვეძლო სამი
დღე კიდევ; მაგრამ ასე დაგვსადა წყურვილმა, რომ მეტი ღონე არ
შეგვჩომოდა; ღმერთს სვეწის მეტი კიდე რაღა გაგვეწყობოდა.
ცრემლით ღმერთს ვადიდებდით, ვაშტა ალაგი წავიარეთ, ერთი ტყვრი
გამოჩნდა, ასეთი რომ ზღვისაგან უდიდყო. უწინ კელმწიფიშვილმა
ღანასა და მიბრძანა. „კერა სედავ, ქერავ, ის რა არიო, უსატილოდ
ღმერთმან გვისსნა ამ დიდის ჭირისაგანო.“ ოდეს შეკსედე და დავი-
ნასე მეუცსოვა და გულში ვთქვი. „თუ ფარსაგი რამ იყოს უსაგოს
ალაგს არ იქნება მეთქი.“ და სეპირათაც მოვასსენე. „ვია თუ ფათერავს
რასმე გავებათ და ვერა გვარგოსრა, იმაზედ ნუ გავივლით გისა აუ-
ქტიოთ მეთქი.“ ბრძანა. „რომე იმავე წამსა მოგვედებოდე მაშინაც ვს-
ხათ.“ მასვე წამს წავედით, ვიარეთ რაღაც სამკარობაგი გვეჩნდა. ოდეს
მივასლოვდით და დავსედეთ იგი ტყვრი თურმე ბალი იყო, ასეთი
რომე ერთის ქვეუნიხოდენი იყო, გალავანი სულ მწვანისა და წითლისა
ქვით აგებული იყო, ასე შეწყობილი, რომე ტენასა მის უამესი აღარა
იქნებოდარა, რაც ქვეყანაზედ მოქმედება რამ არის კაცისა, თუ პირ-
უტყვისა, ფრინვლისა თუ ნადირისა, თუ ბალსისა, მოძრავისა თუ
უძრავისა, ყოველი ფერი მათ ქვათაგან გამოუჩინილი და ისე შეწყო-
ბილი ნაგები იყო. კარი ება ეკადმუნისა რქროთა და ლავკარდითა
ნაჭრელები, გალავანი მოდაბლო ევლო, რომელ გარედამ მისი სიღნაბი

და შემკობილობა ჩნდა; მაგრამ მისი სეკუნარისა და რიგის შესამე-
ბულობის უამესი არა არს ჰიჩსა ქვეყანისასა. ხე მსხმდარე ყო-
ვლითა სილითა და მიწა მოვლითა სავსე, ბადისა შუა გუფსა ტბა იყო
დიდი და წყაროები მოცინარე და მის ტბის შუა გუფს თაღარი
დიდი რქროსი, რომ შეკსედე შორით, მზე რომ შესდგომოდ
ცესლივით ენთებოდა და რა სხლეს მივედით თაღარი იყო. იამა
სელმწიფის შვილსა და ასე მიბრძანა. „ბრალი არ იყო ეს არ გვე-
ნასა და ისე წავსულ ვიყავითო, სსვა არა იყოსრა ამის თანას სიფს
სად შევეყრებოდითო.“ მე ველარა ვთქვი რა ამის მეტი. „რომე თუ
კარი გაგვიღონ ცოტა სილი ჭამე და გამოდი მეთქი, დიდსანს ნუ
დასდგები.“ კართან რომ მივედით კარი გაღებული დაგვსკდა და
კარს იქით და აქეთ ლამაზი ბროლის ტასტები იდგა მინა-
ქრად მოჭრილი და ერთი ბერი კაცი იჯდა; რომ დაგვინასა, წა-
მოხტა, ტასტით ჩამოვიდა, სალამი მოგვცა და ბაღში დაგვავტყუა.
„შემოდითო.“ მაგრამ ამ დროთ კაცი ვარ მე ისე ენატკბილი და სი-
ტყუა გაწყობილი კაცი არაოდეს არ მინასავს, ჩამოვსედით, ცხენი
ჩამოვართვი კელმწიფის შვილსა. მოასსენა. „ნუ ჩამოხდებითო, აგრე
ცხენით შემოდითო, იქ თაღარში ჩამოხედითო, ცხენებსაც მოვამო-
ვითო და თქვენც გამოისვენეთო, თუ გეპრინებთ ერთი თვეც და-
ჭყავითო, ეს ბაღი ჩემია, ბერი კაცი ვარო, იმის თვის გამოიკეთებიაო,
რომ შორით გზით მომავალთა და მაშვრალთა გამოისვენანო და მე
შენდობა მითხრანო. მე მოვასსენე. „ბაღში ცხენებს ვერ შემოვასსამ
მეთქი, ბაღს წაასდენენ, კელმწიფისა შვილი მიბრძანდეს, მე აქ ცხე-
ნებს მოუდგები მეთქი.“ დამიუნა. „შემოდითო.“ რა აღარ შაკულ, კელ-
მწიფის შვილი შეიუჟანა დაწყებისა სიარული უცხოასა და უცხოას
სილთ ნასვა და მირთმევა. მებაღეებიც იუჟნენ და ის ბერი კაცი წინ
უძლოდა, უცხოთა რათმე სიტყუითა დაყენებდა. გამოავარა ერთი
კაცი და გაგზავნა სადმე, რომ გამოვიდა ის კაცი ჭრსა ვე-
ფსკად გარდიქცა, რომ შეკსედე მამინვე გუფმა მიკბინა, საფარსაგო
არა იყოსა, შეკსტყურცე, საგლეული გარდავაცვი თავსა და მო-
ვითრე, შეკვარ მაგრა და დავიდე წინა. ამოვიღე სახჯალი და ეელსე
დავაბჯინე, ასე უთხარ. „მითხარ რანი ხარო, რად აგრე გრძნეულბოთ,

რომ სან კაცი სანთ და სან მხეცი, სად მიხვალ თვარე აწვე მოგკლავ მეთქი.“ მან აგრე მითხრა „ნუ მამკლავთო თვარე თქვენვე უფრო დაგიზიანდებისთო ჩემი სიკვდილიო.“ ახა მართალი მითხარ და ან მოგკლავ მეთქი.“ მითხრა. „ჩვენ აღმაზის გველისანი ვართო, ეს ბაღი მისია და ჩვენ მეზღენი ვართო. ეს ბაღი ამისთვის არის რომ ვინც გაიკლას, თუ გამოიკლას ჩვენს ბაღეს ამ ბაღისა და სილის ხაღისით შემოვიგდებთ, თუ ასეთი კაცია რომ ჩვენგან რამ გაეწეობა ჩვენ გაკათავებთ იმის საქმესა. თუ არა და მას შევატყობინებთ, იმან აცისო. აწ ამისთვის მოგებება ის ჩვენი უფროსი, რომ თუ საიმისნო კაცნი უოფილ-იუავით ბაღში შესვლასაც აღარ გაცლიდათ, რასან რომ დია კარგნი კაცნი და ფიცსნი იუავით და შეიტყო, რომ თუთონ გერას დაგაკლებდათ ბაღში შეგიწვიათ, თურე ღუთისაგან საფარველი გაქვთ, თუარა ამ სილმა როგორ არ შემოგიტყუათო, ამ თხუთმეტის დღის სავალზედ არას მსრით კაცის ხარხო არ იშოება და არცარა სულის მოსაბრუნები იზოება; მაგრამ ეს დია კაი საქმე უყუ შენს თავსაცა და შენს კელმწიფესაცაო თუარა, თქვენი საქმე ასე გათავდებოდა, ვერა შეგეტყუთო რაო, მე ამისთვის გამგზავნა, რომ მანამდინ ის ბაღში შეაქცევს კელმწიფის შვილსა სანამდი მე აღმასის გველთან მივიდოდე, თუ გამოიწევს თქვენის კელმწიფი შვილი თავად ეცდება ტკბილის ქართულით დააყენოს, თუ აღარა იქმნების რძხ აჭკიდებს, მანამდი ისიც მოასწრებს და რა იქიდამ ის წამოვა ასეთს რასმეს იქს სანამდი აქ მოვიდოდე რომ ეს ბაღი გასიბდეს, ასეთი კლდე შეიქმნეს რომ არსად კარი ჰქონდეს, და არც სადით შესვლის ღონე იყოს და არ სადით გამოსვლისა.“ მე კჭკითხე. „გველს რა მაგდენი შეუძლია რომე ეგებები ჰქმნას მეთქი.“ მან მითხრა. „არა გველია, მწვე კაის მოწმადიდების ვატრონი, სახლისა და მამულისა მქონებული, ასე რომ ნახო ამას იტყვი, ამას რომელი საკელმწიფო ჰსჯობია, კაის კელმწიფის შვილი ცოლად ჰყავსო; მაგრამ გრძნეულთაგან გაზრდილია და ასეთი გრძნების მცოდნეა, რათაც უნდა იმათ იქცევას და მას რძით არა დაეკვარება რა, და გრძნება მოუგონებელი და უანგარიშო იცისო. მისთვის ჰქვიან აღმასის გველი, თორემ გველი ოღონ არ არი.“ კჭკითხე. „ეს ბერა კაცი, რაღას რძხ აგვიკიდებს მეთქი.“ მან აგრე მითხრა.

„ამას ამის მეტი ომი არ შეუძლია, როს დაიწყებს ჰსტრინგასა თხოთოს ხის ძირიდან, ვეჭობ, თოთო ჯარად ათასი გველი გამოვიდოდნო რამდენსაც ჰსტრინგა არ დაილევა, უფროსი და უფროსი მოგესკვიათ.“
რას უკელა მიაშობ, მაგრა შევჭკარ და ის იქ დავდე, მე დაუძასე კელმწიფის შვილსა. „რას უდგესარ რატომ არ გამოხვალ მეთქი, დადამდა გამოდი მეთქი იქიდან.“ იმ ბერძნა კაცმა დაუწყო ლაშარაკი ტკბილად და არ გამოუშვა. გაკჯავრდი მე და შეველ შინა. „ასე გინდა მაგ გრძნეულის კელით თავიც წახინდინო და საკელმწიფოც დაამგო მეთქი.“
რას მან ბერძნის კაცმა ნასა რომ დია გაჯავრებული ვიყავ, ერთი ასეთი დაიწიულა, რომ ასე ვჭსთქვი ამ ურში იქით თოფი გამაგდებინეს მეთქი. შეიძრა სულ ის ბალი და რაც ხის ძირი იყო გუნდი და გუნდი გველი მოვიდა, შემოგვესვია გარე და წავიგარით კრძლებს კელი, დაუწევით ხოცა; მაგრამ ის ბერი კაცი ჰსტრინგა და გველი უფრო და უფრო მოდიოდა, ვერა დონე უქენით მის დალევისა, ადარ იქმნა, გაჯავრებულიმან შეუტივე და ასე უთხარ.“
შენგი მოგვლავ და მას უკან რაც უნდა დამემართოს მეთქი.“ შემოგვარ კრძალი და შუა გაკჭკვეთე. რას ის კაცი მოგჭკალ მკედარი გველიც გაქრა არამ თუ ცოცხალი გამოჩინილ იყო. მოვასხენე კელმწიფის შვილსა. „არ გი მოგასხენე, რომ საფარსაგო, არა არის რას მეთქი, აწ გავიდეთ კარს, ფათერაკს არ შევესწრათ მეთქი.“ გამოვედით იქით, კიდეც კაცსა ვკითხეთ. „თუ შენის თავის მშვიდობა გინდა მართალი მითხარ მეთქი, რას გვარად მოვა აღმასის გველი, ან რით იბრძვის, ან რით მოერევის იმას კაცი.“ მან აგრე მითხრა. „მოერევა მისი კაცთაგან მოუვალა, ახჯარი მას არა მოეკიდება რას და ნურც ეცდებით ამის მეტსა, რომ ღმთისხაგან საფარველი გაცთ და მით მოერევით, როგორც ამ ბალს მოჩხითო არ ვიციო, თორე სხვა ვერა დაგისხნით რასო. მოხვლით ასე მოვა რომე რას გინდ მოწმენდილი დღე იყოს ქუხილი და ელვა შეიქნება და ასეთი ტვრციალი და წვიმა რომ კაცთა ჭეჭა აეშლებო, რას მოვა უწინ ცეცხლის ფრად ეჩვენება კაცსა და მერმე აღმასის მზგავსად და ფერად ჭერტალს დაიწყებასო.“
ამის ამბავში რომ ვიყავით, დაიწყო გრგვინვა და ცოტა წვიმა. თქვა იმ კაცმა „ეს არის ნიშანი იმის მოხვლისა და რაც გინდა ჰქენითო.“
რას ლას ვიქმოდით თავი და სული ღმერთს შევაკედრეთ, ცრემლით ღმერთის

შეესტირეთ და გამარჯვება ვითსოვეთ, ჩემი ჯუბანი კელმწიფის შვილს ჩაკაცვი, ჩინის მშვილდი და ბოძალი კელთ მივეც, თვალი პირში ჩაუდე, ასე შევესვეწე. „არამცა და არამცა ასე აჩქარებულ ხარ რომ ან სასულეს არ გეტეს და ან პირდამ არ გამოგიგორდეს მეთქი.“ მოუმატა წვიძა და ქუხილმა, შეესხედით ცხენსა და ბალის კარს უკუ ვეცალენით, ის კაცი შეკრული თან წავიტანეთ და ბაღში კაცი აღარ დაგვჩნდომდა და მოსავალი გზა დაუცალეთ. ამასუდ მოვიდა და საკვირველი ქუხილი და გრგვინვა, ასეთი წვიძა რომ ღვარი ალაგ და უაღაგოს მოდიოდა, რომ მოასლოკდა გრძლად რომ ცეტსლი ანთო ისრე გამოჩნდა, და მერმე ცეტსლის ფერი გარდავიდა აღმასის მსგავსი რამ გამოჩნდა უცხოდ დიდი და გრძელი. წინ არავინ მიეკაბა და თავისი ნიშანი ვერა ხახა რა. ეწეინა და უცხოდ გაჯავრებული წამოვიდა, თავისთა უმათა თვის სწყრებოდა. „ასეთი რა იქნაო, რომ ჩემი მოსულა ვერ შეიტყესო, თუ მევიდა ვინმე, რატო არ შემატყობინესო, თვარა და კულავ როდის დამმართებია ესეო,“

აქ ჯიმშედისა და აღმასის ომი და ბრძანებითა დეითისათა ჯიმშედისაგან მორეკა:

რომ მოვიდა თავისი რიგი და წესი ველა რა ხახა რა და უკუ მოიხუდა და ჩვენ დაგვინასა გაჯავრდა, და ნამეტნავის წყენისაგან ველარა სერსი მოიგონა და ეტლი უკუღმა მოექცა, გრძნების ჩარხი მოეშალა და ველარა გააწყო, ცამან ვითა დაიჭესა და შემოაგინა. „ვინ ხარო და რას ქვეყნით რებუელიო, შენ როგორა და ჩემის ალაგის ასუ შორით დანახვარა, არამ თუ შენის უკუღმართის ფეხით გალასკვარა, რასა იქ უჭკუო, რეკვენო და ავ-გვარო, რომ ამავე წამსა გაგაქრო და შენი სასელი ქვეყანისაგან ახლოცო.“ აქათ ამანაცა შეუხახა ავ-გვარი და ავ-რჯული და გრძნეულობის სვანჯით სავსე შენ ხარ, თვარა მე დმერთმან მამოროსო ეგ გრძნებაცა გავიცვდარო და აწ ნახე ჩემი ომი და გმირულად სადავეთა სმარებარო.“ გარდაცვეს შვილდს და გუღ-მესისხლედ მოზიდეს. მე მოვასხენე. „ჯერ მაგ ბოძლის დრო არ არის სხვა ესროლეთ მეთქი, ის ქარქაში დააგო. წვიძასავით ისარა

დაასსეს ერთმანერთსა, ტანი ორთაჲე ისრის სიმრავლითჲ ტუქსა-
ვით შექნათ, მაგრამ ჯაჭვი ვერც ერთმან გატესა, გველსა და მისსა
ცხენსა რვალიხ. ჯაჭვი ეცვა, რომ არა იარაღი არა მოეკიდებოდა რა;
და ჯიმშედს ღრთისაგან ასეთი საფარველი ედვა, რომ გრძნეული
ვერას ავრებდა. შუბითა, სლმითა, ლასტითა უწყალოდ იტუმებოდენ,
რამ მათის ცხენების ტერფითა მიწა დაისწა და მტკრისაგან ჭკერ
აღარა ჩნდა და მზე დაბნელდა. მათი ომი საზაროდ ემა იყო; მაგრამ
ნისსელი არც ერთს სდიოდა, გველსა ჯაჭვის სიკეთით და გაუსა ღრ-
თისა საფარველითა. მერმე გელ-და-გელ შეიფარნენ და ცხენსე შეიჭი-
დენ, მათი ძველება მათთა და ვლდეთა ჯასებასა გვანდა, მეტის მიჭირ-
ვებითა ერთმანერთსა ჯაჭვისა სარტულეები შემოაწყვიტეს; მერმე გარ-
დასდეს და ქვეითი ირკინებოდეს. ჯიმშედ უფრო და უფრო გაფი-
ცხდებოდა და გველსა ნამეტნავის გაკვირვებით თავისი გრძნება და კე-
ლოვნება აღარას მოესმარა და ძალიც წაუსდა, ამასედან ვითამცა ღმერთ-
სა მისისა გრძნებისა გაქარვება უნდოდა, ცხენისა იარაღი შემო-
აწყდა, ცხენი გაუჩინარდა და რა გველმან მისი ცხენი ველარსად ნასა,
შეიტყო, რომ ბედი უგუღმა მოექცა, მისი გრძნება მისთვის ცუდი
იქმნა, გუფი ეტინა და ძალი წაუსდა. რა ჯიმშედ მისი ძალის მოკლება
შეიტყო, ღმერთსა მადლი შესწირა, მისგან შეძლებუ-ითხოვა; ამასედან
უაფიცდა, დაიუვირა, ასწივა, აიღო თავის სწორად მოიქნივა, მედგრად
დასცა, ორისაჲე მუხლით ზედშეადგა, მუხარადსა წამოხწივა, თავის
მოკვეთასა ჭლამოდა. რა გველმან შეიტყო, რომ აღარა ეშველებოდა-
რა, თავის იმედი გარდასწყვიტა, დია შეშინდა, შეესგეწა. „ნუ მამკლარა
და შენ უფრო მოგებმარება ჩემი სიცოცხლეო, ამა ჩემსა ჯაჭვსა
მოგცემო და ჩემის ცხენისასაო, რომ შენი დენი ომში დაჰყო
არას იარაღით შენ არა გეკნებარაო.“ ჯიმშედს გაეცინა და აგრე უთხრა.
„შენ რომ მოგკლას მაშინ ვინ წამართმევსო, ჯაჭვი არა და საძოთის
კლიტეც შენ გქონდეს და მამცეო მაშინც არ გაგიშვებო ცოცხალსაო,
მე რომ შენი გრძნება ვნახეო ან მერას მამისვენებ ანუ ქვეყანასაო,
შენის გრძნებისაგან ქვეყანასკი დავისხნი და მას უგან, თუ შენსა-
ვით გრძნეული არ არიო ეგ შენი ჯაჭვიო მე დამჩნებო, თუ არა
ესეც შენთან წამოვიდესო, ჩემთან გელი არა აქვსო.“ ჭკრა კმალი და

თავი გააგდებისა და სულთაგან დაიცავდა, თუ ისე გრძნობით სავსე
არ ყოფილა იყო მისი სიკვდილი მუღაბანი იყო. რა მისგან მოვიცა-
ლეთ გამოკობრუნდით და მას კაცთან მოკედით. მოვასხენე. „ამ კაცის-
გან კაი ვალი გვაქვს მეტი და ნუ მოკვლავთ.“ კელმწიფის შვილმა მიბრ-
ძანა. „მისგან გრძებაზე გასელაგნებულე კაცი რად ვარგარ, ღმერთი
არ იტის და კაცს როდის დაინდობსო, გრძნეული გრძნეულობას
არ მოიშლისო და ჩვენს მეტი სომ არა ვინ არისო და ისევე ჩვენ-
ზედ იხმარებს გრძნების სვანჯსაო.“ რას წამს მიკედით აღარცა რა
ათქმევინა, მაშინვე კმალი ჰქრა და შუა გაკრეტა იმავე ბაღში შეკედით
და ვიარეთ, ერთი ჯინჭკელი რომ ამოძვრება იმდენი თვალი არ სდ
იყო იმ საკვირველს ბაღში. გაკვირდი და უცხოც იყო იმდენი გვე-
ლი ამოდირდა და არსად ადგილი ეტყობოდა, არსად ნასოცი იყო,
მაგრამ ზეით სვენარი ხილითა და მიწა მოლითა და ყოვლითა უწ-
ვილითა ისრე შემკობილი არა არს ჰირსა ქვეყანისასა და ნურცარა ვინ
იტყვის, რომ მისი მზგავსი ბაღი ენახოს ედემისა ხამოდმა. რა აუზი
და რა თალარი, რა ტასტ-გვირგვინის შემკობა, რომე ენა ვერ იტ-
ყვის, უური ვერ გაიგონებს მისსა სიტურფესა და აგებულობასა.
ცხენები სამკვარზედ მიუშვით, რა გვენადვლებოდა ბაღისა, ჩვენ რო-
მელიც გვიამებოდა სილი მოკერიფეთ, შეკედით თალარში, დავსხე-
დით. ჯიმშედს აგრე მოვასხენე. „ტასტ გვირგვინი ღმერთს შენტვის
გაუკეთებია, თვარა რა გრძნეულთ სამყოფი არი, უთუოდ ღმერთს შენ-
თვის დიდი დიდება განუმსადებია, თვარა ეს უკაინსნიშნოთ არიქნებოდა.“
მას დამესა ამოდ გამოვისვენეთ, ცხენებიც ნებისად იუჩნენ, რა დილა
გათენდა და საწუთროსა განმანათლებელმან მზემან თავი ამოჭყო, შავი
ფარდაგი დასია და წითელი ვარდი მოჭოფინა, ჯიბშედ ადგა, კელი და
ჰირი დაიბანა და ლოცვად დადგა, დიდ-სანამდინ ილოცა და ცრემლით
ღმერთს შეესვეწა. „რომ შენითა საფარველითა დამიფარეო, ჩემთა
ბერთა მშობელთა უჩემოდ ნუ დაჭსოცო, ყოველი გრძნება მომამო-
რეო და შენი სჭკუთარი სიუჭარული დანერგე გულისა ჩემსაო.“ ის ჯა-
ჭვი ჩაიცვა, გაიწყო ცხენიც იმ იარაღით შეკმაზა, თავისი ხმალი წელთ
შემოირტყა, იმისი ტასტს ჩამოჭვიდა, ცოტა რამ კილი წამოკიდე-
ვით და წაკედით და ვიარეთ მის ხილის საქმით ცოცხალი დღე ნებისად,

რომ თუ სადმე ფრინველი და ანუ ნადირი ვნასეთ და მოკვალით, თორემ მანე არა გვინასხავს; მაგრამ როდესაც დაიძინებდა სულ თავს ვადგი, რომ ჩემი თვალი არ მოიჭურსებოდა; მუშინოდა გრძნეულთაგან, რომე უცნაურად არას შეკვდეთ მეთქი.

ვიარეთ ჩვენა და მივედით ერთს დიდს ქალაქში, შენობა სშირსა და ღია შეკნიერად გაწეობილში; მაგრამ კაცი ვერა ვნასეთ სულიერი, ვიარეთ და ვიარეთ ერთს სახლში შეკვიგორდა ის კვერცხი და შეკვეთით ჩვენც თანა. ვნასეთ ერთი ბებერი იჯდა მის მეტი არა ვინ იყო; თურმე ის კვერცხის მომცემი ბებერი იყო და მისმა გრძნებამ მას თანავე მიაწია და ჩვენც იქ მიგვასხა. რა მან ბებერმან დაგვინასა ადგა და ორის ჯოხით გამოვიდა; წინ მოგვეკება, ჩვენ სალბი დავასწარით. „კუროსეულ არს ნასვა შენი, დედა.“ მან გვითხრა: „მშვიდობა მოხვალა თქვენით.“ შეგვასხა და დავსხედით. მე უთხარ. „აქ კვერცხი შემოკვიგორდა, რა იქნა მეთქი.“ მან გვითხრა. „სით მოხდითო და რა ერთი ხანია მგსავრნი სართო.“ მე უთხარ. „სათაეთით მოკვდით, შვიდი თვეა წამოკსულ ვართ მეთქი.“ მან მითხრა. „კვერცხი იქით წამოიღვეითო, თუ აქ ვინმე მოგვითო.“ მე უთხარ. „იქილამ მეთქი.“ „იქით აქამდი კვერცხი რად მოგქონდათო, თუ საჭმელად გინდოდათ, ვით ვერ შესჭამეთო და თუ სათამარად გქონდათ, როგორ გაგიძლოთო, აქ რასყოვის შემოავლოთო.“ მე უთხარ როგორც მის კვერცხის საქმე იყო. „მან მითხრა.“ უმაწვილური წესია კვერცხით მოტყუებო, თორემ კვერცხი არ იქნებოდაო, თქვენი ბედი და წერა უოფილაო, რომ იმას გამოჭეოლი-სართო, ჯერ შეისვენეთ, პური ჭამეთო, მასწავლი სართო, მერმე რაღაც კვერცხი დაგიკარგავთ ის მონასეთო.“ შეგვასვენა, სუფრა გავკვიშალა, ვასშამი კარგი გვაჭამა, მას დამესჯ მრავალი ღბილი ქვეშაგები დაგვიგო, მოგვასვენა. რა დილა გათენდა, გამოვიელ, შეკსედე ქალაქში ჩამი-ჩემი არ იყო; დედაბრის პირ-და-პირ ერთი მაღალი ბროლის კოშკი იდგა, გარს შავად რამ შემოარტყემოდა კუპრისა ზღვასა ჭკვანდა, გამიკვირდა, მეუცხოვა, შეველ და ვკითხე. „დედავ ამ თვალ-უწილომს ქალაქში შენს მეტი არავინ არის, თუ რისაგან არის რომ არას სულიერის ხმა არ ისმის მეთქი.“ მან გვითხრა. „ნუ რას მათქმევთ.“ კულავ გვითხრა სიცილით. „კაი რამ ვაუკაცნინხართ თქვენს გზას წადით, თორემ რაც ამ

ქალაქსა სჭირს თქვენც იმას მოელოდეთო.“ კელმწიფის შვილმა ასე უთხრა. „რას თავი შემიწავლავ აგრე არა ვის უცვნივარო, რომ ანუ ძალიანის ომით გაკებრუნებინო ვისმე, არამ თუ მაგ შენმა სიტყუამ გამაბრუნოსო, ასეთი რა არის შენს ჰირ-და-ჰირ გოშესა, ჰგავს სიმაღლით თვითქო ღრუბელსა ხწვდება და ნასკვრობამდი შავს ზღვასავით არტყია, რომ მისი საქმე გერ შეკიტყო ანუ ჩემი მიხვლა იმას არ შეკატყობინო და გავიპარო, მაგისთანას სიტყვას ნუღარ გამაგონებო, თვარს ვიცი სტუმარი და მასპინძელი ღია ავიშლებითო.“ მე უთხარ. „კარგათგი დაგკსვდი ჩვენგან ურიგო არა გკადრებარა; მაგრამ; მართლის თქმა სჯობსო.“ მე კიდევ ვიტლადი, საქმეც ემოწმებოდა რომ, ის კვერცხი კელმწიფეს იმან მოართვა, უადაღც მან აქნეინა. „აწ იმავე კვერცხმა მოგვასსა ამ ქვეყანასა, მას თანავე შემოგვიგორდა, აწ მართალი უნდა გვითხრას: ანუ ისი რა იყო, ანუ რად მოუტანა ჩვენს კელმწიფესა, ანუ ასეთი რა იტლდა ამ კვერცხმა რომ ზღვა და სმელი ყველა გამოგვარებინა, ჯერ ეს გვიანბოს მერმე აქაურნი ამბავი ვვითხლოთ მეთქი. მან ბებერმან ავის თვალთ შემომსკდა და აგრე მითხრა. „ვია რა რეგენი ვინმე ხარო, მე სით მიცნობ და ანუ შენი კელმწიფე ვინ არისო, არც სასული გამიგონიაო.“ მე უთხარ. „ბრალი ისი, რომ შენს გრძნეულობას ავეკვით, მაშინდელი რეგუნობის ქარი იყო, თვარე მაგისი ეჭვი ნუღარს გაქვს, რომ ან შენმა გრძნებამ შენ რამ გარგოს და ანუ ამ ჩემს კელმწიფის შვილს აწუინოს, მრავალი ათასი გრძნეული ვნასეთ, ამა გზობასა რომ თავს ავნეს, ჩვენგი ვერა მეთქი.“ რა სიტყვით გაკტესე და საქმითაც შეკაშინე ველარს მითხრა არა ამის მტრი. „ნუ სჩქარობო; სინქარე არ ვარგარო, თუ ეც იცი რომ ჩემის საქმით ხართ მოსული მევე უნდა მაცალო, პატარა საქმე მაქო, და მასუგან ყველას გეტყვიო.“ მე უთხარ. „სხანდლი არ მეტყვი არსად გავიშვებ მეთქი.“ მან მითხრა. „მწვე გი დაიყინეო და რადასაც გაიმარჯვებო გაიმბობო, ის მაღალი ბროლის გოშეი არისო და იმაში კელმწიფის ქალი ჰზინო, მისი ჰირის სინათლე არ გაიცდებარო და ის შავი რომ ასვევია ვეშაპი არიო.“ რა ქალის სასული ჯიმშედ გაიგონა მისსა გულსა მისი მიჯნურობა აღმასის ისარივით გაეყარა და ეგრე უბრძანა. „თუ კელმწიფის ქალიცო აგრე ოხრად ვეშაპმა როგორ იპოვარო,

კელმწიფენი ამოსწყდნენ, თუ მან ქალმან რამ დააშავა. ბებერმა თქვა. „ქალი რას დააშავდა, რა დაბადებულა მას აქეთ ძიძითა და გამდლითა და მისის გარიგებით იქ არი, რომ დედისა და მამის მეტს არა ვის უნასავს, მაგრამ ამ ჩვენს ქვეყანას რომ ეს ვეშაპი გამოჩნდა და დაუწყო ამ ქალაქსა ოსრება ომით არა დაეგვარებოდა რა, და ქართულთ არა ესმოდა რა, დასამშვიდებელი მოგვარეს და დღეში თვითონ ადამიანს მისცემდეს, აღარ იქნა ამოსწყდა ქვეყანა. ასე ბრძანა კელმწიფემან. „სულ ერთ-პირად გარდვისკეწო, არამც უკან გამოდიგესო და ჯერ მე გაგეცლებიო ამ ჩემს ქალს აქ დავაგდებო, მერმე იმასაც წავიუკანო, რა კელმწიფე წავიდა რაც ქალაქის, კაცი დაწმინდიყო სულ გააძაწა, მე წასვლა არსად შემიძლო და დონე ამის მეტი ვერ მოვიგონე, ერთი დიდი ქვაბი საჭმელი დავდგი კარზე. რა გათენდა ვეშაპი მიუღის კელმწიფის უღუფასა, არსად რა მიუვიდა გაჯავრებულმან ქალაქი შემოიარა, კედარ სადრს მოისელა, ჩემს კარზედ ქვაბი ჩასა ის ჭამა, გაკელ და თაყვანივეც, მაგისი პირი დაუდგ, რომ არას დღეს არ დავაკლო, მე ამისის მიზეზით მოუჩინი, წავიდა გაჯავრებული კელმწიფეზედა. რა აღარ დასუდა რა იმ გოშეს შემოურტყა, დაწნა ქალი იქი, კაცი ვერ მიუდგება და გზა არსითა აქეს, არის იქი დალოკს იმ გოშესა, დილა საღამოს მე მიუტან საჭმელსა, უძისოდ სულ იმ ქვასა ღოკს, ასე გაუთხელებია, რომ ნების სისქე აღარ არისო, იქ მიამბიარ და გამიშვით საჭმელს მიუტანო, თორემ იმ ქალს ავად მოუჯო.“ კელმწიფე შვილმა უბრძანა. „წადი, ნასე, მიუტანე, იმ ქალის ამბავიც შეიტყე რასა იქსო.“ წავიდა ის დიაცი, მაგრამ ის მიკვირს, თუ არ ეშმაკურითა გრძნებითა ის როგოს შეეძლო, თვითონ ორის ჯოხით იარებოდა, თვალები არას სულიერისა მის უსაკვირველესი არ მინასავს, იმას ჭქონდა ირიბად, ეყარა უცნაურად საზარელი და ერთი ასეთი ქუჩაში წაიღო რომ ცარიელი ის სამსოთხს მოწიფულს გაცს ეუოფოდა საზიდავად. ღმერთმან იცის თუ რით სავსე წაიღო. ის დედაკაციც მივიდოდა ქვაბიც იმას თანმისდევდა, იმას მიჭქონდა, თუ ეშმაკნი ზიდევენ არ ვიცი, ჩვენკი ვერას ვსედევდით იმ ერთის დედაკაცის მეტსა, და რა მივიდა ის დედაკაცი ჩვენ უჭურეტდით იმ ვეშაპმა თავი აიღო ბოლოდამ და ცოცად აქმართა.

ასე ვთქვით „შავი მთა აქმართა“ თურმე იმ ჩვენს ლაშაჩაგსე და გვიანდა ის დედაკაცი და საჭმელი გვიან მიუტანა, იმისთვის გაუწყურა, ერთი ასეთი შეათურთხა იმ ბებერსა რომ, იმ გოშკის კედელს ასე შემოაწევიტა თითქო ხელთ მოიქნია, სანამდისინ დასუსტებული იყო, მეტე მობრუნდა ის დიაცი და ასრე უთხრა გაჯავრებულმა. „ჩემზე ნუ ფაღავნოფო, თუ რამ შეგიძლიათ, აგერ გაგიჩნდება, კაი სტუმარი მოგვსლავია.“ გამობრუნდა გაჯავრებული და იქივ მოვიდა. კელმწიფის შვილი წინ მიეგება და ჭკითსა მის ქალისა ანბავი, ის დიაცი გაჯავრებულიც იყო და ასრე უთხრა. „მის ამბავს ნულარა მკითხავ, მისი ბრალი ცუცხლს მიდებს, ასე გაუდვნია გოშკის კედელი, რომ საჩკესავით არის, ის ქალი შიგა ჩანს. ვეშაპი იმას ხედავს და ის ქალი ვეშაპსა; მსლებელნი სულ იმ ვეშაპის შიშს დაუბრუნათ, ორი-სამილა ჭყაო, თვითონ ეს უღრუბლო მზის მგზავსი ქალი ასე დამდნარა და გაუკითლებულა, რომ შიშით მეტი აღარ შეუძლიან ან დღეს მოკვდება ან სვალაო და თუ იმ ქალმა გაუძლო გოშკი მაინც ველარ გაუძლებსო, საღამომდინ წამოიქცევა და ქალი მაინც ხელთ დარჩებაო.“ რა ეს ჯიმშედ გაიგონა გული ეტკინა, ცუცხლივითა გაფიცდა, თვალები წამოუხსდა და კბილებს ღრჭენა დაუწყო. ვეშაპზედა ჯავრობდა. „როგორ იძახუნა მან ბილწმან, ეშაპის საბუღარმან ღუთისაგან დაბადებული ადამიანის ნათესავი, რომ ასე ქვეყანა ააოხრო, და მისთანა მნათობი, ქვეყნის მასკენებელი იმან ხელთ იგდოსო, რამდენნი გმიჩნი ჭახუკნი და ქუჩლნი კაცნი თავისისა სამეოფთაგან აბეზარ ქმნილან და გაბედიტებულან და მან კელმწიფობის მსყივებულმან, ვისლაც ბედ-მლამესა და აგვარს კელმწიფეს უხმობთ, თავისი ასულნი ამ საძაგელის ვეშაპის შესაჭმელად როგორ დაავდო, თუ მას კაცსა რომელმან მტერი ნახოს იმისთანასა ჭირსა და მისთვისაც არ გამოიმეტოს თავი, არამ თუ შვილსა გარდებსვეწოს. აწე მიუერე თუ ბრძანებითა ღუთისათა რა უფო ამა ეშაპთა გამოსასკენებელსა და ქვეყანისა დამაძნობელსაო.“ რა ასეთი მწკავე სიტყუჲს გაიგონა ბებერი დასიცხულის ფოთოლივით დაჭენა და გრძნების ქამანდრობა დაავიწყდა ჯიმშედ მაშინვე თავისი იარაღი მოიძარჯვა, გამოვიდა და ლოცვად დადგა, მღუღარის ცრემლითა ღმერთსა ევედრა. „რომე ჩემითა სიკვდი-

ლითა ჩემთა მშობელთა ნუ დასწავო და ნურცა გრძნებითა და ეშმაკურის საქმითა ჩემთა დღეთა აღასრულებო.“ მერმე მიბრძანა „მაგ ბებერს აგრე ნუ გაუშვებო, თუ ფარსაგი იყო რომელმა დიაცმა დაუმსადა გეშავთა გამოსაზრდელიო.“ მე ადრე მოგასხენე რომ ამ დედაკაცის გრძნებამ მოგკასსა მეთქი. შეკველ მას დიაცსა ჟაჭვი გარდაკაცვი და აგრე ვდეკ, შეკსხედით და ვეშავსა მივმართეთ.

აქა ჯიმშედისაგან შავის კეშავის მოკველა და მის უღრუბლოს მშის ბეთარის გამოეუნანა.

მას კოშკსა გარშემორტყმოდა შავის კუზრისა ზღვასავითა და პირით რომ შავი კვამლი ამოსდიოდა ღრუბელთა შესწორებოდა, მისის სულის სიმურალე არწივსა ფრთასა ჭსტუსეკდა, ზღვითა ნიანგსა გამოეუნანდა რომე სმელზედა თებსა არ დაუდგემდა, სპილოსა და მარტო-რქასა სულითა, ვითა ბუზსა მოიტაცებდა, სულ ჩადგმული კორციელი მას წინ როგორ დაუდგებოდა, ვისაც შორით მისი სახელი გაეგონა შიშით მუნვე სული დაეღია, ქალაქნი და ქვეყანანი ასრე გარდასვეწილ-იყვნეს, რომ სუთის დღის საკალს არსით კაცის ხმა აღარ ისმოდა, მისის სულის სიმურალე დღის საკალს ეცემოდა კაცსა. რა დავინასეთ გვეუცხოვა და გვეზარა, მაგრამ ჯიმშედ ასეთი კაცი იყო, რომე კაცისაგან პირს არ შეიღებდა. „თუ ჩემს გუელში შიში გაივლისო.“ რა მართლა ახლად მიჭედით, რომ კარგა მისი საქმე გაკსინჯეთ, ჩამოხდა პირი მიწას გააერთა, თავი და სული დამბადებელს შეაკედრა, მისგან ცრემლით გამარჯვება ითხოვა, გუელით შიში გააგლო, ტანზე კუელავ აბჯარი მართლა დაჭირების მსგავსად გაიწყო, წელთა მის გველისეული პირ-ბასრი ისარი დალესა, ქარქაშში ჩაიწყო, მშვილდს ლომის რეკავი ააბა, მსარს უგუიცვა, ხელთ მძიმე ლასტი დაიჭირა, ღმერთი ასხენა, შაჯდა და ვითა ნიანგი ეგეთი ვეშავზე წავიდა. აგრე მიბრძანა. „თვალე დამიკე, შეწევნითა ღმრთისათა, თუ მე მას რა უყო.“ მე ვტიროდი, რაღას ვიქმოდი. რა მიიწურა, რომ სასარელი კომლი ამოსდიოდა, მისი თმა იმ მინდორს ჭვარეკდა, ცხრა ასი მხარი სრგრძე ჭქონდა და სამი საგდებელი მისსა განსა არ შემოსწვდებოდა. ცხენმა რომ ესეები გასინჯა უზომოდ დიდი დაიხვივლა. რა ცხენის კმა გაიგონა, ასეთი თვალეები აახილა, რომ სისხლის ტბას

უკვანდა და აქლემის ოდენი ენა წამოადგო, ასეთი ცეცხლი გამო-
უშვა, თუმცა გენასა ამას ბრძანებდი ქვეყანა გარდაიწვავო და ეგეთმა
პირ-აშემუღმა მომართა, ასე ვთქვი შვიდნი კიდენი ქუსს მეთქი. მან
აუხჩარებლად ლასტი წელში ჩაიყარა, მშვილდ-ისარი მოიმარჯვა, ჭკრუ
შუბლსა და ერთი ისარი ქვემო ყბას დაასვა, მეჩმე სმალი მოიწოდა,
მიუსდა, შემოჭკრა და ლაში სულ გააგდებინა. ასეთი სისხლის ღვარი
წავიდა, რომ იგი მინდორი შეღება, ასეთი სული დადგა ჯოჯოხეთისაც
უმნელე იყო და არც კაცს იმისი სულის გაძლება შეეძლო; მაგრამ
ღმერთი თურმე ჭოვარკვდა და მით მოჩნა. მეჩმე ლასტი გამოაღო, შე-
უძასა და თავში ესეთი დაჭკრა, რომ ცხვირთა ტკინი წაადინა და სულთაგან
დასცალა. მისის სულის სიმურალემ მზის შუქი გააუჩინარა. რა მისი
სამაგებობასა მოკრჩით და კიდევ მზის სინათლე გველირსა შესძასა
ჯიმშედ ქალსა. „აჭა ჩემის ჭირნასულისა არა ავი მუქათა მიშოვნი სარო.“
გაღვიწა მამინვე კოშკისა კედელი, კლიტე აღარ ეძება, შეკედით და გამო-
ვიყვანეთ და წამოკედით იქით, ვიარეთ ნადრობითა და ისრის სწოლი-
თა, მიკედით გველის ქალაქში, რა ტურთად ანაშენებსა და კარგად მო-
წულობისა რომ კაციისა თუალთა ეგეთი არა უნასავსება სშირი შენო-
ბა დაუცხა ნაშენები ცისე ქალაქი.

აქა ჯიმშედისაგან აღმასის ქალაქში მისკლა.

რა დანასკეს ჩვენი ჯარი ერთი კაცი საცნობელად მოვიდა. ჩვენ-
თს მეწინავეთაგან გამოიკითსა ჩვენი საქმე, რა შეიგნა, წავიდა ჩა-
რად და აცნობა. რა შეიტყეს მამინვე ჭკრეს ქოსსა და ნა-
ღარასა და ასეთი ჯარი გამოვიდა ქალაქით, რომ ქვეყანა აივსო. მო-
ეგებნეს ჯიმშედს და თავად ყველამ დალოცა და თავს მარჯალიტი
გარდაიყარეს, მეჩმე ყველას პირი აღმა ჭქონდა და ამას ამბობდეს.
„კურთხეულ არს მოსკლა ჯიმშედ კელმწიფისა, კეთილმცა არს ყაძი-
ესე და კნატრით მას აღავსა, რომელსა შინა ამისთანა ქვეყნის განმა-
თლებელი, შოგოთთა და გრძნეულთაგან გამწმენდელი, ჩვენთა სიკეთე-
თა და რჯულ-წმიდაობათა დამწუნარებელი, ჩვენთა სუთლას განმან-
თლებელი ნორჩი აღმოცენებულ არს და იგიმცა მუცელი დაილო-

ცების რომელსა ესე უტვირთავს, სიტკბომც ნუ დაეღუვის რომლი-
თა ძუძუთი ეს გაზდილათ.“ მრავალი უცხო ფაჩის მოიტანეს და და-
ფინეს და მასედ არონეს ჯიმშედ და ბეფარი, ქალაქი ასე გაარა-
ნიეს, მე ვთქვი. „ქაჯ გრძნებ არ დაგესვდეს მეთქი.“ მათ კაცთა აგრე
თქვეს. „ნუ ჰქოს ღმერთმან, აქ გრძნება არა დაწნომილარა და არც
იმ ერთის კაცის მეტი გრძნების მცოდნელიო, აქ არავინ ყოფილათ,
აქიცი ადრე დაემსოო ბრძანებითა ღმერთისათა და სიმსნითა მკლავი-
სა ჯიმშედ კელმწიფისა. და როდეს ქალაქი გავიარეთ, მოედანზე მი-
სვლას კაპირობდით, დავსედეთ დიდი ჯარი მოვიდოდა ხანოვანთა,
გაკვიკვირდა. „რად მოდიანო.“ ოდეს მოვიდენ მის აღმასის გველის
ცოლი იყო და მისი მსეკალნი ტურფითა ჭაერ-ფერითა და ფას-და-
უდებელითა სამკაულითა, რომ გენსათ ამას ბრძანებდით. „თუ არ
ცისა მნათობი ეს რა არიო.“ მოვიდა ჯიმშედის ცხენის ფესს აკო-
ცა, დალოცა და ეგრე მოასხენს. „მე ერთი ტყვე სულით-კორცა-
მდინ დაკარგული, თქვენის სლმით დასხნილი, თქვენი მიწა და ფესთა
მტკერი ვარო, როგორც შენ მისხენ მის საზარეს გრძნეულისაგან
ისემც მზისა და შთვარისა შემოქმედი, ქვეყანისა შემამკობელი, სა-
წუთროსა დამაშვენებელი ღმერთი შენ გისხნის ყოველთა მებრძოლ-
თაგან, და მტკრნიცა და შენის ბრძანების ურჩნიც ასე გაქრებიან, რო-
გორცა მისი გრძნება განქარდა, სასელოვანიმცა სძალი შენი მუდამ
ასე იკვეთება ორგულთა შენთა ზედა, სასელიმცა შენი საწუთროსა
შინა თავა-მაღლებული ბრუნავს და მეფობამცა შენი უკუნისამდე უცვა-
ლებელიაო. მე შენსა ქებასა სად ვდირსვარ, ბრძენთა და ფილოსოფოს-
თა არ შეუძლიანთ სიმსნისა და ასოვანებისა შენისა წარმოთქმა და
ზნე კეთილობისა და სახე სრულობისა შენისა შესხმაო.“ ერთი ცა-
ბაკი მარგალიტი გარდმოაყარა, გამობრუნდა და ბეფარის მუსლს
კოცნას ლამოდა, მან მუსლს არ აკოცნინა პირს აკოცა და იმან ამას
კელს აკოცა, დალოცა ტკბილისა სიტყუითა. ვითა: „მზეო, უღრუ-
ბლოო, ჩვენთვის სიტკბოებითა აღმოსულო, საწუთრომცა თქვენი
მოხვენიებით იქნების და თქვენიმცა ეტლი ერთმანერთისა სიყუარუ-
ლითა ნუ მოიშლები.“ აგრევე მას გარდააყარა და წაუძვავ წინა. ასე
დაფუტინა მოედანი, რომ კაცის თვალს მისთანა არა ენახარა, არცა ბა-

დი და არცა უკავილი მის უკეთ შესწობილი არ მინახავს რა, სურნელი სული ცაში აიწოდა. გაგვარონეს მოედანი და ასრე მიგვასსეს სასასლეში; მაგრამ ამ სული კაცი ვარ და მრავალი ქვეყანა მინახავს, მაგრამ მისთანა ნაშენები არა მინახავს რა. ჯერ გარეს სასასლეში ჩამოგვასდინა მან ქალმან და იქ გვიმსპინძლა, რომ არა არს პირსა ქვეყანისასა მისთანა ნაშენები და არც უნახავს კაცის თვალსა უკეთესი პურობა, სანუკვართა სიმრავლე და მეფლიშის გარიგებისა. სასლეს ბი სულ ეშმისა და ამარტისა იყო შესწობილი და უცხო ფერად მოჭრილი, და გარეშემო მოაჯარი სულ ოქრო და ლამაზი ფერადის მინაქრით გაკეთებული გიშერი იყო, რომ ასე ვთქვი კაცის თვალი, მის უკეთეს რადს ნახავსო. მას ღამესა იქ ვიყავით, რა დილა გათენდა ჯერ ჯიმშედს არ გაეღვიძნა, მას დღემთ მეფის ასულსა კაცი გამოეგზავნა. „კითა გუშინ სელმწიფემ არა ეგეთა ღვინი ნახაო, ნუ თუ მისი საკადრისი პურობა არ იყოო, განა მეც ვიცოდით, რომ ერთის დაკარგულის და უპატრონოს დედაკაცისაგან სელმწიფეთა დახლომა არ შეიძლება; მაგრამ მე ამის მეტი არა გამომივიდოდარა სულითა და ღარიბის კაცის პურის ჭამა მაღლი იყო, აწ ღუთისა და ჯიმშედ სელმწიფისა ბედითა, რომელსაც ბრძანებთ ვიშოვნითო და თქენი მოსლექები შეგზანეთ სასლესოში და სელმწიფის სანუკვარი დაამხადებინეთო.“ მე ვთქვი გუნებაში. „წავიდე ვნახო, როგორი სასლესები არი შეთქი.“ წაველ სასლესების სანახავად და გამიძვავი იგი კაცი, წამიყვანა, მას ქალსა კაცი გაუგზავნა თვით ვეზირი ბძანდებო, მას კიდევ კაცი გამოეგზავნა. „რადგან გარჯებისო ყოელი სასლემწიფო დანაროსო, როგორც სელმწიფეს ეკადრებოდეს ისრე გაარიგოსო, ნუ თუ სელმწიფესაც ენახებოდესო.“ წამიძვავი იგი კაცი ჯერ სახაბაზოში შემიუჭანა, დიდი სახლი იყო მარმარაილოს ქვეთა აშენებული, სელმწიფის საჯდომს სახლსა გვანდა და სულ სიმკრგვლივ ტასტი იყო შემოკლილი იმავე მარმარაილოსი, იმას არა ეტყობოდარა თუ საბაზის სახლიაო, გაღმა გამოღმა. ტასტები მოფენილი იყო და ერთი მაღალი ტასტი ქქონდა ავზის თავში და ასეთი ცივი წყარო გამოდიოდა, რომე მსგერალის კაცის საამოვნოდ კმა იყო. ტასტს უკან კედელში გუმბალი იყო შეკრული, ოღეს ფარდა

ასწივა და მანკენეს რაც ჰურადგი. თქმულა და ანუ კაცის ენა ჰურის სიკეთეს იტყვის, ყოელი ჰური იქ იყო, სითეთრითა თოვლსა ჰგვანდა და მისი გემოსი რაღა სიკეთე გაიხნო, მე ასე ვიტყვი მისთანას კაცის ჰირი ვერა რას სჭამდა და თუ ანგელოზნი სჭამენ რა ვიცი, ამისი მოწყობილობა მომეწონა, გულში ვთქვი. „გაძრას ჰქენს, თვარად ამასი ხახახებს როგორ დააყენებენ მეთქი.“ ლამაზად დაკაზმუენი კაცნი იუჟნენ, შიგნით ერთი კარი იყო იმაში შევსედე და ჰურს იქ აცსობდენ, ზოგნი სტრიდენ, ზოგნი ზელდენ, ზოგნი აკრეკდენ, ერთი ესეც უცხო ვნახე იქ რომ ის სახლი იყო მას სახლსა კარი მის მეტი არა ჰქონდა, იქ გამოძვავარის ჰურის მეტს ვერას გამოიტანდენ და შინ არა ნიუთი არა იუორა ნაშალი. ვერ იმ გარეს სახლისაგან ის უფრო სუფთა იდგა, იქით წყალი მოდიოდა, თურმე იმ წყალს წაადებინებდენ ქატოსა და რაც მაგისტანა ცუდი იყო, იმით გარეცხდენ. გამოკულ იქიდან, გამოვბრუნდი, ვნახე ორმოცი დიდროვანი ვერცხლის კრისები იდგა და იმაზე საკლავები ეკიდა, ძირი სულ ფიქლით იყო გაკეთებული და დიდი წყალი ჩამოუდიოდა, კორცსაც იმითი რეცხდენ და ოდეს დასოცდეს იმ წყალს მიუშვებდეს რომ სისხლი, ტყავი და თავთუბი იმ წყალმა წაიღის, რომ გადუგვიან ისეკ წმინდა ფიქლები იყვის, რომ არა ფერი აჩნდა და არცარა სული იდგა. შეველ და ის უფრო დიდი სახლი იყო, შავის ქვით აშენებული, რომ ასე ბძანებდი შავი ქარკაო. ისეკ იბრკვლივ ტასტი იყო მოყენილი ისე იქ იყო, გამიკვირდა და კამარა შეკრული იმაშ იბურხები იყო და საწვავი ეკელა იქ მზადდებოდა, თავთავისთვის იარაღი გვერთ ედგა, ისე იქ იყო ავზი და ოთხსავე გუთსეს სხვა სახლები იყო და ოთხშიავ სახლში წყალი გამოდოდა და საჭმელი იქ მზადდებოდა და თუ რამ ცუდმადი ანუ მწვანლის ნარხევი ანუ კორცი იყვის იმ წყალმა წაიღის და წმიდად მზადდებოდა და არც მისი ანგარიში აიღებოდა, რამდენიც ფერი საამოვნო საჭმელი მზადდებოდა. ასეთი სურნელის სული იდგა რომ ამბრის სუელსა ჰგვანდა, სამზარეულოდ არა დივანსანათაც ღია სასახელა იყო. იქით რომ გამოკულ საშარბათოს სახლში შემიყუანეს, სახლი სულ სითარის სანდლით აშენებული და ლამაზად მოჭრილი და შეწყობილი, ჰუასე ავზი და ისრევე ტასტითა და მოყენილობითა გარიგებული;

მაგრამ მის გარეგებისა და მოწეობისა უამესი არა იქნებოდა, და
რაც რამ იმის უძრავლესი კარგი საშარბათოში სამყოფი არი, ანუ სი-
ლი, ანუ შაქარი, ანუ მუკავი, ანუ ტკბილი რომ თავს არ გაესვლებო-
და და მათი იარაღი, ანუ რაშიაღ იღვა, ანუ რითაც მიიღებოდა ანუ
სულ ჩინური იყო რომ არა ნივთისა არა ერთი რა ამდენი იყო; მა-
გრამ კიდევ ისდენ რიგის რიგისად: ზოგი შარბათს აკეთებდა, ზოგი
მაჯუნებსა, ზოგი მუჩაბაებსა, ზოგი მწნილებსა. ასეთს კაცი ვერას
მოიგონებს რომ ყველა გაკეთებულიც არ იყო და ასლაც არ აკეთებ-
ლი მეს. ესომთა ლაშქართა მისთაგან სისსლისა მძებნელი არა ვინ არის,
ხივისო მსე ჭაბუკობისა და სისსლისა მძებნისა, რომელ აღარა ვინ სა-
სელსა და არცა ჭაბუკობასა ექობთ. მე ჯერეთ მისი სისსლი არ მი-
ძებნია და მტერთა მისთა ზედა არ გამიასარებია, აწვე ზედა შელა-
მებულა და დაბნულდების, ლაშქარნი უკუ იურებიათ, თქვენ დილანდლი-
გან ღია ჭაბუკობა და ომი გარდაგისდიათ და აწ მე შეუტკეპბ და

თქვენი გოდითობა აწ მოხმარეთ და მიშველეთ მამისა ჩემისა
სისხლის ძებნასა და ყველა ვეშაპთა დაემსგავსებით სისხლისა ძე-
ბნითა და სიგულაგნითა, ამით რომელ ჩემსა გვარსა მე არ მოვაუი-
ნებ, აწვე ჩემისა სლმისაგან სიგულდილისა დღენია, თვალად ვუჩვენებ
საწუთროსა და ქვეყნასა, აუგისაგან დამძღონ მოიბადისაგან დავის-
ნი ჩემის მამის სულსა.“ რა ესე თქვა ერთობით მისთა დიდებულთა,
მოხათა და სასაგანთა შეუტევა, ვითა ცეცხლი მოედვა და თავ უწვერ
ქმის. მოაბადის ლაშქარნი მთისაგან მიმავალსა ღვარსა ჭკვანდა ხა-
დმართსა შიგან, რომელ აღარად ღონითა არ შეიფაროდა, მათი აღე-
რნი შუბი, სძალი და ისარი იყო, ერთმან-ერთისა მოუფარე მტრისა
უარე იყო; მამა მისაგან აბესარ ქმისა და ძე მამისაგან და მოუვარე მოუ-
ვრისაგან, ვინ მის-ჟდის საგულდავად არ შეიწყალის, ასრე დაბსულდა რომ
თვალთა წინა არა ჩნდა; მამის ძმა მოკლა და მამისა შეიღი, შუბი მა-
მთაგანსა ჭკვანდა მწუადის ნაცვლად კაცი ეგის, და მიწა სისხლისა
დინარეობითა საწნესულსა ჭკვანდა. თუ სთქვა სიგულდილი ძლიერი ქარი
იყო რომე გაცსა, ვითა სისა ფურცელსა ჩამოჭერიდა, და მეომართა თავი
ბურთოსა გვანდის მოედანსა შინა და მათი ტანი მტკერთა შიგან წა-
ქცეულთა სეთა. რა მზე ერთობ ჩაივსო, თუ სთქვა, მოაბადის ბედი
ჩაივსო მსესავე თანა და საწუთრომან იმედი გარდასწყვეტა მოაბადის
გელმწიფობისაგან. გაიქცა მოაბად ისპანისა და სვარასნისაგან და რა მის-
თა ლაშქართა იგი გაქცეული ჩასეს, ყველა გაიქცნენ, უფროსნი მისთა
ლაშქართა დაისოცა და თუმიცა არ შელამებულ იყო ვერცა მოაბად და-
ისსებოდეს; მაგრა ვირომი და მისთა დიდებულთა აღარ ჰდივეს, ეგრე
ეკონათ „თუ მოაბად გაიქცა და ვირო ცოცხალ იყოს მათ ზედ აღარ
ილაშქრებსო.“ 4. მისი საეჭვი სსკებრ იყო და ღწითისა განგება
სსკებრ. რა ვირომან მოაბად გაქცეული ჩასა, გაისარა და ჯერეთ ცსე-
ნისაგან არ გარდასრულ იყო დაესსნეს ვიროს დელამნი და გელანნი
და ქამანნი უთავალაჟნი, ვითა ქვიშანი უთავალაჟნი და შირუტეეთა თმა
და წვიმა და სეთა ფურცელნი, ვიროს ლაშქარნი და თუ გარეგანნი
ვინაჭევა უცხო, ყველანი გაიქცეს გელანთა და დელამთა შუბმელნი,
მით რომელ იგინი საგვირველად მრავალნი იყვნეს და მათი ზატრონი ჭა-
ბუგობითა გამომჩენილი. რა ვირომან სცხა მათი მახულა და თავის

ლაშქართა გაქტევა, გაუგებრდა საწუთროსა საქმე, რომელ უსანო არის, მისი სიმძიმელი და სისარული ჟუფთიანია, ვითა დღისა სინათლე და ღამისა სიბნელე. საწუთროსა შიგან შეჭირვება ღვინთაგან უფრო არის და ბრძენ-გონიერთა გულნი მისთა კელთა შიგან ძაბუნია: რამაბადსა ზედა გაისარა საწუთრომან, სსვითა მტკერითა მანვე საწუთრომან დაღრიჯსა. ვიროს პირი ოფლიანი და მტკერინი ეღვა და სძალი სისსლიანი ქარქაშსა არ ჩაკეო, ჩაუგებელითა ვე სლმითა დელამთა მეფისა ომად მიძართა ცოტათა ლაშქრითა. რა მობადს ეს ამბავი ესმა, ვითა ვირო მიძართა დელამსა და გელანთა, მასვე წამსა გარე შემოიქცა, და რომელ სიძაშვრალითა ვერ იძროდა, ესდენ ფიცხლად შემოიქცა რომელ ქარი მისსა მტკერსა ვერ მოეწყოდა და გორბსა მოვიდა ლაშქრითა, სადა ვიროს სასლი და სადგომი იყო.

აქა მობადისაგან ვიროს ცისის გარშემოდგომა და ვისის საუბარი.

რა ვისმან, ყოველთა კეკლეუტთა ჰატრონმან, თავისი თავი ნასა ბადითა დაბმული, მამა მოკლეული, ქმარი სსვაცან ომად წასული, გულწყლეული და ღვიძლ-დამწვარი ფრჩხილითა პირსა ივლეკდა, ტირილი და ზასილი დაიწყო და მტირალი ძიძასა ეუბნებოდა: „დღეს ლურჯსა ცასა ქვეშე დაშავსა ქვეყანასა ზედა ჩემგან უფრო საბრალო და გულწყლეული არავინ არისო და არ ვიცი თუ ჩემი ჭირი ვის მოვასხენო, ანუ ჩემი დონე ვისგან ვსებნო, ასეთსა უამსა სამართალი ვის ვსთხოო და უსართლოსა მოქმედისა საწუთროსაგან ვის შევსჩიელო. თავი ჩემი ვისთან ვით მივაწიო და ბერისა დამზლისა მობადისაგან ვით ვისსნა. რომელსა ეტლსა მშობა დედამან, რომელ რა დაბადებულ ვარ ჭირსა შიგან ვეოფილვარ, რად არ მოგუგულდ მამისა ჩემისა წინა, რომელ იგი მტრისა კელითა მოკლეული ვნასე. მამა მომიკლეს, ქმარი მამშორდა და დავრჩი ესეთ უღონო ქმნილი, სხეული გულ-მტკივნეული. თუ ავტირდე და ვიგუნესნე, კუნესასა და ტირილსა ჩემსა ვის მომიხმენს, არცა ვინ მეშეული, მწე და მარტებული მიჩნს. რა ვშობილ-ვარ ჭირი და ფათურავი, ბოროტი დია მინასავს და წადმართისა

თვით არ ვიცი თუ რას ვნახავ; ამის უარესი რა წამეკიდების, რომელ უნებლიე კელთა მივსწდე ჩემსა მტერსა და მესისსლესა, თუ მოახადსა მივსწდეები ყოველის გულის ნებისაგან კიდევან ვიქნები, მტერთა მივსწდეები და მოუყარეთა მოუშორდები.“ ესე გვარსა ეუბნებოდა ვისი კვლუტთა დედოფალი ძიძასა და წითელთა დაწვთა მარგალიტისაებრთა ცრემლთა ღვარულეებ ადენდა. და მივიდა მისთა მოციქული შაჭი მოახადისი და შეოულილობა ესე ჰქონდა. „დადეკ გული მზეო მზეთაო და ყოველთა ცისა მნათობთაგან უნათლესო, ღმთისა განგებასა ვერ აჭსდები, რაცა ეტლსა გიწერია მას ვერ დაესხნებო, ნუ თუ გუღსა საეკვაკვი ჩივიდო, რომელ მოკერეკვი, ღმთისა განგებასა ბრძოლასა არ გაეკარგების. ღმთისა განგება იქმნა ესე და დაწერა შენსა თავსა ზედა, აწ შენ ღონე დათმობისაგან კიდე არა არსო, მე შენითა გზითა მოკერულვარ აქა ამით, რომელ შენისა სიყვარულისაგან თმობა აღარა მსქეს. თუ მე მმორჩილო და უგნებელი ჩემი არა ჰყო, მე მრავალი გუღის ნება აღვისრულო, ასე აღგავსო თუელითა. პატროსნითა და სამკაულითა ფას დაუდებელითა, რომელ მზესა და მთოვარესა შურდეს შენი შეგნება, ჩემისა სულისა და გუღისა წამალი შენ იყავ და ჩემისა დარბაზისა და ქვეუნიცა დედოფალი, ნებიერი. მე შენგან ნება ამისრულდეს და ჩემგან შენ სასელი და დიდება ჰქოო. ვირე ტანსა შიდა სული მედგას, შენ და სული ჩემი სწორად მიხნდეს.“ რა გუღისა წამლებელმან ვისმან ესე გაიგონა მოახადისაგან შეთოულილობა, ვითამცა ყველა თრეკად და გინებად სმენოდა, თავსა მიწა და ნაცარი დაისსა, ორსავ მჯილითა პირი და მკერდი ღალის ფრად გაისდა. საყულონი გარდისივნა, მკერდო ბროლისა გამოუჩნდა და ასრე აღშოფოთდა და გასელდა, რომელ არცა მოციქულისაგან შერცხვენდა და ბავითა შაქრისაებრ მწარე პასუსი შეუთოვდა და სიყვარულისა ნაცვლად მკერდობისა ღასვარი ჰქრა. და ეგრე უთხრა. „მოციქულისა აწ რა შემოთოულილობა მოვისმინე უგემოა და გველისა ზარსა ჰგავს, შენ წავედ უტვიზოსა და დამჰალსა მოახადს ეგრე უთხარ ჩემგაიერ, თუ ფათერაკისა მოედანსა შიგან ნუ ჩივიდებ ბურთსა, ჩემითა იმედითა უსარგებლოსა ჭირსა ნუ ნახავ და შენსა საჭურჭლესა ცუღსა საქმესა უგან ნუ წავაკებ, შენისა საქმისაგან შე-

ნი კაცობა მიცნია, შენი ნაქეთიანობა შემიგნია, ნუ თუ შენ ესე გეგონოს, რომე ვისსა ამა ცისისაგან ცოცხალსა ჩამოიყვან ანუ მოვიხელებ ანუ დღეთა შენთა შიგან ჩემგან რას განსარებ. მე ვირე მქონდეს ნაძვი მართალი, არ ვეძებ ტირიფსა მრუდსა. თუცა ვირე ჩემი ქმარი არ იყოს და გაუთხოვარი ვიყო, შენი ცოლობა და სიყვარული არც მასშინ ეგების ჩემგან, მით რომელ მამა ჩემი უარსან მოჭკალ და არ შეიბრალე სიბერისა და საბატობისათჳს. ჩემი ზატრონი და ჩემი მამა შენ მოჭკალ აწ ჩემი ცოლად ძებნა შენგან კელური არის. მე ამა ჩემითა სიყმაწვილითა ღუთისაგან საუკუნოხსათვის მეშინიან, შენ შენითა სიბერითა ღმერთსა რად დაივიწყებ. მე ტანისამოსი, თვალმარგალიტი და ქალაქი და ქვეყანა დია მაქვს, ღმერთს ჩემთვის უამარი უბოძებია ეველასთანა, შენი არა მინდა რა, და თვით ვირე მამისა ჩემის უარსანის სიკუდილი მომაგონდების თვალსა, მარგალიტსა, საშკაულსა კვლარას სელსა ვაყრე, არცა რად მოვიხმარებ. მეძმე დედოფლობა თვით საიდაღმა მშვენიის, თუ შენი სტავრა, თვალი და მარგალიტი მომაღორებს. არაკი. მწარე ხისაგან მწარე ნაყოფი გამოვა, თუძცა შენ შაქრისა წელითა ჰრწყევდე. ჩვენი მოყურება ერთმანერთსა შიგან როგორ გაერევისო, მით რომელ ერთი ჭიქა არის და ერთი რკინა სიყვარულითა. მე მასშინ დაგემოწილები, რა ქორნი და კაკაბნი ერთმანერთს დაემოწილენ; ამა გულისთა სიყვარულისა ძებნა და ნაღულისა ჭამა სწორია. შეგნება. შენ გემწარების და თუ მოისმინო მისი ნაყოფი შაქრისაებრია, თუ ბრძენი ხარ გაიგონე და დაისწავლე, რომე ჩემი ნათქვამი ეს მოგეგონოს, რა შენმან აუკაცობამან ავი გიყოს, უკანის ნაწვა კვლარას გარგებსო.“ რა შან შაჭმა ვისისაგან ეს მოისმინა, სიყვარულისა ნიშანი არ ეპოვა, მისთანა მოვიდა მისი ამბავი და გულმძლავრობა წერილად მოასსენა მოციქულმან მოაბადს რაცა მისგან ასმოდა. მოაბად კელა უფრო გასელდა ვისის სიყვარულისაგან და შემოთვლილობა ეველა უკუდაებად მოისმინა, ორნივე ძმანი უხსენ მოაბადს, ერთს რამინ ერქვა, ერთს ზარდი, ოროსვე უხმნა, თავის წინ დაისხნა და უამბო მათ ვისის საქმე. რამინ სიყმაწვილიდგან მიჯნური იყო ვისისი ოდეს ორნივე ხუზისტანს იზრდებოდეს ძიძისასა, მასშინ ყმაწვილსავე შეჭყვარებოდა ვისი;

მაგრამ ვერ გამოეცხადა და გულის შინა ჭქონდა სიუვარული მისი და სურვილი, გვაღვისაგან გამხმარს ყანასა ჭკვანდა ნაყოფისა არ მოხვლისათვის იმედ გარდაწყვედილისა. რა მეორედ ძიძისა გვერდით გორაბს მოვიდა რამინ და ვისის სასელი ესმა, კულავ მოიწყო მისი მიჯნურობა და ვითა გამხმარი ყანა წყლისაგან გამწვანდა და რამინ იმედინად შეიქნა ნაყოფისა ჭამისა თვის, ღია გაუყმა გული, დაბერებული სიუვარულითა ვისის თვის, გაუახლდა მიჯნურობა რამინს, ვერცადა ენამან დაუთმო უთქმულობა და ფიცხელი სიტყვა მოასსენა ძმასა მისსა შაჭი მოაბადს. არაკი. ვისცა გულსა შიგან სიუვარულისა ცეცხლი ეგზებოდეს, ვერცადა ენასა დააბამს, სათქმელად წასძლეკს. რა რამინს გული აუღუღდა ვისის სიუვარულისაგან გუშტად ესრე მოასსენა ძმასა მოაბადს. „სე კელმწიფეო, რად იჭირვი ესზომსა ვისის ძებნისა თვის, ნუ წააგებ საჭურჭლეს უსაქმოდ ცუდისა საქმისათვის, ამით რომელ დიდსა ჭირსა ნასავ, ზაშტასა საჭურჭლეს უსაქმოდ განაქრეო. არაკი. რაც მლაშესა ადგილსა დასთესო თესლისაგანცა უნაწილო დარჩე და ნაყოფისაგანცა, ვერცა რდეს ვისს შენ შეუყვარდე და არცა შენსა საქმესა წადმართი ჭქონდეს. შეგონება. თვალსა ზატოხსანსა ეძებდე, რაზომცა დიდად სძებნო ვერ ჭზოჟებ, თუ ადგილსა მისსა არ მიხვიდე. აწ ვით ეძებ სიუვარულსა და მზასლობასა მისისა შეილისაგან, რომლისა მამა შენ მოგიკლავს, არცა შეშინდების ვისი ლაშქრისა სიმრავლისაგან, და არცა მოღორღების თვალითა, მარგალიტითა და სამკაულითა. დიდითა ჭირითა ჭზოო ვისი შენ; მაგრამ მისგან ჭირი რომელ შენ ნასო ვერ გასძლო. რა თავისა საწოლსა შიგან ტერი გიჯდეს, ვითამცა გველი გიზის, წყალი რა გარეთ შემოვიდეს მისი რგება ეგების; მაგრამ თუ შინათ მოჭსდეს მისი რგება აღარ არის. უარესი საქმე შენი და ვისისა ეს არის რომ შენ ბერი ხარ და იგი ყმაა, თუ ცოლსა შეირთავ სხვა ვინმე შეირთე, ყმისა თვის ყმა თქმულა, და ბერისა თვის ბერი, ვითა ბერსა ყმა მოუნდეს ეგრევე ყმასა ყმა მოუნდების. არაკი. შენ სთველი ხარ და ვისი გასაფსული და თქვენნი ერდგან შეყრა ძნელი საქმეა, თუ მის უნებლიედ მისს გვერდით ჯდე, გულსა ჩაითხარ, რომელ მისგან სინარულსა ვერ ნახავ, მიწვივ თავის სა-

ქმისაგან ინახდე. ჭირსა და ბორბოტსა მისსა ვერ გასძლებ, და თუ გშორვიდეს და კიდევანად იყოს არცა მისი ღონე და გაძლება გქონდესო. შეგონება. სიყვარული ზღვისა მსგავსია, მისი ძირი და ნაპირი არა ჭსჩანს. შეგონება. აწ შენისა თავისათვის შენ ეგეთსა სიყუარულსა ექებ დღეს, რომელ სვალე შენთვის ფათურაჲად მოხდების და თუ იცი, რომელ მე მართალსა ვიტყვი, ამა ჩემისა ნათქვამისაგან შენსა სატკებელსა ვეძებ, მოისმინე ჩემგან ესე. შეგონება. და თუ არ მოისმინებ შენ შენთვის იქ ზიანსა.“ რა მოაბად რამინისაგან ეს სიტყვა მოისმინა და შეგონება ეძწარა სნეულისაებრ იყო კელი მიჯნურობისაგან, რომელ პირსა შიგან შაქარი ეძწარებოდა, თუცა ცნობა სიყვარულისა წამალი იყო. შანშა მისისა შეგონებისაგან სიყვარული მოემატა, მიჯნურობითა გატენილი გული შეგონებასა არ მოისმენდა, ფათურაჲი ღსინად უჩნს ნებისა ძებნასა შინა, რა კაცსა უეკარდეს ვინმე, რაზომცა ვინმე აძულებდეს უფრო და უფრო შეუყვარდების; ვითა დაბეჭებითა გველი ვეშხად შეიქნების, ეგრეთვე მიჯნურობა რა გასანიერდეს გამსეღდების; კაცთა ყვედრება, თუ მრავალიცა ხრძალი იყოს კაცი მიჯნური ფარად ღვიძლსა მიუპყრობს, მიჯნურობასა ზედა შავი ღრუბელი სდგეს, თავსა მისსა ყვედრებითა თმა სწვიმდეს არცა მაშინ შეშინდების მიჯნური; ყოველსა საქმესა შინა კაცსა ზიანად დაუძმოდების, მაგრამ მიჯნურობისაგან გაესარების, რაზომცა აუგა უთსრან მიჯნურსა, მიჯნურისა მიჯნურობასა მისის გული საგან ვერცა ეგრე ამოიღებენ, არ უნდა მიჯნურსა ყვედრება, ვინცა მიჯნური არაა არცა კაცია. მოაბადის გული ასეავსილ-იყო ვისის სიყვარულითა, რომელ რამინის შეგონება შაშხად უჩნდა, ძალვით მეორესა ძმასა ზარდის ჭკითსა. „ძებნე თუ ღონე ჩემი რა არის ვისის მოხელთებანათვის, რა ვქნა, რომელ ჩემისა გულის ჩება ვპოო და სასელიცა ჩემი არ წავიდეს, თუ უვისოდ ამა ციხისაგან გარე შევიქცევი მოყვინდები ამაქვეყნასა შიგან და საარაკოდ გაკსდებიო.“ ძმამან ზარდმან ეგრე მოასსენა „სე კელმწიფეო, ღონე ესე რომელ დიადი საქონელი, ოქრო და სამკაული, ყველასთანა შაროს გაუკზავნე და საქონლითა მოადორობე, სხვაცა ურიცხვი უქადე და ენითა ამითა და ამით ჭაუკუნროთცა შეაშინე და ეგრე უთსარ. „შარო, იცოდინ რომელ საუკუნო არის სამკვიდრო

კაციას და მას საუკუნოსა განკითხვა იქნების, რაღა ვის აქა ავი ექ-
ნას. შენ ღმერთს რას ჰასუსს გასცემ, თუ შეცოდებულნი იყო და
ზენარისა გამტყესელი. ღმერთმან გკითხოს, თუ შენ შეჭვივცე მოაბადს
და გატყესე ფიციო, რას ჰასუსს გასცემ; მასმინ არ გაწბილებული
ღარჩები ღმრთის წინაშე, აღარც შვილი მოგესმარების და აღარცა
ვინ სსვა.“ თქვა. „ესე გვარნი სიტყვა შეუთვალე ფთხილხინცა მოღორ-
დებინა ოქროთა და ცკბილის სიტყვითა.“ იამა საუბარი ზარდისი
შანშას და მასვე წამსა უხმო მწიგნობარსა და მიუწერა შოროს
წიგნი, მრავალ ფერი ქება შეასსა და საღორებელი წიგნი მიუწერა.
რა შარომას ნასა ესომი თვალი და მარგალიტი, ოქრო და ყველას-
თან საკელმჭიფო ძვენი და ეგზომ მრავალნი კიდებულნი აქლემნი
და ჯორნი ღარითა, მოვრალისაებრ ცნობა წაუვიდა და დაავიწყდა ძეცა
და ასულიცა რა შელამდა. ცისისა კარი გააღო და ელვარე მთოვარე
მოაბადს კელთა მისცა, ღმრთისაგან შეეშინდა და მოაბადის წიგნისა-
განცა ბუნება მოექცა. მას ცისესა ზედა დაუწყო საწუთრულად ქცევა
ჭკერმან, შაროს ესწავლა ეტლთაგან წამსა და წამსა სსკებრად ქცევა.
რა კარი გააღო ცისისა და მოაბადს ქალი კელთა მისცა სიბნელითა
წეროს ფრად შავი იყო, მოყვარულთა გაეყარა. დღე მწარეა ცასა ზედა
მთვარე და ვარსკვლავნი აღარ ხნდეს, ქვეყანა ღილის ფრად ქმნილ-
იყოს: ცა შავსა ფარდაგსა ჭკვანდა მოვარისა საფარად ამოკრულსა, ჭკერ
მან თუ სთქვა საგლოკელი შეიმოსა მისისა საქმისა თვის, მსემან
და მთოვარემან თვისისა ლაშქრითა დასავლეოისაგანი ილასქრეს
და მუნვე დაიძალეს და უჩინო იქმნეს, ლაშქარნი თავ თავისთა
ადგილთა განიადგდეს, ეტლნი რკინისა კლდეთა ჭკვანდეს და ვარ-
სკვლავნი მათგან აბეზარ ქმნილან, ვერმნი და მოზვერნი დაღრეჯილი
და დამალული თრთოდეს, ღომსა შიშითა თავის ადგილი დაეკლო,
თუ სთქვა ღომი უხულო დვას და მტყუბარი ორთავ მოყვარეთა-
ებრ მწოლთა დაჭედით უძრავი ქმნილ იყვნეს, კრისიბი გამწყარა
გულად მოზვეგილი ღომისა ჭანგთა ქვეშ იყო, ქალწული დიაცისა-
ებრ დვა, კელთა ტყვანნი დაეჭინეს, სასწორი და მშვილდი დასლა-
თულნი უხმარ ქმნილ იყო, ღრინაკელი ერდგან მოღრეკილ იყო, ვითა
ბკელი გაცივებული, მშვილდოსანსა ვითა კერძსა მშვილდითა ომი

არ შეეძლო, თხა ისრისაგან უშიშრად ქვე დაწოლილ იყო, წყლის
 საქანელი ჭასა შიგან ჩაჭრილი და მისი ამზიდავი ბედით მომცდარ
 იყო, თევზი ბადისაგან დაბმული და ვითა ხმელთა ზედა გაჭრილი
 დაწმინდისაგან უიმედო ქმნილ იყო. ასეთითა უბედურითა ეტლითა
 ნასა შანშა ცოლი, ღმერთმან სხვასა ნუ ვის ზედა მოიღოს ესეთი
 ეტლი. რა ცისე შიგან შევიდა მოაბად და ამ ეტლითა ნასა ღამის
 სიბნელითა თვალთა წინ აღარა ჩნდა; მაგრამ ვისის პირისა სინა-
 თლემან და სუნნელებამან აზოვინისა უებრო მოსაწონებელი ცოლი. მო-
 ვიდა და მოჭკვიდა გელთა ბროლისა მსგავსთა და ცისაგან თრევითა ჩა-
 მოიყვანა, ამით რომელ ნებითა არ მოჭყეუებოდა, და იგი ქვედა არ
 დააგდებდა. ჩამოიყვანა და შევედრა თავისთა მისანდოთა კარგთა შე-
 აბჯრეთა და სოჯათა, მასვე წამსა შესვეს გუბოსა და გამომართნენ ესე
 სიტყვულად, რომე ველარც ქარი მოეწეოდა გუბოსა; მივიდოდენ, ეჭირათ
 ხასაგანთა და სოჯათა და სცემდენ ბუგთა და ქოსთა და მიმართეს სვა-
 რასანს და მავრას ქალაქსა სამეოფსა შაჭი მოაბადისასა. ესე მსიარე-
 ლად იყო მოაბად, ვითა მშიერმან ლომმან კანჯრისა ჯოჯი დაინახოს
 ანუ ვითარ გლახამან კაცმან საჭურჭლე ჭპროს და სინარულსა მართლ
 იყო, რადგან ნანადირები ცისა მზისაგან უკველურე იყო, სამდა მის-
 თვის დიდისა ჭირისა ნასვა, ამით რომელ ანაზლად შეენებისა სა-
 ჭურჭლე ჭპოვა და მას შინა მცცინარე იაკუნდი:



V.

ქ ი ლ ა და დ ა მ ა ნ ა ს ა გ ა ნ .

1, ორნი ტრედნი საყვარელნი ერთს ბუდესა შინა მკვიდრობდეს
 გაუყარად და შეერთებულად. მათ გულსა მოშურნობის მტკვერი
 და მოუსაკლობის ზრუნვა არ დასდებოდა, წყალსა და საკენკს
 დასჯერებოდენ, ერთს გუთსეს მჯდომნი მწიროსავით გული ღუთისა
 თვს მიენდოთ. ხასელად ერთს ბასანდა ერქვა და მეორესა ვასანდა,
 ორნივე დღე და ღამე ეპის სმით ღუღუნებდენ, ხან-და-ხან სულის

მასბრუნებელის სმით სხვა და სხვა რიგთა ლექსთა შეამჯავრებ-
დენ. შაირი:

მოუეროსა პირის მჭვრეტელი ვზი ამაღ მოღსინარია,
მას კეტრფიალე, იგი მყავს ღიმილით მოცინარია,
აწა რა მსქეს რა საჭირა, საქმენი საწყინარია,
და სამოთხის ვარდთა მკრეფელსა, რად მომეწვიტოს მჭნარია.

ამ სოფლის უხანობამან მათ მოუვარულთ ერთობა შეიშურვა
და საწყობრას ავთვალობა მათს გამოჩენილს სიუვარულსა ანაზდეუ-
ლად ეცა. ლექსი:

მბრუნავთა ცათა წესია ცდა გაყრად საუვარელისა.

ღხინს მოაშოროს, ჭირს მისცეს, მოსმა საქმისა ძნელისა.

ბასანდას მგზავრობის ნდობა შეუვიდა და თავის საუვარელს
უთხრა. „ვირემდის უნდა ამ სასლსა და სადგომს ვიყენეთ და ჩვენი
დრო და ყამი ამ ბუდეში დავადამოთო. მე მინდა ცოტა სახს ვიმგზავ-
ვრო და სამსაოდ დღეს ქვეყანათა არენი მოვიარო. ბრძენთ უთქვამსთ.
„ქვეყანა მოკლე, რომ მისის ნახვით მრავალი საკვირველება ინახება
და უცხო საშოვარნი იშობაო.“ მეცნიერთ უთქვამსთ. „მგზავრობა გა-
მარჯვების მიზეზი არის, კმალი ვიდრემდის ქარქაშით არ ამოვა ჭა-
ბუგი ბრძოლის ასპარეზით პირ წითელი ვერ გამოვაო, ვირემდის გა-
ლმის ძავალი ფერხით არ ეტარება იგავთა შევნიერების დახატვა ქა-
ლაღდზედ ვრ გამოჩნდებაო. აჭა ცათა ხუდავ ნიადაგ ბრუნავს და
მგზავრობს და ყოველთა უმაღლესია და ქვეყანა რადგან არ იძრვის
და ერთ რიგზედ დგას. ყოველთა წარმავალთა ფერხის სალასავია.“
თქვა შაირი.

მიწა უძრავი ილახვის, ცა ბრუნვით მგზავრობს დიდებით.

მგზავრობა ჭაბუგს ალომებს, საფასეთ მოსცემს კიდებით,

ხეს თუ ძალ ედვას გაძრვანი, მკრეფელს განეჩავს რიდებით.

და ვერც ხერხი გასჭრის ნარბენსა, ვერც ცულის პირი მიდებითი.

ნავსანდამ უთხრა. „ჭე ჩემო საუვარელო, მგზავრობაზედ არ და-
მასშრალ ხარ და უცხოობის ჭირი არ გინახავს და მარტო ვლის
ამბავი შენს გულს არ გაუგონია, გაშორების სასტიკს ქარს შენის
გონების შამბისათვის არ წამოუქროლებია. მგზავრობა ახეთი ხეა

რომ მოშორების მოწევის მეტს არას მოისსამს და უცხოობა ესეთი ღრუბელია ნაღვლის წვიმის წვეთის მეტი. არა ჩამოედინება.“ თქვა ლექვი.

რა საღამო უამ საბრალო მწირი მიუჯდეს არესა.

გულ-დაკოდილი ღასუკითა უმწეო მარტო გარესა.

ბასანდამ უთხრა. „თუცა უცხოობას მრავალი გარჯა სდევს ქვეყანათა და ქალაქებთ საკვირეულების ნასვა მოსვენებისაგან ნამეტნავია, მგზავრობას ვინც ჯალაბიან იქს მოეწეინება მრავლის სარჯელისათვის, თვარა მარტო მთარეული სული სსვა და სსვა თემთ სანასაობა ასე ასაღისებს, გარჯილობას აღარად მიიხსენებო.“ თქვა ლექვი.

უცხოობისა ეჭალი თუ მეცა არ მომწეინდების.

რა გულის სწადლის ვარდი ეკლისაგან აღმობრწეინდების.

ნაკსანდამ უთხრა. „ჭაი ჭაი საყვარელო სასურველო, ქვეყნის კიდეთა მხსრეელო და რიოშთა წაღკატთა მომსილელო, განწყობილი საყვარელი და ერთგული მოხსსლე გინდონეს, თვარა რა კაცი მოყვრის პირის ბედნიერობისაგან უიდელო გასდა მიღმარ ჭხინს; მისი უარუნვა ესოდენსა სახსრეკსა და გამჩიების საქმეში ჩააგდებს, რომე სამსალის უძილე ექნება და მისი წრტიალი ადვილად არ ეკურნება. მე ზედ მიწეებით ვიცი მოყვარეთ მოშორება და ამხანაგთ უნასაობა რა ძნელი ჭირია და თვისსელი სარჯელი.“ თქვა ლექვი.

მოყვრისა გაყრა ვამსგავსე ჯოჯოხეთისა ალებსა.

რად ვქენო მეტე ვინანი, მოვიღობო გულთა სალებსა.

აწ კმადლობდეთ ღმერთსა რადგან ერთი გუთსე გვაქვს და მღვევარი საზრდელი; მოსვენების თერხი უზრუნველობის გალთას ქვეშ გაგვიწვდია, მისმინე ნდომის საელოჲს მტკერთ დასაჭერად კელთ ნუ მისცემო. თქვა ლექვი.

მოშორებასა მოშორდი, ერხდე ერთობის სასელსა.

გაყრის ქუა უამსა მბრუნავსა შიგა უტვირთავს სასელსა.

ბასანდამ უთხრა. „ქამდის საყვარელო და ბოლოდ გაყრის სიმწარას ამბავს ნულარ მითხრობ, თუცა საყვარელი მოყვარე ქვეყნად ცოტა იშოება, ვინც მისგან ხელს აიღებს სსვას იშოვნის და მის

ნადეკლს გაწდაიგდებს, თუცა ერთის საყვარლის ჰინის სურვილი
კაცმა გაუშვა, მტირეს ხანს უკან მეორის საყვარლის ტრფიალებას
მისუდება, ეს სომ გასმია რომ უთქუამთ. ლექსი.“

ნურც თემსა, ნურც მოყვარესა არ შეჩხე ყოველ სრულაო.

ზღვა და სძელეთი ვრცელაო, კაცმან ვერ დაასრულაო.

„არ მინდა ამას იქით მგზავრობის ჭირის მატინესლა მიკი-
თხვიდე, მგზავრობის გამოცდის ცეცხლი კაცს შეაგობოს და უმგობრო
გუნება იმედის ცხენს საწადლის მინდორთა შინა სწრაფად ვერ გააჭე-
ნებს.“ თქვა ტაუბი.

მრავალჯერ კლანი, გზა-და-გზა სღუანო უკმს ვიკმ უმი შეგობდეს.

ნავსანდამ უპასუხა. „საწადელაო საყვარელაო, აწ რომ შენი გუ-
ლი შეთხსებულის ლსინის მოშორებებს ცდილობს და ძველის ამსა-
ნაგობის წესის თოკის გაწეკეტას და ასლის მეგობრის მოკიდებასა,
ბრძენთ ასრე უთქუამთ.“ ლექსი.

ძველს მოყვარესა ნუ სძულაობა, ნუ ავდებ ძველსა შარსსა.

რა რომ ასალი დაძველდეს მასცა ისრე იქ მარსსა.

თუ ჩემი სიტუტა არად მიგახნია, ესე არა გასმია. ლექსი.

კაცი ბრძენისა მოუტრისა სიტუტათ ყურ მიუზერობელი,

მტერის გულისად გასდება, რომ სწყეოს თხი მშობელი.

ყოელი მათი საუბარი ამასედ დასაგუნეს, ერთმანერთს დაესაღმსენ
და მშვიდობა უძღუნეს და ბასანდამ სიყვარულის გული თხს ამსანაგს
მოაშორა და პირი საფრენლად გამართა და მოინაკარდა. ტაუბი.

გალიას შინა ნაწუტდუკი გაფრინდა, ვითა გვრტიცია.

გუნების საღისითა და დიდის წადილითა სიმადლისაკეს მი-
იკლტოდა, აღმართულს მათათა და სამოთხის მსგავსთ ტყეათა და ბა-
ლასოვანთა ველთა სინჯევდა. ნახა ერთი მთა რომ ცის სიმადლედ
მოხნდა, თხისის სიდიდისაგან მიწის პირი თხისის კალთის ქვე მტკე-
რად მიახნდა. მასი ერთი მწვანობი ნასა სამოთხის მინაქრის მსგავსი
იყო და გულთა გამსძელი ნიაგის ქარი ღაღიას სძრევდა და მუშკის
თეთრის უპისაგან სურნელება მოჭქონდა. შაირი.

მწვანესა გაღვიძებოდა, წყალთა მოხულოდა რუღია,

ათასი სურვი უგუილი ღვა ვარდის წყლითა წწყულადა.

ერთს ეჯზე კაცს ეცემოდა. მათ ფშევათ სუნი სრულია.
და მისთა მნსავთა ეკურნის კრმალთა ნაკათი წულულია.

ბაზანდამ რა ნახა შეძგული და გულთ საწადელი იგი ადგილი
და მორწონა და მორიება მეორეს დილამდე მუნ განსვენება. მგზა-
ვრობის ტვრთი რა ჩამოჭსადა, ჯერეთ მსჭრალობისაგან არ შეესვენ-
სა და ერთი წამი არ დაეცადა, ანაზღიულად ჭაერთა შინა ნიაგ-წულილის
ფარეშმა მსუბუქი რამ ღრუბლის სახრდილობელი გაშალა და სამშვიდო-
ბო ქვეყანა ჭექიანისა ქუხილითა და გულის შემწველის მესითა, მეორედ
მოსწლის მსგავსი ზარი, გასადა; მისის ცეცხლისა სიმძაფრეთა უაფა-
ჩის ღვიძლი ეწოდა და მისის წინწკალთა სრალის ისარი სხვას
მსარეს ნარგიზის მღვიძარეს თვალთა მიწის მტკერს აყრიდა. ლექსი.

კლდის გული მესის შუბითა უწყალად დაიჭრებოდა.

ცის დატკისისა შიშითა მიწა კლდეს გარდიჭრებოდა.

ბაზანდამ ამისთანას წვიმის ისრის მოშიშარი თავის შესათუ-
რებელს ადგილს ვერ ჰპოვებდა, ვერცა სადმე ერთი ხურელი ჰპოვა;
რომ სასტიკის ქარისშსალისაგან გაესვენა, სეთა-და-სეთა შტოთა
ეფარებოდა და სან ფურცელთა ქვეშე დამაღვას ცდილობდა, წვიმა
უფროსად განძლიერდებოდა და ელვა და ქუხილი ემატებოდა. თქვა
ჩახრისაული.

ბნელი ღამენი, ჭირნი მწარენი, წვიმა და ელვა ქუხილითა სძობდეს.

იტყოდა, ჩემნი ვაძნი საჩენი, ვინღა მოლხინე ღვინოშის სცნობდეს.

მას მწარესა ღამეს ათასი შეჭირვებით უგემურად მოთმენას
ცდილობდა სადამდის გათენდებოდა და მას ავს ყოფაში ყოვლს წამს
თავის ბუდეში ჯდომასა და საყვარლის მეგობრობას იგონებდა და
ათასის საზრუნავის ნაღვლით შემწვარის ღვიძლისაგან სულ-თქმით
იტყოდა შიჩისა.

არ ვიცოდი, შენმა მზემა, შენი გაურა მევენებოდა,

რად გაგწირე, რად დაგაგდე, გული ჩემი ვისკენ რბოდა,

უშენოსა ცეცხლი ცხელი შენის გაურით მედებოდა

და შენთან ჯდომით მომელხინა, შენი ნახვა მბედებოდა

რა დილასა უჩანო აღმოჩნდა მასკე წამსა დამფარველის ღამის

სიბნელის წერილის უკმი დროს ჰიწმედ განქქარდა და ქვეყანისა გან-
მანათლებელისა მზისა ნათლითა ცა და ქვეყანა განბრწყინდა. ლექსი.

მზემ მოიწვავდა ოქროსი მასვილი ჰიწმთა თემისად,
განათლდა ოთსიკ კიდენი, არა ბნელისა ჩენისად.

ბაზანდამ აგრევე ფრენა დაიწყო და ენება ანუ თჯნთა ბუდეთა
მისჯელა ანუ სამთა ოდენ დღეთა მოკლა მიდამოთა ადგილთა. ამისსა
საგონებელსა რა იყო ანაზღუელად გამოჩნდა შავარდენი ერთი ბრტე
ფიცსელი და ჭანგ მასვილი, რომელი ნადირთა ელვასავით ეკვეთებო-
და და თუცა ინავარდის სისწრაფით ცისა სიასლოკეს მიიწყოდაო.
ლექსი.

უბო მესის ცუცხლი ანაზდად საბრძოლად შემტეკებელი,
მიფრენით ქარნი აღისა საჭიროდ დასავსებელი.

რა ბაზანდას შემოუტეკა და უმწეომ ტრედმა შავარდენი დანა-
სა გუღმა თრთოლა დაუწყო და ტანის ძალი და სიმსნე ცსვირის
ნესტოდამ გასთსია. ლექსი.

რა შავარდენმა სატრედეთ მსარნი გაშალი, განაბა,
უღონომ მიწად დატემა მოიწადინა განაბა.

რა ბაზანდამ თავისი თავი შეჭირვებისა მახესა შინა გაბმული
ნასა მისის ერთგულის საყვარლის სწავლა მოაგონდა და თჯისა უგუ-
ნური რჩევა დაიწუნა, რადგან უსარგებლო და ცუდი იყო; დმერთს
კედრება დაუწყო და აღთქმა დაუდვა: „თუცა ამა განსაცდელსა გარდაჩქეს
და სიკუდილისაგან დაიხსნას სხვადა მგზავრობისა და სიარულისა
წადილმან ჩემს გონებასა შინა აღარ გაიაროსო და საყვარელთან სი-
სარული, რომე მზის შუქისათვის შეუდარებიათ, მას უმიწოდ კერა რა-
მან გამყაროსო და დანარჩომს სიცოცხლეში მოგზავრობის სახელი
ჩემს ენამ აღარ ახსენოსო.“ თქვა ლექსი.

თუ კვალად შენის შეყრისა კალთათა ხელნი ვახენი.

აღარ გაუშვა ცოცხალმან, თუ მედგას სულთა სახენი.

და მისი მოუქარის საქმის სიმდიდრე რომ მისთჯს გაწეობილი
იყო, სიყვარულის გაყრის კარის გაღება მტეგრობის საქმე მოუკლინა
და მას დროს შავარდენის კლანჭმა მისი თავი საჭმლად იშოკა.

ამაში სსვის მსარქადმ ურთი მშიერნი არწივი გამონდა, რომლისა
კლანჭისა შიშით ყოველნი ფრინველნი ცის სიმკრგელებათ შინა გა-
ნუსგენებულ-იუვნეს; საგონებულ-იყო კუროს ზოდიაქოთა ცათაგან
მოიტაცებულ ლექსი.

ვერძი მისისა შიშითა ცაში ვერ მოკდის მშვიდობით.

ნუ თუ მესისსლე მარისი მწეუმსად დაუდგა რიდობით.

საჭმლისათვს იარებოდა, რა შავარდნისაგან ტრედის საქმე ნასა
თქვა. „თუცა ტრედი იგი მცირე რამეა ცაშიუად ვგება მეუოსო
და მით გულოს და სულთა ცოცხად ძალი მიეცესო.“ მოუხდა შავარ-
დნისა ტრედისა წასართმეველად. რაც ძალი შავარდნის გუნებასა შინა
იყო, დამშვიდებულის არწივის კლანჭში არ იყო, მისს შემოტყეებასა
და მოხდომას არად შეეპოვა, მათი გაერთება სასწორმა ვერ შეასწო-
რა და ბრძოლა შეექნათ. ლექსი.

ფრინველი ფრინველის საბრძოლად აღდგეს და ეომოდესა
ტრედი ათასის სერსითა შუადამ გაძურა კბოდესა.

და მათ რათ შეუღლთა შინა ბაზანდამ დრო დაიცა, გაუპარა და
ერთს ქვის ძირს სოროთა შევიდა. რამ ჭკუკვავისათვსცა შესაძრო-
მად საგონებელი არ იყო. მას სწრელში დაიცადა მას ღამესა შე-
ჭირკვებულმან და რა მეორე დღეს თუთრ ფრთოსანი დილის ტრედი
ცაზედ ბუდიდამ ამოფრინდა, ღამის ყოჩანი შავ-ფრთოსანი არწივი-
საებრ თვალსწინ სწრაფად დაიფარა. ჩასრისაული.

სვე სვიანობით, მსე მზიანობით, დილას აღმოსდა ფარშამანგულად
სიმსიარულთ, სინათლე სრულთ გაფრინდა ყოლე სამოთხის გულად.

ბაზანდას შიმშილისაგან შესწრებულსა გაფრინის ღონე ადარს
ქქონდა, ათასის ფრეციალითა და ფრთსილად მიმოსედვითა და ში-
შით გამოვიდა, წავიდა, ნასა ერთს ადგილს ერთი ტრედი და წინა
საკენკი ყრილი, მრავალ-რიგის სერსითა და სრიკით მოცული ბაზან-
დას შიმშილის ღაშქარი სტომაქში შესეოდა და მისი ტანი აეყო-
რიაქებინა. რა თავისი ნათესავი დაინახა, ადარა გასინჯარა და არცადა
მოიცადა, მივიდა; რა ერთი შარცვალი აიღო ფერსი ჭირის მასეში
გაეხა, ლექსი.

„შმათ საბრსკა სოფელი, საკენკი გემოთ ნდომანი,
გულთა სირთ საზრდო სისარბე მასეთა გაბმის წდომანი

ბაზანდამ მას ტრედს გმობა დაუწყო და ეტყოდა. „შმათ, ჩვენ ერთი ნათესავნი ვართ და ერთი გუჯარი, ეს საქმე შენის ნასკის სურვილისა თვს მომიხდა, რად არ მაცნობე და მოწყალების წესით არ მიმასპინძლე და გამაფრთხილე, რომე ამისთანას მასკეს არ დაბმულ-ვიყავო.“ მეორემან მან ტრედმან უპასუსა. „ეგეთი სიტყვა დააგდე და ეს იცოდე საქმის მოსკლის გაკრძაღვასა სარგებელი არა აქუს, არცა განსაცდელისა დარიდება მოსდება. ლექსი.

განგებულების ისარი საცუროთ ჯანატურრცია.

რა შივა ჯღარ დასცდება იფაროს ფარი რცია.

ბაზანდამ უთხრა. „არა ძალგიც ამ უწყალოსა განსაცდელის ლსენის გზა მასწავლო და ესეთი სიკეთე მასკენო აქადგან მოკრჩე.“ მან ტრედმან უპასუსა. „უგუნურო, თუცა მე სერსი შემქდლოს ჩემს თავს ამ მასის დაბმისგან მოკარჩენდიო და არც სხვათა მფრინველთა დაბმის ბრალს დავიდებდიო. ჰგავს რომ შენ აქლემის გოზაკის ამბავი არ გასმიაო: რა დია დაშურს ტირილით და წუსილით დედას დაუძასა. „ჰე უწყალოვ და შეუბრალვებლო, ესოდენი მოიცადე სული მოკიბრჩენო და დაღაღაღობისგან მცირედ შეეისვენო.“ დედამ უთხრა. „შენ ბრძაო, არა სედავ ავშრის თოკი სხვას სელთა აქუს და თუ ჩემს ნებაზე ვიყო ჩემს ზურგს ტვირთვას და შენს ფერსს სღვს-გან მოკარჩენდიო. რეული.

გოზაკმა უთხრა დედასა. „სიტყვასა გეტყვო ვბედასა,
დია დაშრომა მედასა, მოცდა ჰეავ მაგა ქედასა.“

მან უთხრა. „ავაი შენს ბედასა მიმზევენ ავშრის ბედასა.

და ვინ ზრუნავს ჩემს წაწეშედასა, ტვირთი მამძიმობს გვერდსა.“

სასა-წარგვეთილმა ბაზანდამ დაიწყო ცდა და წეკა და მრავლის ფრტიალითა და სეთქებით თვისი იმედის ბაწარი გაიმაგრა, ამ სოფლის საქმეს მასის ბაწარი დაეღზო და ანაზდად გაწედა. რა ბაზანდამ თავისი უელი მასის თვლისაგან თავის-უფალი ნასა-წენარად აფრინდა, თავის სამკვიდროსაკენ გაემკზავრა. რა ამ გვარს ფათეკავს მორჩა

მისი სისარულით შიშლით მოყობა დაავიწყდა და მოფრინავს ერთს ჩასოფლარს გარეშემო მწვანე ჯეჯილი დანახსა და ნახსრის ჩაპირი, რომელიც ჯეჯილს სწედებოდა იქ დაჯდა. მუნ ჯეჯილის მტველი, მეკელე იღვა, გარემოს სცვიდა. რა მეკელემ ტრედი ნახსა ჯეჯილის ჯაკრით გულიდამ კუბელი ამოედინა, სელთ შურდული ეჭინა, ქვა ჩაღვა და სროლად გაემსადა. ბახანდა ამ საქმის უმეტარი ხელტოდა და თამაშობდა, მწვანოვანს სჭკრეტდა და ნათესს თვალს ავლებდა. რა თვალთ მსქცის ცის სიჭრელისაგან მის შურდულის ქვის ძალი ტრედს ფრთაზედ ეცა, მეტის შიშისაგან თავ-ქვე ერთს ორმოში ჩაიჭრა, რომ მის ნახსრის პირს იყო, ესრე ღრმა ორმო იყო სეცის მზის ბრუნავი შუქი თუცა ჩაადგებოდა და დღისა და ღამის ნაგრესი თეთრი და შავი თოკი ერთმანერთზედ გარდაება მისს ფსკერსა არ ჩასწვდებოდა. შიარი.

ორმოსა ღრმასა ჩაკვარდა საზომით მიუწდომელსა,

ჯოჯოხეთისა სიღრმესა, ტებრ სიმრგვლე გაუზომელსა.

ძნელია ესე ასცილდეს თავთა მინდობის მდომელსა.

და მისი ქნას სსვას არ უსმინოს, რად სჭირას ესე რომელსა.

რა მეკელემ თავისი ნანადირევი ორმოსა ჩავარდნილი ხასა ზედ წაადგა და ცნა მისი საწადელი ხეზი მას შინა არ ჩასწვდებოდა და სულის დაღუპვად მიწურვილი ტრედი მას გაუძლეებელს საზურობი-ლეში დაუტყვა, გაბრუნდა და წავიდა. ბახანდამ ფრთე მომტკრეულძან და გულ-წელეულძან ის დღე და ღამე საროში დაჭყო მგლოვიარეს-ვით შეჭირვებული, სიმჭლით ღონე მიწეუკტილი, ნაკვანდას იგონებ-და, გოდებით ამას იტყოდა.

გახსოვს ოდეს შენ გიანელ მიუწადი ვითა ვარდად.

შენი მტკერი საცხებელად თვალთა მქონდა ჩემდა ნარდად.

შენ დაჯთმე და იგ გაუშვი, სიშორე ვუავ შუა ფარდად.

და აწ მტკრთაგან შეწყდუელი ორმოს ვზივარ გინა ბარდად.

ბახანდამ მეორეს დღეს რაც ძალედვა დაიწყო ცდა და მრავ-ლის ჭირით ესოდენი ქნა ორმოთა პირთა აღმოვიდა; მტირალი, თვალ-ცრემლიანი თხსთა ბუდეთა მოაწია. ნაკვანდად რა თვისი საყვარ-ლის ხმა მოისმინა მაშინვე წინ გამოეგება. და თქვა ლექსი.

თვალნი აღმესვენეს რა ვნასე მოუვარე ჩემი მოსული.

ღმერთო, რა გკადრო მადლობა შენდა შეწირვად მოსრული:

ბაზანდას მოესვია და დაჭკოცნა და რა ნასა დია დამჭლობილი და უსუსური იყო. უთხრა. „ჩი შენ თავამაწონე საყვარელო, სადა იყავ ანუ რა სალსინოდ მოიბგზავრეო. ბაზანდამ უთხრა ლექსი.

ტრფიალებისა შეწყენა, ვინ იცის რაცა მოძისდა,

შენი შორს ყოფნა დამძწარდა, გაწირვა ავად მოძისდა.

რაცა სარჯელი, ჭირი და ვაება ჩემს თავზედ მოიწია. თქვა ლექსი.

„ჯერ გავიხვენო საწოლთა სოფლისგან დაცაშრომილმან

უკელა გაიმბო უკლებლად ჩემნი ამავეი ფლობილმან.“

„სიტყვს დასასრულად ეს გაიმბო: მასმოდა რომე მგზავრობაში გაცი მრავალ რიგად გამოიცდებისო და აწ მე ამ მგზავრობაში ასრე გამოვიცადე რომ ვირემ ცოცხალ-ვარ მგზავრობისკენ ჰიწს აღარა ვიქო და თუ საქმე დამესხნა ბუდიდამაც აღარ დავიძვრიო და ჩემის ნებით მოუვრის სატრფიალო ნასკასა ამისთანა უცსლობის სარჯელზედ აღარ გავსცვლიო. თქვა ლექსი.

მგზავრობა, სლტა და ნავარდი სულ დავივიწყო გულისთა,

საყვარელისა ჭკრეტითა, ვინარო სულაწასულთა.

2. არაკებისგან მასმია: იყუნენ ორნი ქორნი ფრთე-ფიცხელნი, მოუჭარულნი და გაერთებულნი და ერთს მალაღს მთის თსემზედ ბუდობდენ; ესოდენ მალაღ-იყო, ცისა მზომელი არწივის ფრენის მალე მას ზედა სისწორით ვერ აღვიდოდა და ფასკუნჯი მისის ძლიერებით მისს სიასლეს ვერ გარდაიარდა. თქვა ლექსი.

მთა მთურსა მთასა არ გუნდა, არც მიწიერსა გორასა,

ცა ცაზედ მდგომად ვიარბეთ, თუცა ჭკავს საქმით ჭორასა.

იგი ქორნი მას მთაზედ მკვდრობდენ, განისვენებდენ და ერთმან-ერთის ჰიწის მხერით ისარებდეს და იშეებდეს და მათს დღეთ განცხრომით აღამებდეს. იტყოდენ ჩანრისაულსა.

ბუდობული ვარდსა, არ განა ვარდსა, გვერდსა მკვდომელი ზედა დაჭეუვის, ნიკეთად გიჩნდეს, თუ თვალთა გიჩნდეს, ბედნიერი სარ უფროსად მეფის.

ცოტას ხანს უკან დმეტრიან მოწყალებს ერთი ბატონი უბოძა და მათის გულის ნაწკეთის ნასვის სისარული ჰქონდათ და ორნივე სანადიროდ წავიდოდნენ სოლმე და თვისის ღვიძლის ნაკვეთისა თვს ყოველგნით სანადიროდ მოჰქონდათ. რა მცირე მოიზარდა, დაძვრის ღონე მოეცა, მშობელი თვითონ მსარეს გაეძარბნენ და მოსულა დაუგვიანდათ, მათს ქულას მოემშინა და საჭმლის ნდომით ძრვა და სიარული დაიწყო და აქაიქ იარებოდა, რა ბუდის პირს ამოვიდა ანასდუელად გარდმოვარდა და თავსვე კლდისაკენ წამოვიდა. ერთმა ყოჩანმა მიღმით ნასადიროდ იგიცა თვისთა ბასაათა თვს საჭმელს ეძებდა და მასვე კლდეთა ჯდა, იმზირებოდა. ნასა ყოჩანმა ქულა თავსვე მომავალი, მას თავივე გონს ფრინველისაგან გავარდნილი.

ყოჩანმა სწრაფად შემოუტოვა, ქული რა მიწასედ დატემას მიწურვილად იყო, მოვიდა და ჰქაერთა შინა აღიტაცა, და თავის ბუდეს შინა მიიღო, და რა მისი ჩაბი და კლანჭი ნასა, რომ ფრინველთ ნათესავი იყო და მისის სიყვარულით გული გაუსურდა და გონებას შინა ესრეთ იტყოდა. „დმეტრიან თურე ამის თვს წყალბით მომავლინაო, რომე ამისის სიცოცხლის მიზეზად მე შეძქმნა, თუ არა მე თუც არა მივიწრაფოდი მის ძაღლის ბუდით ჩამოჭრილი კლდეთა დატეპოდა და ძეღიან სორცინად გაიგლებოდა და ქარისაგან გასატაცებლად გახდებოდაო. მაშა რადგან ესე ესრეთ განეგო, ესე ხამს ჩემგან რათა ჩემთა მართულთა თანა აღვზარდო და მათ გაუამსანაგო და გავსწვართო და ვიშვილო და ესეცა ჩემთა ნათესავთა შინა გავრიოო.“ მას უკან მან ყოჩანმა საყვარელითა გულითა დაუწყო ზრდა თვითა შვილთა თანა და მათ მსგავსად უყვარდა და ათამაშებდა. რა ქორნი იგი აღიზარდა და მის გუარსა და ნათესავთაებრ ფრთენი შეენიერნი შეუსრულდეს, საგონებლითა იტყოდა. „მე ამა ყოჩანთა მართვეთაგანი ვარ ეე, და ესე რა არს: ჩემი სიმწყაზარე და სხე და ძლიერება სხვა არს.“ მრავალს ხანსა ამას ჰკვირვებოდა, თუცა ამათი ნათესავი არა ვარ ამათთა ბუდეთა რა ხელი მიც და თუცა ამათთა გუარათაგანი ვარ რად არათი ვემსგავსებიო.

ყოჩანმა ქორს დადრომა შეატყო და უთხრა. „ესე შვილო, გულითა ჩემთა ნაკვეთო, მეტადრე მოწყენით გხედავ და რად არს მი“

ზეზი ანუ რად ჭეფარავ ჩემგან რაცა გაქვს გულის შინა და არა მე-
ტყვი, რათამცა ვიძიო შენთვის და ვზოგო სწავლელი ნებისა შენი-
საო და ნურცა მიძლავ და მაუწყე და თუმცა შევიძლო ქნასცა ვე-
ცდებიო.“ უთხრა ქორმა. „რომლითაც მიზეხითა გული მიწუსს ვერა
გამიჩხვია და თუცა გარჩევითაცა ვიცოდე ვერ ვიტყვიო.“ უთხრა
ლექსი.

ერთს საკვირველსა კარდს ვსედავ ჩემ შორის აუკავებულსა,
ფერი არა ჩანს რა არის, სუნი უნდოს ამბარ ცსებულსა.

„აწე ვს მქმჯობანების დასტური დამცე, რომე სამიოდე დღე ქვე-
ყანის არეთა მოვიფრინო, სუ თუ აქ იქ სვლათა მოწყენის მტკერი
გულისა ჩემისაგან გაგავოს, რა გუჩება შეწყენილი უცხოთა და
საკვირველთა საქმეთა ნასვასა ეცადოს, მის სასიხარულოდ პირი გულ-
თა სარკეთა შინა დაინახება და გამოჩნდებაო. რა ყოჩანმა გაურის
ამბავი მოისმინა შავი კვამლი პირიდამ ამოედინა. უთხრა ლექსი.

გაი რა მწარეა მაგის თქმა გაურის ამბავი სმენითა,

სსვას რაცა გინდა ისი ჭქენ, გაურას ნუ მეტყვი ენითა.

დაიძასა ყოჩანმა და ხმა ჭყო ძლიერად. „რა სიტყვასა შეიძლო,
ანუ რად მოსაგონი მოგიგონიაო, ესე რა საქსელა, რომელიც წინარე
მოგიღია. მგ საზრობისა სიტყვსა თქმანი ზღვა არს ნავთა დამთქმე-
ლი და ვეშაზთა კაცთა შთამთქმელიო.“ უთხრა ლექსი.

ამ სოფლისა ჯოჯოხეთი მგ საზრობასა კაცისადა,

რად ჩაიგდებ ჭირთა თავსა, რად დაშურები სადა ხადა.

რომელნიც კაცნი მგ საზრობას მონდომებენ ანუ თვსსა სიცო-
ცხლის საჭურველად მოიგონებენ ანუ თვსს სამკვდროდამ გაძებისა-
თვს აქმონენ, ესენი შენ არც ერთი გჭირან, ღუთის წყალობით ერთი
უცილებელი და მოსვენებული ადგილი გაქვს, მდღევარი სასწრო არ
გაკლია და შით სიცოცხლეს აგრძელებ; მე სომ სსვას შეილთაგან
უმეტეს მიძახნისარ და შენს მძათ უფროსად უნდისარ; ესეთისა ყო-
ფისა მქონებელისაგან მგ საზრობის მონდომება, სამკვიდროსა მო-
შორებება, ადგილის დაგდება, ჭკუისაგან შორს არის, ამას წინათ
ძველად უთქუამთ. ცაუზი.

გაის საქმისა გაშვებად კელი არ მიჭყო დაშვებად.

ქარძმან უთხრა. „რასაცა თქვენის კეთილის ჰიჩით მიბრძანებთ ჩემოვს მოწყალება და საიმედოა; მაგრამ რადენსაცა საგონებელთა და ვეკითხები ჩემს გუნებასა შინა ესე სასლი და საჭმელი ჩემად წესად და შესარგოდ ვერ მომიყვანია; ჩემსა საწადელსა სსვა რამ გემოვნება უნდა, რომ მისს ქებას ვერ მივსწდომივარ.“ უოჩანმა იაზრა რომე თჳსი გვარის საქმე გამოუხსნდა და მისს სიტყვის საზღვარს გარდასტილდა და უთხრა. „რომელსაცა მე გეტყვი დასაჯერებელი და შესტკობბელია და რასაცა შენ უბნობ ნადვლის გზა არის და ნადვლიანი ნიადაგ ქვე დაწმომილნი არიან; რომელიცა არას დასჯერდება ვერაოდეს გაისვენებს და ვინცა ჯეროვანის საზრდელისათჳს ღმერთსა არა მადლობს ბედნიერობის ჰატის ვერ შეიძენს. მე მეშინიან, შენ მას აჩქარებულს გატას რომ მოუხდა ისე არ მოგივიდესო.“ ქარძმან ჰკითხა. „როგორ უოთილდა.“ თქვა უოჩანმა არაკი.

3. იყო ერთი დედაბერი მეტად საბრალო და უღონის ძიებით რჩებოდა. ერთი წოდოლო ედგა ურმათა გულთაგანს უვიწროესი, მუნწთა კაცთა საფლავთაგან უბნელესი და ერთიცა კაცა ჰყვა, რომელსა პურისა სასე. საჩკითაც არ გაეცადა; წყენთა სასელი. მასსოვართაგან არ ასე მოდა და ამა უოთასა დაჯერებულ-იყო. მისად საზრდოდ თაგვისა; სოროდამ სუნთა მიდენასა ანუ თაგუთა გავლის გუჳლთა სუნთა ყნოსათა კმა იყოფდა და თუცა ბედისა შეწეკნითა ურთი თაგვი სამ დაეჭირა. ლექსი.

უთ გლასაკმან ძაჯნა განძი იზოოს და დასაროდეს.

რას არგებდა; რას აქნედა, იტყოდა თუ რამცა სჯობდეს.

სისარულით ჰიჩი გაუწითლდის, გარდასული ჰიჩი. დაავიწყდის და ერთს დღეს ხანს რასმე მით გარდაირის და იტყოდის. ლექსი.

ზე ბედო, ამას რომ ვსუდავ ცხადი არის თუ ზმანება,

ესოდენს ჰიჩთა შედგომად რად სვემან მომცა, მანება.

რომ მე ესოდენთა შეჭირვებათა შინა, მყოფმან ესრეთი უსწორო საჭმელი ვიკემო; და ესრეთ მის ბებრის სასლთა შინა რომელსა წელის ნაწყვეტიც ვერ ეძლო. შოვნად, ეგრე მჭლე და მხსავანი იყო შრომითა და მოგონებით რჩებოდა. ერთსა დღესა ნამეტრავის უღონობისაგან ათასის ჰიჩით ერდოზედ ავიდა და ნასა კაცა ერთი მე-

ზობლის სასლის კედელთა ზედა სილადით იარებოდა და ღომს-
ებზე ფერსთა აღრისხვით ვარდასდგმიდა; მეტის სიმსუქნითა თათთა
ხელიად აიღებდა. რა ბებრის კატამა თავისი ჩათესავი ეგრე გაზოხე-
ბული ნახს, საგონებელთა ჩავარდა და ხმა უეცო. უთხრა ტაქსი.

ეგრე დიდროს მრავალი მიტხარ სითა ხარ მავალი.

„შენ ეგრე გასუფთავებული სადაური ხარ, ესრე მესვენებ, მგონია
სატაეთის მეფის მასპინძელობით გამოსრულ იყო.“ მიტხარ. „სადით
მოსვალ და ეგ შენი სიმსუქნე რისვან არის და შენი ძლიერება და
შვენიერება წით მოხდაო.“ მეზობლის კატამ. „უთხრა მეფის ხასუფ-
რალს ვსტამ ამაღ რომე დღე ყოველ ხელმწიფის კართა მივალ, რომსაც
ნადიმთა დასხდებიან ჩემს სიკასკასეს ვისმარებ და მსუნაქთა სორცთა
მივტაცებ და მეორეს დღედმდე ხოყიურად ვიქმნებიო.“ დედაბრის ციცამ
ჭკითხა. „მსუქანი გორცი რაჟაო და მამღრობის ჰური რასა ჭკვიანო, ჩემს
ცხოვრებაში ბებრის ფუშრუკისა და თავის სორცის მეტი გემოთ
არა ვიციო.“ მეზობლის ციცას გაეცინა და ეგრე უთხრა. „მამა
ეგ ყოფილა, შენდა ბებერი არაში გაიჩხევიოთ, ჩვენს გვარს ესეთი
ხასირცხო და საკდემელი საქმე რომ სჭირდეს დიდი აუგიაო; ეგ სა-
ხე და სიმჭლე ხასლიდამ გარგამოგიტანია, ესეთი აუგია ბოლომდე
საგომბელად დარჩებიო. უთხრა ლექსი.

გუდი და უური მიგიგავს მართ ოდენ მარტო კატასა.

ტანი ობობას სადარო ქსლისა მქოვლისა ჰატასა.

თუცა შენ მეფის კარი ხასო და მის გემოანთ საჭმელთ ხუნი
ისუნო, მგონია ფარდაგთა შინა დამალული სული რომ გაქვს გამო-
გიჩნდეს, და ახალი სული მოგედგასო.“ უთქრა ლექსი.

საყვარლის სულმა რა მოყვარის საფლავზე გაიაროსა

რად მიგვირს მკვდარი გაცოცხლდეს, ძვალნი დანაცრდესა აროსა.

დედაბრის კატამ შესტირა. „ჰე ძმაო, შენი მეზობელი და ნათე-
სავი ვარ, რა იქნების ან მეზობლობითა და ახუ ნათესაობითა მოწყა-
ლებისა და ძმობის მცნება აღასრულო და რომცა შენ წასვიდე მეც
თან წამიტანო ნუ თუ შენის ძლით მცირედი საჭმელი მერგოს,
რომე შენის სიმსნითა და ცდითა ერთს ადგილს მივაწიო. უთხრა
ლექსი.

თავს ნუ გაიღებ ღვინთაგან, კიდოდე გაის კაცისად.

ხელს ნუ აიღებ ღირსთაგან აგრეკ უფლისა და ცისად.

მეზობლის ცაცას მისის საჩიურის ტირილითა გუელი დაეწვა და უთსრა. „დღეის წალმა მე შირობა დამიც, ამას იქით უშენოდ მას ადგილს აღარ წავიდეო.“ დედაბრის ციცა მისის იმედუღობით სულა ბას მოვიდა და ერდოდამ ჩამოვიდა და ეს ამბავი ბებერს აუწვა. ბებერმა სწავლა დაუწყო და ეტყოდა. „ჩემო გაუყარო ამხანაგო, მსოფლიოთა ცრუთა ტუეილთა სიტუევათა ნუ მიჭყეები, მცირეთა დაჯერებისა კმა ყოფასა ნუ გაუშვებ, რომე უზომოსა ნდომისა ჭურჭელსა საფლავთა მიწის მეტი ვერა ავსებსრა და ნდომის და სისარბის თვალსა სიგუდილის ძათის მეტი ვერა შეჭკრავს რა. ჩასრისაული.

იკმავე ცოტა, მარტ ვით იოტა, სიმიდირე კაცთა ეს არს ჭკვიანად, ჭკვი გზად მავალსა, შოუნს მრავალსა, თემზედა დარბის უგზოდ გზიანად. ვინც თვსა ბელსა და ღუთის იმედსა მდღეეკარს არ ჯერა რაც აქუს მზიანად და ვერ იცნობს ღმერთსა, მცნებათა ერთსა, არ აღასრულებს ექნას ზიანად.

ბებრის კატასა მის გელმწიფის ჩასუფირალისა ნდომა ასე ტვინში შესულადა, რომე წურთვა და სწავლება მას ველარას არკებდა. შაირი.

უგბილთ სწავლება ცუდია, ბრძენნი აშრობდენ ენასა, ვით ქარი გალიაშია დააზურა მიქრის ზენასა.

ტრფიალს სატრფოლსა უშლიდე მისკენე იწეებს რბენასა და ცხრილსა წყაროთი ავსებდე, მალე იქს ქვე გადაენასა.

რეული.

კატასა სისხლი ჭსწრაფად ჭსდიოდა,

მშვილდოხნისაგან მწარედ ჩიოდა.

ბებერთან რომე თაკვი მშოიდა.

და თაფლი არა ღირს დაჭრად კიოდა.

სულის წასკლისა შიშით ჭრბიოდა,

აღთქმის დადებსა მალედა უფოდა;

რად არ დაეჭხჳრდი, თუძცა მშოიდა.

და ისრის ნაცემი მეტად ჭსტკიოდა.

რს მეორე დღე გათენდა ის მეზობლის კატა მსნედ და ბებრის ციცა ღონღილით სელმწიფის კართა ძლივ მიაწიეს; საწადლის ძალ-მან მისულის უწინარესკე შეატუნა და სიმჭლის ბედმა მის უმის ვაჭრობის ცეცხლსა სიკუდილის წყალი დასსსა. ამ მიზეზისა თვს რომე წინა დღეს კელმწიფის ტაბლასუდ კატები შესრულ-იუგენს საკრძალავი მსასურება გაეშვათ და ჩსავილით და გნავილით მასშინ ძელთა და სტუმართა გული შეეჭირვებინათ. მასშინ კელმწიფეს ებრძა-ნა მარჯვეთა მშვილდოხსნთა თვს დროება და რომელმანცა კატამან უსირცხვილობის ფაჩი პირთა არ დაიფაროს და კადნიერების ახზარეთა მოვიდეს, ვირე ლუგმათა აიღებდეს, ღვიძლის მკერავის. ისრით განს-სკენეთო. ბებრისა კატა ამ აშბისა შუეგებელი, საჭმელთ სუნის ცემა-ზედა ურიდლად შავარდენსაჲით პირი სუფრისა მისაფრნელად ქნა, ჯერეთ გუნებას სასწორის უღლით მძიმე და სუბუჭი ნაკვეთი ვერ აეწონა, მასკე წამსა გულის განმგურებელი ისარი შიგა გავარდა. შაირი.

ძვალ დაკოდელი მირბოდა, სისხლითა რწუეგდა არესა,
მშვილდოხსნს გამობდა, ისწრაფდა მეშველსა მოსასმარესა.
იტყოდა. „რად არ დაკსჯურდი მცირესა მისასვდარესა,
და ვით ღირს თაფლისა გემება ფუთვრის ცემასა მწარესა.“

„ეს არავი ამაღ მოვიუყანე რომე შენ ამ ჩემის ბედის სივიწრო-ესა და მცირეს საზრდოს და გაურჯელს ლუგმას დასჯურდე და რაც გაქვს გამოიზოგე და დიდთა ნუ მოინდომებ, შენ რომ გინდა არამც მის ხარისხსუდ ვერ აღწიოო, და რაც გზა გაქვს ესეც სელადამ გა-გვარდესო.“ ქორმან უზასუსა. „რომელიც შენის მოწყალის თვალთ მხედვარობას ეფერებოდა უკეთი სწავლება და წურთა მიბრძანეო, შ-გრამ მცირედის დაჯერება უღონოთა კაცთა წესიო; მარტო მდღევრის თავსადება გუნება მდაბლის კაცის საქმეა, ვისაც დიდობის სხატთა ჯდომა უნდა დიდს შემოსავალს უნდა ეცადოს და ვისაც თავისის თავის ამაღლება და გვირგვინოხსნობა ჰნებავს საწადლის ზო სტერი უნდა წელთ შემოირტყას, უხვნი კაცნი ძუნწთ საჯდომსუდ არ და-სსდებიან და ჭკვიანნი ავსა და უშვერს სავანეს არ მოიწონებენ და ვერც გაეწეობიან. თქვა შაირი.

სიმაღლის გზათა ვინ ჰპოვებს კაცი საზურულად მჯდომელი,
ფერსი არ შედგან საჩისსთა სიუსვის სავლად მზომელი;
ესეთი კიბე ექებე მთვარესთან მისაწდომელი,

და არჳინ სკას ნაცვლად შაქრისა წვიმა გუბეთა მდგომელი.“

უოჩანმა უთხრა. „ეკე მოსაგონი რომე შენ მოგიგონია და ტვინ-
თა რაც შეგსლვია მაგით მაგ ტანთა საფუძველი ვერ დამტკიცდება.
მაგ ვაჭრობის ქვაბი უნივთოდ ნდომით არ აღუდლება, რომლისა
საქმის ნივთები მზა არ იყოს უმისოდ არა საქმე არ შესრულდება,
რომელსადა საქნელსა გელი არ მიჭყო პირსა ვერ მოგტეხს. უთხრა
ფისტიკაური.

მეფეთ საჯდომთა ზურგთა მიუჩნობა სიტყვთ არ იქნას იცია ოდენ,
თუმცა სამდიდრო წესი და რიგი მზად არა აქვნდეს და ცუდად რბოდენ.

ქორმან თქვა. „ჩემი კლანჯის ძალი საბედნიეროს მოსაგლისა მი-
ზეზია და ჩემი ხარბის მგლეჯელობათა შეძლება ხარისხის სიმაღლის
ნიშანია. არამც შენ სრმლის მგურელის არაგი არ გასმოდეს, რომე
თვისს ჭაბუგობის ძალით გელმწიფის სწორობა და პატვი იშოვა
და ბოლოდ სიუსვის სამოსლითა სამეფო დიდებით შემზადა და და-
იხურა.“ უოჩანმა ჰკითხა. „როგორ უოფილაო.“ ქორმან თქვა არაგი.

4. ძველადგან ერთი მოსაქმე საბრალო მწირი იყო, თვისს ცოლ-
შვილის მღლეკარის სასრდოსათვს შეღონებულ-იყო და მრავლის
მწუსარებისაგან მის ყაშში მისის სიტყვს ხქმის ფურცელზედ სასი-
სარულო ამბავი არ ამოკეთისა, მისის მუშაგობის მოსაგალი მის დედა-
წულს არ ეუოფოდა და მისის სელოსნობის საჩეწავი სასრდელსა
და სამოსელს ვერ შეუსრულებდა. შემოქმედმან დმერთმან მას ერთი
ასეთი ძე უბოძა ჭევიანობით და სიღრმით მიუწდომელი, რომე გელ-
მწიფობისა და ბედნიერობის ნიში შეუბლთა ზედა აჩნდა.“ ტაეში.

სვე ბედნიერი, ეტლ-მშეენიერი, ედემის ბაღთა გველსა ნერგი.

„მისის ფერს ბედნიერობითა მამასა მისსა სიხარული გაუმრავლ-
და; მისმა სვე კეთილობამან მოსაგალთა ჰმატა და წარსაგებელსა გარ-
დააჩინა. მშობელთა მისთა ფერსი მისი ბედნიერად ჰსცადეს. რა ცოტა
მოიზარდა მას ჰსწვრთიდენ და რასადა ასწავლიდენ სსკა რიგად იქმოდა,
იგი მშვილდოსნობისა ამბავთა გამოკითხვიდა, ნიადაგ ფარეკობდა,

როდესაც წიგნის საკითხავად სასწავლო საგანად იგი ახვარებოდა შინა მიიჭრებოდა; ოდესაც წერად კალამს მისცემდნენ ოროლილითა მღერასა მოინდომებდა. სამუდამოდ სრულით ქვეყნის დაპყრობისა სიტუჟათა იტყოდა, ესეთი წერილის კითხვას ეწეობოდა; ცისა მოქცევისაგან ნიადაგ მისი თავი ამაღლებული ენასა. რკული.

რა ოსტატი ასოხ სსმიდა მისი გული სხვას იწურთვიდა
ონით კრძალებრ მტერთა სრვიდა, განსა ფარებრ იფარვიდა.
ინსა ზუხად დაიქმიდა, ტარსა ჭაჭკად ჩაიციმიდა
და ენსა მშვილდად აიბმიდა, სანით ისრად მებრძოლს სრვიდა.

რა ნინკლობისგან ცნობასა და ჭკუასა მოვიდა, დღე ერთ მამან უთხრა. „სე შჯლო, ნიადაგ ჩემი გული შენის საქმისა საგონებელთა შინა არს, ჭაბუკობისა და ყრმებრივსა საქმეთა მრავალი შემთხვევითი წინა უცს, მეშინის ბოროტის მოქმედის სულისაგან ბოროტის მოქმედება შენთა ბუნებათა შინა არ დასთესოს და მხებავს შენისა მშვიდობისა დროსა სიმტკიცის ზღუდითა შემოკვლულად და ერთი შენი საწადელი, რომელნიც ჩვენი მეგობარნი არიან და ჩვენი სახლდომნი მათი ასული გითხრო და ამისას შენ რას იტყვო.“ შჯლმან მიახსენა. „რომელიც მე ცოლად მიიდა, გამომზადებია, მისი მარი უკლებად დამიცს, თქვენ ამ საქმეზედ არ შეგაწუსებო და არც თქვენი შეწევსა და მოხმარება მიიდა.“ მამამან ჭრქვა. „შჯლო შენი საქმე რაცა ვიცი, მგონია გამოწულილვით შემეტყუოს და შენ რომ საცოლოსა შენისათვის იტყვი, ეგოდენი კელის შეწევსა არა გაქვს, ანუ საცოლო შენი ვინ არისო. შეილი ზე ადგა და სასლიდამ ერთი ხრძალი გამოიტანა, შეკენიერთა თავალ-წარაბთაგან ათას რიგად უფრო სისხლის დამთხვევი და ბაკე ბალახშთა ღიმილით ჩენილს მარგალიტთა კბილთა ჩენისაგან უმსწრაფლესად გულთა გამაზობელი. და ჭრქვა. „მამო, დაიჯერე, მე ქვეყნისა და თემთა პატრონობა დამინიშნავს საცოლოდ და უკლმწიფობათა სიდიდე და ზედა მარე გამიკეთიარ და კილოცავ, ამისი გამრიგებელი მოღესილი კრძალი და დვილთა გამაზობელი სახჯალი მომეცესო.“ თქვა ლექსი.

სვე ბედს ვერაჲინ მისწუდების, ვერცა ქვეყნისა ჭერასა.

თუ ბასრსა სრმალსა არ უთსრა ერთი შემოკვრა ჭერასა.

რადგან მის ჭახუგის ბედი მეფობის საშოკრად ამაღლებულ იყო მცირესა უამთა თემი და ქვეყანა სულთ დაიპურა და ქვეყნის მჭირაკის სრმლითა მრავალი სასულემწიფო აღგილი შემოიკრიბა და თქვა. ლექსი.

საწუთროს სძალი არ მისწუდეს ერთის სიძისა მეტასა.

ძმა დად თუ სრმალი არ ასლავს ვერ იქს ქორწილის ჭერეტასა.“

ესე არაკი მისთვს მოვიუვანე რომ ხცნა სვიანობის რიცხვ ზემზედ მოწვენილა და ღუთის მოწყალეებით ბედნიერობის კარი ზემთვის განღებულა და მეცა მქეს იმედი ცოტა სასნა შინა ზემსა საწადელსა მივეწიფო და წადილის მკლავი ზემსა სასურველსა კისერთა მოვხვიო, აწე ამას მოგახსენებ სატუყართა სიტყუთა და მაგ გვარის არაკებითა მე ამ საქმეს არ მოვიშლი და არც ვარე შევიქცევიო. თქვა ტაეზი.

ამას არითა ამ მასარითა არსად წავიდე ტუქსებით არითა.

უორანმა გული დააკვრა რომე მის ქორის მაღალი ბუდე მისის სრკის ბადეთა არ გაებმოდა და ეშმაურის სატუყართა სატუყუარის საკენკითა არ მონინდირებოდა, მეტად მჭმუნვართა გულითა მგზავრობის დასტური დასცა და გაყრილობის დალითა დაკოდელი გული დადალა და ქორი იგი უორანსა და მის მართვეთა გამოესაღმა, მის ბუდიდამე გარდმოფრინდა და ცის კამართა აღფრინდა და დამაშურალობის შემდგომად ერთს მთაზედ დასდა და მსწრაფელ მსედველითა თვალითა მიმოისედჳიდა; ანაზდად ერთი მოკვარე ვაკაბი დაინასა, მას ვაკაბსა მის მთის მიდამო ავანცებინა. ქორმან მისი ნადირობა გორებად მოიღო, შეუტივა, შეიპურა და მისის გემრეილის კორცითა გუნების საწადელი აღგილი აავსო. რა სორცის გემო ხასა ესრე მოეწონა სულისა უკვდავებსა შეადარა მის საჭმლის სიტკობსა სარკებელი სამეურნალთა საქებარი რომლისა თანა მისთა უამთა კეთილი არა ეკებებინარა. და თქვა ლექსი.

საჩემოდ დაბადებულ ხარ, მე გგონებ ზემთვს ქებულა,

სიტოცხლეს შენგან მოკელი, დღედ სიგრძედ იმედებულა.

მერმე გონებათა შინა იტყუადა. „ჩემის მგზავრობის სურვე-
ბლად ესეც კმარა, რადგან ჩემი თავი სამუდამოდ ავის საჭმლის ჭამის
მოკარზინეო და ძნელსა და იწროთა ბუდეთა აღარ ვზი და ძუნწთა
და უბადლოთ ამხანაგთა გაკეშორე და ჩემის გუნების საჭმელთა
კშოობ და შეენიერს ადგილსა და კეთილსა და ბედნიერსა სავანესა
გიყოფები.“ თქვა ტაუბი.

ჩემთვს ახალი ქვეყანა დღეს დაიბადა სრულბობით.

და ამას აქით რაც საქმე დაფარული მოხსწონებულა ჭაერისა
ასპარეზთა შინა. მოძივა იგი მოვიცადო. თქვა ტაუბი.

ვისილო, ცამან ბრუნავმანც ამან ფარდაგთა სურგით რა გამოიღოს.

მერმე ქორი თვისის წადილითა რადღესსამე დღეთა მიმოფრინვი-
და და სინარულითა ფრთა მოძწონებელი გაკაბთა და დურაჯთა ნადი-
რობდა. ერთსა დღესა მალალოთ ბორცუთა ჯდა და მის გარეშემო ნა-
სა ცხენოსანნი მონადირენი, ჯერგა გაშეკებული ფრინველთა აღეკნე-
ბდეს ბაზთა გონება საღისიანათა.

მონადირეთა ტაბლთა ხმა მინდორად გაიწყოდა,

ქორი ისვისა შეპყრობად ჭაერთა აიწყოდა,

გეზული დურაჯ-გაკაბთა ანაზდად მოეწყოდა,

ფრხილ გამსული გავაზი წეროს არ დაესწყოდა.

თურე მონადირე იგი მის ადგილის კელმწიფე იყო და თავი-
სის შინაყმით ნადირობდა, მის მიიის ძირი მოხარეკად მოენდომე-
ნა და გარ ჯერგა შემოეკლო. მის მეუვის წინ გაკაბი აუფრინდა, ქორი
მოუტევა და მან ბელ-მალაღმან ქორმან რა ხასა შემოუტევა, კელმწიფის
ქორს წამოსწრა, გაკაბი იტაცა და წაიღო. რა მეუემ ეს ქორი ნანადირე
გატაცებული ხასა მის ქორის შოკნის ნდომა შეუჭიდა, ესრეთ რომე
გული და გონება მას გაჭყვა და ბრძანა: მტკიცისა და ძლიერის ბრძა-
ნებითა მის ქორის შეპყრობა. მათ სელ-მარჯუეთა და კერსიანთ მოხა-
დირეთა შემზადეს გულყო მასის თუაღად და გარდაცვეს ვისერთა
ზედა და მოიყვანეს, საბედნიერო გზით კელმწიფის საქებურსა სა-
მსახურში მოწვენილი. რა მეუემან მალალოთ მხედველის ქიმიის თვა-
ლით მისი სიმწესურე და გვარინობა გაიცადა და სიკეთესოდ გული
დააჯერა; მასუგან მეუვის გამარჯვებულს კელმწიფე ჯდომის ადგილი

იშოვა და მეფის თითოთა ზედა განსვენებით მჯდომელი შეიქნა, მისი ძუნწითა მეგობრათა და უპატრონათა ადგილთა ნაცვლად ცებრ ამალგებულს ალაგს მიაწვიანა; თუცა მის ყოჩნის მეგობრებას დასჯერდებოდა და მგზავრობა და თემთა და ველთა სლვა: არ დაეწყო, მისი სუე ამ სიმაღლის ხარისხზედ ვერ აღიწყოდა. ამა არაკისა თქმა ამასზედ მოვიყვანე რომე სცნათ მგზავრობა და სიარული სიმაღლესა, და სიდიდეს კაცთა სელთ მისცემს და ჯოჯოხეთით მალალოთა ცათა აღიყვანებს და სუფევას მისცემს. თქვა შაირი.

გაზაფხულია მგზავრობა კაცთა გულისა სავალი,
გულის საწადლის კარდისა გამშლელად გამოსავალი,
ვინ მგზავრობს ნებას ეწევას, არა ედება სავალი.

და თქმულა ღმთისაგან ბრძანებით მიმოვლად სრულ დასავალი.

5. ჰირველად თქმულა: მფრინველნი მოკრებეს და ერთად შეითქუნეს და ერთი სელმწიფე გამოსარჩევლად მოინებეს, რათა წინ გვიძლოდეს და გააგებდეს, ჩვენთა ცხოვრებისა საქმესა იგი იურვიდეს და ჩვენ მისთა ბრძანებათა ვებოძოვებოდეთ და თუცა მტერი საითმე აგვიჩნდეს მისის ბრძოლისა მიზეზი გავაწყოთო. მათ თითო: მან თითო გუჩარი მფრინველი ამჯობინეს და სხვათა მისის გზითა და გამოკრეკვითა მოშალეს, ვირომ რიგი ბუნათვის ითქმოდეს; ამას უძრავლესნი დაემოწმენ და მისი გახელმწიფება დასჯერდეს. ამა რჩევასა ზედა რა გაცხარდნენ, რომე მისი გაბატონება დაემტკიცოს, რომელთამე დაიწუნეს და მათს შუა შოფოთისა ცეტსლი ადგენს და დაჯერების სიტყუა საზღვარს გარდასცილდა და ჩხუბი საბრძოლსა მიჯნათა მიადგა. რომელთამე ბუს შეწევნისა დროშა ამართეს და სხვათა გაშორების ქვა შურდულითა დაუშინეს; მერმელა დასავდეს და ესე ჰირობა დადკეს: ამა შემოკრებულთაგან გარეშე სხვა ვინმე მოსამართლედ მოიყვანონ და მისსა ნათქუამსა დასჯერდენ, და ესე ცუდი შოფოთი დააწუნარონ. ამასობაში ერთი მალჩანი შორით გამოჩნდა, ყოველმა მფრინველმა ხმა ჰყო და თქვეს. „ესე არცა ამა კრებულთაგანია და ჩვენებრ მფრინველთა გვარია და მას ვარჩევინოთო.“ თუცა მრჩეველთა თავნი სხვა და სხვას ცომისანი ერთსა სიტყუათა არა იდგნენ, ერთობის მოსავალი უერთპიროდ არ მდინთულეს და ვერცა

რომლისაჲმე საგონებელი გაქჳს მისსა სასესა ვერ გაიცდიო. რა მადრანი მათთანა მოვიდა ყოველივე მათი ნარჩევი მას უამბეს და მისგან მის საქმისა უმჯობესისა გამოკჳლევას მოითხოვეს. მადრანმა ეგრე უთხრა. „ეგე საქმე შიგოთის მოგონებისა მომატეუებელისა და უმსგავსე ვაჭრობას; ბუჲ დიდობისა და მბრძანებლობისა რაჲ საფერიაო, მას ავსასესა და უფერსა ყოელთა ნების მინდობა ვით იქნებისო. თქვა ლექსი.

მუძლო, ფასკუნჯის ადგილი საფრენლად რას თვის გწადია,

შენ შერცხვე, ჩვენ ვირჯუბოდეთ, ეულავ აუგია კულა დია,

ზღუად ღელესა მუნ წყლისასა, მოიტანეს დიდი საიაზმე ბაღია ძვირ-
ფასი, შემოწირული ქართველთა და კასთა მეფისა ლეონის მიერ და

ზედან ქალგა მძიმედ ნაკერი, შემოწირული აშოთან მუსრანბატონისა მიერ, და დაჭკიდეს ფარდა მძიმე სვიმონ ქართველთ ბატონისა მიერ შემოწირული, დაასვენეს ორი სახარება დიდი მურასა, ერთი თვალთ შემკული, ზეტერბურდთა იმპერატორისა მიერ შემოწირული, და მეორე მინაქრისა მეფის ბაქარისა მიერ ვასტანგის ძისა ქართველთ ბატონისა შემოწირული. და იწყეს რა გურთსეკად წყალთა წინა-მძღუნარი დიდებულისა მონასტრისა ჯვარსა შთასსვენებდა წყალთა შინა-და მდგომარე ივენეს გუნდ გუნდებათ და მწყობრებად განწყობილნი მონაზონნი, განშორებულნი, დაუუდებულნი, მთით და ნაპრალთ კლდეთთ გამოსრულნი ხილვად ნათელთა, ესოდენ ვითა მინდორი ვერ იტყუდა, და ხილვა მათი მსგავს იყო ზეტისა განწყობილთა სპარსენთა რჩეულთა მსედრობათსა. და შემდგომად აღსრულებისა ზღუდეებით და ბურჯებით მონასტრისათ იყო დიდი ცემა ზარბაზნთა, სმა ჭეკისა, და სახარულისა მონაზონთაგან, ესოდენ ვიდრედა იძრვოდა ადგილი, და წირვისა შემდგომად ტრახუზობა და სერი დიდებული შუ საბამად დღესასწაულსა მას ღმთისასა.

მისლქა დიდად ლაკრად, რომელი ადა შენა ზეგარდაშოთა წამის ეოფითა მამამან ათანასი ათონელმან, სასკელსა ზედა ხარებისა ეოკლად-წმინდისასა.

ამისსა შემდგომად წარვედით მონასტრით ქართველთათ მოხილვად და თაუქანეს-ცემად მთა-წმინდელთა მონასტერთა უპირველესისა ლაკრისა ათანასი ათონელისასა. ხოლო იყო სავალად საათისა ექვსისა სიშორე გზისა, და მივიწიენით რა მგზავრ ათანასი ათონელის მიერ აღმოცენებულსა აიაზმასა, სადაცა არს კაკლესია მცირე, გემოთ ეოდენ: ვითარმედ წმინდა მამა ათანასი მოიწია რა ტრახუზუნტით მთა-წმინდად იყო შენებად მონასტრისა მის ლაკრისა, და შემოაკლდა რა საფასე და საზრდო განიზრასა განსლა სოფლად, რათა აღშენებისათჳს. მოირეწოს საფასე ღმთის მთუქარეთაგან, და წარმოსრული მოიწია რა კლდესა იმას, სადა აწ აღმოსდის აიაზმა, ეჩვენა ნათლიდა შემოსილი დედაკაცი გინძე, რომელიცა ეტყოდა. „უკუნ-იქმ მუნეკ რამეთუ საკსებით გუპოვოს საზრუნავი შენი; არამედ ათანასე

დაჭკრთა, და ჩვენება რამე არა გეთილი ჰგონა, და ჰკითხევდა. „კინ ხარ შენ.“ სოლო ჩვენებული იგი დედად ემძანუილისად დაამტკიცებდა თავსა თვსსა. ამაღ ათანასი მიუგებდა. „უკეთუმცა ჭეშმარიტ არიან სიტყუანი, მიჩვენე მე აწ სასწაული რამე, და ანუ სმელსა ამას კლდესა აღმოატენე წყალი.“ მაშინ კეკერთსი გამოუღო ათანასის, ჰსცა კლდესა, და აღმოეცა წყალი, რომელიცა არს მომდინარე დღესამოდე, სარწმუნოებით მიძაკალთა თვს მკურნალი. და თაყუანის-ჰსცა ათანასი გამოჩინებულსა მას და უგუნ იქცა რა საკსედ ეპოვნეს საგანძურნი, და საიფქლენი, და აღაშენა ლავრა. (ამა წმინდინისა ათანასის თანა მოვიდა ქართლით გურატვალატთა ძე იოანე და მონაზონ იქმნა; სოლო ძე მისი ევთიმი მძევლად მოიუწანეს ბერძენთა მეფისად, რომელსაცა გამოსთხოვა იგი იოანემ ლავრად, შემოსა მონაზონად და უწოდა ევთიმი, და შემდგომად აღიდესა შენდობამ ლავრით, და აღაშენეს მონასტერი ქართველთა).

სოლო მივიწიენით რა მონასტრად ლავრად და ჰსცნეს მისლუჩ ჩვენი, ჰკრეს ზარსა და მოგვეგებნენ მამანი ლამპრებითა და ვიეკითა, მოგვართვეს კეკერთსი და მდინარე, შეგვძღუნენ ტაძრად, და თაყუანის ეცით ტრახუზსა და ლუსკმასა ათანასი ათონელისასა და სიმრავლესა მამათა და ძმათა, განვიცადეთ ეკკლესიისა შვენიერებად უცხოად და დიდებულ კედელ ეურქენი მრთლიად ქაშანურისანი, გუმბათი სოფიას კენჭით ჩაწყობილი, იატაკი ქვთ სამარაგდომთა და მარმარითა წითლითა ჰარიზულითა ფერად ფერადად დანასხებულნი, სომღნი და ქორკანდელნი მრავალნი ვეცხლისა, თუჯისა და ჭიქისანი კანდლებით და სასანთლებითური. სოლო აღუწავებულისა მინის სასანთურით შემოსრულისა მზისა ნათელი ედემებრივთა შუქ-მკრთომარეობათა ჰბამევდა. გარეთ მონასტრის ადგილთა შვენიერება, წყარო წყალთა და ხეხილთა სამართსიანობა რაღა მოგითხრა. სოლო ლუსკმასა ათანასისსა, ჰქონდა ჰიჭი მოქცეული, და ვიკითხევდი რა მისთვს, გვითხრობდენ, ვითარმედ კაცთა ვიეთთამე უკეთურთა შეგვასმინეს სულთანს, ვითარმედ ძველთა მეფეთა საგანძურნი მუნ არიან. ვინაცა წარმოავლინეს თურქნი სამებნელად, და ვითარ გერა რამ ჰპოვეს, ჰგონეს ვითარმედ საფლავსა ათანასისსა იქმნებობს დამარხულ სიმდიდრე, და ვითარ ხელ-ჰქევეს შლად და ქცევად, თურქსა

ერთსა ხელი უკუღმა ექცა, და ამით შეშინებულნი წარვიდეს, და და-
შთა ნაქცევი ესე. მერმე შეგვიძღვნენ სრასა მონასტრისასა, დიდუ-
ბულად დაგებულსა, და შემოჭკობენ მამანი, წინამძღუარი და სკეო-
ტილაკი, კაცნი დიდად ჰატოხსანნი და სრულნი სულიერითა ქცევითა,
განსაკვირვო არს სიდიდე მონასტრისა, რომელიცა არს ვითა ქალაქი
დაფუძნებული ძირსა მთისა ათონისასა ადგილსა მადალსა. მუნ გან-
ვათიეთ აღებს, კრებს და კვირიაკე მარხვისა, ვიდრე თეოდორობად-
მდე. აქავე იყო სენაკი ღირსისა იოანე შეეგებულისა გუგუსელისა,
რომლისა თხსცა გვეტყოდენ, ვითარმედ მეფესა ბერძენთასა ახლდა
იგი სიუცსოვისა თხს სძისა მისისა, ხოლო ზეგარდამოახსა მად-
ლისა მიერ განბრძნდა, იჰმნა საცთურთაგან სოფლისათა, იდუ-
მალ განივლტო, შეიმოსა სამოსელი საგლასაკო, მივიდა ლავრად და
ეკედრებოდა, რათა ჰყონ მონაზონ. ხოლო მამანი ჰგონებდეს, ვითარმედ
მდაბიო ვინმე არს და განაჩინეს იგი მწყემსად და ძოვებად თხათა
მონასტრისათა. და იგი დამორჩილებულ აძოვებდა რა თხათა, გა-
ნაწყნის ხელნი განთიად მიმწყურსამდე და ილოცევდის სძითა კილო-
სათა, რომლისაცა მსმენელნი თხანიცა უზმოდ მდგომარე იყვიეს მი-
მწყურსამდე, და ამაღ განხმეს და დაგჭლნეს და მხილველნი მა-
თნი მონაზონნი განკრკვებულ იუვნეს, თუ ვითარ რამე არს, და
უგან შეუდგეს მას იდუმალ, და ვითარ იხილეს ლოცუა და გალობა
მისი და თხათა მათ მდგომარეობაჲ უზმად, მსწრაფლ აუწყეს წინა-
მძღუარსა, რომელმანცა მოუწოდა იოანეს და ჰკითხევდა, თუ ვინ არს.
ხოლო იგი ველარა დამაღკველი გამოუცხადებდა მას საქმესა თვის-
სა ყოველსავე და ეკედრებოდა, რათა მეფისაგან შენდობა ითხოვონ
მისთვის, და მონასტერსა მას მკვდრ-იქმნეს. ამისთვის აღჯდა რა წი-
ნამძღუარი იგი კონსტანტინოპოლედ ეკედრებოდა მეფესა, რათა
რახცა ითხოვონ მისგან, მიეტეს, და მან აღუთქუა. რა ეგრეთ ყოფა,
მაშინ გამოუცხადა იოანე გუგუსელისა თხს, და თუძცადა შესწუნსა
მეფე, რამეთუ უეჭარდა იგი უცხოლსა სძისა მისისა თხს, არამედ ხე-
ბა ჰსცა ამის. შემდგომ მოიგო რა იოანე უზრუნველი ცხოვრებაჲ,
შეიმოსა ხქემა და გარეგან მონასტრისა აღაშენა ეგუტერი მთავარ-
ანგელოზისა, აღიგო სენაკი მცირე და მისცა თავი თვისი ძლიერსა

მოდგაწიებასა; იტყოდენ ამასცა ვითარმედ იოანე ათეკდა რა ღამესა და
ცრემლითა ღოცვასა შესწირვედა, რდესმე მიწულებულსა გელთა შინა
ედრეა დრატკანი ერთი, აღტსკა რა და ისილა განკვირვებულმან, აღი-
ლო და მუნვე ტაძარსა მას შესწირა. სოლო აწ დრატკანი იგი შუა
განუკვეთით, ნასეკარი რუსეთად წარუღიათ, ნასეკარი მუნვე ჭსქეს,
სოლო ვუამბორეთ რა ლუსკმასა სამარხოსა მისისასა, წარმოკვედით
გვალად მონასტრად და ვისილეთ თავი დიდისა კასილისა, თავი
მისაილ სჯნადელისა (ისილე 23 მაისს), და სსჟა ნაწილი მრავალი,
რამეთუარს მუნ სამწირველო 20, და სსკვე ყოველითა სიმდიდრითა.
კვირიაკეთა შუვიდოდით ტრატპესად, რომელსა ზედა მჯდომარე იუჟ-
ნეს სამარად მოზონნი 500, მწუობრნი ღმთისა ცხოველისანი, და
სსკვე იუვის სსერო იგი ტრატპეზი სანოკავითა მრავალ-თვერითა, და
უგებოდეს ტაფა მწუარნი და მასანი თჯთ-თვერნი ნუგეშად ძმთა
და წდეკა ღვანისა წესისებრ და იუვის მიმდემი წიგნის კი-
თსჟა ტრატპეზსა მას, და აჟდარუნებდენ ეჟჟანსა წამის ყოფისებრ
წინამ-ძღვრისა. ღამე მდგომარე იუჟნეს ცხრასა ჟამსა ღოცჟად, და
დიდების-მეტყველებად, და განკვირვებული მათსა მას ცხოვრებასა,
კმადლობდი მრავალ-მოწყალებასა ღმთისასა, რომელმან ღირს-მყო
მუნ მიკრდომად და სილჟად მათდა. ისილეს საკვირველება ღმთისა,
თუ ვითარ ჟამსა უსჯულმთასა დაცუელ არს ადგილი ესე უგნებულად.
აწ ვიტყოდეთ მთა-წმინდისათჯ: ესე არს ევროპისა ნაწილსა ზღჟ-
ათა შინა მსგავსად გუნქელისა, რამედ სმელითცი აქკს სსკალი, ას-
ლოს არს ქალაქი, დიდისა ალექსანდრესი და ზედ-მოაბია სტიითა
ადგილი არისტოტელისა. ამა მათსა პირველ ქრისტეს მოსლვისა ეწო-
და აპოლონიას, რამეთუ მას ზედა აღმართებულ იყო კერპი აპოლონი.
ვინაცა მოციქული ზვკლე მოკლიდა რა ყოველსა სოფელსა, გამოვლო
აქცა, ვითარცა იტყვისა სსკმე მოცულთა (თავი 16 და 17). ცროადით
მოვად-სამოთრავს, გამოვლო აპოლონიას და მოვიდა თესლონიკედ, და
მიერ ბერისად, და ბერიით ათინად, რამეთუ მისლვითა თჯსითა წინათკე
აკურთსა, მოციქულმან, რათა იქმნას ადგილი სამღვდელო, აღსსკვე სსკვირ-
ველებითა, სსწაულლებითა და ნიშებითა, სამყოფელად წმინდათა ადგილი-
სა თჯს და მთისა რჩეულისა. რაოდენნი მონასტერნი და დასაყუდე-

ბელნი კელიანი შენ არიან, და რადენსი ღირსნი კაცნი დაწეებით ვიდრეე მოაქამოდე ჰსცხოვრებენ ღუთივ დაცეუღსა ამას ადგილსა, და დღესაც ცხადად სასილველი საფარველი ყოვლად-წმინდისა ისილკუბის მუნ, რამეთუ თურქნი შიშისა თვს ძრანგთა და ქრისტიანეთასა მცირესაცა ძველსა ნაქცევსა სიმაგრეთასა არა უტეკებენ, სოლო მოაწმინდას 20 დიდნი მონასტერნი ეოფითა და ზღუდეებითა ცისისა უმაგრესთა გალავანთათა მოზღუდეილ არიან, და არცაღა თუ მისედვენ მათ, ჭეშმარიტად საფარველსა ზეგარდამოსა დაუფარავს იგი. სოლო მთა და ტყე ნიგუზითა, წაბლითა, თსილითა და კენასითა არიან ადვსილნი, კაცნი ვითარცა ირემნი ბუდობენ და საშუალ ათონი მთა მადლი, მსგავსი გაკვასიისა, უინკითა აღსავსე, მადინებელი მდინარეთა, ამ მთისა კალთანი სავსე არიან მონასტრითა მრავლითა და ეკკლესიითა ურიცხვითა; რიცხვსა იტყვიან ათას სუთასსა ოდენ. ზოგნი დიდნი მონასტერნი ზოგად-ცხოვრებულთა სამყოფნი, სხვანი მცირედნი კმა-სყოფილთა ბაღითა, კენასითა, მწირის მონასტნითა, წიგნიითა და შესამოსელითა სავსე. უკეთუ ვინმე ზოგად ცხოვრებულთა თანა დგომად ვერ მძლავ მონასტრისაგან მცირესა მონასტერსა მოიყიდის და მას შინა იცხოვრებს. სსუა სენაკები არს დაუქედებულთა წმინდათა კაცთა, სსუა განშორებულთა მძევართა და ესრეთ აღსავსე არს ადგილი იგი ღუთისა კაცთა ღირსთაგან.

უკეთუ გენებოხთ ცნობად, თუ ქართველნი ვითარ იხვერობდენ იერუსალიმსა ესრეთ ვჭზოკენ მუნ წერილთა შინა და გამკვსწერენ.

პირველ ქრისტეანე ქმნილი მეფე საქართველოდსა მირიან სოლოანი ნინოს მიერ წარმოვლენილ-არს, მეფე კონსტანტინე უსილავს, და იერუსალიმად მოსრულ-არს, სადაცა უშოვია ჯვარის მონასტრის ადგილი. ესე არს, სადაცა ლათ სამი სე ანუ სამნი მეგუზნი: სარო, ფიჭვ და ნამძ დარგო სასწაულად, უკეთუ მიეტეოს ცოდვა იგი, და სამივე ერთ სედ აღმოსდა. ამისსა შემდგომად მოაჭრეენიან იგი სოლომონ ტაძრისა შენებასა, არამედ სახმარება მისი მუნ უქმად გამოსხნდა, და მღებარე იყო გარე საჯდომელად კაცთა. სოლო ჯუარცმასა უფლი-

სასა განგებოთა ზენაჲთა მას ზედა დამოჭკიდეს უფალი, და მონაკვეთისა მის სისა ძირი ქვეშე წმინდისა ტრაპეზისა ჭხნანს დღესამოდღე.

შემდგომად მირიან ხოსროვიანისა მოსრულ არს დიდად სახელოვანი მეფე ვასტანგ გორგასლან, რომლისა თვსტა წერილთა შინა მდებარე არს მუნ, ვითარმედ სულტანი მისირ ეგვიპტისა ევედრა მას, რათა წარმოვიდეს ლაშქროთ, განსდევნეს ფრანგნი იერუსალიმით, რომელიცა მაშინ ეპურა მათ და თვით დაიპურას. ამისთჳს მოვიდა სპითა დიდითა, განიოტნა იგინი, დაიპურა იერუსალიმი და ჰალესტინე, რომელნიცა სტერიათ მრავალ-ყამ, აღუშენებია მრავალნი მონასტერნი და მცველად ქალაქისა იერუსალიმისა განუწესებიათ ქართველნი შხუ-დარნი, რომელნიცა დასასლებულან მუნ, ენა შესცვლიათ არაბულად და აწ იგინი არიან გარემოს იერუსალიმისა და ევერათისაცა არაბნი იერუსალიმელნი ქართველნი ნათესავით.

სოლო ამისსა შემდგომად სულიერი ვინმე მონაზონი შავთელი სახელით ჰროსოროე მისრულ-არს მონასტერსა და ლაკრასა წმინდისა სებასსა, დაუედებულ-არს მუნ და მეფესა საქართველთასა ბაგრატ კურატპალატსა საფასე დიდ-ძალი წარმოუცემია ღირსისა მის ჰროსო-რის თჳს, აღსაშენებულად ჯვარის მონასტერისა, და მას აღუშენებია იგი შესაკრებულად ქართველთა.

გვალად დაძველებულა რა მონასტერი ესე ჯვარისა, და გუმბათის ქვეითნი სვეტნი, განუასლებია და დაუსატვირებია შოთას რუსთა-ველსა, მეჭურჭლეთ-უხუცესსა თამარ მეფისასა, თვითონაც შიგ სატია მოსუცებულა. (ესე იყო მთქმელი ლექსთა, რომლითა ქართველთა ხიწმინდისა წილ შემოიღეს ბოროტი ბილწება და განრუჴნეს ქრისტეანობა, რამეთუ უწინარეს ჩვენსა უმეტართა სადთოდ სთარგმნეს ლექსნი მისნი, და ესრეთ ზნეობითაცა იწვეს ბაძუად მოგონილისა მისგან ცრუვისა ზღაპრისა, მან აღსწერა ქალისა ვისთჳს მე თჳალი მელნისა, ჰირი ბროლისა, ღაწვი ძოწისა, და ამისგამო დედანი საქართველთასანი სატად ღუთისა შექმნილისა სახისა წილ ფერადთა იცხებენ, და მიცულებულთასა თმათა მოიბმენ საფრსკედ სულთა).

შემდგომად გვალად დაძველებულა და საკურთხეველსა ზემოთი

კონქი განუახლებთ და აღუშენებთ დადიანს ლეონს და მეუღლეს მისსა ნესტან-დარეჯან დედოფალსა ჭილაძის ქალსა. ორნივე შიგ სატანს. ამისი განმკე ხოლასა შეიღის ომანისძე, მეტეხის წინა-მძღუარი და კვარის მამა ნიკოლოზ ანუ ნიკიტორე, რომელიც ყოფილს კეილი დადიანისა, შიგვე სატია და თეოდოსი მანგლელიცა.

შემდგომად მოუოხრებიათ სპარსთა და სსკათა მამადიანთა იერუსალიმი და ქრისტეს საფლავი ესრეთ, რამეთუ სულტანი ვინმე ძძლავრი იპყრობდა რა იერუსალიმს, მიახარა ტყვე ერთი ქრისტეანე პატრიარხსა, და ეტყოდა. „მე მნებაეს გალაშქრება და ყრმა ესე დამიძარსე, ვიდრე მოსლჳად ჩემადმდე. ხოლო პატრიარხმან ტყვე იგი წარმოუგზავნა მამსა თვისსა იდუმალს, გარნა საფრსითა. ეშმაკისათა ყრმა იგი შთავარდა კვალად კელთა სულტანისათა, რომელიცა მოვიდა რა იერუსალიმად, სთხოვა იგი პატრიარხსა. ხოლო ესე ეტყოდა, ვითარმედ მოგუდაო, და არა უწყოდა, ვითარმედ სულტანსა ჭყავს. ამის თვს სულტანი მიუტებდა ვითარმედ დამიფიცე უკეთუ მოგუდა, და სარწმუნო მიხნდეს ხოლო შეჭფიცა რა პატრიარხმან წმინდისა საიდუმლოსა მიერ, წარმოაყენეს ტყვე იგი. ამას ზედა განრისხნა სულტანი, და ჭბრძანა პატრიარხისა და ერთობით ქრისტეანეთა თავთა წარკვეთად. ოხერ იქმნა წმინდა ეკკლესია, წმინდა საფლავი და გოლგოთა, და ჭქმნეს ასურად ცხენთა და პირუტყვეთა ვიდრე სამოცდა ათთა წელთა.

ხოლო 1529 წელსა ჟამსა ქრთველთა მეფისა დაკითისსა, რომელიცა იქმნა მონასონ და განაგებდა მძა მისი გიორგი, და კასთა მეფისა ნეტარად სსენებულისა ლეონისსა, წარმოავლინა სულტანმან სულეიმან კონსტანტინოპოლით ელხი და მოსწერა მეფეთა ამათ, ვითარმედ იერუსალიმი ქალაქი სჯულისა თქვენისა არს კელთა შინა ურწმუნოთასა, განჭყარენით იგინი და თქვენ დაიპყარით; რამეთუ სამკვდროცა არს თქვენი პირველადვე ვასტანგ გორგასლანის და ჭყრისა გამო. ფრიად ჭსთნდა ესე მეფეთა, შემოიკრიბნეს ლაშქარნი და ათაბაგიცა ყვარყვარე მოერთვა მათ. წარვიდეს იერუსალიმს, აღიღეს იგი, განსწმინდეს ეკკლესია, საფლავი უფლისა, გოლგოთა და სსკანი მონასტერნი დაიმკვიდრნეს იგინი და ეპყრათ ქრთველთა ორმეცდა რვა წელ.

კეთილ-მსახურს მას მეფესა ქართველთა და კახთასა ლეონს მრავალი საფასე წარუგია და თურქთაგანა უღია ადგილი ქრისტეს ვნებათა. წარმოუგზავნია შემდგომად თვისსა ჯვარის მამა იოაკიმ საფასობათა, და მას აღუშენებია ასლად ქრისტეს საფლავი და გოლგოთას მარმარილოთი, ბერძენთა ვრცლად აღუწერიათ სვინაქსარსა შინა ენკენისსა 13, სეკდემბერს სსსენება მეფისა ამის დასსნისათჳს ქრისტეს საფლავისა, სოლო გოლგოთას ჰარტიარისს ცანტის ფესითთ მარმარილოსა ზედა სწერია ქართულად ესრეთ: საქართველოსა ზედა მეფედ ცხებულნი ქართლისა და კახეთისა ღირსად მოსსენებულნი მეფე ლეონ, ასლად განმანსლებელი, და აღმაშენებელი საფლავისა ქრისტესისა, გოლგოთისა და მადლისა კათოლიკე ეპკლესიისა იერუსალიმისა, აღოსრებულისა თათართაგან, მომსუიდეგელი საფასითა თვისითა. რაჟამს წარმოუგზავნა იოაკიმ ჯვარის მამა ქართველი და დაიხსნა სასსენებულად საუკუნოდ მისდა და მომავალთა ნათესავთა. წელთა 1536.

ესევე ლეონ არს აღმაშენებელი მთაწმინდასა ჭილთეოსის მონასტრისა, რომელიცა ზემოარე აღვსწერეთ, მით აღექსნანდრეთურთ, ჰაზით მეფის თეიმურაზისა. სოლო ესე თეიმურაზ იყო ჰაზა მეფის ერეკლესი ცხებულის მეფის თეიმურაზის მამისა. მიგვირს ფრად, თუ რადსა თჳს აქა მოსრულნი საქართველოსაგანნი ყოფილან ესრეთ გარეწარნი, რომელ არს აღმოუგითავსთ ესე და არა უუწუებიათ საქართველოსაგანთა თჳს. ამისსა შემდგომად არაბთა ქრისტეანეთა დაუპურიესთ დიდი ეპკლესია იერუსალიმის ჰარტიარისისა, არამედ ქრისტეს საფლავი, გოლგოთა და გარეთ მონასტრები კვალად ქართველთავე ჰქონებიათ.

სოლო იაკობ აღბესის მოციქულის საწამებელი, საფლავი და მონასტერი, რომელიცა აღუშენებია საქართველოს მეფესა კურატ-ჰალატსა გიორგის, აწ უჭირავსთ სომეხთა. იტყოდენ ვითარმედ რაფხანა მეფეთა საქართველოსათა ამა დიდსა მონასტერსა შინა ყოფილან აქა თუ ვის მიერ აღუშენნეს იერუსალიმის მონასტერნი ისმინეთ:

1. გოლგოთას სადა ჯუარს აცვეს უფადი, ესე ადგილი უშოვნია ბაგრატ მეფეს აღექსნანდრეს ძმის-წულს დიდის საფასითა არაბთაგან, და მასუგან რა გაოსრებულად ლეონს ქართველთა და კახთა მე-

- ფეს სავსით დაუხსნია ქრისტეს საფლავი, გოლგოთა და წმინდანი ადგილნი და მოხსსტერნი, და მარმარიოთ აღუშენებია, წელსა 1534.
2. იაკობ აღფესის მოხსსტერი არს აღშენებული გიორგი მეფისა კურატპალატისაგან.
 3. ჯვარის მოხსსტერი აღშენებული არის ბაგრატ მეფისა კურატპალატისაგან.
 4. წმინდის ნიკოლოზის მოხსსტერი კასთ დედოფლის ელენე ყოფილის ელისაბედისგან აღშენებული, სადაცა წმინდა ნიკოლოზი თვით მჯდარა, და მუნ სენაკიცა მისი ყოფილა.
 5. ღუთის მეტყველის იოანეს მოხსსტერი ათაბაგსა და სანათბეგოელთ აღუშენებიათ.
 6. წმინდისა აბრამ მამათმოავრის მოხსსტერი, სადა ისჯეს შესწორკვდა, ესე დარღვეული აღუშენებია ანაშიძეს გიორგის ლეონის ძეს, 1700 წელსა.
 7. წმინდის ვასილის მოხსსტერი აღუშენებია ამირანორს ამირანდოს და თაყას, დედათ მოხსსტრად არის.
 8. მეორე წმინდის ნიკოლოზისა ჯვარის მოხსსტერთან აღუშენებიათ წულუკიეთა ჰაატას და ქაისოსროს.
 9. წმინდის თეოდორეს მოხსსტერი ჯვარის მამის ქრისტეფორესა და მისთა სათესავთა ზედგინიძეთაგან არს აღშენებული.
 10. წმინდის გიორგის მოხსსტერი ურიათ-უბანში დადინათაგან არს აღშენებული, და მოხსსსენებელიცა მათი მუნვე არს.
 11. წმინდის დიმიტრის მოხსსტერი ქსნის ერისთავს შალვას და ვიშელს ივანეს აღუშენებია, და მათი მოხსსსენება არს მუნ.
 12. დედათ მოხსსტერი წმინდისა ეკატერინისი აქა არს მოხსსსენებულანსკეტელის ტიცის შვილის ამილახბარისა და მახბელთა აღმაშენებელთა მისთა.
 13. დედათ მოხსსტერი მიჩქმისა აღუშენებია რაჭის ერისთავს, და მათი მოხსსსენება არს მუნ. ესე არს ქართველთა დედათა თვს, და აღუმენიანცა არს მუნ ქართველი სახელით ტარიტინა ასული ანჩაფის შვილისა, ორნი მონაზონნი არიან კახნი, სსუა რუისელი, იმერელი და გურიული იმეოფების სულიერად და კეთილად წმინდასა

მას აღგილსა. 14. ბეთლემს და გეთსამანიას არიან სამწირველონი ქართველთანი და კვლად იერუსალიმს არიან სხვანიცა, მონასტერნი, აღშენებულნი ქართველთაგანვე, არამედ მე ვერ შევიგენ თუ ვის მიერ აღშენნეს.

ამა მონასტრებთა შინა არს სამარადისო მოსხენება აღმაშენებელთა მათთა, დაჰკვიდრან კანდელნი მოსახსენებელნი მათნი, ზოგნო გოლგოთას დაზოგნი ქრისტეს საფლავსედ.

კვლად მოთხრობა ჯვარის მონასტრისა თჳს: არის აქა მრავალი წიგნი ქართული, არს მუნვე ლუსკუმა ღირსისა ჰროსოტესი და თვითონცა შიგ სატია, მას შინავ არიან დახატულნი: 2, დიდი და ღირსი მეფე მირიან ზოსროიანი, 3, დიდი და სასელოვანი მეფე ფსტანტ გორგასლან სოსროიანი, რომელმან დაიპურა იერუსალიმი, და ჰალესტინე, აღაშენა მცხეთის ეკკლესია და დასკა მუნ ყოვლისა საქართველოს კათოლიკოსი (რამეთუ შელეტი აღსწერს რა ყოველსა სოფელსა, საქართველოთა შინა სამთა ეპარხიათა ასხენებს, ერთსა ძველს ეგსტათი ანტიოხელის მიერ განწესებულსა, ყოვლისა საქართველოს მთავარეპისკოპოსისასა, სხვასა ვასტანგის მიერ სოსროიანისა დასმულსა და ამთ ორთავე ზემოსად, სოლოქ მესამესა ირავლი ბერძენთა მეფისაგან დასმულსა ქვემოთა საქართველოს იმერეთისად. და ხრისანთოს პატრიარხი აღსწერს რა ყოვლისა სოფლისა ეპისკოპოსოთა, ქართლსა ასხენებს ერთისად სამწყსოდ სამართლად. სოლოქ მეჰკვითხევი რა იერუსალიმის პატრიარხსა, ვითარმედ არა მცირე მე არასა ქართლისა მთავარეპისკოპოსი. მომიგებდა ბრძენი იგი. ვითარ ეგებისო დამცირება მისი, რამეთუ არს დამყარებული დიდისა ეგსტათი პატრიარხისა მოცაქულთა სწორისა და დიდისა კოსტანტინე მეფისა მიერ, და ვინ არს უმაღლეს მათსა. რამეთუ მირიან მეფემანცა მუნ დასწა ყოვლისა საქართველოსა არხიეპისკოპოსი სამთავროსა, და დაამდაბლა ვასტანტ ბერძენთა მეფის კოსტანტინე მონომახის და მოწმებითა და მცხეთას უმაღლეს უწოდა); 4, მუნ სატია მეფე საქართველოსა ბავრატ გურატვალატი დავითიანი, აღმაშენებელი ქუთათისისა და ჯვარის მონასტრისა; 5, დადიანის ასული მარია დედოფალი ქართლისა; 6, შოთა რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესი; 7, და-

დიანი თავისის მეუღლით; 8, აფსაზეთის კათალიკოსი; 9, ტფილელი ელისე; 10, მანგლელი თეოდოსი; 11, ბედიელი; 12, ჯვარის მამა ნიკიფორე; 13, წულუგიძენი პატარა და ქაიხოსრო. ამავე მონასტერსა ცხოვრებულა არსენი ვანსაძე, კაცი ძილფოსოძისი და მთარგმნელი ღრმათა წერილთა. მოძღვარი დაჰყო აღმშენებელისა. იულისის 20 მუნ წამებულა წმინდა მოწამე სალომე, რომელიცა შეიპყრეს უსჯულოთა და აიძულებდეს დატკეპბასა სჯულისასა, სალომე მან მხნემან განბასრა სარწმუნოება მათი, და ამისსა შემდგომ ცეცხლითა და მასვილით უწამებიათ სანატრელი იგი. ოკდომბრის 19 მუნ წამებულა წმინდა ნიკოლოზ დვალი. ესე იყო შეილი მშობელთა მოწმუნეთა, რომელთაცა სიყრმესავე მისსა შესწირეს იგი ღმერთისა, და რა მოიზარდა წარვიდა მონასტერსა კლარჯეთისასა, მონაზონ იქმნა და მრავალი მოღვაწება აჩვენა. ამისსა შემდგომად აღისურვა აღსლუა წმინდად ქალაქად იერუსალიმად თაყუანის ცეცხლად ცხოველს-მყოფელსა საიფლავსა უფლისასა და დადგომად მონასტერსა ჯვარისასა ქართუელთა თანა, ვინაცა შეპყრობილ იქმნა უსჯულოთაგან და მრავალი სატანჯველი თავს-ისსა, ამისსა შემდგომად შიშისა თვს თურქთასა ჯვარის მამის მიერ წარვიდა კვარდ, და მუნ სამარადისოდ გედრებასა შესწირვედა უფალსა, რათა მოწამეობისა ნაწილთა ღირს-ჰყო და იხილა ჩვენება, რათა კვლად წარვიდეს იერუსალიმად, და მამამან გასწავოს შენ, ვითარცა ჯერ არსო. და მივიდა რა მუნ, გამოეცხადა მამასა ჯვარის მონასტრისასა, რათა წარვიდინოს იგი მაკედონიად, და ბრძანებითა მისითა წარვიდინებული ნიკოლოზო, მივიდა რა მუნ, შეურაცხ-ჰყო სჯული წარმითა მათ, რომელთაგანცა შეპყრობილ იქმნა და დაეპატიჟა დატკეპბა სჯულისა, არამედ მან ფრთად განბასრა და აგინა სჯული მათი. შემდგომად წარდგენილ იქმნა იგი წინაშე ამირისა, რომელმანცა ღიქნითა კელ-ჰყო ცოტუნება მისი, და ვითარ არა მოწილ-ჰქმნა მასვილითა წარჰკეთეს მას თავი. იქმნა საკვირველი, რამეთუ მოკვეთილმან მან თავმან სმა ჰყო: „დიდება შენდა ქრისტე ღმერთო, ღირს-მეჲვ დათხევად სისხლისა წმინდისა თვს სასულისა შენისა.“ შემდგომად ამისსა დასწკეს ცეცხლსა შინდა გვამი მისი. სალომე ჰსცნა რა ესე მამამან ჯვარისამან, შესწუხნა ფრთად, სტროდა სამარადისოდ

და აქჲნდა ზრუნჲა მისთჲს, უკეთუ მითჲალულ არიან ღვაწლნი მისნი წინაშე უფლისა. დღესა ერთსა განკვრება დაეცა მას, და ისილსა გუნდი მოწამეთა, დაშორის მათსა მთავარი მოწამეთა გიორგი, სოლო გუნდსა მას შინა ნიკოლოზს დვალი შემოსილი ბრწყინვალებითა, დაეკეთა ბერსა. „ამიერიდგან დააცსრე მწუსარება ჩემთჲს, რამეთუ წამება ჩემი შეწირულარს წინაშე უფლისა.

ივნიის 27. მუნვე წამებულა წმინდა მღჲდელ-მოწამე ლუკა ჟვარის-მამა მუსა-შვილი აბაშიძე, რომლისაცა დედა პირველვე მოსრულ არს იერუსალიმად, და მონასტონ-ქმნილა, და შემდგომად თჲთ ლუკაცა მოსულა მონასტონ ქმნილა, და მოღჲაწე ფრიად და სათნო მონა უფლისა უსწავიეს ენა არაბული, და უხილავსთ რა კრებულთა ღირსება მისი, ოგურთხებით მღჲდლად და დაუდგენით მამად ჟვარისსა. სოლო თურქნი განიცდიდეს რა მსურვალესა ღმთის მოყვარებასა მისსა, შურად აღუდგენ მტერისა რისმე მონასტრის მიხეზისა თჲს, აწვევდეს მას დატყვებასა სჯულისასა, და აღუთქმიდეს ამირაბასა და სიმდიდრესა, არამედ მან ფრიად განბასრად და შეურაცხსა სჯული მათი. ამისთჲს აფთითა წარტყვეთეს წმინდა თაჲი მისი. სოლო მოკვეთილი იგი თაჲი განიცინებდა და მადლობასა შესწირევდა უფალსა ღვაწლისა მისთჲს. ამათ წმინდათა მოწამეთა თჲს სვინაქსარსაცა აღუწერათ და დღესასწაულიც განუწესებიათ.

ამისსა შემდგომად წარკვლით მონასტრად სომქსთა, რომელიცა აღშენებულ არს მეფის გიორგი კურატვალატისაგან, და განკვკვრდი სიკეთესა მისსა, რომე ეკეთი ბრწყინვალე და შემკობილი ტაძარი არა ოდეს მიხილავს.

უსთქვათ ესეცა, რამეთუ შეიკეთა საქართველოსათა სახელოუანთს ხრმლითა მით ძლიერითა აღიმაღლნეს ხმანი მათნი, და ტყვე ქმნილი ქრისტეს საფლავი წარუსრნეს სპარსთა და თურქთა, გამოისხნეს, და იპურეს და აღაშენნეს წმინდანი ესე ადგილნი, და ესეოდენნი მონასტრენი სულისა მათისა საოხად და შემდგომთა ნათესავთა საუნჯედ წარუპარველად დაუნჯნეს, და საქართველოთა შინა სოფელნი და აგარაკნი შესწირნეს. სოლო წმინდათა მამათა ჩვენთა ქართველთა სასარებად ამა ადგილსა წმინდასა სოარცნი განლიებეს მოღვაწეებითა, და სსვაფა

სისხლი დასთიივს. სოლო ვიუთთა ქოიდეს აქედგან თარგმანებს სა-
ღუთოთა სჯულთა, და აღასრულეს ორისავე სოფლისა სულთა და სოფ-
თა დიდებისა და ბრწყინვალებისა მრმატუეებელნი საქმენი. აწ განცვი-
ფრებულავარ, თუ რადსა თვს აწ ქართველთა უგულებელს ჭყენეს დიდნი
ესე და წმინდანი ადგილნი, ანგელოზთაგანცა თაუჲანის საცემელნი,
მრავალნი მეფენი ქრისტეანენი და გინდა ყოვლისა სოფლისა ქრისტე-
ანობა იღუწიან, რათამცა იქონიეს აქა მტირე ადგილი აღსანთებელი კან-
დელთა, ანუ ტრავეზი მსსკერპლის შესაწირავი. არამედ იგი სრულიად
ქართველთა არს და მათი განდელი და მოსსენება არს ამით შინა, რამე-
თუ მათ ნეტართა აღუშენებიათ, რასათვს აწ ერთი ვინმე მათი
მღვდელი არა იმყოფების აქა, მათის ჯვარის მამის შემოსავლითა და
სწავლითა, რათა მათ ძველთა მიცუალელებულთა მოსსენება არ მოიშა-
ლას და აწ მოყოთა სსენება დააწესოს. თუმცა მონასტრები არავე
დაიპყრან, გარნა ამისნი განდელნი ქრისტეს საფლავსა, გოლგოთასა,
და სსვათა მონასტერთა შინა არა დაავსონ, ვინადგან მოკუდავნი ვართ,
ამისს უბრწყინვალესს ადგილს. სადა გვპოვებთ, სადაცა მოინსენებო-
დეს სული ჩვენი. რასათვს დაუგდიათ ესოდენი ჭირნასული! და ანუ
უკეთუ აწინდელნი საქართველოსაგანნი უმეტარ იქმნეს ამის თვს
უითარ არა მოიწია ერთი ვინმე აქა, და არა ჭსტან აქაური ამბავი,
ანუ ქვათა ზედა დაწერილი, ანუ აღმოკვირება წიგნთა შინა, რათა
უეწეებისა ქართველთა თვს, რომელთაცა არა სმენიესთ, თუ რა არის
თურესალბი მათ თვს, და თვთ მეცა არა ვუწყოდი აქამოდუ აქაურნი ესე
უითარი საქმე. ჯიძე რა დიდის უგუნურებით არის დამთურალი ნაყესა-
ვი ჩვენი! სოლო არს მუნ ქრისტეს საფლავსა ზედა მოსსენება ღუთის
მოყურართა მეფეთა ქართველთა და კანთა ლეონისა და თეიმურაზისა,
კვალად ეწერა მეფე ნიკოლოზს ყოფილი. ერეკლე, მე ძინა გიორგი და
ასულნი: მარამი და სუარამან. ამის თვს მეცა ვინებუ და ერთობით
კრებულთა მღუდელთა მთავართა და მღუდელთა ყამბ ვაწირვინე და
მოსსენება განკუთხლე მეფეს ჩვენსა თეიმურაზს და ქესა მისსა მე-
ფესა ერეკლეს მეუღლით, ძით და ასულთ. მათით და ძალისაებრ
ჩემისა ტრავეზი და სერი განკუმზადე, საფასე მივართვი და ვიდდე
სწაულეთ ბრწყინვალედ, მეფენი საქართველოსანი მრავალ ყამიერ ჭყოს.

შემდგომად იერუსალიმით კვალად მიკედით მონასტერსა ქართველთასა ჯუარს და განვიცადეთ კედელთა ზედა წმინდანი მამანი და მოწამენი საქართველოსანი ესატნეს შარავანდედითა და გვირგვინითა ესენი :

1. წმინდა მღუდელ-მოწამე მოსე ქართველი.
2. წმინდა მღუდელ-მოწამე მარინ ქართველი.
3. წმინდა მოწამე ქაინოსტო ქართველი, რომელი აწამა ყაენმა შაჰაბბაზ წმინდათა სატთა თჳს, ქრონიკონსა ტ. 1612.
4. წმინდა მამა არსენი იბადის ქართველი გვარად ვახნაძე ძილოსოძისი.
5. ღირსი მამა ევთიმი გრძელის ქე ქართველი.
6. ღირსი მამა მიქელ ჭუბას ქე.
7. ღირსი მამა იოანე რუსკაძის ქე.
8. ღირსი მამა დანიილ აბა-შვილი.
9. ღირსი მამა იოანე ჭიმჭიმელი ქართველი ძილოსოძისი.
10. ღირსი კათოლიკოზი ქართლისა არსენი.
11. ღირსი ეპისკოპოზი ნიკოლოზ ქართველი.
12. ღირსი მამა კინდ ქართველი.
13. მუნ ცხოვრებული ჯვარის მამა ნიკოლოზ, ყოფილი ნიკიფორე ქე ოძან ჩოლაყა შვილისა, დედით არაკვის ერისთვის ასულისა კაცი სასულაჲანი, წინა-მძღუარი მცხეთისა ქალაქისა, და მოძღვართ მოძღუარი კასეთს, ოდიშს სოფლის გოცსურულისა და იერუსალიმს ჯვარის მონასტრისა და გოლგოთისა სამკვიდროსა ჩუენისა არსიძანდრიტი.
14. მის თანა თეოდოსი მანგლელი რევის შვილი და 15, ნეოფიტე მმართველნი მონასტერთა ქართველთა.

აქა მოკისსენთ ძველთა ქართველთა მთარგმნელთა თვისცა წმინდათა მამთა მეცნიერთა, რომელთაცა გარდმოიღეს ელლისურიდამ სრულიად სამღთო წერილი და საეკლესიოხი წიგნნი.

1. წმინდა მამა ილარიონ ქართველი მთარგმნელი გარდაიცუალა, წელსა ქრისტეს აქეთ 882, ადარნასე (49 მეამდენე) მეფის დროს.
2. წმინდა მამა იოანე მთარგმნელი, მამა ევთიმისა, ქვეყანისაგან ტაოსსა იყო უამსა მეფეთა (50) სუმბატ და (51) კონსტანტინეს, 923 წლითგან.

3. წმინდა მამა ეკთიმი მთარგმნელი მიიტკვალა წელსა 1028, მეფობასა (56) ბაგრატ მეფის გიორგის ძისასა.

4. გიორგი მთაწმინდელი, რომელიცა ამავე ბაგრატ მეფის მოწოდებით მოვიდა მასთან მთაწმინდით 1059 წელსა დაკვალად წარსრული გარდაიტკვალა კონსტანტინოპოლს. 1066 წელსა.

5. იოანე პატრიკე ყოფილი ღილოსოქოსს ზეტრიწად ზედწოდებული და 6. სტეფანე იუშნეს ამავე მეფის დროს 1069 წელსა.

კვალად ამისსავე მეფობასა იუშნეს მთარგმნელნი ესე: 7. ბერი გრძელი, 8. ასალი აბრაჰამ. 9. არსენი, 10. ანტონი მნათე, 11. ვასილი ბაკრატიის ძე. ესენი მოესწრნეს ეკთიმი და გიორგი მთაწმინდელთა, 12. იოანე ანუ ილარიონ თქალელი, მოძღუარი და მასწავლებელი გიორგი მთაწმინდელისა, 13, გიორგი შეეენებული მისივე მოძღვარი და 14. გიორგი ოლთისელი. 15. ეკთიმი, 17. იოანე გრძელის ძე, 17. არსენი ნინო წმინდელი, 18. იოანე ხასუელი ოქროპირი. 19. ზაქარია ბირდატის ძე ანუ შატირისძე.

ხოლო მეფობასა (58) დავით აღმაშენებელისასა 1116 წელს იუგნეს მთარგმნელნი ესე ქართველნი: 20. ეფრემ მცირე. 21. თეოფილე, 22. იოანე ტარიჭის ძე, და 23. არსენი იყალთოელი ვახინაძე, მოძღვარი აღმაშენებელისა და სხუანი, მოსსენებულნი ზემოაჲ აღწერასა შინა მთაწმინდის ივერიის მონასტრისასა.

და ამისსა შემდგომად წარკვედიტ ჯვარის მონასტრით ბეთლემად. მივიწიენით სოფელსა ბეთსაიდას და მუნით ევფარტას, სადაცა ვისილეთ სავლავი რასილისი ოსუბ და ბენიამენის დედისა, და მიერ მივიწიენით რა ბეთლემად მოგვეკუბნეს ძმანი და შეგვიყვანეს ეკლესიასა ბეთლემისასა, იუსტინიანე კეისრისა მიერ აღშენებულსა, დიდსა და საკურველსა, სოფიას კენჭით ჩაწყობილსა, რომელსა ქქონან 56 სვეტნი მარმარისანი, და იატაკნიცა მარმარითა დაფენილნი. ხოლო, ქვეშეთ ტრაპეზისა შთასწურვი შთაგედით გიბითქუბსას მას კლდისასა, სადაცა იშუა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და ვისილეთ ბაგა იგი პირუტყუათა, სადა მიაწვინეს უფალი. ვუამბოროთ შიშით ფრიადით ადგილსა მას წმინდათ უწმინადესსა, რომლისა თჳს წინასწარ-მეტყველმან წინათ მოასწავა, ვითარმედ და შენ ბეთლემ ქვეყანა ეკე იუდასი, არა სადა უძრწე

მეს-სარ მთავართა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინა-
მძღუარი, რომელმან დამწესოს ერთი ჩემი ისრაილი. მიქია. 5. 2. და გან-
ვიცდიდით შობისა მისისა ადგილთა, ქალწულისა მიდგომილისა და ემან-
ნიელის მშობელისა ჰირეკელ-საუგუნიეთა ღმთისასა. მიერ წარმოვიდით
და მოვიწიებით ადგილსა მას, სადა ურთასა ვისმე აქჳნდა მიწა სა-
ყანე, და შეგან ეთესა მუხუდო. მუნ მივიდა მარიაჲ დედა უფლისა თსო-
ვად მუხუდოსა მის, და მან არა მისცა. სოლო შემდგომად იხილა,
რამეთუ სრულიად ქჳად შეცუდილ-იყო მუხუდო იგი, და ჩვენცა აღი-
კჳკრიბენით ქვანი იგი მსგავსნი მუხუდოსანი.

იხილეთ ქრისტეს მოუჭარენო ერნო სიტყვანი მესუთისა ამის
მასარებელისა ესაიასნი, ვითარ წინათვე უწინასწარმეტყველა ყოველთა
ერთა ქრისტეანეთა მუნ აღსლჳა და ჰეშმარტისა შენდობისა მოღება
მუნით. სოლო უკეთუ ვინმე იცილებოდეს, ვითარ სხუელებსა და სიგლა-
საკე სასიკად მეს, და ვითარ ვუძლო წარსლჳაჲ წმინდად ქალაქად
იერუსალიმად, ეგეჳითართა არა იტყვიბ წინასწარ-მეტყველი და შენდო-
ბისაცა ღირს არიან იგინი. გარნა რომელთა უძლავს, და არცა მო-
სუცებულობითა, არცა სხუელებითა, არცა ნამეტნავითა სიგლასაკითა
შეპერობილ არიან, არამედ უღებებით და დაზარებით გარდაიხდინ
ცხოვრებასა თვისსა, და იტყვიან, ვითარმედ ღმერთი ყოველგანვე არს
და არა საჭირო არს აღსლჳა იერუსალიმად. ესენი წინა-აღმდგომად
გამოსხნდებიან ზრძანებისა ღმთისა, პირითა წინასწარ-მეტყველისათა
თქმულისა. ესე სიტყვანი უერად-ელა განათლებულსა და ღმთის-
მოუჭარესა მეუკეთა ქართველთა და კასთასა უფალსა ლეონს, რამეთუ
ესმოდა რა ოსრად დაცარიელება წარმართთაგან წმინდისა სიონისა და
საფლავისა ქრისტესისა, და არა რა ზრუნვა დაედვათ მის თვის გულ-
სა თვისსა სსჳათა ქრისტეანეთა მეუკეთა; ამისთვის შური იშურვას
სასლისა თვის ღმთისა საბოთისა მარადის მოხსენებულმან მან მე-
უემან, წარავო მრავალი საფასე, და წარმოავლინა იოაკიმ ჯვარის მამა
ქართველი წინაშე მთავართა და შისთა არაბთასა, აღავსნა იგინი საფა-
სათა, აღაშენა საფლავი ქრისტესი და გოლგოთათა, და განსწმინდეს წარ-
მართთაგან შეგინებულნი წმინდანი ეკკლესიანი და იწევს წესისაებრ ქრი-
სტეანეთასა დღესასწაულობა სიონს მთასა წმინდასა უფლისასა და ვიდრე

დღეისდელად დღემდე არს ჰაზრისია, მოსხენება სამარადისო და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა იქმნების სანატრელისა მის თვს მეფისა, რომელიცა სანდვილვე მიემთხვია გურთხევესა მას, ვითარმედ გაგურთხოს შენ უფალმან სიონით, რომელმან ჰქმნა ცანი და ქვეყანა. სოლო მე აქამომდე არა მსმენოდეს სასელი ლეონისა და ვევედრე წმინდათა სინოდთა იერუსალიმისათა, რათა შესძინონ მოსხენებაცა ესე: ვითარმედ წათესავნი მის მეფისანი მომავალნი და აწ მსუივენი საქართველოთა ზედა მეფე თეიმურაზ და ძე მათი მეფე ირაკლიოს, მეუღლენი, ძენი და ასულნი მათნი, მრავალაჲსამიერობით, მუნ ცხოვრებულთაგან საუკუნოდ მოიხსენებოდენ.

VIII.

ქართლის ცხოვრებისაგან.

რცა მეოთხე მეფე მირიან მე სპარსთა მეფისა სოსროიანი. აწ ვასსენოთ ცხოვრება მირიანისა მისი ქასრე არდაშირისა სასანელისა.

ვითარმედ შეიწუნარა მეფემან ქასრე ვედრება ქართველთა, შეჭროთ ძესა თვსსა მირიანს ასული ქართველთა მეფისა, და მისცა მეფედ, და დასწა მცხეთას, მისცა ქართლი, სომხითი, რანი, მოვკანი და ჭერეთი. და იყო მირიან მამინ წლისა შვიდისა, და თანა-ჭყუა დედა მირიანისი, და არა დაუტევა იგი მირიანის თანა, რამეთუ უეკარდა იგი, ვითარმედ თავი თვსი, არამედ დაუტევა მამა-მძუძედ და განმკებულად წარჩინებული ერთი, რომელსა ერქუა მირვანოზ, და დაუტევა ორმოცი ათასი მსედარი სპარსი რჩეული, და არა დასსნა ქართლისა საზღუართა სპარსნი იგი ფიცისა მის თვს, რომელ ფუცებულ იყო ქართველთად, არამედ დაჭსნა ჭერეთს და მოვკანს და სომხითს. სოლო უბრძანა მირვანოზს, რათა სპარსთა მათგანი შვიდი ათასი რჩეული მსედარი ყოვლადვე ქალაქსა შინა იზურან მცველად მისა მისისა და ესრეთ დაეზავა ქართველთა, რათა კარნი და ციხენი ყოველნი იზურნეს და შეჭრითა სპარსითა, და სსწა ხიმრავლე სპარსთა არა იყოს ქვეყანასა

შინა ქართლისსა აღრუელად, და იუოს შვილი ესე ჩემი ორსავე სჯულსა ზედა, მამათა ჩვენთა ცეცხლის-მსასურებასა და თქვენთა გერბთასა, რამეთუ შირველვე ამასცა ზედა მოეცა ფიცი. და წარვიდა მეფე ქასრე, და წარუსუნა და დაიმორჩილნა ყოველნი სეკნი კავკასიანთანი, და დასსნა ყოველგან მთავარნი, და უბრძანა მათ ყოველთა, რათა იუუნენ მორჩილ ძისა მისისა მირიანისა, და უბრძანა მირიანსა ძესა თვსსა და მამა-მძუძესა მირვანოზს, რათა ჳბრძოდინს საზარათა, და წარვიდა თვთ სპარსეთად. სოლო ამან მირვანოზ ჳმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთა მომტკიცსა ზღუდენი ნეკრებისა ქალაქისანი. აღიზარდა მირიან მსასურებასა შინა შვიდთა მათ გერბთასა და ცეცხლისსა. სოლო შეუუარნა ქართველნი და დაავიწყა ენა სპარსული, სოლო დაისწავლა ენა ქართული, და ჳმატა შემკობა გერბთა და ბომონთა, კეთილად იზურნა ქურუმნი გერბთანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსასურებასა მას გერბთასა, და შეამგო საფლავი ფარნავაზისი. ესე ყოველნი ქართველთა სათნოებისა თვს ჳქმნა. კეთილად იზურნა ქართველნი ნიჭითა და ყოველთავე დიდებითა, და შეიუუარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა, და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთითგან ქართლს, სომხითს, რანს, ჳერეთს, მოვაკანს და ეგრისს. — ვითარ იქმნა მირიან ათსუთმეტისა წლისა, მოუგჳდა ცოლი ასული ქართველთა მეფისა, და ამას ზედა დაესრულა ქართლს შინა მეფობა და დედოფლობა ფარნავაზიანთა მეფეთა, შეწუსდეს ყოველნი ქართველნი სიკუდილსა ზედა დედოფლისა თვსისასა. არამედ დაადგრეს ერთგულებასა ზედა მირიანისსა. არცა ძალ-ედჳს და არცა ღვიინ იყო ფარნავაზიანთა ნათესავი, რომელიმცა დირს-ქმნილ-იყო მეფობასა ქართველთასა და ესრეთ შეიტკბეს ამის მიზეზისა თვს მეფობა მირიანისა. სოლო მირიან მეფემან უმეტეს ჳმატა კეთილსა ქართველთასა და მოიუუნანა ცოლი საბერძნეთით ჰონტოთ ასული ულიოტორისი სასკელით ნანა, იწყო ბრძოლად საზარათა, და მარადის ჳბრძოდინს, ოდესმე განუდგინ მირიანს ლეკნი, და მათ გამოიუუნანის საზარნი, მიეკების ჳერეთს ანუ მოვაკანს და მუნ ეწევს. ოდესმე გამო იუუნანის დურძუკთა და დიდოთა, მასინ ეწევს და ვერ ოდესმე

ჭსძლეს საზარტო, აწამედ უოკლადკე მიწიან ჭსძლის. ესრეთ მრავალ-
გზის გარდაისადა ბრძოლა საზარტო, და უფროსი ლაშქრობა მისი
იუკის დარუბანდს, რამეთუ მოვიდის საზარტნი და მოადგიან დარუ-
ბანდსა, რათამცა წარიდეს და განსაღეს კარი ფართო, და მუნითმცა
იწყეს გასლჳა სზარტთა ზედა. სოლო ოდეს მოვიდის საზარტნი და-
რუბანდს, მაშინ წარვიდის მიწიან შკელად დარუბანდისა, ოდესმე
უომრად მიწიდიან საზარტო, და ოდესმე ბრძოლით აოცნის. სოლო
კითარ იქმნა მიწიან წლისა ორმეოცისა, მაშინ მოუგუდა მას მამა
სზარტთა მეფე, და დასჯდა მეფედ სზარტეთს ძმა მიწიანისი უმცრეპესი,
რომელსა ერქუა ბარტამ. კითარცა ესმა მიწიანს, მოუწოდა ყოველთა
სზართა თხსთა, შეიკრიბნა და წარემართა ბაღდადს, რათამცა დაჭსჯდა
საუღართა მამისა თხსისათა. და ძმამანცა მისმან შეიკრიბნა სზანი
ურცისკნი, და მიეგება ბრძოლად სეგსა მას ნსსიბისსა; და კითარცა
ისილეს მოსუტებულთა და მარსაზანთა სზარტეთისათა, კითარმედ მ-
სვილი დაეცემის ურთიერთსა, აღჭსდგეს მათ შორის მოციქულად და
ბჭედ, და დასჯერდეს ორსივე მეფენი ბჭობასა მათსა და დასსდეს ბჭედ.
მიწიან იტყოდა სარჩელად: „პირმშო შვილი ვარ მე მამისა ჩემისა,
და საუფლისწულად მეზომნეს ქვეყანანი უცხონი, მკლავითა წა-
სმულნი, და მუნ დღესი ჩემნი დამიყოფიან ბრძოლასა შინა საზარტისა
და მრავალგზის სისსლითა ჩემითა დამიცავს სზარტეთი საზარტთაგან,
ამის თხს ჩემი არს საუღარი მამისა ჩემისა.“ სოლო ბარტამ იტ-
ყოდა ამას ზედა: „თუმცა პირმშო არს იგი, აწამედ ნაშობი არს მსეკ-
ლისა და ნაშობსა მსეკლისსა ყოფის სსვედ, რომელ მას მიხვედ-
რის სამეფონი, სოლო მე ნაშობი ვარ ჭინდოთა მეფისა ასულ-
ისა სზარტთა დედოფლისა, და მოგისმენთა ანდერძი მამისა ჩემისა და
მოგინასავს, რომელ სელითა თხსითა დამადგა გზრგზნი თავსა ჩემსა.“
სოლო მათ განბჭეს და მისცეს მეფობა სზარტეთისა ბარტამს,
სოლო მიწანს გულის-სადებლად მისცეს ბარტამისგან ჯაზირეთი,
და შამისა ნსსეკარი, და ადრებადაგანი, ესე ყოველი ქართლსა, სომ-
ხითსა, რანსა, ჭერეთსა და მოკავანსა ზედა მოურთეს, და წარმოვიდა
მიწიან. სოლო ვიდრედა ჯერეთ მუნ იყო იგი, გარდმოვლეს ოვსთა
ფეროშ და კაცია და განჭყუენეს ქართლი. სოლო მიწიან გარეს გა-

რე გარდავიდა ოკსეთს, მოჭსტუეკის იგი და მოჭსწუა საზარეთადმდე და გარდამოკლო გზა დასავლეთისა. და მოვიდა შინა, და შემდგომად ამისსა წარდენთამე წელიწადთა ჩვეულებიხებრ მოვიდეს საზარეთ ბრძოლად დარუბანდისა. სოლო მირიან წარვიდა შველად და ვიდრე იგი მუნ იყო წუობად საზარეთ, მაშინ უკვე მეფე გუთთა სპითა ურციხესთა შევიდა საბერძნეთს. სოლო მეფე ბერძენთა შეჭრბა სპითა თხსითა, და წინა-აღუდგა. მაშინ მეფემან გუთთამან სთხოვა თავისთავ-ბრძოლად კეისარსა, რომელმანცა ვერ ძალ-იდუა ბრძოლად მისი. სოლო იყო ძე კოსაროს სომეხთა მეფისა, სასულით ბრდატ, რომელი ვასსენეთ ზემო; აღზრდილ-იყო საბერძნეთს, და იყო გოლიათი. მას ჟამსა შინა იყო იგი სპასა თანა ბერძენთასა. იგი გამოაჩნიეს ყოველთა სპათა ბერძენთა, და შემოსეს შესამოსლითა და საჭურველითა კეისრისათა, და კეისრის სასუდ გაუგზავნეს ბრძოლად გუთთა მეფესა, რომელიცა გამოვიდა მუნით და მიეტყვნეს ურთიერთსა. ჭსძლო თრდატ და სელად-შეიზურა, და იოტეს ბანაკი გუთთა. სოლო კეისარმან მისცნა სპანი თრდატს, და გამოგზავნა სომხითს. მამულსა თხსსა. გამოვიდეს სომხითს და გამოასხსნეს სპანი, ერისთავნი მირიანისნი. მაშინ მირიან შეეჭრა წუობისაგან საზარეთასა, და მოიუჟინა სპარსეთით თხსი მისი, ნათესავი მეფეთა, სასულით ფეროზ, რომელმანცა მოიტანა თხს თანა სპა დიდი. და ამას ფეროზს მისცა მირიან ასული თხსი ცოლად, და ქვეყანა სუნანიოგან ბარდავამდე მტკვრისა ორივე კერძი, და დაადგინა იგი მუნ ერისთავად, და სსვაცა ძალი მირითო სპარსეთით, უწყო ბრძოლად თრდატს. სოლო ოდეს მირითვის თრდატ ძალი საბერძნეთით და მომართის მირიანს, და მას ვერ ძალ-ედვის წინა-დადგომად, განამაგრნის ცისენი და ქალაქნი, და მოკლის თრდატ ქვეყანად მისი. და ოდესმე განძლიერდის მირიან სპარსეთით, ვერ წინა-აღუდგის თრდატ, მოკლის სომხითი. ესრეთ დაუცხრომელად იყვს შუგათი მათ შორის წელთა მრავლთა, და არა ვინ იპოვა ოდეს სპარსთა შორის მარტოდ მბრძოლი თრდატისი. და სასულიოვან-იქმნა იგი ყოველსა ქვეყანასა და სძლო ყოველადვე ბრძოლათა თხსთა, ვითარმედ წერილ-არს ჭამბავი მირიან ცხორებებსა სომეხთასა. შემდგომად ამისსა მეფე იქმნა სპარ-

სეთს ძმისწული მირიანისი ძე ბარტამისი, რომელმან მოუგლინა მირიანს მოციქული და ჭრქუა, რათა შეეჭკრბეთ და გარდავლეთ სომხითი და შევიდეთ საბერძნეთად. მასინ გამოვიდა სპარსთა მეფე და მიუგება მირიანს, და შეჭკრბა სიმრავლე ურიცხვ, ვითარა თივანი კელთანსი და ფურცელსი სეთანი სიმრავლითა. გარდავლეს სომხითი, ვერ წინა-აღუდგა თრდატ, არამედ განამაგრნა ცისე-ქალაქნი და წარსტყვევნეს სომხითი, და შევიდეს საბერძნეთად, და ვერ წინა-აღუდგა მათ ბერძენთა მეფე გონსტანტინე, შთავარდა მწესარებასა დიდსა. იწევს ტყუენვად საბერძნეთისა. მასინ არწმუნეს მეფესა გონსტანტინეს კაცთა ღუთის-მსახურთა და ჭრქვეს: „ისილე საკრველება ქრისტესნი და ძლევა მტერთა მოსავთა მისთავან, ვითარ უოკელნი მოსავნი ქრისტესნი წარმღუანებითა ჯვარისათა ჭსძლევენი მტერთა. სოლო გონსტანტინე მეფემან არწმუნა მათი, ვითარცა წერილ-არს ესე განცხადებულად ცხოვრებასა ბერძენთასა, ნათელ-ილო გონსტანტინე და წარმოადღუანა სასე ჯვარისა და ეწყო მტერთსა სპარსთა მათ ურიცხუთა სპითა მცირითა, და ძალითა ქრისტესითა აოტა ბანაკი მათი და მოსწა სიმრავლე მათი. ივლტოდეს ორნი იგი მძანი მცირედითაღა მსედრითა, და მიუდგა უკანა გონსტანტინე და შევიდა სასლუაროთა მათთა, სპარსთა მეფე შევიდა სპარსეთად მეოტი, სოლო მირიან დადგა ქართლად და განამაგრნა ცისე-ქალაქნი. უღალს-იქმნა მირიანს და შეეშინა შემდგომად ოტობისა ქართლით, რამეთუ აღწუედილ-იეგნეს წეობასა შინა უოკელნი წარჩინებულნი მისნი სპარსნი და ქართუელნი. წარჭვავსნა მოციქულნი წინაშე გონსტანტინე მეფისა და ითხოვა მისგან მშვიდობა და აღუთქუა მას მსახურება და მოწყვედა სპარსთა. ჭსთნდა გონსტანტინეს, რამეთუ შიში აქუნდა კვალად სპარსთა მეფისაგან და შემწეობისათვს დაესავა მირიანს, აღილო შვილი მირიანისი მძევლად, რომელსა ერქუა ბაქარ. დაამოუწრნა თრდატ და მირიანს დაამსახლნა. მოსტა თრდატ ასული თვისი, რომელსა ერქუა სალომე ძესა მირიანისსა ცოლად, რომელსა ერქუა რევი. — უჩინა სასლუარო ესრეთ, რომელთა ქვეყანათა მდინარენი დიან და სამსრით მიერთვიან რახსსა. ესე ქვეყანანი თრდატის კერძოდ დაჭყარნა, და რომლისა ქვეყანასა მდიძარენი ჩრდილოთ ჭდიან და მიერთვიან მტკუნარ-

სა მიზიანის კერძოდ დაჭყარნა, და შუამდგომელ-ექმნა მათ და წარვიდა. მეფობდა მიზიან ქართლს, რანს, ჰერეთს, და მოკავანს და აქუნდა ეგრისიცა ეგრის წყლამდე, და მისცა ქსა თხსსა რევს საფულის წულად გასეთი და კუსეთი, და დასვა იგი უჯარძოს რევ და ცოლი მისი სალომე ასული თრდატისი და ცხოვრობდეს უჯარძოს. სოლო ფეროზს სიძესა მიზიანისსა აქუნდა ქვეყანა, რომელი ზემოთ ვასსენეთ მიტეულად მიზიანისგან, და იყო იგი მუნ ერისთვად. მას უამსა შინა მოსრულ-იყო წმინდა და ნეტარი დედა და ემბაზი ჩვენი ნინა და დაეყო მცხეთას შინა სამი წელი და განაცხადა ქადაგება ქრისტეს სჯულისა, იქმოდა კურჩებასა თხნიერ წამლისა, და სძამალლად იწყო ქადაგებად სჯულისა ჭეშმარიტისა ქრისტეს ღმთისა ჩვენიასა. ოდეს ქართლი მოაქცია წმინდამან ნინო ქრისტეს ამაღლებითგან გარდასრულ-იუწინეს წელნი სამას ოცდა ათერთმეტნი.

მოაქცევა მიზიან მეფისა და ყოვლისა ქართლისა წმინდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა ნინა მოციქულისა მიერ.

და ვასსენოთ ცხოვრება წმინდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა და ყოვლისა ქართლის განმანათლებელისა ნინა მოციქულისა, რომლისა თჳს მანვე ნეტარმან მოგვიითხრა უამსა აღსრულებისა მისისასა, რომელი აღჭსწერა მორწმუნემან დედოფალმან სალომე, უჯარძოსამან მის ცოლმან მიზიან მეფისამან, ასულმან თრდატ მეფისა სომესთასამან. და იყო მათ უამთა შინა ოდეს წმინდა გიორგი კაბადუკიელი იწამა ქრისტეს თჳს, იყო კაბადუკიამთ ქალაქით კაცი ვინმე მთავარო შესაბამი მონა ღმთისა სასელით ზაბილონ. და ესე წარვიდა ჰრომედ წინაშე მეფისა მაქსიმინესა მსასურებად და ნიჭისა მოღებად მისგან. და მათვე დღეთა შინა კაცი ვინმე იყო კოლასტრას შინა, და ესხნეს მას ორ შვილ ძე და ასულ და სასელი მისა მისისა იობენალ, სოლო ასულისა მისისა სოხანსა, აღესრულნეს ქმარი და ცოლი იგი, და დაჭშეთს და-ძმანი ობლად, აღდგეს და წარვიდეს ქალაქად წმინდად იერუსალიმად, იმედ ჰყუწს იმედი იგი ყოველთა ქრისტესანეთა და მიეკედრნეს მუნ. ესე ძმა იობანალი მიემთხვია დეკტლარობასა, სოლო დაჲ იგი მისი სოხანსა ჰმსასურებდა ნიამორსა ხარჩა ბეთლემელსა, სოლო ესე ჰაბუვი კაბადუკიელი სასელით ზაბულონ, რომელი ვა-

სსენეთ მიიწია ჭრომელ წინაშე მეფისა, და აღდგომილ იუწენეს მას ჟამსა ბრანჯნი ბრძოლად ჭრომთა ველსა ზედა ჰატალანისასა. მიჭსტა უფალმან ძალი ზაბულონს ჭაბუკსა მას კაბადუკელსა, და ჭქმნა წინა-აღდგომამ მტერთა მათ უზომოჲ, და იოცნა ბრანჯნი და შეიპყრა მეფე ბრანჯთა, და ყოველნი იგი მთავარნი მათნი, და მიიუწანსა იგინი წინაშე მეფისა. სოლო მეფემან განაწესა სიკვდილი მათი. მასინ იწყეს ტირილად ბრანჯთა მათ, და ევედრებოდეს ზაბილონს. „მოგვეც ჰირველად სჯული შენი, და შეგუწესენ ტაძარსა ღმთისა თქვენისსა და მასინ იყავნ სიკვდილი ჩვენი, რამეთუ შენ მიერ შეპყრობილ-ვართ, და შენვე ჭყავ ესე ჩვენ ზედა, და უბრალო იქმენ სისხლისა ჩვენისაგან ახოვანო.“ სოლო ზაბილონს ვითარცა ესმა ესე, მსწრაფლ მივიდა იდუმალ ჰატრიარსისა ფარულად მეფისა და აუწყა ყოველი. სოლო ჰატრიარქმან მისცა ნათელი სელსა ქვეშე ზაბილონისსა და შეიყვანეს ტაძარსა ღმთისასა, აწიარნეს საიდუმლოს სორცსა და სისხლსა ქრისტესსა და უჩვენეს დიდებანი იგი მოციქულთანი, და დილეულ ადრე აღჭსდგეს ბრანჯნი იგი და შეიმოსეს სამოსელი სამკუდრო, განვიდეს ადგილსა მას კაცის საკლავსა სასისხლესა, ილოცადეს და მადლობდეს ღმერთსა ნათლის-აღებისა თჳს და იტყოდეს, ჩვენ სიკვდილსა ამას შინა უკვდავნი ვართ, რამეთუ ღირს-გუყვნა ღმერთმან ესე-ვითიარსა დიდებსა მიღებად საგ ზალსა მას დაუღვენელსა, სორცსა და სისხლსა ქრისტეს ძისა ღმთისა უკუდავისა, რომელ უმადლეს არს ყოველთა მათთა, და უქვესკნელეს ყოველთა უფსკრულთა, რომელ იგი არს კურთსეულ უკუნისამდე. სოლო ვამ მშობელთა ჩვენთა ნაყოფთა სიმწარისათა და მკვდრთა ბნელისათა, და სმობდენ. „მოკვდინ მესრმლე და აღისვენ თავნი ჩვენნი ჩვენგან.“ ამას რა იტყოდენ იგინი, სედვიდა ზაბილონ, აღიძრა გონებითა და სტიროდა მწარედ. რამეთუ ვითარცა ცხოვართა თავნი მათნი კლუად წარკეპურნეს, და ვითიარცა კრავთა შეილთა მათთა საწყალობლად ილოვდეს მასინ მოწყალე ქმნილი ზაბილონ ამათ ზედა შევიდა მეფისა და გამოითხოვა მეფისაგან სამკუდროდ შეკაზმულნი, რომელნიცა მიმადლნა მეფემან და ჭჭქუა. „მომინიჭებთ იგინი შენდა, და რამცა გნებავს უყავ მათ. მასინ ზაბილონ განუტყვნა სოლო იგინი ევედრებოდეს ზაბილონს, რათა წარჭეკეს ქვეყანასა მათს

და მისცეს სჯული ქრისტესი ნათლის-ღება წყლითა ყოველსა ერსა მათსა. სოლო მან ისმინა გუდრება მათი, და მოითხოვა მღვდელი პატრიარქისაგან და ბრძანება მოიღო სსჯთა მიზეზითა რითაჲ მეფისაგან და წარვიდა მათ თანა. და ვითარ მიეხლნეს დღისა ერთისა სავალსა, მოვიდა წინა ჭამბავი, ვითარმედ მეფე ცოცხალი მოკალს და ყოველნი მთავარნი მის თანა. შეიძინეს ათნი საერისთონი: სოზამოა, სოზაი, გასლაჯაი, სონებავი, სინიჭრავი, ზაჯაი, ზავაი, ზარდაი, ზამიკაი და თომნი და სამეფოა. მიეგებოდეს ესე ყოველნი მდინარესა ზედა დიდსა და ღრმასა. დააყენნა მეფემან ერი იგი წყალსა ამიერ და იმიერ, აკურთხეს წყალი იგი, და შთასდა ყოველი იგი ერი და განიბანეს და აღმოსდეს აღმოსავალსა ერთსა, და დასდებდა მღუდილი ყოველსა მას ერსა სელსა, და იყო მუნ ათ დღე, და აზიარნა საიდუმლოსა. ქრისტესსა ერი ყოველი, დაუტევნა მღვდელნი, განუწესა წესი ყოველი, და ამისსა შემდგომად მისცა მშვიდობა ყოველთა, და წარვიდა ნიჭითა დიდითა რომედ, და განიზრასა გონებასა თვსსა, წარვიდე ირუსალიმად და ვმსას-ურთ ნიჭითა ამით ადგილთა ღუთისათა. წარვიდა ზაბულონ და განუყო ყოველი იგი მონაგები გლასაკთა, და პირველ სსხებუელი იგი დეკტაღარი პატრიარქ ქმნილ იყო, და ფრიად დაიპეგობრნეს ურთიერთარს ზაბულონ და პატრიარქი. ჭრქჳა სარანათორმან პატრიარქსა. „ესე ზაბულონ მამაა და ემბაზი ბრანჯთა, კაცი სრული ღუთის მოშიშებითა და სიბრძნითა, მიეც უკვე დააშენი სოხანსა ცოლად მისსა.“ და ჭხთნდა წმინდასა პატრიარქსა, და მისცა სოხანსა ცოლად და წარვიდა თვსად ქალაქად კოლასტრად.

ესე წმინდა ნინო მოძღუარი ქართლისა მათგან იშჳა ოდენ მსოლად თხნიერ სსჯსა შვილისა, და აღზარდა დედამან სოხანსა მსურებასა შინა გლასაკთასა, და ვითარმედ იქმან ნინო ათორმეტისა წლისა მშობელთა მისთა განჭყიდეს ყოველი მონაგები მათი, და წარვიდენ იერუსალიმად. მასინ ზაბილონ დაიწერა ჭვარი პატრიარქისაგან და იჯმნა ცოლისაგან თვსისა. შეიტკობო მკერდსა თვსსა ასული თვსი წმინდა ნინო, და დაღუარნა, ვითარცა წყარონი ცრემლნი თვალთაგან პირსა მისსა. და ჭრქჳა. „შენ მსოლოო ასულო ჩემო, ესერა დაგიტეობო ობლად ჩემგან, და მიგათუალავ შენ მამასა ზეცა-

თასა ყოველთა მზრდელსა ღმერთსა, რამეთუ იგი არს მამა ობოლთა და მსაჯული ქერიოთა, და სუგეშინინ შენ შეილო ჩემო. შენ სოლო მზრიაძე მაგდაღინელისა შური აღილე ქრისტეს სიუწარულისა თჳს და დათა მათ ღასარესთა, და თუ ეგრეთ შეიუწარო იგი, ვითარცა მათ მან ეგრეთვე მოგცავს შენ ყოველივე რაჲცა სთხოვო.“ დაუტკვა ამბო-რის ყოფა საუკუნოჲ და წარვიდა წიად იორდანესა კაცთა მათ თანს კელურთა, სადა ყოფა მისი უწუის ყოვლისა დამბადებელმან ღმერთმან, სოლო დედაჲ მისი მისცა ჰატრიაჩქმან მსასურებად გლასაკობ დედათა, და წმინდა ნინო მსასურებაჲ ნიაფორისა სომესსა დვინელსა რრ-წელ და ჰკითხვდა ყოვლადვე ვნებათა მათ ქრისტესთა ჯუწარ-ცმისა, დაფლჳს აღდგომისა ძალსა, და სამოხლისა მისისა ტილოთა და სუდარისსა მიწუებით ყოველსა, რამეთუ არავინ ყოფილა-იყო, და არცა იყო შორის იერუსალიმსა სწორ მისსა მეტნიერებითა სჯულისა ძველსა და ახალსა ყოველსავე ზედ-მიწევნილ. სოლო იწყო მან უწუებად მისსა და ჰქრქვა: „კხედავ, შეილო ჩემო, ძალსა შენსა ვითარცა ძალსა ღომისა ძუისსა, რომელი იზასებნს ყოველთა ზედა ოთხ-თეურსთა, გინა ვითარცა არწივი დედალი, რომელი აღვიდის სიძალდესა ჰჯერთასა უფროს მამლისა და ყოველი სმელეთი გუგასა ოქაღისა მისისასა მცირისა მარკარიტისა სწორად შეიყენის, განისიღის და განიცდის საკმელი მისი ცეცხლგებრ რაჲ ნასის, მიუტკენის ფრთენი და მიეტკევის მას ზედა, ეგრეთ იყოს ცხოვრება შენი. აწ ვიწყო და მიგითხრა შენ ყოველივე: რდეს ინელეს ღმერთი იგი უკუდავი კაცთა მოკუდავთა ქვეყანასა ზედა, რომელი მოხრულ-იყო მოწოდებად წარმართთა, ვითარცა თჳთ ინეს ხსნა სულისა, იწყო კეთილის-ყოფად ჰურიათა, მკუდართა აღდგინე-ბად, ბრძათა აღსილვად, სნეულთა განკურნებად. ესე შეიშურვეს, შე იზრასნეს და წარავლინეს სტრატონი ყოველსა ქვეყანასა სწრაფით მოხლუად ჰურიათა და ჰქრქევს: რამეთუ ესერა წარვსწყმდებით, მოკვ-დით და შემოკჰკრბეთ ყოველნი. მაშინ მოიწივნეს ყოვლით ქვეყანით კაცნი მრავალ-რიცს-უნი სწავლულნი სჯულსა მოხესსა, რომელნი იგ-ანტაკრად წინა-აღუდგეს ს-ულსა წმინდასა, ანტაკრად რაჲ იგი ჯერ-იყო ყოფად ქვეყანასა მათ აღასრულეს, ჯვარს-აცვეს და სამოსელსა ზედ მისსა წილ-იგდეს, და სჴდა წილითა ჩრდილოელთა მცხეთელთა მო-

ქალაქთა გუბერნი იგი უკვერავი: სოლო დაფლეს რა იქნა და დაჭკრმა ლეს საფლავი მისი, არამედ იგი აღჭხდვას, ვითარცა ჭსთქუა პირველ და ტილონი იგი ჭპოვნიეს საფლავსა შინა, და შემდგომად რაოდენთამე უამთა მოვიდეს სელთა ლუკა მასარებელისათა, და დასსნა იგინო, სადაცა თუთ იცის. სოლო სუღარი არა იპოვა, არამედ ჭსთქუეს ვიეთმე პეტრეს თვს, ვითარმედ სელაქიოთა აღსმადო და აქუსო მას, არამედ განტსადებულად არა გვთხრეს. სოლო ვუბრნი ამსვე ქალაქსა შინა დამარსულ-არინს, არამედ ადგილი მათი არა ვინ იცის, რდეს ინებოს ღმერთმან გამოსხნდენ იგინიცა.“ ვითარცა ესმა ესე უოკელი წმინდასა ნინოს ნიაფორისგან, მისცა გურთსევა და მადლი ღმერთსა, და კვალად ჭკითხსა. სადა არს ქვეყანა იგი ჩრდილოსა, სადაცა არს სამოსელი იგო უღოვისა ჩვენისა? ჭრქუა ნიაფორმან. ქალაქი მცხეთა, ქვეყანა ქართლისა, სომსითისა, მთიულეთი არს საწარმართოჲ, რამეთუ უამსა ამას უუიკთა სასელამწიფოდ შექმნილ-არს იგი. სოლო მათ დღეთა შინა მოვიდვ დედა-გაცი ვინმე ეფესოთ, თაყუანის-ცემად წმინდისა აღდგომისა, და ჭკითხვიდა დედა-გაცსა მას ნიაფორი, ვითარმედ ელენე დედოფალი ვუბრეტა ეგე-ვითარსა ცთომასა და ხელსა შინა არსა? სოლო მან ჭრქუა ესრეთ. „ვითარმედ ვარ მხეველი მათი და მასლობელი განზრასრასა მათსა უოკელსა ცხადსა და დაფარულსა, და ვუწვი მე მისი, რამეთუ აქუს მას დიდი წადიერებაჲ ქრისტეს სჯულისა და ნათლის-ღებისა თვს.“ სოლო ესმა რა ესე დედა-გაციისა მისგან წმინდასა ნინოს, ჭრქუა ნიაფორსა ესრეთ. „ვითარმედ წარმგზავნი მე და მივიდე დედოფლისა ელენესსა, ნუ უკვე მივესლო სიტყვს-გებად ქრისტეს თვს წინაშე მისსა.“ სოლო ნიაფორმან აუწყა ვატრიარქსა წადიერება ესე და საქმე ნინოსი. მასინ ვატრიარქმან დედის ძმამან მისმან მოუწოდა წმინდასა ნინოს დის-წულსა თვსსა, და დაადგინა იგი აღმოსავალსა წმინდისა საკურთხეველისასა, და დაასხნა სელნი მისნი წმინდანი მსართა ზედ მისთა, სულთა ითქუნა ცად მიმართ სიღრმით გულისა მისსათ და ჭსთქუა: „უფალო ღმერთო საუგუნეთაო, სელთა შენთა შეკვედრებ რბოლსა ამას შეიღსა დისა ჩემისასა, და წარვაკლინებ ქადაგებად ღმერთებისა შენისა, რათა ახაროს აღდგომაჲ შენი, სადაცა სათნო იყო სრბა ამისი ექმენ, ქრისტე ღმერთო, ამას თანა-მოგზაურ, ხაკოსანდგურ, მოძღუნარ,

ენა-მეცნიერ, ვითარცა უწინარეს ამისსა მოშიშთა სასკელისა შენისათა, და უფმნა დედისაგან თვისისა ამბორის-ყოფითა განშორებისათა, და გამოსასა მას ზედა სასწაული ჟვარისა, და ესრეთ ღოცვთა ღმთისა მიძარბო და კურთსეკითა განუტყვა.

და წარემართა წმინდა ნინო დედა-კაცისა მის თანა ეფესოთ მოსრულისა, და ვითარმედ მოიწივნეს სამეფოსა რომს სასიღ დედაკაცისა, რომელსა იგი თანა-მოგზაურ ექმნა, ისილეს მუნ დედოფალი ვინამე ცომი მეფეთა, სასკელით რიფსიძე, და დედა-მძუძე მისი გაიანე, რომელნი ესე იყოფოდეს მონასტერსა შინა ქალ-წულთასა, და ჰსუროდათ ქრისტეს თვს, და მომლოდინე იუჟნეს იერუსალიმით ნათლის-ღებასა. მაშინ დედა-კაცმან მან წარუდგინა წმინდა ნინო, და აუწყა საქმე მისი დედოფალსა რიფსიძეს. რომელი იგი ისილა რა ქრისტეს მოუჟანგმან რიფსიძე, სიძისარულით შეიტკებო და შეიწყინარა სასიღ თვისად წინაშე მისსა წმინდა ნინო სელთაგან მის დედა-კაცისა თანა მოგზაურისათა. და ესრეთ იყოფოდა რა მის თანა წმინდა ნინო, მასვე შინა წელიწადსა ნათელს-იღო რიფსიძე, რომლისა თვს იგი სურვიელ-იყო, მის-თანა გაიანეცა დედა-მძუძემან მისმან და სსუათა მათ სასლეულთა მისთა, რიცხვთ ორმეოცდა ათთა სულთა, სელსა ქვეშე წმინდისა ნინოსსა და იყოფოდეს მონასტერსა შინა თვისსა და მათთანა წმინდა ნინო ორწელ. მათ დღეთა შინა წარავლინნა კეისარმან ძიებად ქალისა ქმნულ-კეთილისა და შეკენიერისა, რათამცა უზოვეს ღირსი ცოლად მისსა, და ვითარმედ მოიწივნეს მეძიებულნი იგი მონასტერსა ქალ-წულთასა და ისილეს და განიცადნეს რიფსიძე, და გამოიკითხეს გჳარი მისი და სცნეს მეფეთა ნათესავობა მისი, ფრიად სთნდა შეკენიერება მისი, რომლისა ვერასადა ესიღვა მსგავსი სილუითა და შეკენიერებითა. და გამოსასეს სასე შეკენიერებისა და სატისა მისისა ფიცარსა ზედა და წარჰგზავნეს წინაშე კეისარისა, რომელი ისილა რა კეისარმან ფრიად სთნდა და სისარულითა აღივსო და განაწესა აღსრულება ქორწილისა მრავლითა სისარულითა, რომლისა თვსცა მსწრაფელ წარავლინნა მოციქულნი და განმგებულნი ყოველთა შინა საბრძანებულთა მისთა, რათა ყოველნი დიდრთა სისარულითა მოვიდენ ბრძანებითა ამას ქორწილსა სამეფოელსა. ხოლო ისილეს რა ყოველად-წმინდათა მათ დაფარული იგი მანქანებად მტერისა, და ისარნი

ხოლო აქენდა ზრუნვაცა დიდისა ლავრისა, და კიდრემდის ერჩ-
დეს კეთილად განაგებდა, ხოლო უგანასგნელ იწყეს თავსედობად და
ამბოხებად და წინა-ამძღვართა ზედას ზედა ცვალებად, და უმეტეს
აღორძნდებოდეს ამბოხება მათი, კიდრემდის სამეფოდ აღვიდეს და
აუწყეს შოროთისა მათისათვის კოსტანტინეს მეფესა. ხოლო ცნა
რა მეფემან, ვითარედ დიდი ეფთჳში არს განმკებელი მათი აღუწოდა
მას სამეფოდ, რომელი ყოველი ჭეშმარიტი ისწაოს მისგან. რომელი

დიდი სარწმუნოება და სიუკარუელი აქუნდა მისა მიმართ ღირსებისა მისისათვის:

და ვითარცა წარვიდოდა წინაშე მეფისა შეკრიბნა ძმანი ყოველნი და ნუგეშინიჭსცა და ტაბლა კეთილი განუმზადა. და დიდად პატრიუ-ჭსცა, და იჯმნა მეფისაგან, და მეტე წარვიდა სანატრელისა, და ქრისტეს ნების მეოფელისა თეოფანე სუცისა, რომლისა მიმართ დიდი სიუკარული აქუნდა მამასა ეფეთჳმის, რამეთუ სიყრმითგან აქა აღზრდილ იყო და ყოვლითა სათნოებითა განშეკენებულ იყო, და იყო იგი მღვდელი სათნო უფლისა და სწავლული ფრად, და გელოვნებით მიწეგნილი წიგნთა საღთოთა, რომლისათჳს ჰსწამებდა მამა, ეფთჳმი, ვითარმედ უფროს ათას სუთასისა დრაჰკანისა უწერიან წიგნნი მონასტრისანი შინათ და გარეთ, და ვინათგან არსენი და იოანე შეისტესნეს მრავალ-გზის მას ჰკითხავს სულიერად მამა ჩვენი: ამას უკრძალ ნეტარისა ბერისა წარვიდა და მოიგითსა იგი, ტირილით და ლოცვასა ეკედრა. ხოლო იგი მოესკია და ცრემლით ჰკრქუა. „ვითარმედ ვაძე უბადრუკსა, რომელი არღარა ოდეს გისილო შენ კორციელად, წმინდაო მამაო, თჳთ მამაცა ეფთჳმი ეწამებოდა სიტყუათა მისთა, რომელი იგი იქმნაცა და აღესრულა ორთავე წინასწარმეტყველობა.

რამეთუ ვითარცა ვთქუ აღვიდა ღმერთ-შემოსილი მამა ჩვენი ეფთჳმი სამეფოდ, და ვითარცა ცნა მეფემან მოხლჳა მისი დიდითა პატრიოთა მოიგითსა იგი, და გამოჰკითხა საქმე ლავრისა, და ვიდრე დაურკებადმდე ყოვლისა საურავისა მრავალნი უამნი გარდასდენ და მოიწია დღესასწაული წმინდისა იოანეს ღუთის-მეტყვეელისა, და ვითარცა აქუნდა ჩვეულება დიდებულად გარდაისადა და მრავალნი გლასაკნი იღუაწნა და მონაზონთა მათ, რომელთა თანა იყო კეთილად ნუგეშინი-ჭსცა, და თჳთ თავით თჳსით მსახურა, და ყოვლითა კეთილითა აღავსნა, და ამასა შემდგომად თავადმან პირი იხსნა, და მცირედ განისუენა შრომისაგან. და ვითარცა აღდგა მოესხენა სატი წმიდისა იოანე მასარებელისა, რომელი მსატკრვისად მიეცა განსაკებულად. და უბრძანა მოწაფესა რა წარვიდეს და უთხრას. „ვითარმედ ჟერ არს შეკაზმა მისი.“ და მეტე ჰკრქუა. „ვითარმედ ვითარ იგი გზმს ჩვენ ნუ უბე და ვერ გააკონო, შვილო, არამედ დამისხენ სახეღარსა და მე

თუთ წარვიდე.“ სოლო იყო ჯოჯოი იგი ასლად სუიდული, და მანკი-
ერი, და მათ არა იტოლეს სიძეგრე მისი და სხონება. და ვითარ წარ-
კლეს ხანი რაოდენიმე ჳზოვა ვინმე გლასაკი, რომელი ითხოვდა ქვე-
ლის საქმარსა, სოლო იგი აღდგა შემოსილი ძონძებითა და მოჰმარ-
თა მიღებად ქველის საქმისა. სოლო ვითარცა დასედნა მანკიერმან მან
საკედარმან მუის განჭკრთა და იწყო სიუღტოლად, და აქა და იქი ეგვი-
თებოდა ვირემდის ფიცსლად მოსწყულა წმიდა იგი და სანატრელი მამა
ჩვენი. და ვითარცა გარდამოაგდო ფრიადი ერი შეკრბა მის ზედა,
რამეთუ ყოველნი მეცნიერ იუვენეს და ყოველნი ტიროდეს და იგლო-
დეს და მერმე წარვიდეს მონასტრად, სადა იგი სავანე იყო. და ვი-
თარ ესმა კოსტანტინე მეფესა დიდად შეწუსნა, და წარვიდნა თხზი
ვინმე საკუთარი და მოიკითხა იგი და ეგრეთვე მოქალაქეთა დიდებულ-
თა და მთავართა და ჰალატისათა დიდი სარწმუნოება და სიყვარუ-
ლი აქუნდათ, და ყოველნი მოვიდოდეს, ცრემლითა ილტობოდეს და
ამბორს უყოფდეს და წარვიდოდეს. ქართველთათჳს რა ვინ თქუბს
გუჴსა, რამეთუ ყოვლადვე განუშორებელ იუჴნეს ანგელოზთა მობაძვისა
მას გუჴმსა მისსა, და ტყეებითა ფრიადითა იგლოვდეს სიობლესა თჳსსა.
და ესრეთ ლოცვასა შინა და მადლობასა ღუთისა გარდაიცვალა, სამ-
გზის სანატრელი იგი და ღმერთ-შემოსილი მამა ჩვენი ეფთჳმი, და
ფრიადი მწუსარება მოიწია ჩვენ ზედა, რომელნი დაჳკვლით ტეზილ-
სა მას და სწადელსა მამასა ჩვენსა, სოლო იგი წარვიდა წინამე-
უფლისა ნათელსა მას მიუარხდილებელსა ყოველთა თანა წმიდათა,
რომელნი საუკუნითგან სათნო ეუვენეს ღმერთსა და მეოხ არს ცხო-
ვრებისათჳს სულთა ჩვენთასა წინამე სამებისა წმინდისა. სოლო ჰა-
ტიოსანნი იგი ნაწილნი მისნი აღმოიყვანეს თჳსსავე მონასტრსა
და ღვისსენეს სამარხოსა ლუსკუმასა ტამარსა შინა წმიდისა იოსაჲ ნ-
თლის-მცემელისასა და რომელნი სარწმუნოებით მოუხდებიან გურსუ-
ბისა მადლსა ამლოიკსებუნ უსკებით კადნიერებითა მისითა წინამე
ღუთისა, აღესრულა სამგზის სანატრელი მამა ჩვენი ეფთჳმი თჳს-
სა მაისსა იგ, დღესა ორშაბათსა, ინდიკტონსა ია, წელსა დასა-
ბამითგან სოფლისათ ექვს-ათას სუთას ოცდა მუათქვსმეტესა წელ-
სა, სადიდებულად მამისა და მისა და სულისა წმინდისა, რომლისა

აჩხ დიდება და ჰატვი აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

2, ცხოვრება წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთა-წმინდელისა.

იყო ნეტარი ესე სათესავით ქართველი, სოლო მამის მამულად ღუთის მსახურისა მისგან და ღუთიჲ დატულისა ქვეყანისა, რომელსა სამცხე ეწოდების, სოლო თვით აღმოეცენა იგი ქვეყანასა თრიალეთისასა, ვითარცა ღირსმან საქმისამან გუაუწყოს.

რამეთუ მშობელი მისნი იუენეს ღუთის მსახური, და ეწოდებოდა მამასა მისსა იაკობ, სოლო დედასა მარიამ. ესე იაკობ იყო ერთგულთაგანი და საკუთართა ღუთის-მსახურისა მეფისა გიორგისთა, და საქმისა რომლისათვისმე საერთგულოსა მოციქულად წარვილისა მეფისა მიერ სპარსეთს, და ვითარცა წარმართა სუბითა, ღუთისათა სავანე ჭყო დაბასა მას და სსლსა, რომელსა იყოფოდეს მშობელი ამის წმინდისა დედისანი. სოლო იაკობ, ვითარცა ისილა წესიერი იგი და სათნო ცხოვრება მათი, და უმეტესადღა ვთქუათ თუ ღუთისა საუკარელი განტება მათი და ეტრფილა კეთილსა ცხოვრებასა მათსა. სოლო შვილად მსოლოდ შობილად ესუათ მათ მარიამ, და სიუკარელისა თვს მისისა აჩხ ვისდა მიეთსოვათ დაღაცათუ მრავალთა მიერ მიებულ იყო სძლად მიუქანებად სახედ თვსად.

სოლო იაკობ ისილა რა უკენიერება სატისა მისისა და ჩარნარი იგი და დაწუნარებული ქცევა მისი, განკრძალული სასე და ჭრქუა მშობელთა მისთა. „დამიმარსეთ შვილი ეგე თქვენი კეთილად, მოთუვი-ქცე მშვიდობით მე ვიქარწინო ეგე და სრულიად თქვენთანა დაემკვიდრო. და სუბითა ღუთისათა კეთილად განემარჯუა, და მშვიდობით მოიქცა, და მეფე დიდად მოიმაღლა და ესერა მოვიდა ზემოსხენებულთა მათ თანა მშობელთა ქალწულისათა და იქარწინა სჯულიერითა და წმინდითა ქარწინებითა, ვითარცა იტყვს მოციქული, წმინდა აჩხ ქარწილი და საწოლი შეუგინებელი და ესრეთ აკურთსნა

ღმერთმან, ვითარცა დიდი იაკობ და რაქაელ, რამეთუ კორციელსაცა თანა სიმდიდრესა შვილიერებითაცა ჰატევისცა, რამეთუ ესსენეს სამნი ძენი და სამნი ასულნი:

სოლო ნეტართა მათ მეუღლეთა კეთილად განიზრახეს, რათა ჰირველი ნაყოფი თვისი ღმერთსა შესწირონ. სოლო მიეცა რასული ჰირველი უწოდეს სასულით თეკლა და ჰატევისცეს სახელითა ჰირველ-მონაწამისათა, და ვითარცა იქმნა იგი შვიდისა წლისა შექწირეს იგი ღმერთსა, ვითარცა აღეთქვა, და წარიუვანეს იგი სამცხეს მონასტერსა სადღოსა, რომელსა ტაძრისი ეწოდების და მისცეს იგი კელთა წინა-მძღვარსა მის მონასტრისასა, რომელსა საბანია ეწოდებოდა, დედა-კაცსა ღირსსა და წმიდასა, რომელმანცა შეიწინაწა იგი ვითარცა შვილი თვისი და კეთილად აღზარდა, და კვალად ჰშეეს სხვა წული შვილი, რომელსა უწოდეს იოანე და ესრეთ განიზრახეს კვალად კეთილთა მათ მშობელთა, რათა უბეთუ იშუჭს სხვა წული მათდა შექსწირონ იგი ღმერთსა, რამეთუ ვერძისა ჯერ-არსო შეწირვად.

სოლო მირიამს ეძინა თავისგან ღამესა ერთხა ეჩვენა მას ბრწყინ-ვალე ვინმე დიდებული, რომელი ეტყუადა. „აჲ ესე რა ჰშეე ურმა წული ვერძი რჩეული ღმთისა შექსწირე იგი მისა რომლისად ავითქვა მას, და სახელი უწოდე მას გიორგი.“ და ვითარცა განიღვიძა დედა-კაცმან მან შიშითა და სიხარულითა მიუთხრა ესე ყოველი ქმარსა თვისსა, და აღდგეს ორნივე ერთობით, და ცრემლით მადლობა შესწირეს ღმერთსა და მოელოდეს აღთქმასა მას საღმერთოსა.

იხილეთ, ჳ მორწმუნენო, ვითარ სასულის წოდებითა ჰირველით-განვე ყოფადი მის მიერ ჩვენებასა მას ღამისასა ცხადი და განმარ-ტებული საქმე მოესწავებოდა, რამეთუ საღთოსა სასულიეროსა მუშა-კობასა დედასა ურძისასა მასარებელი იგი მისი წინასწარ-აუწყებდა, რამეთუ ორნატა ეკვლესიისათა მის მიერ მუშაკობად მოასწავებდა და საუნჯესა მორწმუნეთასა ღმთის-მსახურებასა იფქლისა აღკებად ახარებდა, რამეთუ ბერძულითა ენითა გიორგი მუშაკად გამოითარ-კმანების.

სოლო ჩვენ ჰირველსკე სიტყუასა მოვიდეთ. შემდგომად დღეთა

როდენთამე იშვა მათდა უფლისა მიერ აღთქმული იგი ნიჭი და
იზრდებოდა კორციელისა თანა ჭასაკისა სულიერითადაცა ჭასაკითა, და
განიპოხებოდა მადლითა სულისა წმინდისათა და იყო იგი სიყრმითგან
საკსე შიშითა და სიუჭარულითა ღმრთისათა, და ვითარცა წერილ არს
დღე და ღამე სჯულსა უფლისსა იყო ნება მისი და სჯულსა მისსა
ზრასან იგი დღე და ღამე; ამისთვისცა იქმნა იგი, ვითარცა ხე დანერ-
გული თანა-წარსადინელსა წყალთასა ღმრთივ სულიერითასა, და გამოცა
თხსსა ჟამსა ნაყოფი შვენიერი და სეცისა საუნჯეთა ღირსი.

რამეთუ ვითარცა იქმნა იგი შვიდისა წლისა აღთქმა იგი აღ-
სრულეს მშობელთა მისთა, და მასვე შემოსხსენებულსა მოხასტერსა
ტაძრისს დისა თხსისათა წარგზავნეს და შეკედრეს ღმერთსა მომცე-
მელსა კეთილისა მის ნაყოფისა. არამედ ვინამთგან სიურმესაკე თხს-
სა მშობელთა მოღვაწეობისაგან დააკლდა და ვითარცა მოჩნი კეთილი
ადმოცნებასაკე თავსა თხსსა ყოფადსა მას წარმატებასა აუწიებს
ქვეყნის მოქმედთა, ვითარცა იტყვის დაკით მართალი: ვითარცა თი-
ნიკი აღუვაკდეს და ვითარცა ნაძვი ღიბანისა განმრავლდეს დანერგული
სასლსა შინა უფლისსა, ესოთა სასლისა ღმრთისა ჩვენისათა ჭყვარ-
დეს; და ესრეთ ვითარცა ასალ-ნერგი შვენიერი იზრდებოდა მოხას-
ტერსა მას შინა და ისწავლიდა წერილთა საღთთა დედაკაცისა
მისგან, ღირსისა დისა თხსისა, და მოსწრაფებითა გონებისათა
საგონებელ-იყო მხილველთაგან, თუ აღუვაკებასა თანა მეუფსელუად
ნაყოფსა გამოიღებს, რამეთუ ვითარცა მოხეს თხს წერილ არს.
„მკვრცხლ იყო ღმრთისა იგი ყრმა.“ და ვითარცა დაჭყო მოხას-
ტერსა მას შინა სამი წელი და იქმნა ჭასაკითა აფის წლისა, სოლო
გონებითა, ვითარცა მსცოვანი და მოსუცებული, იხილვებოდა საკვირ-
ველად მხილველთა და მხმენელთაგან.

ესხნეს ნეტარსა ამას ორნი მამის მამნი სახულს, ორნივე უსუ-
ცხნი მამისა მისისანი, კაცნი ღმერთ-შემოსილნი და საესენი საღთ-
თა მადლითა. უსუცხისა მის სასელი გიორგი მწერალი, რამელი
ყოფილ იყო მწერალთა „ხედა მთავრად გურაპალატისა“, სოლო მე-
რისა მის სასელი საბა, კაცი წრფელი და უმანკო. ესენი მკვიდრ იუ-
ნეს სახულს, ორითავე ცხოვრებითა შეზავებულად, რამეთუ სიძლი-

დრეს თანა საღთოსა მოქალაქობისასა სოციალიცა სიმდიდრე უხუჭ.
ბით აქუნდა.

ამათ ღირსთა ბერთა, ვითარცა ეუწყა ყრმისა გიორგის სიკეთე
და ღუთის-მოშიშება, მსწრაფელ მიუძცხეს ძმასა თვსსა იაკობს, წათა
ყოვლითა სწრაფითა ყრმა იგი გიორგი მათ-თანა მოიუყანოხ. სოლო
მას ვითარცა ესმა მსწრაფელ აღასრულა ბრძანებული მათი, და წარი-
ყვანა სასულად შვილი თვისი, პირველად შეჭკედრა იგი ყოვლად წმი-
და ღუთის-მშობელსა, რომლისა იგი ერთ-გულ მსასურ და საკუთარ
მონა ყოფად იყო, და მეტე თვსთა ძმათა მიუთვალა, და თვთ სის-
რულით წარვიდა სასედ თვსად.

სოლო ნეტართა მათ, ვითარცა ისილეს გონიერება იგი და
დაწუნარებულება სასისა მისისა და თავის-რუფალი იგი და აღუძრველი
გონება განისარეს და ჭმადლობდეს ღმერთსა, რამეთუ ისილეს მათ
ყრმა მოსუცებულობითა შემკული და ჭაბუკი საბერითა განშვენებული,
ვითარცა იტყვის დიდი ბასილი: „მკცე არს სიბრძნე და გონიერება
ჯატოა შორის და თუ არა სისპეტაკე თმათა არად სარგებელ არს.“
და კვლად გვისწავიეს დანიელისა თვს და იერემიას თვს, რომელ
ერთი იგი მსაჯულ მოსუცებულთა იქნა, სოლო მეორე იგი საშოთა-
გან განწმენდილი წინასწარ-მეტყველებდა.

სოლო ვითარცა ესთქე ისილეს რა კეთილთა მათ ბერთა ძმის-
წული თვისი ესრეთ შემკული, მიჭტუნარეს იგი მამასა მაკარის, რომელი
იგი მას უამსა ღირსებისა თვს მისისა წინამძღვარ იყო დიდი-
სა მის ლავრისა. სოლო მან ვითარცა ისილა ფრიად განისარა, და
ვითარცა შვილი შეიტკბო. აკურთხა იგი კურთხევითა მით აბრასამი-
ნითა, ეკვლესიისა ევლოგიისა მონაწილე ჭყო, და სულისა თვისისა
შვილად უწოდა, და ეგრეთვე დიდსა მასცა ბასილის ბაგრატის მე-
მაჭტუნარეს, და წმიდა კურთხევა მისი მიღებად ჰსცეს, რომელი იგი
მას უამსა შინა იყო მოძღვარი და განმანათლებელი ქვეყანისა ჩვენისა.
და კვლად ღმერთ-შემოსილმან ანტონი ისილა რა განისარა, და
ყოვლითა კურთხევითა აკურთხა და ესრეთ ყოველთა ძმათა კურთხე-
ვა მიადებიეს და მეტელა წარიუყანეს სასედ თვსად.

მაშინ განიზრახეს საღთოთა მათ მოსუცებულთა თანა შემოკე

ნებულთა ამათ მამათათა, რათა ჰირვედ ყოვლისა ღმთივ-სულიერ-
სა ვისმე და მწყემსა კეთილსა შეკედრონ შვილი თვისი, რათა
სულიერითა ჭასაკითა აღორძინდებოდის და საღმთოთა მათ სწავლასა
სძესა მის მიერ ასმიდეს და სისრულედ სათნოებათა წარმეტკობდეს,
და ვინმცა იხილეს სსრუა უმაღლესი სათნოებითა და სულიერითა მო-
ძღვრებათა შინა განთქმული, გაჩნა დიდი ილარჩიონ თუაღელი, რომ-
ელი იგი მას უამსა შინა, ვითარცა მთიები ბრწყინვიდა კრებულსა
შორის მამათასა, რომლისა სათნოებითა და მოღვაწეებითა აქ წარმო-
ექმა შეუძლებელ არს. ამას ნეტარსა შეკედრეს შვილი თვისი და მო-
საზრონებისა წარმართებად ეკედრებოდეს. სოლო წმინდამან მან, ვითარ-
ცა ღმთისა მიერ მოცემული კეთილი შვილი ეგრეთ შეიწყნარა და
წესიერებისა მიმართ და სათნოებისა წურთად იყო, და ესრეთ წარმე-
ტკობდა ნებითა ღმთისათა და ვითარცა სერგი კეთილი დასერგული
თანა წარსადინელსა ღმთივ სულიერითა წერილთასა დღითი დღე
აღორძინდებოდა.

სოლო აუწყეს სწავლათაცა საეკლესიოთა და სამღვდელთა, რომ-
ელთა შინა უმეტეს ყოველთა ჭასაკის სწორთა მისთასა წარმეტკა
და საგულეებელი იგი საწელიწდონი და შეწუბილებანი იგი გულე-
ბათანი ყოველნივე მეფსა შინა ზეპირით დაისწავნა, საღმთოთა გულა
წიგნთა კითხვისა თვს რად საკმარ არს სიტყუა, რომელთა იგი შინა
უადრეს ძაღისა თვისისა დაშურა და გამოიცადა, რომელსა შინა არა
ჭსტემდა ძილსა თვალთა განსკენებასა, გულავ სორცთასა, ყოვლადვე არა
თავს იღებდა და მაშინდელი იგი წერილთა გულის-სმის-ყოფა, ვი-
თარცა წინდი რამე მომავალთა საქმეთა თვს მიიღო და ესრეთ ყო-
ველნივე საღმთონი წერილნი: ძველისა და ახლისა შჯულისანი,
რომელნი რდენ ჩვენსა ენასა ჭზოვისა ყოველნივე კელილად გულად
ისრნა.

სოლო უწყი ვითარმედ მრავალთა გსურლს სმენად თუ ვინა ახ-
წავა ბერძული სწავლა, გინა ვინა დაგზუნჯა საფასე ესე მოუკლებელი?
ფერის ჯოჯის ძემან, დის სიძემან ბასილი ბაგრატის ძისამან, რასა
თვისმე ვახსენე და ბასილისი, ამის თვს რამეთუ იტყოდა წმიდა იგი,
ვითარმედ არა უდარეს იყო ღირსი ესე დედაკაცი ღმთის მსახურები-

თა ძმასა თვსსა ნეტარსა ბასილისო. ამან ფერის ჯოჯის ძემან და მეუღლემან მიხმან განიზრახეს კეთილად, რათა ვატი საღთოთა იმიონ სულისა მათისა კეთილისა მასწავლელად და უწესობისა დამაყენებელად, და რათა ყოვლადგუ მასლობელად მათდა იყოს. ამის პირისა რაზს ორთა-კე გამოიძიეს და დაამტკიცეს, ვითარმედ გიორგი მწერლისა უგონიერესსა ვერ ვის ჰპოებენ; ამის თვს დიდითა ვედრებითა და ქენებითა გიორგი მწერალი წარიყვანეს, და ყოველი საქმე მათი სულიერი და კარციელი მას დაამოწმილეს; სოლო ამან გიორგი ნეტარი ძმისწული თვსი ყრმა გიორგი თანა-წარიტანსა, რამეთუ ფრად კეძარებოდა სეპირით განონარსობასა, რამეთუ თვთ მოსუცებული იყო.

სოლო ვითარ იხილეს კეთილთა მათ მეუღლეთა განისარეს ფრად, და საღთომან მან დედაკაცმან შვილად თვსად აღიარა გიორგი, და დაჭყვეს მრავალი უამი კეთილსა და ღმთისა სათნოსა ცხოვრებასა შინა. სოლო ამისა შემდგომად რისსკითა ბასილი მეფისათა ფეროს თავი წარეკვეთა, რამეთუ განდგომილებს დასწამეს, და ესრეთ, ბქმანებითა სამეფოთა ესე ღირსი დედაკაცი ერთ-თურთ თვსით კოსტანტინეზოლედ წარიყვანეს, ვინა იგი დაჭყვეს ათორმეტი წელი. სოლო მათსა მუნ ყოფასა მამის ძმამან საკვრეულისა ყრმისამან, და უფროსდა ვთქუა საღთომან მან დედაკაცმან სასწავლოდ მისცეს ყრმა იგი გიორგი, კაცთა ფილასოფოსთა და რიტორთა, ორითავე ცხოვრებითა შემკობილთა, არა ერის კაცთა, არამედ მონასტონთა და ღმთის მოშაშთა, და ყოველთა მიერ წამებულთა და ესრეთ ათორმეტსა მას წელსა ყოველივე მოსწრაფება და გულს-მოდგინება ერთბამად შემოკრიბა, ვიდრელა სიმასვილითა გონებისათა აღმეტა და ორ-კვამოვე სრულ ქმნილთა, ერთ კვამოთა თანა წარკდა, ვიდრელა დიდად განკვრდეს ყრმანი იგი ბერქენტანი, მისსა მას ეკოდენსა მოსწრაფებასა და სიმასვილესა გონებისასა აღმკვოდეს.

და რა ჭყო სწავლასა მას შინა ვითარ ვთქუ ათორმეტი წელი, და ვითარცა ქვეყანამან კეთილი თესლი სწავლულობისა შეიწესარ ორნატთა შინა სულისა თვსისათა, რამელი იგი უამსა თვსსა გამოდებად ედა აღვსებად სულსა მშიერთასა, და განმდიდრებად ღმთისა კვლესიასა.

ამისა შემდგომად ბრძანებითა სამეუფოთა კვალად თვსთავე შრას-
ტინთა მიიქცა საღთო ესე დედაკაცი ტოვარწლიატახს, და თანა წა-
წიყვანა ყრმა გიორგი მამის ძმისავე თვისისა. სოლო ეუწყა, ვითარმედ
დედა მისი მიცვალებულ იყო, სოლო მამა მისი წუთ ცოცხალ იყო,
რომელი იგი ძმამან მისმან გიორგი თავისა თვისისა თანამოიუჭანა
ტოვარწლიატახს, და ერთბამად იყოფოდეს. სოლო ყრმა იგი წარვი-
და სასულს მამის ძმისა თვისისა თანა საბასა, და ვითარცა იქმნა
ოცდა სუთისა წლისა ტკბილსა მას უღელსა მონაზონებისასა ქედი
თვსი მოუდრიკა, რამეთუ დაღაცათუ მონაზონი იყო სიყრმითვან,
სოლო წუთ გურთსეკა მონაზონებისა არა მიედო, რამეთუ მოძღვარი
მისი სულიერი და ღვაწლთა მიმართ მონაზონებისათა მწუჭთელი დი-
დი ილარიონ წუთ-გარცთოდა შინა იყო, და კელთავან მისთა მიიღო
გურთსეკა მონაზონებისა, რამეთუ იგი იყო პირველ მოძღვარი მისი
და მისეუნი ყოვლისა კეთილისა. ამისა შემდგომად აღძრვითა ზეგარ-
დმოღთა მოუხდა სურვილი უცხოებისა და სიგლასაკისა და თვსთა
და მეგობართავან განშორებისა, და უფროსდა ვთქნა თუ სურვილი
თავკანის-ცემისა თვს წმიდათა მათ და განმაცხოველებელთა ად-
გილთა, ვინა იგი აღასრულა ყოველი განგებულება ცხოვრებისა ჩვე-
ნისა სიტყუამან მამისამან, მოსრულმან ცხოვრებისათვს ჩვენისა; სო-
ლო იყოცა განგებულება ღუთისა საქმესა ამას შინა, რომელი იგი
წინასწარ ყოველსავე მეცნიერ-არს, და ყოფადთა ვითარცა ყოფილთა
სედავს, ვითარცა იგი მოხეს რა წინასწარმეტყველად განჰმზადებდა,
პირველ ყოვლისა თვსთავან გამოიყვანა და აბრასამს რა თანა აღ-
თქმასა დასდებდა ქვეყანისა თვისის დატყევა უბრძანა. ეგრეთვე მრ-
კალთა წმიდათა თვს წერილ არს: ჰნებავენ რა მიასლება ღუთისა, პირ-
ველ ყოველისა თვსთავან და მეგობართა განუშორნისან, და ჭეშმარიტი
იგი თვსება ზრასკა ღუთისა მაშინდა ჰპოვიან. ვითარცა ვიტყოდი
წმიდისა ამის თვს, მოუვიდა სურვილი უცხოებისა და თვსთავან გან-
შორებისა, და ფარულად ყოველთა მეგობართავან და მეცნიერთა
სივლტოლა იუქმია, და წარემართა იერუსალიმით კერძო.

სოლო ვითარცა ცნა მამამან მაკარი და ყოველთა მათ ღმერთ-
შემოსილთა ბერთა, შეწუსნეს ფრიად და ყოველთა კერძო მეციებელ-

ნი და შეიპყრობელნი განაკლინეს და ყოველნი გზანი მოიტყუნეს, მასინ ვითარცა გულის-სმა-ჭყო, რამეთუ შეიპყრობდეს, საღთო ღონე ისჯიის, ვითარცა დიდმან ზთანასთ და შესამოსელი თვისი ფრიად კეთილი მისცა იგი გლასაკს ვისმე და მისი იგი დაბეზული შეიმოსა და ჭპოვა მწუნსარე ერთი წინა-მძღვრისაგან დატყეპული, უპურ წინა და წარმართა გზასა თვისსა. და ესრეთ განეკა დამსწკველთა გზისა მის კეთილისათა, რამეთუ დაღაცათუ სიყვარულითა იქმოდეს, არამედ არა კეთილ იყო მომავალთა საქმეთა თვის. სოლო იტყოდა თუთ წმინდა იგი. „ვითარმედ უდაბნოსა ადგილსა შეგვიღამდაო, ტყეთა შინა და იყო ელვა ქუხილისა და ჭაერი ბორცოტი; და შეიდ-გზის დააკველა მწუნსარე იგი მას ღამესა ეშმაკმანო და ჭპეროვინ და ილტყენ და ჭყვივინ, სოლო მე გილოცეკვი.“ ისილეთ უშიში ესე სულისა და ასოვანი გონებითა, ვითარ არა შეძწუნდა, არამედ ღამე ყოველ კვირებოდა ღმერთსა განკურნებისა მისისა თვის, ვიდრემდის განიოტა კაცისა მისგან იგი ბორცოტი და ყოვლითურთ უგნებელი მონასტერსა ერთსა მიიყვანა, სადა იგი განსეკურნებულსა მას ენება და ჭმადლობდა ღმერთსა, რომელმან ისხსა სულისაგან არა წმინდისა და ესრეთ მსოლო წარმართა გზასა თვისსა, მრავლითა შრომითა და დვაწლითა, რამეთუ და ჭქენჯნიდა და აჭირებდა კორცა თვისთა, ვითარცა მოციქული იტყვის. „ვითარმედ აღვიკრძალავ სოცრთა ხემთა და დავიმორნებ, რათა არა სხვათა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიყო, ეგრეთვე ჭყოფდა ესე, რამეთუ მასა შეემოსა და უკამლო და თავი ღია, უღონო და უწყალო ვიღოდა გზასა მას იწრესა, რამეთუ დღესა შინა ერთგვის მიიღის პური და წყალი, და ესე ვითარითა შრომითა და მოღვაწეობითა შემკული მიიწია შავსა მთასა და მერმე ადვილად მთასა საკვირველსა თავანისცა და ამბორს უყო ღარკანსა წმინდისა და საკვრველთ მოქმედისა სუმეონისსა, და ღირსისა დედისა მისისა ნეტარისა მართასსა, და ყოველნი მონასტერნი მოილოცნა და წმიდანი მამანი მოიკითხნა და ყოველთაგან ღოცვა მიიღო.

სოლო ყოვლისა პირველად იწყო მიება წინამძღვრისა და მოძღვრისა სულიერისა, რამეთუ უწყოდდა, ვითარმედ თხნიერ მოძღვრისა რა არს ცხოვრება სულისა და წარმართება მონასტონებისა, და ჭპოვა

საკვრველსა ნაპრალსა შინა კლდისას ბერი წმინდა შეყენებული, ვითარცა გუჩიტი უბიწო და ტრედი უმანკო, კაცი ზეცისა და ასკულაში ქვეყნისა, ყოველითურთ უცხო და განშორებული სოცტოასან და სოცტიელთა ზრუნვათაგან და გონებითა ღუთისა მიცვალებული, გიორგის ვიტყვი დაუდებულსა, დიდსა მას მნათობსა ნათესავისა ჩვენისა, კაცსა ყოველისა მიერ გულის-სათქმელსა, რომელმან ესე ჩვენ მიერ უნდოთა ამისი აღწერა გვაძულა, ამას დაემოწაფა ნეტარი ესე, ვითარცა ოდესმე მთასა სინასა ნეტარი იოანე დიდსა მარტვრის. სოლო მან, ვითარცა ისილა სიკეთე სულისა მისისა და განიცადა ტალანტი იგი მას შორის დაუსჯებელი, განისაზრს სისარულითა დიდითა და სულითა გულის-სმარტვო რა იგი ყოფად იყო, რამეთუ სურვიელ იყო წმინდა ესე ბერი, რათამცა კვალად გამოვიხსენებთა მისა და მისი ღუთისამან ნათესავსა შორის ჩვენსა კაცი, რომელმანცა სრულ ჭეოს ნაკლულევანება ენისა ჩვენისა, რომელი იგი წმინდასა მამისა ეკთიმისაგან დაშთომილ-იყო და ნებითა ღუთისათა ჰპოვა, რომელსა იგი ეძიებდა და მადლობა შეჭნწირა ღმერთსა, რომელი არა ოდეს უგულებელს ჭეოფს სიგლასაკეს ჩვენსა მეოხებითა წმინდისა ღუთის მშობელი-სათა.

სოლო დაამკვიდრა იგი რამანს წმინდას და დაჭეო მას შინა სამი წელი დიდითა შრომითა და მოღვაწეობითა, მარსკითა და მღვიმარებითა და უფროს სიმდაბლითა მოწილებითა, რომელნი ესე ფრთე ექმნიან მონაზონსა აღსლუად უფლისათანა, რამეთუ ყოველთა უძღუოთა იგი ჰმსახურებდა, ესრეთ ყოველითა სათნოებითა შემკურული კორციელითა ჰსასაკითა იქმნა იგი ოც-და-ათისა წლისა, სოლო სულიერითა მსტოვან და მოსუცებულ. და ვითარცა ისილა ნეტარმან ბერმან, გიორგი შეყენებულმან, მოძღვარმან მისმან, ვითარმედ ყოველითა სრულ ქმნილ-არს ჰსასაკისა თანა, სიბრძნითა და გონიერებითა, სქემა შემოსა და ყოველითურთ სრულ ჭეო მონაზონებისა მოღვაწება და სქემისა გვირგვინითა და მერმელა იერუსალიმად წარგზავნა.

და ვითარცა მიიწია ნეტარი ესე წმინდად ქალაქად, მოილოცნა ყოველნივე წმიდანი და თაყვანის საცემელნი ადგილნი, სულისა სურ-

ვილით და გონებისა სიმკურვალითა, და მარადის ცრემლითა მიერ ილტობვინ იკსენებნ რა ვნებათა მეუფისათა, რომელმან იგი მან ჩუენისა ცხოვრებისა თვს ადგილთა მათ შინა წმიდათა თავს იხსნა, რამეთუ ესრეთ არნ გონება მისი, ვითარცა მას თავადსა თვალთა წინაშე სედვიდა და დაჭყო მცირელი ჟამი ესე ვითარითა უფუთითა, და მეტი განგებითა ღუთისათა კვალად მოძღუერისავე თვისისა მოიქცა და ესრეთ უფუღი-თურთ სრულ ქმნილსა სადითო ესე ტალანტი სელთ უღვა, რომელ არს თარგმანება წიგნთა საღთთათა ბერძულისაგან ქართულად.

სოლო ესე ნეტარი არა თავს-იდებდა, არამედ ესრეთ იტყოდა, „ვითარმედ შეუძლებელ არს ესე ჩემგანო და ესე ვითარი წმიდათა და ღუთის მოშიშთა ჭშკენის, ვითარცა იყო წმიდა მამა ჩუენი ეფთჳძე.“ სოლო ბერი იტყოდა, ვითარმედ, შვილო, რომელმან წმიდა იგი სიგუდილისაგან იხსნა და ქართული ენა განუძარცა იგივე შეძლებელ არს შენდაცა შეწევნად, რამეთუ მას დიდად ეწყალების და უყვარს ნათესავი ჩუენი, და თვთ მას წმიდა მამასა ეფთჳძის ვეკედნეთ, რათა შეგეწიოს, რომელ ნეშტი დარჩომილი მისი შენ სრულყო მადლითავე მისითა, ვითარცა ჰავლე ქრისტესი. და ესრეთ დიდისა იმულებითა ძლით დასწმუნა, და წმიდის სჯომნის და მართას მადლითა შეზღუდილი მთა წმიდას წარმოგზავნა და ვითარცა მოწათყე სასწმუნო და შვილი ერთგული და ძღუწნი შემსაღებული სიწმიდისა მისისა, წმიდა მამასა ეფთჳძის მიუძღუნა, რათა ვინა იგი წყაროს თვალი სიბრძნისა აღმოეცენა მომწყველად ნათესავისა ჩუენისა, მიერვე აღმოიხსნეს ნეტარნი გულის-სმის-უფუთისანი. კაცმამ ამან ღუთისამან და მდიდრად დასთროს სამყარო ეკკლესიასა ჩუენთა და ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი ესაია: ვითარმედ გამოვიდეს სჯული სიონით და სიტყუა ღუთისა იერუსალიმით ჭშვიდეს. ეგრეთვე დადაცათუ ჰირველიდგანვე გააჭუნდეს წერილინიცა და სასწმუნოება ჭეშმარიტი და მართალი, გარნა ქვეყანა ჩუენიშორს იყო ქვეყნისაგან საბერძნეთისა და ვითარცა ღუთარძლი რამე დათესილ იუენეს ქვეყანასა ჩუენსა ბოროტნი იგი თესლნი სომესთანნი, გულარძნილნი და მანქანანი და ამის მიერ ფრიად გუკუნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩუენი წყფელ იყო და უმანკო, სოლო ივინი

რეცა მიზეზითა წესიერებისათ, რეცა ცთუნებად გუზმნობდეს და რომელნიმე წიგნიცა გუჯქუნდეს მათგან თარგმნილნი.

ამას ესე ვითარათა მიზეზითა თვს მოხედნა მოწყალეებამან ღუთისამან ნათესავსა ჩვენსა და აღადგინა ასალი ოქროპირი წმინდა მამა ჩვენი ევფიმი და ვითარცა მეთვამეცემან მოციქულმან ქვეყანა ჩვენი ამაჲ ზემოსსენებულთა ღვარძლთაგან სრულად განწმინდა მრავლად თარგმანებითა წმინდათა წერილთათა, ვითარცა დასაბამსავე სიტყვისა ჩვენისასა ვსთქუთ და წესნი და კანონი საეკლესიონი, დამამტკიცებელნი საწმუნოებისა ჩვენისა, ესენი ყოველნი აღწერილად დაგვიტევენა, რომელნი იგი წმინდისა ამის მთისაგან და ღუთიუ-ადმუნებულისა ლავრისა, ვითარცა მდინარისაგან ედემიანისა ნაკადულნი ცხოვრებისანი პირსა ზედა ქვეყანისა და ნათესავისა ჩვენისა მიუფინნეს.

სოლო ვითარცა პირველვე ვსთქუ აღრე მიცუტალებითა მამისა ჩვენისათა არა სრულ იქმნეს წერილნი ჩვენნი; ამის თვს სასიერებამან ღუთისამან კვალადცა მოგვანიჭა და ნაკლულევანება მოძღურისა თვისისა ყოველი მის მიერ დაკლებულნი ამან ნეტარმან მამამან გიორგი სრულ-ჭყო. სოლო ჩვენ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ. წარმოემართა წმინდა ესე შეჭურვილი ღოცვითა მოძღურისა თვისისა მითვე პირველითა მოღვაწებითა და ფრიად უფიცხესითაცა. სოლო მიიწია მდინარესა ერთსა დიდსა, რამეთუ მარტო იყო და ვითარცა შევიდა მდინარესა მას ვერ უძლო წიად სლუა სიმდიდრისაგან მისისა, რამეთუ დიდრო იყო. მაშინ ისილა წიად-კერძო ჭაბუგი შუწნიერი, ამხედრებული ცხენსა ზედა სვეტაკსა და ჭრქუა. „შემოკედ, ნუ გეშინის“ და უპურა სელსა მისსა და წიად იევანა მშვიდობით, სოლო იგი თვით უჩინო იქმნა. და იტყოდა თვთ წმინდა იგი, ვითარმედ „გულ-სავსებით ვიცან, ვითარმედ გამომჩინებული იგი, რომელმან წყალთა შინა სიკუდილისაგან მისსნა დიდებული მთავარ-მოწამე გიორგი იყო.

და ესრეთ ნებითა ღუთისათა მშვიდობით მოიწია წმიდასა ამას მთასა, თაყვანის-სცა წმიდა ღუთის მშობელსა და მადლობა შეჭწწი-რა, და მერმე სურვილით ამბორს უყო სამარხოსა წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთჳმესსა, სოლო მათა სიხარულით შეიწყინარეს და განუხეივნეს, და დიდი პატივი მიუპურეს, და მადლობდეს ღმერთსა, რომე-

ლი შიუძღუა. სოლო იგი იყოფოდა მოღვაწეობითა გონებითა უადრესითა, მარსებითა და ღმრთობითა, სიმდაბლითა, სიმშვიდითა და მორჩილებითა და მოთმინებითა, და უმეტეს ყოველსა თავისა თვისსა შეურაცხ ქმნითა, რამეთუ ვიდრე უამ-რადენსე, ვითარცა ლიტონი და უსწავლელი საგონებელ იყო ყოველთა მიერ, რამეთუ მისცა თავი თვისი მსასურებასა და მორჩილებასა ძმათსა, და წედიწადსა შვიდსა შეურაცხად საგონებელთა საქმეთა სიმდაბლით მსასურებდა, და არს ყოვლადვე მგლოვარე და თავ-დადრეკილ, რამეთუ გორციელთა თვალთა ყოვლადვე ქვეყანად სედავს, სოლო თვალნი სულსისანი მარადის უსილავსა მას დიდებასა ღმრთისა უსილავად განიცდის, რომელი ესე მტირეთა მიერ მოხსპოვნებულ არიან, საქმე ბუნებითი და მრავალთაგან ძნიად საგონებელი, რათამცა თვნიერ საჭირათა საქმეთა არავინ ასედეკობდა თვალთა თვისთა, რომელი იგი მან, ვითარცა ბუნებითი შეითვსა სიყრმიოვან ვიდრე სიბერედმდე.

ვითარცა იყო წმიდა ესე დიდსა ლავრასა შინა ეკე ვითარითა შეურაცხებითა თავისათა, მოღვაწეობითა ფიცხელთა, ეუწყა ნეტარსა მას ბერსა, მოძღვარსა მისსა გიორგის, ვითარმედ წუთ არცა მღვდელობისა პატრიკი მიუღებეს და არცა წერილთა თარგმნად უწყებ. შეწყუსნა ფრად და წარმოავლისა შავით მოით მოწათე თვისი, კაცი ღირსი და სასიერო სასელოთ თეოდორე, დიდი მდურვას მოუძნო არს აღსრულებისა თვის ნებისა მისისა, სოლო ნეტარი ესე არს ურჩებით იქმოდა ამას, არამედ ყოველითურთ არს რად და უსდოდ შეერაცხ თავი თვისი, რამეთუ ეკსენს სიტყვა იგი ღმრთისა ვითარმედ: „რომელ მან დაიმდაბლოს თავი თვისი იგი ამალდეს; და კვლად იტყვას მამანი: ვითარმედ დედა არს ყოველთა ვნებათა ცუდი დიდება.“ სოლო წმიდა ესე არს ნებსით მიიღებდა, არამედ იძულებით ბრძანებითა მოძღვრისათა. მასშინ მრავალთა ცრემლითა და სულთქმითა და მოწიწებითა და შიშით მიიღო პატრიკი მღვდელობისა. შემდგომად მტირებისა მთავრად ეკვლესიისა განიწესა, უსურესად მღუღელთა და მგალობელთა დაიდგინა და ამას შინა დაჰყო რა მტირელი უამო მოესენს პატრიკი იგი ტლანტის დამფლუქლისა მის და უფროსადღა შეეშინა ურჩობასათვის მოძღვრისა თვისისა, ამისთვსცა ვითარცა ბრძენმან სურათა

მოდკარმან პირველად კეთილი საფუძველი დადგა იწყო რა შენებად ღმრთისა ეკკლესიასა და პირველ ყოვლისა სჯინაქსარი თარგნა, რამეთუ ესე არს საფუძველი ეკლესიათა, რომლისა თხნიერ შეუძლებელ არს წარმართება ეკკლესიისა, რამეთუ რომელსა ეკკლესიასა სჯინაქსარი არა ჭქონდინ, დაღაცათუ ყოველნი წიგნნი ჭქონდინ, თათელსა ჭსჭამს, სოლო სიტყობობასა სასა ვერ ჭსტნობს. ესე არს ვითარცა ვთქუთ პირველი სამკაული ეკკლესიათა, რამეთუ დაღაცათუ ეთარგმნა წმიდა მამასა ეფთჳძესცა სჯინაქსარი, გარნა ფრიად სულ-მცირედ აღეწერა სსკათა წიგნთა თარგმანებისა უცალოებითა, რომელ უკეთუძცა ყოველნი დღენი მისნი სსმოდესლა სრულებით თარგმნიდა.

კვალად თარგმნა წმიდამან მამამან გიორგი შემდგომად სვინაქსრისა სასარება გამოკრებული საწელიწადო, საწინასწარმეტყველო საწელიწადო, მერმე დიდი გუროსეკანი, თარგმანი დაბადებისა, რომელ არს ცსოვრება აბრამისი, თთუშ სეკდენბერი, რომელი თათო გალობითა პირველ მამასა ეფთჳძეს ეთარგმნა იგი სრულ-ჭყო, სოლო თარგმნა დიდი ჰავლე სრული და კათოლიკენი წმიდათა მოციქულთანი ესე რვა თავი წიგნი თარგმნა მთა წმიდას თავისა საკირითა, და ყოველნი ესე ეკკლესიისა მსასურებასა შინა, რამეთუ ვთქუთ დეკანოზად დაედგინა.

სოლო შემდგომად ამისსა ვითარცა გამოიცადა მრავალთა შორის საქმეთა და ყოველსა შინა იპოვა წმიდა და უმანკო, ვითარცა რქრო მრავალთა ბრძმედთა მიერ გამოცდილთა, მიერ გამოცდილი, მამინ ყოველთა მათა ერთ-სებობითა და განმზრასჯთა მალაღსა მას კიბესა წინა-მძღვრობისსა აღიუვანეს და საყდარსა წმიდისა მამისა (ჩვენისა) ეფთჳძესსა დასკეს, და სასთელი სასანთლესა ღედა დაადკეს სიტყვისაებრ სასარებისა, რამეთუ საკსებასა მათასა უსათობდეს, ესრეთ აღამაღლებს სიმიდაბლე მოძებელთა თხსთა ადიდებს აქაცა და უფროსად საუკუნოსა.

სოლო ნუ ვინ ჭგონებს თუ ესრეთ ადვილად და უსიტყველად შეიწინარა უღელი იგი წინამძღვრობისა, ნუ იყოფინ, არამედ ყოველითა ძალითა თხსითა წინა-ადუდგებოდა, რამეთუ სამგზის წილ უგდეს ორთა მათა სსკათა თანა, ვითარცა იყო წესი მონასტრისა შე-

წირკითა უსინსლოაჲს მსხვეპლისა, ქუჭშე წმინდა ტრავებსა და სხმითა წილთათა სამგის მას სჴდა და ამის მიერ გულის კმა-ჭყო, ვითარმედ არს ნება ღუთისაჲ, და სეკარდამო გულ-სავსე ქმნილმან მიიღო გუჭრთსი მწყემსობისა. სოლო ამიერიტგან ნეტარისა მის ღუაწლნი და შრომანი აუტაცსელ და მიუწდომელ არიან, რამეთუ მისცა თავი თჳსი ფიცსულსა მოღვაწებასა უფროს პირველისა, რომელსა ოდენ დაიტკვს კაცობრივი ბუნება, რამეთუ იჳმნა სრულიად ღზინს-გან და წუჭლისა და ჳმოსიედ სამოსლად მისა ქვეშე ძაძა ფიცსელი, სოლო მას ზედა საფარველად ჩოსა ერთი და რათა არს გაგაგრძელოთ სიტყვა ჩვენი, ყოველნივე სათნოებისა თავსა შორის თჳსსა დაიუნჯა და თავი თვისი ყოველთა სასედ დაუღვა, არა სიტყვითა ახწავა არა-მედ საქმითა უჩვენა გჳსნი საუგუნოსა ცხოვრებისანი სამწყსოთა თჳსთა.

რამეთუ უკეთუ არა ჳპოვოს კელვანმან ნივთი შემსგავსებუ-ლი საქმისა თჳსისა, ვითარ გამოაჩინოს ბრწყინვალებაჲ საქმეთა თჳსთა ანუ ვითარ საცნაურ იქმნას მენაკეთ-მოძღვარი, უკეთუ ღელვათა შინა ზღვისათა არა გამოიცადოს, გინა მსედარი ვითარ გვირგვინოსან იქმნეს და უდიდეს უკეთუ განწყობილთა არა ეკეთოს მრავალ-გზის, ეგრეთვე წმინდამან ამან ოდენ მიიღო გუჭრთსი მწყემსობისა, მაშინ-ღა საცნაურ იქმნა სრულიად დაფარული იგი სიბრძნე სულსა შინა მისსა და ყოვლისა პირველად ესე ჳყო.

ყოველთა გულს-მოდგინებითა და ფრიადითა საწმუნოებითა ესრეთ მსურვალედ შეუდგა გუალსა წმიდისა ძამისა ჩვენიცა ეფთჳმეს-სა და ყოველნი წესნი და კანონნი და განწყისებანი მისნი ესრეთ შე-იტკბნა, ვითარცა პირისაგან ღუთისა გამოსრულნი და წმიდათა მო-ციქულთა მიერ დამტკიცებულნი.

რამეთუ პირველითგანვე მოვიდა წმიდა ძამს მთასა მოსწრაფები-თა და წადიერებითა, და გულს-მოდგინედ გამოწუღილვით, გამოიგი-თსა და გამოიძია მოწაფეთაგან და მეგობართა წმიდისა ძამისა ჩვენი-სა დიდისა ეფთჳმესთა უსსეულოთა მიძგავსებული და კაცთა ბუნე-ბისა აღმატებული ცხოვრება და მოქალაქობა მისი და ნეტარისა ძა-მისა მათისა იოანესი და სსჴათა წმიდათა ბერთა დიდებულისა ამის

ლავრისა შენება და წესნი და განგებანი, რომელნი წმიდა მამისა ევთიქმეს დაესსნეს, ესე ყოველნი აღწერით დაგვიტყვენა და სატად ცსოველად და ძეგლად პირ-მეტყველად მომაკალოთა ჩათესავთა აღგზ-მართა, რომლისა იგი მკითხველ მსმენელნი სულოთ და სოცრით გა-ნათლდებიან.

რამეთუ ამან ნეტარმან რაჟამს კვერთხი წინა-მძღურობისა მიიღო ყოვლისა, პირველად იღვაწა და პატროსანი ესე ლარსაჟი შემსადა საუნჯედ შემწყნარებლად მზისა უბრწყინვალესთა და მარგა-ლიტთა უწმინდესთა მათ ნაწილთა წმინდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩვენისა ევთიქმესთა, ვინა იგი წყარო გუგნებათა და მადლი სასწაულთა უსწებით აღმოდის. და ესენი დიდითა პატრივითა, იხსალ-მუნითა და გალობითა, სუნსელებითა საკმეველთათა და გეროვნები-თა, ბრწყინვალეებითა, ყოვლად დიდებულად და ღუთივ-შეწინიერად მოცვალსა ნათლის მცემლისა ეკლესიით დიდებულსა ამან ეკმლესიასა შინა ყოვლად წმინდისა ღუთის მშობელისასა, ესე ვითარცა პირველ ვსთქუ ღუთივ განბრძნობილმან წმინდამან მამამან გამოიყვანა მარ-ჯვენე იგი განმაცსოველებელი, რამეთუ ჩვენ განგვანათლა და უქმნა გუადრუცი განიერი და მას შინა შთასვენა სსვათა წმინდათა ნაწილ-თა თანა : სტეფანე პირველ-მოწამისა, წმინდისა ეგნატოღმერთ-შემო-სილისა, წმინდისა იაკობ დაჭრილისა, წმინდათა გოზმა და დამანიეთა, რახელთა წმინდათა ორმეოცთა, წმინდისა პანტელეიმონისი, სსვათა წმინდათა მართალთა ევლოგიები. ამათ ყოველთა წმინდათა მარტვლთა თანა დასწებს კელი მარჯვენე წმინდისა მამისა ჩვენისა ევთიქმესი და თვთ თავით თვისით ჭმსასურებნ და ოდენ გზასა ვაღნ თვთ თავით თვისით უტვირთავნ წმინდა იგი გუადრუცი. ამით ესე ვითარითა სასითა, გინლა და ყოვლისა სასილველ და თაყვანის-საცემელ იყო მთა-წმინდიდგან ვიდრე შავსა მთასა და ყოველსა ასურეთსა და აღმო-სავლადმდე წმინდა მამა ჩვენი ევთიქმე მარჯვენისა მიერ თვისისა მე-ფეთაგან და მთავართა და მღუდელთ-მოძღუართა და მღუდელთა და ყოვლისა ერისა. სოლო ჩვენი პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ და ვი-თარცა დასვენა ნაწილნი მამისა ჩვენისა კეთილმან მან მუშაკმან საწმუნრობისამან, განიზრასა ღუთივ-შეგნიერი განზრასა შემსგავ-

სებუღი სიბრძნისა თჳსისა, რათა მიხეცი იგი ყოველთა კეთილთა დასახამი წყალობათა ღმრთისათა, თჳალი წყაროსა და ძირი უგუდაგერ ბისა წმიდა მამა იოანე, მამა წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთჳმესი არა დაუტოოს გარე სამარტვიროსგან ძისა თჳსისა ეფთჳმესსა, რამეთუ ესუჭნა იგი ზირველ ეკლესიასა წმიდათა მთავარ-ანგელოზთასა, და ეგრეთვე სსვანიცა იგი წმიდანი ბერნი: ნეტარი არსენი ნინო წმინდელი, ეპისკოპოსობა და საღთო ბერი იოანე გრძელის ძე, რომელნი იგი გარეგან მოსახტრისა სოხსტრისა ერთსა შინა ეკლესიასა წმიდისა სჳმეონ მოსუტებულისასა ასუჭნეს, რამეთუ მუნ დაუუდებით ჟსოფნდებოდეს, ესენი დიდად თანა-მწე ექმნეს წმიდა მამასა ჩვენსა ეფთჳმეს თარგმანებასა შინა წმინდათა წერილთასა, და მოსუტნე და მობაძაკ წმიდათა სათხოებათა მისთა იქმნეს და მრავალნი წიგნნი ეკლესიისანი უამსა სიბერისასა თჳსითა კელითა აღწერეს, ზირველად აღმოიყვანსა ნაწილნი წმიდისა მამისა იოანესნი, ვითარცა ვითჳთ და შვილსა თჳსსა თანა დაგრძალსა, და მერმე იწყო ძიებად სემოკსენებულთა ამათ წმიდათა მამათა ნაწილისა, სოლო არა უწყოდა ადგილი და დიდად მწუნარე იყო. სოლო განკებითა ღმრთისათა ესე ვითარითა სასწაულითა ზოგნა საწამებელად და ჰატივად ყოველთა ნაწილთა მათთა ღირსებისა; სოლო სენი ფინიკისანი აღმოხრულ იყვნეს საფლავსა მათსა სედა, სოლო ძირნი სისანი ქვეშე შთანრულ იყვნეს და გარემოს წმიდათა მათ ნაწილთა მოხვეულ იყვნეს, ესრეთ ვითარცა ცხაკელთა სედა ეტვირთნეს ჰატიოსანსი იგი ნაწილნი მათნი და ხელსელება ფრიად იუნოსებოდა და ესრეთ აღმოიყვანსა და დაუსუჭნსა ქვეშე კერძო ნაწილთა წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთჳმესთა, და დაჭკრძალსა სამარტვილო იგი განუღებელად ვიდრე დღეინდელად დღედდე, და შეამკო იგი ყოველითა სამკაულითა, სატიითა და ჳრწარითა, ქორკასიდლითა, სასანთლითა და ეხრათა, და სსვითა ყოველითა ბრწეინვალებითა ვითარცა შუჭნის წმიდათა მათ, და განეწესა რამოუგლებელად სამი განდელი ესთებოდის და ყოველივე წესი შეუტკაულეებელად აღესრულებოდის მადლითა წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთჳმესითა და მერსებითა წმიდას ღმრთის მშობელისათა ამინ.

და ვითარცა დიდი ესე და მღალი საქმე ესრეთ ღმრთივ-ბრწეინ-

ვალედ და ღუთივ-შენიერად სრულ ჰყო, კვალად იყო მოღვაწე-
ბად ეკკლესიის თვს, რამეთუ ზედა ტყვიას არა იყო და წყალი შთა-
ვიდოდა, ვითარცა წამებნ სატნი, რომელი ადგოცილ არიან, რამეთუ
ჩვენი შევნიერება ესე ეკკლესიას არს და ესე ესრეთ უმუწარ იქმნე-
ბოდა. სოლო ამან ნეტარმან კეთილი ღონე მოიპოვა, რამეთუ წარ-
ვიდა წინაშე ღუთის-მსახურისა მეფისა გოცტანტი მონამსისა ქ-
ლასად სამეუფოდ, და ვითარცა შევიდა წინაშე მისსა ჯეროვანი
მოკითხვა მიაგება ბერსა მეუკმან, რამეთუ დიდი ხარწმუნობა აქუნდა
მისა მიმართ და ესვიდა წმინდათა ღაცვათა მისთა, და ჰქაჩა მას ვი-
თარქედ. „რასათვს მომუწარ სიწმიდე თქვენი, ვაცო ღუთისაო, ჩვენი
მომართ კელმწიფობისა.“ ჰქაჩა მან ბერმან. „გისაროდენ ქრისტეს მი-
მართ, ვ ბრწყინვალეო თვთ-მპურებელია შორის, გიბრძანებს ჩემ
მიერ გლასაკისა ყოვლად წმიდა სასო იგი და შესაკედრებელი ღუთის
მსახურებისა შენისა წმიდა ღუთის მშობელი, რათა მარადის სადი-
დებელი ტაძარი მისი არა განიწყუნას წყალთაგან, რომელი ჩამოდის
ზედა უბორობითა მონასტერსა ჩვენსა, აწ ბრძანენ მეუობამან შენმან
მოცემად ტყვი, რომელისა მიერ დაბურროს წმიდა ეკკლესიას, რათა
მას შინა ელაცვებოდის წმინდა მეუობასა შენსა.“

სოლო მან სისარულით სრულ ჰყო თსოვა იგი ბერისა, და ნაკ-
თაგან სამეუფოთა უბრძანა მოცემა ტყვიისა, რომელი იგი მოიღო
და დაბურა წმიდა ეკკლესიას, ვითარცა ყოველი სედავთ, თუ რამამ
შევიერ არს, და ამან ზედა შესძინა და გზრგზნი შტო აღაშენა, და
ესრეთ ყოვლითურთ სრულ-ჰყო წმინდა ეკკლესიას, და ამისა შემდგო-
მად იღვაწა შეწევნითა საღთოთა და აღისუნა რქრო ბეჭედნი მტკი-
ცილი ღუთის-მსახურთა მეუკითაგან დამამტკიცებელნი რქრო ბეჭედთა
ჩვენთანი და მერმე შესძინა ზღუარნი არა მცირედნი ჰრასტინთა
მონასტრისა ჩვენიანთა და უმეტეს ყოვლისა ზღუარნი მისოლი-
მნისა, სადა იგი ყოველი სუასტავი ეკკლესიისა უსუსბით გამომიწ-
დების, და კვალად რამეთუ დიძობგან დიდსა შინა ჭირსა იყვნეს
ჰრასტინნი ჩვენნი, ესრეთ მოხდა უფალმან ყამი მარჯუწ.

მას ყამსა ოდეს ღუთის მსახური ბაგრატ აფხაზთა მეფე და
დედა მისი მარამ დედოფალი სამეუფოდ ქალასად მოვიდეს, აღვიდა

წმიდა ესე მამა ჩვენი ღმრთის მსახურთა მათ მეფეთა, და ისილს რა მეფემან და დედოფალმან, და ყოველთა მთავართა და წარწინებულთა მათთა, განისაჩეს სისარულითა დიდითა, რამეთუ ახმიოდა საღთო იგი მოქალაქობა მისი და მიიღეს წმიდა ლოცვა და მადლი მისი და სუელიერი სარგებელი ფრად მოისთჳლეს და ჭმადლობდეს ღმერთსა, და ესრეთ ყოველივე საქმე მონასტრისა, რაცა უნდა ყოველი კეთილად იურვას, და დიძოსი ჰარასტინთა ჩვენთა ვერ შემოვიდოდეს, რამედ რათა გარეს გარე სეკრეტონსავე შინა მიეცემოდის რაქისაგან ჩვენისა ლიტრა ერთი დიძოსად, ვითარცა თუთ განაწესა ღმრთის მსახურმან მეფემან კოსტანტი მონამასმან და ამას ზედა რქრო ბეჭედი შეიქმან მტკიცე და უქცეველი.

ამის შემდგომ დაემოწაოვა მარია დედოფალი დედა ბაგრატ მეფისა და იკურთსა მის მიერ სქემითა და გამართოსოვა მონამასისაგან ლიტრა ერთი რაქად წმიდისა მონასტრისათვის, და შემოჭსწირას ესე საუკუნოდ სასხენებელად სულისა თვისისა თვის წმიდასა ამას ეკკლესიასა. და იგრეთვე არსენი მოწაფე იყო მისი და ლიტრა ერთი მან შემოჭსწირას წმიდასა მას ეკკლესიასა; თავის ჰატივითვან დაღაცათუ სსჳსანი ურიცხვნი კეთილნი მოისუნა ამან კეთილად სსენებულმან არსენი ფარსმან ყოფილმან, გარსა ესე ლიტრა ერთი განსზრსვითა წმიდისა ამის მამისათა შემოსწირას და რქრო ბეჭედსა შინა დაეწერას. „ესე სამი ლიტრა განძი, და სსვანი ზემოსსენებულნი საქმენი ამის ნეტარისა მამისა ჩვენისა მოღვაწებითა წმიდა ამას ლავრასა შეეძინეს, და ვიდრე უკუნისამდე მტკიცედ და უკუნისამდე შეეძინების.

რამეთუ ყამსა მას ოდეს იგი ღმრთის-მსახური ბაგრატ მეფე სამეფოფოსა ქალაქსა შინა იყო ესმა მას საქმე საკვირველი და ყოფლად არა დასაჯერებელი, ვითარმედ არს ნათესავი სამარტელთა ტომისაგან სჳმეონ მოგუსა, რომელსა აწინგან ეწოდების, განთქმული გრძნებათა შინა და უკეთურებათა სოლო ფილოზატისა მეფისასა მსეცნი შეჩვეულ იუვნეს და ჭსჭამდეს ნადირთა მათ, რომელნი არიან მას შინა სასადიროდ მეფისა. ცნა ესე დიდმან მეფემან მონომასმან უბრძანა მოყვანება აწიგნითა მათ, რამეთუ ხელოვნებითა გრძნებისა თვისისათა მოსწყვიდნეს მსეცნი იგი ნადირთა მათ მომსვრელები. სოლო

მათ ბრძანებას მეფისა საქმით აღასრულეს და მრავალი მსეცი მო-
სწვიდეს. ჭსტნა ესე მეფემან ბაგრატ, ვითარცა შემო ვთქუთ და მო-
უწოდა აწინგანთა მათ და ჭრქუა: „ვითარითა სასითა მოსწვიდენით
მსეცი იგი, მაუწყეთ.“ ხოლო მათ ჭრქვეს. „ჰ მეფეო, ესე ვითარ-
სა სელაგნებასა მიწდომილ-ვართ, ვიდრეღა სოცრცა შეგვრძნავთ და
დაგნდებთ ადგილსა მას, რომელსა მსეცი იგი მოვიდოდინს და ჩვენ
სესა სეღა აღუსდებთ და მსეცებრითა სმითა ვუსმობთ და იგინი სძასა
ჩვენსა შემოგობიან, გოცრცა მას ჭსტამენ და მოკუდებინს მეუწსეულად.
ხოლო დიდსა შაბათსა შობილი მსეცი არ გვხმენს და არცა ჭსტამს,
არამედ გვეტევიან: თუ გარგია თქვენ სჭამდით და სჭამეთ.“ და მშვიდო-
ბით წარგაღს. ხოლო მეფემან ჭსტაჰვა. „ვიდრე თვალთ არ ვინი-
ლო არა მწამს.“ ევედრეს მეფეთა, რათა უბძანოს მოყვანებად მსეცი
ერთი, რათა თვალთა უჩვენოს. ხოლო ვინადგან სსვა მსეცი ვერა
ვინ ჭზოვა ბძანა მოუჭანება ძაღლისა, რომლისა უწოდეს, ვითარმედ
სსვასა ყამსა შობილ-იყო და არა შემო-სსენებულსა მას დღესა და
მიუგდეს სოცრცი იგი შეგვრძნებული. ხოლო მას ყამსა ესე ბერი
მუნ იყო წინაშე მეფისა და აღიძრა წყალობითა ბუნებითისათა, ვითარ-
ცა შემო ვიტყოდით, სატებისა თვს და მსგავსებისა ღუთისა და მერმე
არა ხოლო თუ შეეწაღა, არამედ შურითაცა საღთოთა აღივსო, რათა
არა ქრისტესათა შოცრის ესე ვითარცა საქმე ისილგებოდის და უმე-
ტესად მეფეთა და სადა, იგი თვთ ნეტარი დასჭედის. მასინ მეუწ-
სეულად, რეცა გამოსასა სასწაული ჰატონისა ჯვარისა გოცრცა მას
სეღა მიგდებულსა, ვითარცა აღილო პირ-უტევემან მან მეუწსეულად
თქვენ განყვანება მისი, რათა არა დაეცეს და მოკუდეს. და ვითარცა გა-
ნიუვანეს ყოკლადგე არა რა ევსო, უღონო იქმნეს გრძნეულნი იგი და
ევედრეს მეფესა, რათა შინაგანსა სასლსა შეავლინოს ბერი და ბრძა-
ნოს მოყვანება სსვისა ძაღლისა. და ვითარცა შევიდა წმინდა იგი და
მოყვანეს სსვა ძაღლი და ვითარცა მიუგდეს სოცრცი შეგვრძნებული
მსწრაფლ დაეცა და მოკუდა. ხოლო ბაგრატ მეფემან, ვითარცა ისი-
ლა ესე ყოკელთა თანა მთავართა თვსთა აღივსო სინარულითა და
და მიუთხრეს სასწაული ესე ღუთის მსახურსა მეფესა გონსტანტინე
მონამასსა და დიდად განისარა და ჭმადლოზდა ღმერთსა. ხოლო

ბაგრატი მეფე იტყუხს ყოვლადგე კითარმედ. „უგეთუ მინსლოხ წმინდა ესე არა მეშინის არცა გრძნებისაგან და არცა წამალთა სასიკუდიისიოთ, ამის შეიძღომად, კითარცა ისილა ღუთის-მსასურმან მეფემან ბაგრატი, ესეკითარი ესე მოქალაქობა მისი, და უსსეულთა მსგავსი ფსოვრება, და ზემოწერილისა ამისცა სასწაულისა სიღვითა ყოვლითურთ იწყლა სული მისი სიყვარულითა მისითა და ღონესა ეძიებდა, რათამცა თხსსა მამულსა წარიყვანა.

სოლო არს მამულსა მისსა წარწინებული სამღუდელო-მომღვრო საყდართა შორის სამეფოსა მისისათა საყდარი ჭყონდიდისა, სადა იგი მრავალთა წმინდათა მარტვილნი დაუსკენებინ და თხსი საფლავი მუნ განემსადა, რათა რაყამს აღესრულოს მუნ დაემარხოს; ამის საყდრისა მღუდელო-მომღუარი მან ოდენ ყამსა აღსრულებულ იყო. ამან ღუთის მსასურმან მეფემან ბაგრატი დიდად აიძულა ნეტარსა მამასა გიორგის, რათა მიითვალოს განგება მისი და იქმნას ეფისკოპოსი. სოლო მან ყოვლადგე არა თავს-იღვა, რამეთუ ყოვლითა მოსწრაფებით ეკლტოდა დიდებსა კაცოსა, და შოფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკობდა, და ესრეთ დაჰყო სამეფოსა ქალაქსა რაოდენიმე ყამი და ყოველნი საქმენი მონასტრისა თხს ისინი განმართინა და ნებითა ღუთისათა კვალად თხსადგე ლავრად მოიქცა და დიდითა სისარულითა და სიყვარულითა შეიწყნარეს ძმათა და განსაგებდა და იზურობდა მონასტრსა ამას ყამ-რაოდენმე.

სოლო ჯერ-არს გსენებად დიდისა მის და სამოციქულოსა კელმწიფობისა, რომელი წმინდამან ამან აჩინა, რომელ არს შემუსრვა კერზითა და მსასურებისა მათისა უჩინო ყოფა, რომელი ესე ნეტარმან ამან ყამთა ჩვენთა მალადა და ღუთივ ბრწყინვალედ აღსრულა.

რამეთუ არს მთა წმიდისა პრასტინთა შინა სოფელი. ერთი რომელსა ლივსდა ეწოდების, ადგილი რამე მოქცეული ყურე, ყოვლად უდაბნო, მთანი უღად, მალნარხი და კგონსებ თუ არა ვინ წმინდისათაგანი მიძწუთარა მუნ, სოლო კაცნი. მკვდრ არიან შორიალნი, რომელთა სკლავ ეწოდების, ყოვლითურთ უგუნურნი და პირ-უტყუთ სასენი, წარმდებნი და არა წმიდათა ქვე-წარმავალთა მკამელნი:

ამას პრასტინსა შინა, კითარცა ვთქუთ კერზი ერთი დაშთომილ

იყო შირველითგანვე აქამომდე მარმარლოსა სასითა დედაგაციისათა, ამისა, ვითარცა ვითქეთ, გაცნი იგი უგუნურნი წუთლა ჭმასსურებდეს, და იტყოდეს. „მზე და წვიმა და ყოველი კეთილი მისგან მოგვეცემისო, რამეთუ გელმწიფება აქუს სიუფდილად და ცხოვრებად ვისიცა ესებოს.“ ესე ვითარსა რა უკეთურებასა შინა წარმატებულად იხილნა გაცნი იგი მსასურნი მისნი, ელმოდა და ეძახებოდა სულსა მისსა წელულე-ბისათჳს მათისა, და აღვიდოდა რა იგი ოდესმე ეკლადცა სამეუფოდ ქალაქად, და მივიდა მგზავრ ჰრასტინსა მას შემო-კსენებულსა მოვიდეს შეტომილნი იგი გაცნი და ეტყოდეს წმიდასა მას. „უკეთუ გნებავს, რათა განმარჯვებით შემოიქცე ყოველითა საურავითა შენითა ეკადრე ღმერთსა ჩვენსა, რათა შეგეწიოს წინაშე მეფისა.“ სოლო წმიდამან ჭკჭქა მათ. „კეთილ, გულეთ და მიჩვენეთ და მადლიერ ვარ თქვენდა ესე ვითარისა ამის კეთილისა თსრობისა თჳს.“ წარიუყანეს ბერი გაც-თა მათ, უერესა მის მიმართ და უსულოსა ღმერთსა მათსა. და ვითარ-ცა იხილა იგი ჭკჭქა მათ. „იუოს ყამისად სვალე თჳსგან მივიდე და გეზრასო.“

და სვალისაგან, ვითარცა განთენა მოღებად სცა ურო მჭედლისა-გან და წარვიდა თჳთ ბერი იკონომოსითურთ, ორთა თანა სსვათა გაცთა, და ვითარცა მიეასლა გამოისასა სასწაული ჰატიოსნისა ჯვარ-რისა შუბლსა თჳსსა, დაიწყო თქმად სასარებასა იოანეს თავისასა: შირველითგან იყო სიტუჭა და შემდგომი. სოლო გაცნი იგი ეტყო-დეს. „აჲ ესერა მოგვლავს.“ სოლო ბერმან განიცინნა და ვითარცა ასოვანნი, შეჭურვილი ჯვარითა ქრისტესითა მოუსდა მეუწესეულად მას, აღიღო ურო იგი და უსეთქნა და ესრეთ წერილ-წერილად შე-მუსრნა, რომლისა ნამუშავევი სასლეულად წუთ იხილგების, და სა-ღთოსა მას შერსა გაცისა მის ღმერთისა წამებს.

სოლო რამეთუ წინაწარმეტყველებისა მადლი აქენდა წმინდასა ამას გაცსა, რომელი ესე დღესამომდე, ვითარცა ნათელი მზისა ბრწყინავს, და ღმთივ-შეწინიერად აღსრულებად იხილგების, რამეთუ მას ყამსა ოდეს იგი თეოდორსა დედოფალსა ეპყრა ბერძენსა, მეფობა ითხოვა ბაგრატ მეფისაგან, რათა მოსტეს სახელი მისი მართა და შვილად თჳ-სად აღიზარდოს.

სოლო მეუბნის ბავშვთ სისარულითა დიდითა წარმოგზავნის შვილი თვისი მართა კაცთა თანა საკუთართა. სოლო მათ დღეთა შინა განგებთა საღთოთა თეოდორს დედოფალი აღესრულა. და მასვე ყამის მარტომ დედოფალი დედა ბავშვთ მეუბისა მუნ იყო და წმიდაცა ესე მამა ჩვენი მუნვე იყო მიწესითა რამე საქმეთათა.

სოლო ვითარცა ვთქვით მიწაიგვალა თეოდორს დედოფალს მეუწესეულად მართა ასული ბავშვთისი სამეფოდ შემოიყვანეს, და ვითარცა იხილა წმიდამან ამან მართა, სასმენელად ყოველთა წინასწარმეტყველად და თქვას ვითარმედ. „უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა.“ სოლო მასინ დაჰყო მტირელი ყამი და კვალად ზევე წარიყვანეს მართა; სოლო ოდეს მოიწია ყამი კვალად მოხთსოკა დუგიწმან და სძლად თვისად სამეფოსა ამას ქალაქსა შემოიყვანა.

მასინ რომელთა ასმიოდა წინასწარმეტყველებს ბურისს, იხილეს რა აღსრულებად ყოველთა და მადლობდეს ღმერთსა, რომელი წინასწარ ყოველსავე გამოუცხადებს ნების-მყოფელთა თვისთა, და ეგრეთვე მარტომ დედოფალმან ჰქვას წმიდასა მას იყო რა იგი აღმოხვედეს, ვითარმედ. „მამო, აღესრულა წინასწარმეტყველება შენი, რა იგი ოდესმე წინასწარმეტყველე მართას თვის.

ესრეთ რა იყო და ესეკითართა ცხოვრებითა ბრწყინვიდა და ესრედ განაგებდა მისდა წმინდებულთა მათ სამწყსოთა, რამეთუ ოდესმე სამეფოს არს წინაშე ღმთის-მისასურთა მეუბთა საჭიროთათვის და სათანადოთა საქმეთა და კვალად ოდესმე მონასტერსა არს და განაგებნ სამონასტროთა საქმეთა და ცხოვრებასა ძმთასა ჰმართებნ და განაწესებნ. მასინ გულის სძა ჰყო და განიზრასა ღმთის მიერითა განგებითა, ვითარმედ ღმთივ-მოხილვებულნი იგი ცალანტა არა აღოჩინდებოდა, რომელ არს ღმთივ სულიერთა წიგნთა თარგმნა, იჟმნა წინა-მძღვრობისაგან და შენდობა ითსოკა ძმთა ყოველთაგან. სოლო იგინი დაღაცათუ შეწესნეს და თერხთა შეუკრდეს, არამედ არა თავს-იღვა მოჩილებს, ვითარცა ზეგარდმო ღმთის-მიერადმრულმან და გულისავე ქმნილმან და ესრეთ გამოვიდა მონასტრით, რომელ ვიდრე ყოლადმდევს არა რა აიღო მონასტრისა და წიგნნი, რომელნი ვითარ-

გმნეს დეკანოზობასა შინა ივინი წინამძღურობასა ყოველივე ეპკლე-
სიასა შინა დაუტყვა: სჯაქსარი დიდი და გამოკრებული სასარება,
შავლე გამოკრებული, კურთხევანი სტოდელი და სხვანი. და ესრეთ
ცალიერი გამოვიდა მონასტრით, რომელ გარე ღუთის-მოუჭარეთა
კაცთა მისცეს საგზალა, რამეთუ რც გზის იქმნა სივლტოლვა მისი,
ხოლო უკანასკნელ ესე იყო. რამეთუ მისეზი პირველისა სი-
ვლტოლისა ესე იყო, ვინადგან არც ესება წინა-მძღურობა; არამედ
მოხურნე იყო თავისა თვისისა მუედროებით ყოფასა და ევლტოდა
შეფოთსა და ამოხსებასა, ამის თვს ფარულად ყოველთაგან სივლ-
ტოლვა ისჴმია და შავსა რა მთასა მივიდა, დიდად ახრალა გიორ-
გის მიერ მოძღუერისა თვისისა დატყუებისა თვს პირ-მეტყუელთა ცხრ-
ვართა და მოასსენებდა სიტყუისა მაცხოვრისა, რომელსა ეტყოდა
მოციქულსა პეტრეს ვითარმედ. „უკეთუ გიუჭარ მე დამწყესს ცხრ-
ვარნი ჩემნი ამის მიხეზისათვს ბრძანებითა მოძღუერისა თვისისათ-
კვალადცა მთა-წმინდას მოვიდა და იძულებითა ყოველთა მძათათა კვალად
კელჭყო საქმესა წინა-მძღურობისასა და დაჭყო უამ რაოდენმე პირველ-
აღწერილთა ამით განგებითა და მერმელა იქმნა მეორე წასლვაჲ მისი
თარგმანებისა თვს წმინდათა წიგნთასა და ესრეთ შევიდა ქალაქად
სამეფოდ და მეფისაგან თავის-უფლება მიიღო, დაღაცათუ უმნდა მე-
ფესა, რამეთუ დიდად ესვიდა არ წინა-აღუდგა, არამედ თანა-შეწევნიითა
მარამ ბაგრატიის დედისათა, რამეთუ იგიცა მუნ იყო, ვითარცა პირველ
ვსთქუთ. სამი კაცის პური აღიღო, სჯომონ წმინდას და ესრეთ წი-
გნითა სამეფოთა შავსა მთასა მიიწია. ხოლო მათ სისარულით შე-
იწყნარეს და დიდი სიყვარული წინა უყვეს და ყოველითურთ აღაშენეს.

ხოლო ამისა შემდგომად მარამ დედოფალი დედა ბაგრატისა
ქალაქით სამეფოდ ქალაქად ანტიოქიად მოვიდა, რამეთუ ეგულებოდან
წარსლვად წმიდად ქალაქად იერუსალიმად ლოცვად და თაყვანის-ცემად
წმინდათა მათ და განმაცხოვრებულთა ადგილთა, და აქუნდა სამეფო
ბრძანება თავადსა თასა, და პატრიარქისა ანტიოქიისასა, რათა ყოველი-
თა დიდებითა და პატივითა წარგზავნონ. ხოლო პატრიარქმან და
მთავარმან განიზრახეს, და გაიგონეს თანა-ზრახვითა მამისა გიორგი-
სათა, რამეთუ არც კეთილ არს აღმოსავალისა მეფეთა დედა, რათამცა

სარკინოზეთს წარვიდეს, ვინათგან ცოდვათა ჩვენთაგან იგი უფლებენ ქვეყანასა მას, და ესრეთ პირითა თვისისა მოძღვრისა გიორგისითა მოასსენეს დედოფალსა, და წარსლვისგან დააცსურეს. ხოლო იგი დაღაცათუ შეწუსდა, არამედ ნებასა ღუთისასა ვერწინა აღუდგა, მასინ ეკედრა წმინდასა მას ბერსა, რათა შეიწყალოს სული მისი, ვითარცა შეუწყალებიაცა და იღვაწოს ცხოვრებისათჳს მისისა, ვინათგან თჳთ ვერ ღირს იქმნა შესლჳად წმინდათა მათ და თაყვანის-საცემელთა ადგილთა, გარნა რა საფასე იგი, რომელი საგულად აღეკასმან წარიღოს იგი იერუსალიმად და გლასაკთა და დაგრდომილთა განუგოს წმინდისა მის ქალაქისათა და მონასტერთა მათ წმინდათა, რომელნი შენ არიან გარემოს მისა.

ხოლო ბერსა დაღაცათუ შეუძნდა საქმე ესე, ვინათგან წმინდათა წიგნთა თარგმნისგან დაესრწოდა, არამედ უმეტესადღა ცხოვრებისათჳს სულისა მისისა მოსწრაფე იყო და სიტყუადაცა იგი მოციქულისა ეკსენა, რომელსა იგი მისწერს გორინთელთა მიმართ, ვითარმედ. „აწ ესერა აღვად იერუსალიმად, მსახურებად წმინდათა და შემდგომი.“ რომლისა თჳსცა აღიღო საფასე იგი წარსაგებულად განმზადებული და შეწყენითა ღუთისათა მოწათვისა ერთისა თანა წარემართა და წმიდად ქალაქად მშვიდობით და უკნებულად მიიწია, და წმინდანი იგი ადგილნი მოიღოცნა და წმიდათა მამათა ლოცვა მოიღო და საფასე იგი წარცემული ყოველთა გლასაკთა და ნაკლულეკანთა და უღონოთა განუგო უსტუბით და ნეტარი მამა ჰროსოროე მასინ, ოდენ ჯვარისა მონასტერსა აშენებდა, ესე იხილა და საფასითა თერიად შეეწია. ხოლო ღირსი იგი ბერი ეკედრებოდა, რათა პირველი ნაყოფი წმინდათა წიგნთათა მისთა ცხოველს-მყოფელსა ჯვარსა მიანიჭოს, რომელი იგი დაღაცათუ მასინ ვერ იქმნა, ხოლო უკანასკნელ შემდგომად ჰროსოროეს მიცვალებისა, მოწათვეთა მისთა ნება მისი აღასრულეს და სათთუწონი და მარსჳანი, წმინდასა მას მონასტერსა დასსენეს.

ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ, ვითარცა სრულჳყო ყოველივე ნუგეშინის ცუბა, და მოღვაწება გლასაკთა წმინდამან მამამან გიორგი წარემართა კვლად შაკსა მოსსა, და ნებითა ღუთისათა მშვიდობით მიიწია და ღუთის მსახური იგი განამსიარულა, რომელი

იგი შემდგომად მტირედის მამულად თვხად სამეუფოდ ძის თვხისა თანა ბაგრატ მეფისა წარვიდა.

სოლო წმინდამან ამან ბერძან მოიტაცა ყოველთა ამთ შოლოთ-თაგან, და სარკავთაგან, და ყოვლისა ზრუნვისა განთავისუფლებულმან იწყო თარუმანებად წმინდათა წიგნთა, ვითარცა სული წმიდა მოსცემდა.

რამეთუ ესე ყოველთა უწყით, ვითარმედ ეკე ვითარი თარუმანი, თხიერ წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთხემეს სხვა არა გამოჩენილა ენსა ჩვენსა, და ვგონი თუ არცა გამოჩინებად არს, და უფროსნი წიგნი ღამით უთარგმნიან და ესრეთ შეუსკენებელად თარგმნიან, და კანონსა თვხსა დაუკლებელად აღასრულებს და რათურთით არა სცემდა განსკენებსა თავსა თვხსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა, წიგნსა საღთოსა შერებოდა, რომელთა მიერ დაატკბო ეს ჩვენი, და წმინდანი ეკვლესიანი განაშვეს და წერილთა თვხთა ოქროთა განამდიდრნა უსკად და გარდარეულად.

სოლო სხვანი ოდესმე თარგმნილნი და წით ვერ კეთილად გამოვლენი, გინათუ უამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მსმარებელთაგან დატესლებულნი, ვითარცა ვსთქუთ, ბრძმედსა მას შინა წმინდისა გონებისა თვხისა გამოადნო და გამოასურვს. სოლო კვლად სხვანი წიგნი წმინდისა მამისა ჩვენისა ეფთხემის მიერ თარგმნილნი და უცალოებითა წით ვერ ქმნილნი, არამედ სულ-მტირედ აღწერილნი განასრულნა და განავრცელნა და კვლად სხვანი რომელნიმე ბერძნულსა შეაწამნა და ყოვლისა საკლდეკანებისაგან განასრულნა და სიტყვა დღესგირობისაგან და ვერავობისა განაშვესნა და განაბწყინვნა, ვითარცა თვთ თავადი სასარება და ჰყლე.

სოლო უკეთუ ვინმე იყოს მოსწრათყოთაგანი და მამის მოუწყარე და უსდეს ცნობის ძალი თვთოეულის წიგნისა, თუ რა სწერის ამისვე წიგნისა ბოლოს ჰპოოს აღრიცხულად და განმარტებულად თვთოეულისა წიგნისა ზანდუგი და ანდერძი ღმთივ შვესიერად, რომელი წმინდამან ბერძან თანე ჰატრიკმან, ჰეტრიკ ყოფილმან, აღწერა რაჟამს იგი თავისა თვხისა თვხ გარდაიწერა წმინდანი ესე წიგნი, ყოველი წყლილად აღრიცხა, გალობა და დასადებელი ფრიადითა შრომითა და გულს-მოდგობითა.

სოლო საყოფელად არნ მისოდენმე სჯემონ წმინდა და ოდეს-
მე კალიპოსს, და ესრეთ არა ჭსტემდა განსვენებასა თავსა თვსსა, ვი-
დრელა ყოველნი განაკვირსა, არა სოლო თუ ქართველნი, არამედ
ბერძენნიცა და ასურნი, რომლისათვისცა ეუწყა მოქალაქობა მისი
სეტარსა იოანე ზატრიარქსა ანტიოქიისსა, მოუწოდა და ეზრასა სა-
დთო წერილთაგან მრავალ-სასედა ჰირველად და მერმე სულთა სარგე-
ბლისათვის, სათნოებათა თვის და ვნებათა. და ვითარ ყოველსა შინა
ფებერვალი და მარტი რომ წინ
გედვას, სამთარს ნურც აქებ და
ნურც ავინებ.

ფეიქარი ფაშა შეიქნა, მარგამ ნია-
დავ თავისას იგონებდა: ვაი შენ
ჩემო საფეიქრო, მასტიგო და
მასრა მაქოვო.

ფეიქარს ცოლი ეუბნებოდა. „შენი
ძმა ამდენს შოულობს მოტუევი-
ლებითა და სიცრუითა.“ ეს მაქოს
ავდებდა, დამღეროდა. „ჰერ არ
შეუტუევიათო, ჰერ არ შეუტ-
უევიათო.“ ერთხელ მისი ცოლი მო-
ვიდა, შენი ძმა დაუჭირავთო და
ამდენს ახდევინებესო, მერმეთ
დამღერა. „ასლა შეუტუევიათო,
ასლა შეუტუევიათო.“

ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა.
ფიცი მწამს ბოლო მაკვირებს:
ქურდმა მამალი მოიპარა, კალთაში და-
მალი, მაგრამ ბოლო უჩლა პაცრონს
ეფიცება, არა ვიცირაო, პაცრონმა უპა-
სუნა ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებსო.
ფლავი ვის აქვს, იშტა ვისა აქვს.

ქ.

ქათამი წყალს დაღვეს და ღმერთს
შეხედავს.

ეს ქათამი ჩვენსა გაკანებს და სსკა-
გან კვერცხსა სდებს.

ქათმისა მიუვარს ენაო, მადლიდამ
გარდმოფრენაო, მსარ ბარვალ მკერდ
კურტუმ ვისერი, ცოტა რამ სა-
წინწკარაო, თუ საბძელსაც დაუმა-
ტებთ, ჩემთვის ესეცა გამარაო.

ქათმისთვის უკითხავთ. „საიქო ში-
რა ამბავი მიიტანეო.“ რადა ამბა-
ვიო, ცხვარი დაკლეს ზედ წა-
მაკლეს, ზროსა დაკლეს ზედ
წამაკლეს, თსა დაკლეს ზედ წა-
მაკლეს და სსკა რაც დაკლესო.“

ქალაქი კარგი სათლელი დუმა არის.
ქალი იფდეს ბედს ელოდეს; ვაჟი
იფდეს ბერდებოდეს.

ქალი მორცხვი, ვაჟი სასი, ქვე-
ყნის ფასი.

ქალი თმიანი, მწკადი ცვრიანი.
ქალი ქმარს წუნობდა, იყო მის
ამარა. „ავა თუ კარგია, ქალო
შენი ქმარაო.“

ქალი ქებით გათხოვდება, რძალი
კარგი ვის უსასავს.

ქარის მოტანილს ქარი წაიღებს.
ქარმა უთსრა საბძელს. „კარი გამი-
ღე ბზეს შამოყერიო.“ საბზელ-
მა უთსრა. „თუ დამესხნება, არც
შენი შამოყრილი მინდა, არც
გაყრილიო.“

ქარისგან შეშინებული დოს უბე-
რავდა.

ქანალმა წამალი იცოდეს თავს მო-
ირჩენს.

ქანალს გითსეს: ვინ უფრო გძულსო,
მან თქვა, ვინც თავი დამბანაო.

ქვან თავის ადგილს მიძიქა, რომ დაიძრება გამხუბუქდება.

ქვა იწვიის იმის საცოდვლობით. ქვევრში რასაც ჩასმასებენ, იმას ამოიძასებენ.

ქვეითი ცხენოვანს დასცინოდა. ქვრივმა ქვრივს მიუტრია, მეძმე ერთმანეთს თვითონვე გუფი დაუდევს

ქმარი ლაშქირივად მოჰიდა, ცოლი ამბავს ეუბნებოდა.

ქოთანს დაგოვდა, საჩქველი იზოჰა. ქოთანმა თქვა. „ოქროს ძირი მაქუსო.“ ციცსკმა უთხრა. „მე საივად მოვალო.“

ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს. ქუდი დაღე და ისე სამართალი გაასამართლე.

ქურდი თვიცხედ მისა არის. ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დამკარტავმა ათასი.

ქურდს რომ უური ადვენოს კაცმა, დღეში თსუთმეტჯერ გატდება. ქვევრის ქურდი მთსლეხედ დაიჭირეს.

ღ.

ღამის ქურდს დღით დაიჭერენ. ღარიბის კაცის შურის ჭამა მაღლია. ღაღანიძემ სამის დღის სინჯოსლი-სათვის სამის თვის ლეკვი შესჭამა.

ღვინით გაღასულს ჯოხით გაღასული სჯობია.

ღმერთსაც თავის პირით შეეხვეწებოან.

ღმერთი ვისაც მისცემს ორივე ხე-

ლით მისცემს, ვისაც წაართმევს, კიდევ ორივე ხელით.

ღმერთმა ქვევრისად გარდმოიხედა. „ბძანა ბევრი-ჩემი უნებური ძველარი ქვესო.“

ღმერთი მთას დასედავს და თოვლს ისე დასდებს.

ღმერთი რომ კაცს გაუწრება, პირველად ჭკუას გამოუღვეს.

ღმერთი უხვია, ღარიბო, გუფი სუ შეგიგონდება.

ღმერთისაც მუშინიანს, ღმერთის რისხვისაც.

ღმერთი ჭკუით იცნეს.

ღმერთო, სუ შეჭერი ვაჟ-კაცსა ცოლსა ებედსა და მძინარსა, ის შეშლის, ის დააბერებს, ის შერთავს წყაფსა მდინარსა.

ღრუბლიანი დღე პატარძალს დილა ეგონა.

ღორს უთხრეს. „ქვხში ქერი გაყრიაო.“ ღორმა თქვა. „მე პირი არ მიმწვდება, და თუნდ იყოს, თუნდ არაო.“

ღორის ტილი რომ თვესხედ დაისვას, მეძმე თავსუდაც გაკას.

ღორმა თქვა. „რაც გოჭები გაკასარდე, წმინდა წყალი არ მიხვამასო.“

ქ.

ქბად ალებული, წყალ წალებული. ებედს ვინ დაახუძებსო და მუსჯიო. ეველა თავისას სხივოდა, მუნასირე ბუნანკაფსა.

ევაკი სანესხვესხედ იჯდა და ბოლოს არიდებდა.

ევაკსაც თავისი ბასალა მოსწონს.
 ევაკს რა ქონდა, ბუხს რა გაქონდა.
 ემაწვილი თუ არ იტყობს, დედა
 ბუძის ან მისცემს.
 ემაწვილის ენა დედას ესმის.
 ემაწვილი სტიჩის, გაუა და სტიჩის.
 ემაწვილი ტირილით გაიზდება,
 გოჭი ჭკვირილით.
 ყრუსთავის ორჯველ ან სწირვეს.
 ყურმათქვა „უცხო უცხოასნაპირი
 მესმის მიტომ არ ვიზღებია.“
 ყურმის სიყვარულით ღობეს კო-
 ცნიდენ.
 ყურმის ქურდი იანვარში დაიკვე-
 სებს.

ქ.

შავი თეთრთან დაახი, ან ფერს
 იცვლის, ან სხეს.
 შავლორას თუნდა აღმა შეფხანე,
 თუნდ დაღმა ჩამოფხანე, მინც
 ღორია.
 შავ ღორს შავ-ტრუსა ან და-
 აკლდება.
 შაშვამ იჩივლა. „15 საირი სიმღერა
 ვიცოდე, მაგრამ ასეთმა ალაღმა
 დამიქროლა, რომე სულ ერთია-
 ნად დამავიწყდაო.“
 შეგნებულს კაცთან ომი სჯობია,
 შეუგნებულთან ღსინი.
 შენს სულგრძელებს, ჩემი დღე-
 გრძელობაც უნდა.
 შენი თუ არა ისარჯოდეს, ღსინს
 ნუკა ფერი გირჩეუნია.
 შეუნდოს ჩემს მკვდარსო, ჩაუღვას
 ჩემს ემასო.

შენვეული ჭირი სჯობია შეუჩე-
 ველს.
 შეჭამადს თვალი სჭამს.
 შვილი მტრულად გასარდე, მო-
 ყრულად გამოგადგება.
 შინაურს სუცესს შენდობა არა
 აქვს.
 შინ გარიგებული საქმე გარეთ არ
 გამოგადგება.
 შინ ბოკშეტი მშვიკები იყვანენ,
 ტაბლას გარეთ რა სელი აქვს.
 შიში ვერ ისსნის სიკუდილსა, ცუ-
 დია დაღრეჯილობა.
 შორს მოუარე, შინ მშვიდობით
 მოდი.
 შუბი საღთაში არ დაიმალება.

ჩ.

ჩათრეულს ჩაყოლილი სჯობია.
 ჩემი არ გითხრა გული რით დაგწვა.
 ჩემი ურგები ქათასი ქვასაო, შექს-
 მადი ძაღლსა.
 ჩეველებს რჯულთ უმტვიცესია
 ჩიტი ბდღუნად არა ღირდა, უკან
 დენა მეტი იყო.
 ჩიტი საჩხ შეესიზნა, წვიმა მო-
 მიფარეო.
 ჩიტი ღობეს შეესვეწება, ქარს ნუ
 გამატანო.
 ჩიტი სადაც გაიზდება, მისი ბა-
 ღდადი ის არის.
 ჩქარს უგვიანდებოდა.

ც.

ცა ქუდათ არ მიახნია, დედა-მიწა
 ქალამნად.

ცარიელს კაცს საბაყოსკენ მიუსა-
რლდა.

ცარიელმა თითმა სარსა გამო-
მსლისა.

ცას არა ვინ შებერდება.

ცდა გარიგების მოხასეურება.

ცეცხლი და გული სტუმარსა, წა-
ვა შინ მოაგონდება.

ცეცხლი ვსთქვი და პირი არ დამწვა.

ცეცხლი თივაში არ დაიძალება.

ცის კალი დელა-მიწას არ შეჩრება,
დედა მიწისა ცასა.

ცისე შიგინდამ გატუდება.

ცისეს კარი უნდა, კარს უკან კაცი.

ცოდვა გამოყლავებული სჯობს.

ცოლს დიდი ცომი უნდა, ასი ლი-
ტრა საფანელი.

ცოტა მოთოხსე, ცოტა მოხოხსე.

ცუდად ყოფასცუდად შრომასჯობია.

ცული პატარა არის, მაგრამ დიდს
სეს წამოაქცევს

ცესენს ვერა დააკლიანარა, უნაგირს
გარდაასდევინიან.

ცხვარი ცხვარია, როცა გაუჭირდე-
ბა ისიც მწარება.

ცხვარს ცხვრის ფესით დაკიდებენ,
თხას თხის ფესითა, სარსაც
თვის ფესით.

ცხვირს მოიწმენდენ, და არ მო-
იგლეჯენ.

ცხვრის ღუმას არა სჭამს, უკანი-
დამ რათ აზიარა.

ცხრაჯერ გაზომე ერთსელ გა-
მოსჭერ.

ცხრა მშათ ცხრა უღელი სარი ბე-
კრი ეკონათ, გაიყუკს და ცალ
ცალ უღელი შესვლათ, მერმე

თქვეს, სულ არაობასაო, ისევე
ცალ-უღელი სარი სჯობიაო.

ძ.

ძალა აღმართს სნავს.

ძალსა სცემდიან რძალს ასმეუდიან.

ძალლი სამჭედლოდამ რას გაიტანს.

ძალლი ძალლის ძეგლს არ გასტყოს.

ძალლი ჭეუფს ქარავანი მიდის.

ძალლის გული შვიდი წელიწადი

კალაპოტში იღვას, გამოიღებ
ისევე გაბრუნდების.

ძალლიდამ ბატკანი ვის უნასავს.

ძალლი ჭობოშანს სტლეკდა, ენა-

ში სისხლი გასდიოდა, ასე ეკო-

ნა ჭობოშანს გამოხდისო.

ძეკას შვილი მოუგვდა, ბუს მი-

უტდო, უთხრა. „დიდი თავი გაქს

იტირე და თავში იციო (იეცო).“

ძილმა სასთუმალი არ იცის და ში-

მშილმა სასუკვარი.

ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევე

ძმანები იუვნენ.

ძმამ ძმას უთხრა. „შენ ნასირში წა-

ბძანდიო, მე ქორწილში წაკე-

თრევიო.“

ძმა ძმისთვინარა ამ დღისთვინარა.

ძნა იწოდა, უღო იცინოდა.

წ.

წავიდა დღე და ფათურაკი.

წაიქცა ჯირკვი, მიესვია ჯინჭკელა.

წითელი ოქრო შავის დღისათვის.

წინა კაცი უკანა კაცის სიღია.

წინსკვილის ქვეები თუ ერთმანეთს

არ ეხმარებოდეს, ცალმა რაც

იბრუნოს ვერას დაფქვავს.

წელი სანამ ჰატარას, მანამ მოგრე-
 სენ, გაიზღება აღარ მოიგრისება.
 წყალ გაღმა წაედავე, რომ წყალს
 გამოღმა შენ დაგრჩეს.
 წყალი ნაყე, ნაყე, ისევ წყალი და-
 დგება.
 წყალი რომ დიდს სანსკერტს ადგილს
 დადგება სული გაუდინდება.
 წყალში თევზი არ დაფასდება.
 წყალ წაღებული საკვს ეჭიდებოდა.
 წყალნი წაველენ წამოვლენ, ქვიშანი
 იქავ დაჩხებიან.

ჭ

ჭამამ რა მიუო, ღოკამ რა მიუოს.
 ჭამა ქონებაზედ ჰკიდია.
 ჭიასაც რომ ფეხს დაადგენ, ისევ
 ხმას ამოიღებს.
 ჭინჭარი ჭირის ჭირია, სატატურნი
 ბაღდაძია, სკინტრი უკვლას წა-
 ძალია.
 ჭირვეულობა რიგით უნდა.
 ჭირი მომგონებელსა.
 ჭირიც აღარ მიუბრუნდება მეორედ.
 ჭირო, მეზობლისას წადი, მე კი
 მომშორდიო.

ჭირს გაძლება უნდა.
 ჭირი თქვი და მეჭირე ხელში და-
 იჭირე.

ჭყუა მოგონებაზედ ჰკიდია.

ხ

ხან დაზმულს კაცს სიზმარიც და-
 ეჭყრება.
 ხარბის თვალს შავის მიწის მეტი
 ვერა გააძლებს.
 ხარმა ხარს ურქინა, სამოუწარზედ
 გაადგო.

სარი სხვისა, სასრე ტყისა, გაჭკარ
 და გაუჭირე.

სარი ქირაზედ მოკვდება, კოკა
 წყალზედ გატყდება.

სელთ ტარებას მეტლით ტარება
 სჯობია (ითქმის საგზლისათვის).

სელმა სული დაბანა ორივემ პირი.
 სე რომ წაიქცევა ცუდიანი და უცუ-
 ლო ზედა მისდგები.

სერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი
 მოიგონებსა.

სვალნიღელს ქათამს დღეჯანდელი
 კვერცხი მიჩხეკნია (ღარიბი ამ-
 ბობს), დღეის ქათმებს გაკსტემ,
 სვალ ვარიები და კვერცხები მო-
 მივა (მდიდარს უთქვამის).

სენაში პირობა სჯობს მკაში პი-
 რობის.

სიზილალა სამბილისა ცოტა ჭა-
 მე ძამუაო, თვარა მეტეულს შემო-
 გბერავს ჩემი არა ბრალიაო.

სურეს არ უჭყრებდენ, სურცის ძაღლს
 უჭყრებდენ.

ჟ

ჟერ არ მინდოდა შობა, და მერმე
 სიკვდილი.

ჟერ თათა-და-თათა, მერმე ცოლო
 და შვილო.

ჟერ ძილი, მერმე სიზმარი.

ჯიანჭკეულს რომ ფრთები გამოუა,
 დმერთი მაშინ გაუწყრება.

ჯორჯობა ძაღლმა რომ კურდღელი გა-
 მოაბრუნოს დაჭკრვით ჩაუარდება.
 ჰსჯობს სიცოცხლესა ნაძრასსა სი-
 კუდილი სახელთკანი.

ჰჭკეჭ რკინა სანამ ცხელია.

ფ

ჭილღასოფოსსნი შემოკრბეს, ამაზედ ჰქონდათ ცილობა:
 ბატონი კაცსა ასაქმებს და ჭეუას გამოცდილება.
 ათასად გუარი დაფასდა, ათი-ათასად ზდილობა.
 თუ კაცი თავად არ ვარჯა, ცუდია გუარი-შვილობა.

XIII.

სამართალი ბატონი-შვილისა ვასტანგისა.

შესავალი პირველი. მყოფისა უმყოფისა არსისა და უარსისა და მარსისა მქე-
 ბი, არათუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მშონებელი. უღებად მქონე,
 მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი დღე მრევლნი სელთა მარგალიტთა
 შინა და ჰპოებენ მძივთა რათმე და უხილველობისათვის აღიღებენ და შთასღებენ
 საუნჯედ პაციოსანთა, შემკობით უპაციოსნედ მარგალიტთა ჰყოფენ; ეგრეთვე
 უფალმან ჩემმან, მზადმან ყოველთამან და სიბრძნით გამგებელმან, მპოვა მარგა-
 ლიტთა შორის მრავალთა და აღმიღო მსგავსად ხმისა მყცა ეგრეთ. „უმცირეს ვი-
 ყავ მე მძათა ჩემთა შორის და უმრწემეს სახლსა შინა მამისა ჩემისასა და ვმწყსილი თავსა
 ჩემსა უგუნურად და თავხედად, სელნი ჩემნი იყუნეს მოქმედ არა რაჲსა კეთილისა და
 თითნი ჩემნი ვერა რომელსა იშრომებდენ ნებასა უფლისასა; არამედ იყუნენ უქმ-
 ვინმე მიუთხრას ესოდენნი ბოროტნი ჩემნი უფალსა ჩემსა; ხოლო თავადმან
 უფალმან გამოავლინა პირითა უცყუველითა ბრძანება ცოდვილთა მოწყალეება და
 აღმიღო მე უნარჩევსი სახლისა ჩემისა და მყო მე მსაჯულად და განმგედ
 წილხდომილთა ქვეყანათა უბიწოდ მშობელისა დედისა თვისისა, არა თუ
 ქმნლებათა რათმე კეთილთა ჩემთათვის, არამედ უნარჩევსობისა ჩემისათვის; ამის-
 თვისმცა, რათა ჰსცანნ ყოველთა, რამეთუ უსწავლელთა და უმეცართაგანცა ჰსთავს
 და ნებავს სრულ-მყოფელს ღმერთსა მარადის გონება კეთილისა:“ იყო ქვეყანა
 ესე ქართლისა ყოველითურთ კეთილითა შემკული და შეზავებული, ხოლო ცვა-
 ლებითა დღეთა და ვითარებითა ჟამთათ თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯილენ
 და განაკებდენ, ვიეთნიმე მოყუწობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნივე მორიდე-
 ბით, ვიეთნიმე ღუთის ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამათა, ვითარცა
 ენებათ ეგრეთ ჰსჯილენ. ხოლო ჩვენ ნებითა ღუთისათა და წყალობითა დიდისა
 ხელმწიფისათა, პირველითგანვე ზეცით საქართველოს მეფედ განკუთვნილისა და

1. ჯერ ეს გვადრობს და მოგვასვენოთ მეფეთა და მსაჯულთა და ყოველს სამართაში მგდომს კაცსა: ეს იცოდეთ, დამარხვით გულთა შინა გქონდესთ, რომე ღმერთი ყოველის დამბადებელი თქვენგან სამართლის უფროსს არას ითხოვს და რისხვაცა უსამართლობით მოივლინების, თორემ ვისაც გებრძინებოდნით წერილნი ნახეთ, მაშინ ჰსცნობთ. უსამართლობა ამ სოფელს კაცს უძეოდ ამოფხურის და გარდავლინებს, დღეთა სიგრძეს მოუკლებს, ქვეყანასა აუოხრებს, ცანი ცვარს მოაკლებენ და ქვეყანა ნაყოფს. ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წარსწყემენს და საუკუნო საცანჯველს დაუმკვიდრებს. ესენი ყველა უსამართლობისაგან გამოვლენ და სამართლის ქმნა მეფესა და მსაჯულსა ამა ყოველის ბოროტისაგან შორედ ჰყოფს და განსდევნის:

2. საქართველოს მეფენი ბევრჯერ დიდად ამბდლებულნი და ნებისებრ მათის ბრძანებულან და ბევრჯერ ეამთა და დროთა ცუდლებით ასრე დამბადებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ, თორემ მართებული არა უქნევიანებიათ რა, როგორც ყმათა სდომებიათ ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ, ამისი მომსწრები თითონ მეცა ვარ და სხვანი მრავალნი ხნით ჩემზე უფროსნი არიან და ისინიცა ამ გვარს დროს ბევრს შესწრებოდნენ. აწ ამისთინ ვიწყოთ, თუ მეფეს მეფობა შეეძლოს ქნას, თუ არა სახელი და საუკუნო უნდოდენ, შეუძლებლად მეფობას უქმნელობა ჰსჯობს და ხელის აღება; თუ ხელმწიფის ყენით იყოს ერთი რამ საქმეს, რომ უმისოდ ვერ იქმოდეს და თუ ქნას ის იწყენდეს, იმისი საქმე სხვა არის; კანონი ხომ აქუს, რომე კაცმა სწორე სამართალი ვერა ქნას; მაგრამ ამას არა გაეწყობისრა და მეფეს სხვა დრო ასეთი შესჯდეს, რომე ყმათაგან ვერ იქმოდეს ან ხელი აიღოს და ან არა თუ სოფლის ნივთთა შემსჭვალვით ხელი ვერ აიღოს; თვითონ სამართალში ნუ დაუგდების, ოთხი იყოს თუ მეცნაკლები დიდებული გამოარჩიოს და იმათ სამართლონ ქვეყანა და მეფე ღმერთს ეხვეწოს, უბრალო იქმნების, მათ იციან და მათმან სულმან და მათმან საუკუნომან.

3. შირველ ესე რომე მოსამართლე დიდად მჩხრეკელი, მიმხუდარი და გამოძეიებული, გონებააუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის აყურის მიმგდები, გამსინჯავი და სხვისაც მკითხავი, მოჩივრის მოადის მომცდელი სხვისაც მკითხველი; თუ ამისი სამართალი თქვენგან როგორი ისინჯვის, მოწმის მოძებარი უნდა იყოს უქრთამო, ღუთის მოშეში. თუ მოსამართლე სამართალში სხვას რასმე საქმობს და მოჩივრის საჩივარს ყურს არ უგდებს ან საჩივარში გვარობს და მოჩივარს უწყურების, იმასაც საჩივარს დაკარგვინებს და ვერცა რას თითონ მიხუდების და უსამართლო მოუა. იქმნების მის ალაგს გვაროც უნდოდეს ან ქურდსა, ან ავაჯაკსა, ან ცყუვილის მთხრობელს და ან ცყუილის მოწამეს

ზავთი აჩვენოს, რომე მით გასტყვოს, ან ტყუილი არ ათქმევინოს. მარცო მოჩივარს სამართალი არ უნდა უყოს, მეორეც დაიბაროს, ორნივე ერთად ალაპარაკოს მოწმით, კითხვით და გამოძიებით, მათის საჩივრის მართლად შეტყობას ეცადოს, არც ფიცხლავ სამართალი ქნას, უნდა ორგვერ, სამგვერ, ხან ერთად, ხან ცალ-ცალკე ალაპარაკოს, თუ გრძელი და ღიდი რამე საჩივარი იყოს ორისავე სიტყვა მღივანმა დასწეროს, რომ არ დაავიწყდესთ. და მერმე ცალკე გასინჯონ, ეცადნენ მართლის შეტყობასა და უფიცრად მათს გარიგებასა და თუ არ იქნას და უგვეროდ არ მოხდეს, მერმე ეს რომელიც აგაეხი და მოსამართლეები დაგვიწერია ვისს საჩივარს, რომელი აგა შეეფერებოდეს ის დასდვან და იმითი გაატანინონ, მაგრამ მოსამართლე თუ ან ქრთამით, ან მოყუწობით, ან მუსაიბობით, გინა შიშით, ანუ სიყვარულით და ან მტერობით ერთს მეორეზედ მიუდგა არ იქმნების, არც სამართალი მოხდების, არც მტყუანსა და არც მართალზე ქრთამი არ არის და არც მოსამართლემ უნდა ინდომოს და აღილოს, თორემ ძნელი ცვირთი დაუცს აღსაკიდებლად ბეჭთა თვისთათვის.

4. უფროსი ერთს სამართალს გაგზავნილი მოსაქმე გამარულებინებს სამართალს, ამიტომ რომე ერთს მეორეში მიხდომას ან სამზღურის ცილობა რომ გარდაეკიდებათ თავი-მოსამართლე მღივანბეგი ხომ ვერ წავა და იასაულის გაგზავნიან. „გასინჯე, მოკითხული ჰქენიო და მართალი ამბავი მოგვიტანეო.“ თუ იმ იასაულმა ღმერთი ჰგმო და ქრთამით მოსამართლეს მრუდი ამბავი მოუტანა, მოსამართლემ რა ქნას, მაგრამ ასრე უნდა მღივანბეგს, გინა სხვა მოსამართლეს ამ გვარის საქმისათვის სხვა რიგი ჭკუვის-მყოფელი, უქრთამო, მართლის-მთქმელი, სამართალზედ ცნობილი იასაული ჰყვანდეს და ის გაგზავნოს და გაწერომისათვის დაჭერისა იასალი სხვა უნდა ჰყვანდეს და იმას გაგზავნიდეს.

5. სამართალში თუ უფროსმა მოსამართლემ და მსაჯულმან არა ჰკითხოს რა გინდ უფროსი და ჭკუა მყოფელი კაცი იყოს და იქ იჯდეს, სამართალი არ უნდა თქვას, არც უნდა რომელსამე მოეხმაროს და როდესაც მსაჯულმან ჰკითხოს, ღუთის წინაშე რასაც მიხუდეს სწორე და მართალი უნდა თქვას და არ დაზოგოს.

6. საქართველოს რიგი და სამართალი ექვსი არის რომე ამითი თავი იმართლებს: პირველი ფიცი, მეორე შანთი, მესამე მღულარე, მეოთხე ხრმალი, მესუთე მოწამე, მეექვსე ცოდვის-მოკიდება. ამათ თითოს და თითოს თავისი საზღური აქვს, თუ რომელ როგორს საქმეზედ უნდა დაუდვას და ქნით როგორ უნდა ქნას თვითოეულადცა გამცნებთ.

7. ხმალი შეიგანება მეფეთ ორგულობასა და ღალატზედ, მეფის სალაროს გატეხაზედ, ხაცისა და საყდრის გატეხაზედ და მსგავს ამათებრზედ ამ წესით უნდა

რომე ან რომოცსა ღ ან ნაკლებს დღემდინ ალოცონ ღ თითო წიგნი დაუწერონ ასე რომე. „სასწორო და სამართლო ღმერთო, მე ესე და ეს კაცი, გეაგები ღ გეხვეწები სხვას ჩემს დანაშაულს დღეს ამაში ნუ მკითხავ, რასაც ეს კაცი მიადებს ღ მეწამების, თუ იმაში უმართლე ვიყო ღ არას ვერიო, იმისი თავი მე დამინარჩუნე, თორემ ჩუმი თავი იმას დაანარჩუნეო.“ ამ რიგი წიგნები ორთავ უნდა დაუწერონ ან ყელზედ ღ ან შუბის ბუდესთან შეაბან და ის შესაბმელნი კაცნი როგორც შეეძლოსთ ისრე შეეკაზმნენ, ერთი თავს მოედნისას ღ ერთი ბოლოს დადგენს, თითო მემართანზე ჩაატანონ უიარაღონი, რომე თითოს ფარისა ღ მართანის მეტო იმათ არა იქონიონ რა. რა რომ დაპირდაპირდნენ გაუშვან და შეუტონ. მემართანებრ არ უნდა მიეშველნენ, სანამდინ ერთი არ გადავარდეს, რა რომე ერთ ერთი გადავარდეს, მაშინ მემართანები მიეშველნენ ღ არ მოაკუთოვინონ ღ მეფეს მოართვან ღ მერმე მეფეს ვით ხამდეს ეგრეთ ქმნას, მეფე ღ ჯარნი იმათს შეტევებას შორილამ უნდა უყურებდნენ, რომე მოყურებით მხ. სხვა რიგად არვინ მიეშველოს, რომელიც გარდავარდების ღ ან გაიქცევის ის გამტყუნებულნი, აქმნება ის იარაღი გარდავარდნილისა გარდამგდებისა არის ღ ცხენი მემართანისა

8. შანთი ღ მღუღარე ორივე ერთი არის, ამისი ასრე უნდა, ალოცოს იგი კაცი, რომელსაც შანთი ან მღუღარე გაუჩინონ მოედანსა შინა ან სხვას გამოსაჩენს ალაგს საღმე წყალი ადუღონ, ზედ ჩხირი გადუღვან ქვამზედა ღ ძაფით ან რკინისა ღ ან სპილენძის უნაწილო ჯვარი, რომელზედა სახე არ იყოს გამოყვანილი, გინა ვეცხლისა იყოს, ჩაჰკიდონ ღ რა ადუღდეს წყალი ღ გარდამობრუნდეს, გარდმოიღონ ღ მან კაცმან ჩაჰყოს ხელი სახელსა ზედა ღუთისასა ღ ის ჯვარი აშოილოს, მასუკან ფიცხლავ პარკში ხელი ჩაუდვან, დაუბეჭდონ, შესამეს დღემდინ ისრე იყოს, მერმე გაუსხნან, თუ არ დასწვია, მართალი არის ღ თუ დასწვია მტყუნაი არის ღ რასაც ჰსწამობენ გარდახდევინონ.

9. შანთი ასრე არის. რკინა რამ გაახურონ, რომ გაწითლდეს, მქნელს კაცს ზელობედ ქალღი უნდა დაადვან, მერმე ზედ ის გაწითლებული რკინა ღ რა რამ დაადვან მაშინვე სამს წინ უნდა წახტეს ღ მერმე წახლოვმილმან უნდა გარდავარდოს, თუ არ დასწვა მართალი არის ღ თუ დასწვა გყუილად გამოვა ღ გარდასახადი გარდახდევინონ. ჩს მანთი მაშინ აედებინების რომე, ან ბაცონის ღალაფა ღ ორგულეა, ან საყბრის ღ ხატის გატეხა, ან ბოზობა, ან მსგავსი ამისი შეემთხვას.

10. თეცი ასრე არის. ერთის ხარის შეწამებაზედ, უმთხრობლოდ რომ შესწამოს ერთი შეუგდებული მოწამე არის ღ თუ მთხრობელით ჰსწამობს შეგდებული მოთეცარი უნდა, აგრეთვე რამდენის ხარის საქმე იყოს იმდენი მოთეცარი შევარდების თავის ყადარი, უმტერ-უმოყურო მისი, ვარეშემო მისინ ხეობისა

თავის ბატონისა და იმ მფიცებელის ბატონის ყმის გარდა უნდა სხვის ყმა შეადგონ. იმ შეგლებულში ნახევარი იშოვოს და ერთი იმდენი შეუგლებელი! თანუ მიიყოლიოს, ხატი, ვინც აფიცებს იმან იშოვნოს. იმ მოფიცარმან მღუღელს ხატი ხელში ჩამოართვას და ასრე უნდა თქვას. „ამისმან მადლმან და ამისმან განმაჴ ცხოველებელმან ღმერთმან, შენ მამავალო კაცო, რასაც მწამობ, სახელდობრივ ჩაიგნოს, მე იმისი არც მქნელი ვარ და არც არაზიცი რა.“ რა ეს სიყუჴა გაათოს მოწმებმან უნდა თქვან. „მართლა ფიცა, მაგისმა მადლმა.“ თუ ასე იფიცა გამართლებული იქმნების იგი კაცი და თუ ვერ იფიცა, რასაც სწამობს პასუხი უნდა გასცეს. მაგრამ ჩვენ ამასვე ვიცევით, რომ ყოველი მოსამართლე ეფიცის მოხდენას ეკრძალოს და სხვა რიგად მოჩივრის გარიგებას ეცადოს.

11. აწ ეს უნდა მოსამართლემ იცოდეს თუ ფიცით რომლისა არის, ვინც შესწამებს ვისმე რასმე, იმ შემწამებელმან კაცმან უნდა დაიფიცოს, ან ღღეს ვისაც მამული უჭირავს და შეეცილება ვინმე, ფიცით ვისისაც ხელთ მამული არის მისია, ის ასე დაიფიცავს. „ეს ადგილი ამ სამზღურამდინ, ამ ალაგამდინ, სადაც შეუძლია ჩაივლოს, ხატი ხელთ ეჭირვოს, იცყვის. აქამდის ჩემის ალაგისაა, ჩემი იყოს და ცყულიადაც მეცილებოდე.“

12. ერთი ესეც მამულის ცილებაში გარეშე მოფიცარი არ შევარდების, თუ ღიღი რამ მამული არის თითონ ის საპატრიოს კაცის შვილი უნდა აფიცონ, თუ უღაბლე რამ არის აზნაურშვილი უფიცონ, კიდევ მის უღაბლესედ მსახური, მათქვეითსედ გლეხი იქმნების, ერთ-პირ სოფელიც აფიცონ და იქმნების ის საპატრიოს კაცის შვილი თავის მსახურ აზნაურშვილით და ყმიდაც აფიცონ, მაგრამ მოსამართლისაგან კარგად გასინჯვა უნდა, თუ როგორს ადგილს შესცილებია, რამდენი ღღური არის, ან რამდენი საკომლო არის, ისე ასწონოს, იქმნების ღღურსედ ერთი მოფიცარი შევარდეს, იქმნების ორდღისა ზე ერთი შევარდეს, იქმნების ოთხი ღღისაზე ერთი აფიცონ კარგ-ავობაზედ ჰქეილია; ვენახი არის, თუ ფუძე, ან საწისქვილო, ან საბაღე გამოიხსნა უნდა, ჯერ ფასი დაადვან და მერმე მოფიცარნი ისე შეადგონ.

13. მოწმობით სამართლის ქმნა ასე არის, რომე მოწამე ღიღლ სწამთ და იცინა უფრო ბერძენთა, ფრანგთაცა და რუსთაცა და წმინდა საქარებაცა ბძანებს. მაგრამ აქ ქართლში უფრო არ გავუწესებიათ და ასრე იცინან: კაცმა თუ რასაცა საქმეზედ ასეთი მოწამე მოიყვანა, რომე იმ მოწამეს ღუთისა ეშინოდეს, სული იცოდეს, ჭკუა ჰქონდეს ან საღთო კაცი იყოს ან სიმართლის ხმა ჰქონდეს დავარდნილი და კაცისაგან სახლო იყოს, უნდა დაუგჴერონ, თუ არა ერთისა და ორის ამ რიგის კაცის დაგჴერება არ დაუწესებიათ, და ეს ხომ მოგვისსენებია ამისთანას კაცს დაეგჴერების და სხვა რიგი კაცი თუ არის ათესა და ოცსა და ან ერთ-პირ სოფელს

მოწმობას დაუგვირებენ, თორემ ნაკლებს ძვირად დაუგვირებენ, ზემო რომე მოწმების ქება დაგვიწერია იმგვარი კაცი ორიც რომ მოიყვანოს მოსამართლემ უნდა დაუგვიროს ჰ აღარ აფიცონ, მაგრამე მოსამართლემ თუ ცყუვილი მოწმობა ჰ მთხრობლობა შეაჩნია ვისმე დიდი ნასალი უნდა უყოს, რომე სხვამ აღარავინ მოინდომოს.

14. ცოდვის მოკიდებისა ასრე არის. დიდი საქმე ცოდვით არ გადასწყდების, ერთი მარჩილისა ან ცოცხად უფროსი ან უცმროსი საქმე უნდა იყოს, მაგრამ იქმნების ასეთი კაცი, რომე იმისგან ცოდვის მოკიდება ჰ სულზედ შევარდნა ძროხაზედაც დაეგვირებოდეს. ცოდვის მოკიდება ასე არის, რომე ვისაც ამგვარი რამ შეეწამოს იმ კაცმან ის შემწამებელი კაცი ზურგს აიკიდოს ჰ ასრე უნდა თქვას. „შენიმც ცოდვა მეორედ მოსდევას მცა მაქვს ჰ შენდა ნაცულოდცა მე განვიკითხები, თუ მე ეგ მიქნას.“ თუ ამ რიგად ეს შეიძლო აღარავინ რას ემართლების ჰ თუ გერ მოიკიდა ჰ რასაც სწამობს უნდა პასუხი გასცეს.

კარი თეთრის გარიკებისა.

15. ეს თეთრის გარიკება ამისთვის დავსწერეთ, რომელ, თუ კაცმან ეს არ იცის ან შაური, ან უხალთუნი, ან აბაზი, ან ასლანი, ან მისხალი, ან ფლოური, ან ხუთი აბაზი, ან თუმანი რა ერთი არის, სისხლის მიცემაში ვერას გაიგებს, რომ იმდენი სისხლად გაუჩინონ. პირველს ჟამურს თეთრს გიორგაულს ეძახდნენ ის თურმე საქმობდა სისხლშიდაცა ჰ ის გიორგაული, რა ერთისაც წონა ყოფილა იმ ძველს წიგნებში სწერია ჰ იმითი იცნობთ, კიდევ ერთი რიგი სხვა თეთრიც ყოფილა კირმენაულს ეძახდნენ.

16. ახლა ჩვენი ჟამის თეთრი ეს არის ჰ ასრე იანგარიშების, ოთხი ხაშხაშის მარცხელი ერთი ფეცვის მარცხლის წონა არის, ოთხი ფეცვის მარცვალი ერთი ქერის მარცხლის წონა არის, ოთხი ქერის მარცვალი ერთი ცერცვის მარცხლის წონა არის, ოთხი ცერცვის მარცვალი ერთი დანგი არის, ერთს ცერცვის მარცვალს ყირათიც ჰქვიან. ექვსი დანგი გინა ოცდა ოთხი ყირათი ერთი მისხალი იქმნების. ერთი მისხალი ორშაურ ნახევრის წონა არის, ყიზილბაშნი უხალთუნს ეძახიან, ჟრუმნი ჰ ფრანგნი გიორგის. ოთხს შაურს აბაზი ჰქვიან, ფრანგნი თულის ეძახიან. ხუთი აბაზი ერთი მინალთუნი არის. ათი მინალთუნი ერთი თუმანი არის. ჰ ეს ერთი თუმანი თექვსმეტი მარჩილი ჰ ორი აბაზი იქმნების. ოც-და-ათ თუმანს ჟრუმნი ერთს ქისას ეძახიან. ფრანგულის თეთრის ხახვლები სხვა არის; მაგრამ აქ ამ თეთრზედ, როგორც ეფასების ისრე იქნების. სამშაურს ფრანგნი რუბს ეძახიან. ორი შაურის წონა ოქროს, რომ მისი დალი აგდეს ერთი ფლოური

არის, ამ ფლურის ფასი ღრო არის შეიღ-აბაზად ფასობდეს, ღრო არის შეიღ-აბაზ უხალთუნად, ხან ერთშაურ ნაკლებადცა იქმნების.

17. აწ ეს სცან მოსამართლემ ჭ გამრიგემ, თუ რასაც ფერს სისხლში, რომელს გვარს ჭ რა რიგს კაცს რას საქონლიდამ მიეცემის; ქართლში მსახლო-ბარი დიდი თუ მცირე, საღთოგანი, თუ ერის-კაცი, რამდენ კეცად მალლად ჭ და-ბლად გაგვირიგებია ჭ დაგვიწერია, იმასაც ესევ წიგნი შეგაყუობინებს ჭ თუ-თოეულად გამცნებს.

18. გლეხის კაცის სისხლში ძროხა იყო გაჩენილი, რომე ერთის გლეხის სიკუ-დილისათვის სამოცი ზროხა იყო გაჩენილი, მაგრამ ჩვენ თეთრად დაგვიწერია, ქართლში მაგდენი თეთრი არ არის ჭ ისრევე გლეხის კაცისა ჭ მსახურისა სის-ხლში ძროხა, ცხვარი, ცხენი, იარაღი ჭ სახლის სახმარი: რკინა, რვალი ყველა დაიჭირვის.

19. აზნაურშვილისათვის შესამედი თეთრი არის, თუ ოქრო, ვეცხლი დაეჭირ-ვის ჭ იმ ორს წილში ფარჩა, იარაღი, ცხენი, სპილენძი, ძროხა, ცხვარი ჭ ცუვეც დაეჭირვის.

20. შუათანას ჭ მის ქვემოთმან თავადმან სისხლის ნახევარში თეთრად ოქროდ, ვეცხლად ჭ ფარჩად დაუჭირონ ჭ ნახევარში ცხენი, იარაღი ჭ სპილენძი დაუჭირონ.

21. ამის უმაღლესმან თავადმან ჭ იმ ერთს დიდებულს თავს კაცს გარდაის მისის სახლის შვილმა ამით უნდა დაუჭირონ, თეთრი, ოქრო, ვეცხლი, ყმა, მამული, ცუვე, იარაღი ჭ რვალი.

22. სულ დიდებული თავადი რომ დაგვიწერია, იმისთვის ოქრო, ვეცხლი, თვალი, მარგალიტი მისის ფასით დაეჭირვინების; იქმნების თავისის ნდომით ჭ რჩევით იარაღი, პირუცყვი ჭ რვალი დაეჭირვოს.

23. არიან ზოგნი თავადნი ჭ აზნაურნი ძველთათვან ხელმწიფეთათვან სისხლის გა-ნაჩენები აქვსთ, ამისი ჩვენ არა დაგვიწერია, ამიგომ რომე არიან თავადნი მაშინდელს დიდებაზედ ისევ მოუშლეღნი იუვნენ ჭ არიან ზოგნი ჩამომცრობილ იუვნენ ჭ ზოგნი მდაბალნი ამაღლებელ იუვნენ; ამიგომ იმ ძველის განაჩენებით თუ არ მოუშლეღის დიდებულისას ჩვენ ვერას ვიცყვით, რომლისაც მოსამართლის ჟამში მათი საჩივარი ჭ განაჩენები მოვიდეს იმისი იმან იცის; მაგრამ მე ასე მგონია იმ ძველს განაჩენებზედ სა-მართალი ძნელი იუოს, ამიგომ რომე მაშინ ქართველი ბატონი დიდი ხელმწიფე ყოფილა, დიდი ალაგი ჰქსტერია ჭ მისს თავადთაც მამული ჭ მორჭმა ბევრი ჰქო-ნათ, ამიგომ ის განაჩენები უბრძანებიათ; ახლა მაშინდელზედ ქართველს ბა-

ცონსაც ბევრი აკლია ადგილი ღ მის თავადი მამულზედ დამცრობილა, გა-
ყრილან ღ მისი სიდიდე თვითანვე დაუჩაგრავთ. იმ განაჩენით იმას სისხლი რო-
გორ აეღების ღ ან მიცემას როგორ შეიძლებს ვინმე; რაც ახლა სისხლები გა-
გვიჩენია, ვექობ, ესეც კმარ იყოს. ესეები მოსამართლეთ კარგად გასინჯეთ ღ გა-
მოიძიეთ, როგორც კაცი მამულით, კაცობით, ბაცონის-სამსახურიც, ცინით, მონა-
სკრით ღ უფროსის კაცის მოყუსად მოკიდებით ამაღლებების, სისხლი გაუდიდე-
ბის, ისე გაყრით, მამულის მოკლებით სისხლიც მოაკლების

24. ერთი ესეც უწყოდეს მოსამართლემ, რომე რა დიდი საქმე ღ დიდროანს კაცში
სიკუდილი ღ რაგინდა რა სისხლი მოხდეს, ერთი მეორეს მოყუსობით, მოხმარე-
ბას ღ მიშველებას შეფე ღ კათალიკოზი ნუ აქნევიანებს, ნურც ერთს მეორის
რბევას დაწყებინებს ღ ნურც ვინ მოინდომებს, თორემ მიმშველისა ასახისი ღ
მარბიელის კაცის დაგვიწერია ღ ისე ჩივილის ღ არც შერჩების. რა ამ-გვარი სა-
ქმე ქვეყანაში მოხდეს, ასრე უნდა მათ შუა ხელმწიფემ კაცი დაუყენოს, ერთ-
მან-ერთზედ არლა მიუშვან, კიდეც სიკუდილი ღ ღუთის საწყენი საქმე აღარ იქმნას
რად, ან რბევა არ დაუწყონ, გლეხი ღ მამული არ მოეთხაროს; ორნივე დაიბარონ
ეპისკოპოს დარბაისელთ შემოყრით ღ დახლომით, ჯერ ერთი აჩივლოს, ის საყე-
ნოს, გაიცალონ, მისი საჩივარი დაწერილი იქონიონ, მერმე მეორე მოადი აჩი-
ვლონ, მისი საქმე ღ საჩივარიც ისე ქნან, ბევრჯელ აჩივლონ, ბევრჯელ გასინ-
ჯონ, ფიცი მოხდეს, თუ ისრე სისხლი. იმ სისხლის მესამედი მეფემ ღ კათალი-
კოზმან იპაციონ; ეგრე კიდეც სხვა სხვას დარბაისელთაც პაცივი დაედების გასინ-
ჯვით, თუ როგორი საქმე არის, ნდომით მომხდარა ის საქმე, თუ უნდომთ
(უნდომლად), კარგად გამონახვა უნდა.

25. ქეფის ღ კათალიკოზის საქმე უკადრისი თუ რაც რამ ფერი ორისავე
სწორი არის; ამიკომ რომ ერთი ხორცის ხელმწიფე არის ღ მეორე სულისა,
კურთსევა ღ პაცივიც ღუთისაგან ღ კაცთაგანცა სწორე აქსთ. დასტურ მეფეს
უფრო პაცივის სცემენ, მაგრამ ხორციელის შიშით იქმონენ, ამიკომ მათი საქმე
ჩვენ სწორად დაგვიწერია. თუ არა ჰსჯობდეს, ვინც უკეთ იცოდეს ჩვენ ნუ რას
გვაბრალებს იმან დაწეროს. ნუმცავინ იკადრებს ღ ნუმცა ვის შეემთხვევის ესე
ვითარი, რომელი ანებს ხორცსა ღ უმეცესად სულსა, ნუცა საღთო კაცი ღ
ნუმც სხვათა ქეთა აღამისთა, რომელსამე ვხმობ ესე ვითარი. ნუ თუ პირველით-
განვე სამოთხილამ მამისა აღამის გამოძიებელმან, მარადის მტერმან ღ მბრძო-
ლმან უხილავმან ეშმაკმან თვისითა მანქანებითა ღ საბრხე გებითა აღზრას ბუ-
ნებანი კაცთანი შურად ღ კვლად კაცისად, გინა საღთოგანთა ზედან, გინა თუ
დიდებულთა ღ თავადთაზედან, ანუ თუ აზნაურთა ღ გლეხთა ზედან, ან მამა ქეს
ღ ქე მამაზედ, გინა ძმა ძმასა ღ მოყუსი მოყუს ზედან; ესე ვითარს საქმეს

შემთხვიოს, მასუკან ამის მეტი აღარა გაეწეობისრა, როგორც დაგვეწეროს ისე უნდა იქნას.

26. დიდებულის თავადის მთელი სიკუდილის სისხლი ათას ხუთას ოცდათექვსმეტი თუმანია. ამ დიდებულის თავადის ცოლად მთავარ-ეპისკოპოსის სისხლი. ამ მთავარ-ეპისკოპოსის სისხლი მეხუთედ ნაკლებად მიცროპოლიტის სისხლი.

27. დიდებულის ქვემოთის შუას თავადის სისხლი შვიდას სამოცდა რვა თუმანი. ამასთან ასრე დიდებულის სახლის კაცის შვილის სისხლი; ამასთან ასრე ეპისკოპოსის სისხლი.

28. ამას ქვემოთ მესამე თავადის სისხლი: სამას ოთხმოც ღ ოთხი თუმანი; ამასთან ასრე არქიმანდიტის სისხლი.

29. გადიდებულის აზნაურ შვილის სისხლი 192 თუმანი, ამასთან ასრე წინამძღურის სისხლი.

30. ამას ქვემოთ შუა აზნაურ შვილის სისხლი: ოთხმოცდა თექვსმეტი თუმანი. ამასთან ასრე მღვდელ-მონაზონის სისხლი; ამასთანვე ამის მეხუთედ სისხლ-დაკლებით მწირის მონაზონისა. ამ შუა აზნაურის მთელის სისხლი ცოლადვე დიდებულის დიდ-ვაჭრის მოქალაქის სისხლი.

31. ცალ-მოგვის მესამის აზნაურის სისხლი: ორმოცდა რვა თუმანი, ამასთან ასრე მღვდლის სისხლი. ამასთან დიდებულის ვაჭრის ქვემოთის მეორის ვაჭრის სისხლი.

32. ამასთან ასრე დაკლებით მსახურის სისხლი: ოცდა ოთხი თუმანი, ამასთან მთავარ-დიაკუნის სისხლი. ამასთან ასრე შუას ვაჭრის ქვემოთის მესამეს ვაჭრის სისხლი.

33. გლეხი კაცის სისხლი: თორმეტი თუმანი. ამასთან მეოთხე ვაჭრის სისხლი, ეს ასრე არის გარიგებული. გლეხის სისხლზედ ერთი ორად მსახურისა არის. მსახურზედ ერთი ორად ცალ-მოგვის აზნაურ შვილისა; ცალ-მოგვზედ ერთი ორად შუას აზნაურისა არის. შუა აზნაურზედ ერთი ორად დიდი აზნაურისა. დიდს აზნაურზედ ერთი ორად დაბლის თავადისა, დაბლს თავადზედ ერთი ორად შუა თავადისა; შუას თავადზედ ერთი ორად დიდებულისა. სხვა საღთო კაცისა ღ ვაჭრისა თან-უწერია. მეფისა, კათალიკოზისა ღ უფლის-წულისა არა დაგვიწერია რა.

34. ეს სისხლის განაჩენები რაც დაგვიწერია ძველად დადებულ დაგვიწერია; თორემ სხვისა არა დაგვირთავს რა; მაგრამე ზოგნი არიან ხელმწიფის მოხელენი სა-ქვეყნოდ, თუ კარზედ გამრიგედ, იმათი სიკუდილი ღ ქრილობა რომ მოხდეს ვის-განმე, იმათი სისხლი დიდებულთანაცა სდის, თავადთანაც ღ აზნაურთანაც. ვისაც ჯამშ

მოხდეს გვარობის სისხლს გარეთად სახელოს სისხლიც. ზედ დაურთონ ზე ისრე გაუჩინონ, ესეც არის თუ მოხელე, თუ სხვა ბაკონისაგან წარვლენილი ყმა ბაკონის სამსახურზედ მოუკლავსთ, იმისი კიდევ მეტი არის. თუ ხელმწიფემ იმ მქნელს არ უწურომა ზე თუ უწურომა რამე ის გვარეულობისა ზე სახელოს სისხლს, რაც გაუჩნდის ის აკმარონ.

35. დიდებული თავადი ეს არის: გაუყრელი ერთი თავი თითონ არაგვის ერთითავე, გაუყრელი ერთითავე თითონ, ქსნის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თითონ ამილახორი, გაუყრელი ერთი თავი თითონ ორბელი შვილი, როცა გაუყრელი ყოფილა ციციშვილიც; ამათთანკი არა ზე სომხითის მელიქიც ითქმის, ამათსა გარდაისად ამათსავ სახლის კაცებს ამათთან სისხლი არა ჰქდის. სხვა უფროსი თავადი რომ დაგვიწერია დიდებულის ქვეითი იმათ ოდენი სისხლი ედინების.

36. აწ ეს ვიწყით, უკეთუ მოიკლას დიდებული ზე მკუთელი იგი გამოჩენით იყოს დიდი კაცი იყოს, თუ დაბალი, მეფის აზნაური, თუ თავადის აზნაური, მოკითხული ჰქენით, რასათვის მოუკლავს, თუ ამხანაგი არის ის დიდებული ზე გამოჩენილი სისხლი მართებია ზე მისთვის მოუკლავს, ეს ნამართები სისხლიც გაუსინჯეთ ზე იმ ახლის მკუდრის სისხლიც გაუშინჯეთ, შეადარეთ, რაც ნამართებმან სისხლმან შეიფარდოს ჩაარონინეთ ზე რაც მეტი დარჩეს მიაცემინეთ. ზე თუ კიდევ სხვამ უმდაბლემ დიდებულ-სქვეით მოკლას, მისი სამართალიც ამავე მიზანით ასრე უყავით ზე თუ სულ სიტყვა არა აქვს რა ზე ისე მოუკლავს სისხლები ხომ ჰქსწერია ზე როგორიც კაცი მოუკლავსთ ისე გარდაუხადონ.

37. თუ მკუთელი არაჩნდეს ზე ერთს კაცს მთხრობლით, თუ ცილით შესწამონ, უნდა მოსამართლემ გამოიკითხოს, თუ რას გზით ჰქსწამობენ ზე რა არის მიზეზი, როგორ უქნიათ, რა გვარად მოუკლავთ, ესეები ათქმევინონ ზე თუ ამგვარის გამოკითხვით ზე ძეხნით შეაჩნიონ, როგორც გვითქვამს, ისრე უნდა გარდაიხადოს, თუ ამით ვერ გასცეხონ ზე დიდებულის კაცის სისხლს უმცროსს ცილით ჰქსწამობდეს, ასეთს რომე იმ უფროსის კაცის ყმის ყადარი იყოს, ან მეფის აზნაური იყოს, ამაზედ ან მდურლით, ან შანთით თავი იმართლოს, თუ ან უმცროსი ამხანაგი იყოს ზე ან ცოლი ფიცი დაადონ; მაგრამე ფიცის დადება ასრე უნდა, თუ დიდებულით იფიცოს ოთხი შეუგდონ ზე იმისგან ორი იშოვნოს ზე ისრე ფიცოს; თუ შუას თავადით აფიცონ ორმოცი შეუგდონ ზე ოცი იშოვნოს ზე მით იფიცოს ზე თუ უმცროსის თავადით აფიცონ ასოცი შეუგდონ; ზე სამ-ოცით შეჰფიცოს, თუ ვერ იფიცოს ზემორებრ სისხლი გარდაიხადოს.

38. თუ მთხრობლით სწამობდეს ზე დამწამებელს მთხრობლის ცოლი ყმა ჰყვანდეს. ხმალში გააცნოს, თუ მთხრობელს გაემარჯვოს სამთხრობლოც

მისცეს ღ სისხლიც ღ თუ მთხრობელი გარდმოვარდეს მთხრობელიც ხელ-
შეკრული უნდა მიეცის ღ მთელი სისხლიც; მაგრამე თუ ღიღებულის სისხლი
ღიღებულს ეწამების ღ მათი მთხრობელი შუა თავადი არის, ღიღებული ღიღებულის
საქმეზე შუა თავადს ხომ არ გაჭყვევბის ღ შუა თავადის ცოლი ყმა ხომ არ ეყოლე-
ბის, რომ გააცანოს, ამაში სმალი ხომ არ მოხლებბის ღ ისრევე ან ფიცით ღ ან
მოწმობით გაიმართლებენ თავსა.

39. თუ ღიღებულის სისხლის შუა თავადს შეეთქვას, გასინჯეთ, თუ ცილის წამე-
ბით არის, უნდა, ან მოწმით, ან ფიცით, ან შანთით გამართლდეს ღ თუ ეს შეწა-
მება მთხრობლით არის ასრე უნდა იქმნას; თუ რომ მთხრობლის ღარი ყმა
ჭყვეანდეს სმალი გაჭყვევს, თუ არა ღ თითონ გაჭყვევს. თუ რომ ღაუმარცხდეს
სისხლი მისცეს, თუ არა მთხრობელს ღაუმარცხდეს, მთხრობელი ხელ-შეკრული
უნდა მიეცეს ღ მთხრობელმან მთელი სისხლი გარღაუნადოს გარღამგლებსა. თუ
ვინ იცის მთრობელს გარღამგლებულის სისხლის მიცემა არ შეეძლოს მთხრობე-
ლი ცოლშვილით უნდა მიეცეს.

40. თუ ან უმცროსს თავადს, ან აზნაურთ, ან მსახურთ შეეთქვას ღიღებულის
სისხლი თავად ცილი არ შეეწამების, რომე ღიღი კაცი არც იკადრებს ღ
არც საქნელი არის, რომე შესწამონ, ღ თუ შესწამოს, ვით ღაგვიწერია ისე უსა-
მართლეთ ღ თუ მთხრობლით შეეწამოს მთხრობელი ღ იგი კაცი სმალიმან გა-
ასამართლოს, თუ მთხრობელი გამცყუნდეს, მთხრობელი ღა სისხლი ორივე მიეცის
ღ თუ ღამწამებული კაცი გამცყუნდეს მკუდარს სისხლი უნდა მიეცეს.

41. გლეხის სისხლის შეწამებაზედ სამოცი მოფიცარი შევარდების ღ ოცდა
ათი უნდა იშოვნოს, ასეთი, როგორიც ზეით ღაგვიწერია ღ ოცდა ათი სხვა მი-
იყოლიოს ისრე იფიცოს.

42. ხმათი სისხლი არ ითხოვების ღ არც გაჩნდების, ერთი ესე რომე ომში
კაცი კაცს შემოაკუდეს, მეპირისპირე მეომრისა, მეორე რომ კიდევე კაცი თავისის
ღროშისა უცნობლად შემოაკუდეს, უმცერო ღ უქიშპარი ღ თუ ქიშპნი ღ ნამცყე-
რალნი ყოფილან ღ მკუდრის პაცრონი შესწამებს, განზრახვით მოჭკალო, იმას
ან ჯერი ან სისხლი უნდა. მესამე მისღომის სიკუდილის სისხლი არ არის, რომ
ღამსუდარმან მოკლას, მაგრამ ბაცონი, რომ თავის ყმას მიუხუდეს იმისი არ გვი-
თქვამს. მეოთხე, ყმა რომ არ იყოს მისი ღ ერთმან კაცმან კაცს საკუდავად შეუ-
ციოს ღ იმ უმცროსმან კაცმანგარიდოს ღ უფროსმან სმალი შემოჭკრას, მეორე კი-
დევე შემოსაკრავად მონინდომონ ღ ანლა იმ უმცროსმან დასწროს, მოჭკლას, თუ დას-
ჭკრას, არც მისი სისხლი ითხოვების; ამიგომ რომე თავის სიკუდილის შიშს უქმნე-
ვინებია, ღათობად ისიც კმარა, რაც პირველზედ ღაუთმია, ღ თუ იმ ერთს შეკუ-
რას გარეთადიმ უფროსს მეორეს ხლმის შემოკურა აღარ მოუნდომებია ღ უმცროსს

შემოუკრავს, მოუკლავს, თუ დაუჭრია უმცროსმან სისხლი მოსცეს, მაგრამ მისი უწინდელი ქრილობაც უნგარიშეთ. მეხუთე თუ სწორმან სწორს შეუცია ღმადს ხელი გაიკრა ღმ იმ მეორემ ამ შემტყვებელს უწინ შემოჭკრა ღმ ლსჭრა, თუ უნდა კიდევ მოკლას, ვერას შეუა. მეექვსე: თუ ან ცოლზედ, ან შვილზედ კაცი იყოს თუ ქალი სხვა კაცი დაახელოს, მოკლას. მეშვიდე. თუ მოახლოზედ დაახელოს ღმ მოკლას, მაგრამ ამას ცოცხა რამეი გაუჩსდების სამარხივით. მერვე თუ ბაგონმა უმის ცოლს უაშიყოს, ან ღამე ან ღღისით ღმ ცოლთან საწოლად დაახელოს ღმ მან კაცმან მოკლას, ღღი იყოს თუ მცირე სისხლი არ გაუჩსდების. მეცხრე. თუ კაცმან თავისი ცოლი ბოზობაზედ დაახელოს ღმ მოკლას არც კმისაგან ღმ არც ნათესავთაგან სისხლი არ ეთხოვების. მეთე რომ კაცს ქურდი შეეპაროს ღმ ის ქურდი მოკლას თავის სახლში.

43. აწ ეს ასე გასინჯეთ, რომლისაც ღღისა ღმ მცირის სისხლი რაც არის ის ზომ სწერია ღმ იმითი მოსამართლემ შეიცყოს ღმ ისრე ღღის ღღობით ღმ ცოცხას ცოცხობით გაუჩსდეს; მაგრამე ესეც უნდა იცოდეს, თუ რას ასოს ღმ როგრს ქრილობას რა სისხლი აქუს ღმ ან როგორი საქმის თვის რა სისხლი გაუჩსდების, ამას ქვეით თანუწერია ღმ ისე გააჩსდეს, რასაც გვარისა იყოს ასრე მიაცემინებდეს.

44. თუ ორიე თვალი, ან ორიე ხელი, ან ორიე ფერხი, კაცმან კაცს ასე დაუშაოს ღმ ასრე წაუხდინოს, რომ არც ერთის თვალით აღარ ხედავდეს, არც ერთი ხელი აღარ სახმარ იყოს, ღმ არც ერთი ფეხი აღარად სახმარ ჰქონდეს; ამაში ორიე რომლითაცა ასრე აქუს იმ კაცისა სიკუდილი არის, ღმ ორის თვალისათვისაც შთელი სისხლი, ორი ფეხისათვისაც ღმ ორი ხელისათვისაც რასაც გვარისა იყოს.

45. კაცის აგებულება სისხლში სამწილად არის გაყოფილი, ცალი თვალი კაცის მესამედი სისხლი არის, აგრეთვე ცალი ხელი, აგრევე ცალი ფერხი. ასე რომ ცალი თვალი ასე დაუშავდეს, რომე სულ ველარასა ხედვიდეს, ღმ ან ცალი ხელი ასრე დაუშავდეს, რომე არც ერთი თითი სახმარად არ მოურჩეს ღმ ან ცალი ფეხი ასე დაუშავდეს რომე სახმარად აღარჰქონდეს, ამაებისათვის მესამედი სისხლი მიეცემის რასაც გვარისა იყოს; მაგრამე თუ ხელი სრულ არ დაუშავდეს ღმ ერთი თითი დაუშავდეს, მაშინ შთელის ხელის მეხუთედი გაუჩსდების, აგრევე რამდენი თითი დაუშავდეს ყველასათვის ამ ანგარიშით გაუჩინეთ.

46. თეხის თითი ხელის თითთან არ ჩავარდების; ამიტომ რომ არც ხელის თითის ოდენი სახმარობა შეუძლიან ღმ არც გამოჩინით სახირად დაინახების ხელსავით. ამაღ ერთის ფეხის თითს ნახევრის ხელის თითის სისხლი აღინეთ, რომე ორის ფეხის თითი ღმ ერთი ხელის თითი სწორზედ ჩავარდების.

47. წინა თუ უკანა კბილი, რომელიც ჩაგდებინოს ვინმე, ორივე სწორე არის, ამიტომ რომე წინა სახინრად დარჩების ღ უკანა ჭამაში დააკლდების, ამაღ ერთს კბილს ერთის ხელის თითის სისხლი გაუჩინები, ამიტომ რომე რამდენი კბილიც ჩავარდების იმ კვალად გაჩნდების.

48. წარბს ქვეით ღ ყელს ზეით თუ კაცმან კაცს ასეთი ჭრილობა დაჩინოს, რომე ძალიანად მოკვეთინოს, იმ ნაკვეთს ნეკი გამოვევლებოდეს, ან სახინრად სახედველად დაღრეჯილ იყოს ღ წაეხდინოს, ან ყური გავარდნოდეს, ან ცხვირი გავარდნოდეს, ამაების თითოსა ღ თითოსა თვის ერთი კვლის სისხლი გაუჩნდების.

49. სხვას ჭრილობისა ასრე არის: ცანზედ, მკლავზედ, ბარკალზედ ღ წვიგზედ, თუ რასაც ადგილს კაცი დაიჭრას დაუშავებლად, თორემ დაშავებისა ხომ დაგვიწერია, ის ჭრილობა ქერის მარცვლით გამოზომონ, რამდენიც ქერის მარცვლის ზომა დადგეს მარცვალზედ ერთი ზროხა გლეხისა არის დადებული. ზროხა ორ მინალთუნათ ჩავარდების, მსახურის ქერის მარცვლის ჭრილობაზედ ოთხი მინალთუნია. ცალ-მოგვს აზნაურზედ რვა მინალთუნია, შუას აზნაურზედ თექვსმეტი მინალთუნია, დიდს აზნაურს შვილზედ სამი თუმანი ღ ორი მინალთუნი, დაბალს თავადზედ ექვსი თუმანი ღ ოთხი მინალთუნი, შუას თავადზედ თორმეტი თუმანი ღ რვა მინალთუნი, დიდებულზედ ოთცდა-ხუთი-თუმანი ღ ექვსი მინალთუნი, მაგრამ თუ ან თოფით, ან ისრით, ან შუბით, ან ჯიქურად დაჭრილი არის, რა ერთიც სანახავი რკინა ჩავა, ან ფილთას უსაქმია ის უნდა ქერის მარცვლით გაზომონ ღ იმ სხვას ჭრილობაზედ ერთი ორად გააჩინონ; ამიტომ რომე ამ გვარის იარაღით დაჭრილი უფრო გაირეგებოდა ღ ბევრს ქირს ნახევდა. თოფისა კიდევ უფრო მეტი გაჩნდების; მაგრამ იმასაც გასინჯვა უნდა, თუ რას ალაგსა აქვს გავარდნილი.

50. თუ სასაფლაოზედ სწორი სწორს დაესხას დიდი თუ ცოცა, უფროსი უმცროსს, გინა უმცროსი უმფროსს, ღ სასაფლაოს ხელი მიუყოს, ან საყდრის კარი შელეწოს, ან კედელი მოურღვიოს, ან სიწმიდის იარაღს ხელი მიყოს ღ წაიღოს, მისი სისხლი ძველადგან დიდად დადებული არის; მაგრამ ვითაც პირველით ასრე ჰგონებიათ: სასაფლაოზედ მისვლით ღ საფლავის ხელის ხლებით უთუოდ მკუდარი წაწყმდებისო, ცყუილი ზღაპარი ღ მოგონილი არის, საფლავის ხელის ხლებით მკუდარს არა დაუმარცხდების რა. ახლა ეს გავაჩინეთ, თუ სასაფლაოში მყოფი მიმსდომმან მოკლას, ღ სასაფლაოსაც ესეები უყოს, რომელიც ზეით დაგვეიწერია, მაშ სამი სისხლი მისცეს ერთი საფლავისათვის, ერთი სიკუდილისათვის, ერთი მიხდომისათვის ღ წანაღებიც უკლებად, აგრევე ჭრიალობისა ღ თუ არა მოკლას ღ არცარა საფლავს ჰკადროს ღ არცარა დაჭრას, ერთი მთელი

სისხლი მინც მისცეს, დედა-წულთ არევისათვის; თუ მიმხლომი ან მისი ასაბია მოიკლას, თუ დაიჭრას მისი სისხლი არ არის.

51. თუ სასახლესა ზ ცოლშვილში კაცი კაცს მიუხდეს, დაესხას რაც მოკლას ზ ან დაჭრას, ოროლი სისხლი მისცეს, რასაც გვარისა იყოს ზ წანაღებია ზ თუ არა მოკუდესრა, ზ დაიჭრას დაჭრილობისა თვის ორი სისხლი ზ მიხლომისათვის ერთი მთელი სისხლი მისცეს; თუ მიხლომაში დედაკაცს შვილი მოსწყდა მისთვისაც მთელი სისხლი მისცეს, ზ თუ მიმხლომი ზ ან ასაბია მოკუდეს ან დაიჭრას, მისი სისხლი არ არის. ასაბიისა მან იცის ვისაც მოყოლია, აგრევე ასაბიის დაჭრილობისა თუ წანაღებზედ შესარჩილენ წამლებმან ფიცით შეიგყეროს, ამის მეტი არ წამელოსრაო ზ ისიც მოსცეს.

52. თუ ასეთს გლეხს დაესხას, რომე ახლოს იყოს სასახლეზედ მის ბაცონის ნახევარი სისხლი ზ იმ გლეხისა რაც მოკუდეს ზ დაიჭრას ორ კეცი სისხლი ზ წანაღებია მისცეს, საქონლის წაღებაზედ ფიცით შეიგყერიოს, თუ გლეხის პატრონი წამოუდგეს ზ მოკუდეს მთელი სისხლი მოსცეს; აგრევე ჭრილობისა ზ თუ მიმხლომი ზ ან მისი ასაბია ან მოკუდეს, ან დაიჭრას სისხლი არ გაუჩნდება.

53. თუ უსახლოს ზ უცოლშვილოდ სხვას თავის მამულში იყოს ზ ისრე მიუხდეს ზ დამხლომი მოკვდეს სისხლი ზ სისხლის მესამედი მოსცეს, ისრე ჭრილობისათვის, წანაღებისაც ზემორებრ ზ თუ მიმხლომი ზ ან მისი ასაბია მოკუდეს სისხლის ნახევარი მიეცეს.

54. თუ ისრე სოფელი მოურბიოს ზ პატრონი იქ არ იყოს ზ შეიცუოს ზ წამოუდგეს ზ მოკუდეს ის მარბიელი მისის სისხლისა ორი წილი ზ მესამედის ნახევარი მიეცეს, ზ თუ წამდგომი მოკუდეს მთელი სისხლი ზ სისხლის მესამედის ნახევარი კიდევ სხვა მოსცეს, ასაბიისა ზ წანაღებისა ზემორებრ იქნას.

55. თუ კაცი ასეთს დროს მამულის მოსარბევად ზ საავოდ მიუხდეს, რომ ან ქორწილი, ან ნათლობა ზ სიხარული ჰქონდეს, ან ჭირის დღე ზ მწუხარება დამართებოდეს ზ ამ დამართებულმან კაცმან უწყინოს ზ მივიდეს ზ მამულში მომხლომი შემოაკვდეს სისხლის მეექვსედი დააკლონ ზ თუ მამულის პატრონი მოკუდეს მთელი სისხლი ზ მთელი სისხლის მესამედი მიხლომისათვის მისცეს; დაჭრილობისაც და ასაბიისაც ისრე.

56. თუ ამ გჳარი საქმე უმცროსს უფროსმან კაცმან უყოს დათმობა მართებს; ამიგომ პატრონი ზ მოსამართლე იქნების, წანაღებს ხომ ისრევე მოაცემინებენ ზ საქმეს რაცომ გაიჭირვებს ზ თუ არ დასთმო ზ ის მიმხლომი კაცი მოკლას, მთელი სისხლი მისცეს. ამიგომ რომ უფროსობის პაცივი არ დაუძს

ღ თუ ეს მამულის პატრონი უფროსმან მიმხლომან კაცმან მოკლას, მთელი სისხლი ღ კიდევ სისხლის მეოთხედი მისცეს, აგრევე ქრილობისა. ღ მონარბევიც მისცეს.

57. ამ გვარს მიხლომაში, თუ სხვა-რიგად შეყრაში ღ ჩხუბში ერთი მეორეს რომ მოერიოს, თან ნულარ წაიყვანს თავის სახლში ღ იმითიც ნულარ შეარცხვენს ღ თუ არ ღაიაშალოს ღ წაიყვანოს, ნახევარი სისხლი გარდუხადოს, იარალი ღ წანაღებიც უკლებლად მისცეს ღ რამდენიც ყმა დაჭრილა ღ აჩნია, იმისი მთელი სისხლი მისცეს ღ იარალიც ღ რამდენიც იმისი ყმა დაჭერილი იმასთან წაეყვანოს იმათაც ნახევარ-ნახევარი სისხლი მოსცეს.

58. თუ შუა-მავალი მოკვედეს ბერი თუ მონაზონი, ქალი თუ კაცი, მოკითხული უნდა იქნას, თუ მართლის გამოჩენით ჩნდეს, რომ შუა-მავალი ყოფილიყო ღ არც ერთის მომხმარო არ ყოფილიყო სიკუდილისა ღ ქრილობისაც ორ-კეცი სისხლი უნდა მისცეს, როგორიც სისხლი სდიოდეს ღ თუ მომხმარო ყოფილა რომლისაზე, ვისაც მოხმარებოდეს მას ელაპარაკოს:

59. თუ კაცი კაცს არას ემართლებოდეს ღ მოღალატედ, ან გზაზედ საღმე სოფლად ღამით გამოსვლელს ადგილს, თუ სადაცა, იარალით სასიკვდილოს გამომეტებით დაუდგეს ღ ის საქმე გამოჩნდეს, რომე სდგომოდეს ღ მერმე იმ ხანად იმ კაცს აღარ გამოეფლოს ღ წამოსულ-იყოს, თავის გუნებით სიკვდილი სდომებია, მაგრამე ღმერთს მოურჩინია, რომე იმ გზაზედ აღარ გამოუვლია, ამისთვის მთელი სისხლი მოღალატემ იმ კაცს მისცეს ღ თუ გაიაროს, ან მოკლას ღ ან დასჭრას ორ კეცი სისხლი მისცეს, ერთი ღალატად დადგომისა ღ ერთი სიკუდილისა ღ თუ ამ უბრალომ კაცმან ის მოღალატე მოკლას მისი სისხლი არ არის.

60. თუ ასეთს კაცს ღალატად დაუდგეს რომე ემართლებოდეს ღ ერთი აუგი ღ მოყივება სჭირდეს ღ ემართლებოდეს, გასინჯეთ კარგად, ვინ იცის იმ ღამდგომან კაცმან მოკლას მისი საქმე ღ ამისი შეათარღეთ, ღ რაცაღა სჭირდეს აუგი იმ მკუთელს იმას გამოღით ღ სხვა სისხლი მოსცეს ღ მუსთღაღ სიკუდილისათვის კიდევ სისხლის მეხუთედიც მოსცეს ღ თუ იმ მიმავალმან ის ღამდგომი მოკლას ნახევარი სისხლი გაუჩინეთ ღ რასაც უწინდელს სხვას საქმეს ჩიოღა იმისი სამართალიც მისს სახლის კაცს უყავით.

61. თუ მისი სწორი კაცი ცოტას სამდურავისთვის თავის მამულში დაანელოს, იბრიყვოს, დაიჭიროს, შეკრას, აბჯარი აყაროს, წინ-წაიგოს, თავის საზღვარი ცემით გაარონინოს, სისხლის ნახევარი მისცეს, იარალი ღ წანართმევიცა, თუ ქრილობა აჩნდეს რამე მისთვის მთელი ქრილობის სისხლი მისცეს,

ბ თუ შეჩუპყრას ბ დაბას, ცუვედ ჩაგდოს, იმითი მოკუდეს ბ ან გამოიყენონ ნაცუვეები ბ ისე მოკლას, ერთ-ნახევარი სისხლი მისცეს, თუ წამლით მოკლას მით ეს მისცეს, საკანონო კათოლიკოზმა იცის.

შემოკლებით აწ ეს მოგახსენოთ, სისხლი ყოველს ფერზედ ზეით დაგვიწერია, სალოცა ბ საეროცა საცანჯველითა ბ უპაციურად სიკუდილისა ყველაფ, სწერია, ისე ქნან, მაგრამ თუ უმცროსს უფროსისათვის უქნია, ის უფრო მძიმეა ბ თუ უფროსს უმცროსისათვის უქნია ის უფრო მსუბუქია, ბ თუ სწორს სწორისათვის უქნია ის სწორია, არცა იწევს ბ არც დაიწევს, საცანჯველის სიკუდილში ბ რჯულის გარდამავალს საქმეში კათოლიკოზს აქვს ხელი.

62. თუ კაცმა ცოლი მოკლას უბრალოდ ბ გამოჩნდეს სისხლი როგორც დაგვიწერია ისრე მისცეს ბ საკანონოსი კათოლიკოზმა იცის, თუ გამოჩენით ქმრისაგან სიკუდილი არ იტოვდენ ბ ქალის ძმები ან წამლით, ან მორჩობით, ან იარაღით ქმარს სწამობდენ, ფიცით, მღუღრით, ან შანთით თავი გამოიმარტოლოს.

63. თუ ცოლი დაჭრას, ან დააშაოს, თუ ცოლს უნდოდეს სისხლი აიღოს, გამოართვას, თუ არა ბ ბოზობისათვის ცოლ-ქმარნი ერთმანერთს ვერ გაეყრებან.

64. მაგრამ კაცი რომ ცოლს საცანჯველად, უპაციურად ეპყრობოდეს ბ ურიგოს უშერებოდეს, მიუფემ ეს კაცი დაბას, დატუქოს ბ ავად მიეპყრას ბ კათოლიკოზმაც ასრე უყოს, მხვა ამას გაჩდა და რამ ცოლქმარობაში ურიგო რამ მოხდეს ის კათოლიკოზმა იცის.

65. თუ ცოლმა ქმარი მოკლას ან წამლით ან სხვას რითაჟე, გასინჯეთ რისთვის მოუკლავს, თუ ასეთი რამ უქნია რომ ემართლებოდეს თქვენ იცით ბ თუ უბრალო მოკვლა ეგეც თქვენ იცით, ღმერთმა ნუ ქნას ბ თუ ჩვენს კამში მოხდა ჩვენ ვიცით.

66. თუ ცოლმა ქმარს ან სცეს ბ ან დასჭრას, ღიღი გვემა ბ ცანჯვე უყოს კათოლიკოზმა; ცოლი ბ ქმარი რა გინდ სძულდენ ერთმანერთს უბრალოდ გაყრა არ იქნებეს კათოლიკოზმა წურთნით უნდა შეარიგოს.

67. თუ ქალს ბოზობა შეემთხვიოს, თუ უნდა გაუშვებს, რომე არცარა ამ სოფელს ეკითხვის, არცარა იმ სოფელსა ბ თუ უნდა არ გაუშვებს, ორივე კაცის ხელთ არის; მაგრამე, თუ გაუშვა, რაც მზითვი მოყოლია ისიცა ბ ბოზობით შექმნილი შეილიცა თან უნდა გააცანოს; მაგრამე თუ ამ მართალს ქმართან შეილი ჰყავს მზითვი მთლად არ მიეცემის, მიკომ რომ შეილსაც წილი აქვს ნახევარი, ან უმცროსი, ან რამდენიც შეილი ჰყავს შეილებს ბ დედას ყველას

თითო წილი მისცენ, რომელიც მზითვენი ავის ქნამდინ თითონ დაუხარჯავს თავის ნებით იმას ველარ ითხოვს.

68. ესე რომ ბოზობით შვილი ეყოლებინ, თუ ის უცხო კაცი იმ გაშუებულს ქალს შეირთავს, ხომ ის შექმნილი შვილიც იმისი არის და არც ქალის პატრონს და სისხლს მისცემს და ქმარსკი სისხლი უნდა მისცეს, და თუ არ შეირთოს შვილი იმ კაცისა არის, სისხლი მის ქმარს მთელი უნდა მისცეს და დედაკაცსაც ზეით დაგვიწერია ბოზობით რომ დააგდოს, შვილიც რომ არ ჰყვანდეს რაც დაუხარჯავს მზითვენი ჰქონდეს ის მაშინც უნდა დაუჭიროს.

69. თუ დედაკაცმან მეზობელსა, თუ მოყვასსა, თუ თავისს სახლში უმაჭანკლოს და გამოჩნდეს რასაც გვარის იყოს ის მაჭაკალი თავისის სისხლის ნახევარი იმ ქალის პატრონს მისცეს, თუ იმისი მიცემა არ შეეძლოს მაჭაკალს ყელზე საბელი მოაბან და ციციველი, ყელ-საბლიონი მარჯო ნიფხვით ოდენ სოფელი გამოაცარონ, დიდი აუგი არს ესე.

70. თუ ქალს კაცი გაუაშუიყდეს და ქალი არ აჭყვევს, თუ ან გუნებაში შეუვიდეს და ეს საქმე ქმარმან თუ მამამ და დედამ მის ქალისამ შეიყვოს, ქალს არა გარდახდება რა და მაჭაკალს ბოზობისმაჭაკალობის ოდნად გარდახდების კაცისაგან.

71. თუ ერთმან მეორის ცოლს უაშუიყოს და გამოჩნდეს, რომ მასთან ყოფილ იყოს და დააგდოს მისმან ქმარმან სრული სისხლი მისცეს და წაგვაროს, მისთვისაც მთელი სისხლი მისცეს; თუ იმ ქალთან არ ყოფილ იყოს და ფიცით თავი იმართლოს და თუ აშუიყობაკი ვერ ფიცოს და თან კი არ ყოფილ იყოს მისთვის მართლის ბოზობის ნახევარი სისხლი მისცეს.

72. თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს მთელი სისხლი მისცეს და თავისი მზითვენი უკლებლივ მისცეს.

73. თუ კაცმან მისგან უდიდებულესის კაცის ქალი დააგდოს, რისაც გვარისა ის კაცი იყოს იმცოლი მთელი სისხლი მისცეს, მეტი არ ეთხოვების.

74. დედაკაცი ქმრის დაგდებას არა ღირსა და ნურც ჰკადრებს, და თუ ღმერთი შერისხდეს მისის უსირცხვილობით ქნას, რასაც გვარისა იგი კაცი სისხლი დედაკაცმან ქმარს მისცეს თუ ქალისათვის ან სამშობლოს უქნევისებია, სამშობლომ მისცეს, თუ უბრალო იყოს სამშობლო და აღარც ქალი შეინახონ, სამშობლოს სისხლი არ ეთხოვების.

75. თუ აზნაურმან ანუ გლეხმან მისგან უფროსი კაცი მოკლას ერთნახევარი სისხლი მისცეს, თუ მისის პატრონისაგან არა სცოდნოდეს ისრე ექნას მესისხლე კაცი თავის ნახეიდის მამულითა რაც ერგებოდეს და თავის კერძის საქონლით ცოლშვილითა ხელში მისცენ, რაც უნდა უფოს; თუ ძმანი და სახლის-კაცნი იმ კაცის სიკუდილშია და ჩხუბშია ერთი რჩევა და ერთი საქმე არა ჰქონიათ იმ მკუ-

ლელის კაცის მეც სხვას ძმას არა ნდომია ღარ რევიან ღარც ერთი არ მიუღება, როგორც დაგვიწერია ისრე უნდა იქნას, ღ თუ სხვა ძმანი ღ სახლის კაცნი რეულან ღ ერთად-უქნიათ ისრე ერთად ჰასუხი მისცენ.

76. თუ უძრახი კაცი ერთმანერთს შემოეყარნენ ღ ერთმან გზა დაუგლოს ღ გარიდოს, მეორე ნულარ მისღევს; თუ მისლიოს ღ ის გარიღებული მოკლას, ორ კეცი სისხლი მისცეს ღ თუ ეს მიმღევარი მოკუღეს მისმან სისხლმან ჩაიაროს, გზის დაგდება, რომელიც გვართ უმცროსი არის იმას მართებს ღ თუ გვართ სწორნი არიან, რომელიც ღლით უმცროსი იყოს იმან უნდა დაუგლოს, რომ არ დაუგღონ, ღ დაუშინონ, რომელიც მოკვედს სისხლი მისცენ; უწინ რაზე მღუ-რებულან მოსამართლემ ისიც გაუსინჯოს; მაგრამე გზის დაგდება, რომელსაც მართებოდეს ღ არ დაეგლოს იმას სისხლი დააკლდების. ამგვარს კაცსაც მართებს გზის დაგდება, რომ დამნაშავე თვითან იყოს, იმის დანაშაულზედ მღუმრობდეს უფრო მას მართებს.

77. გამოჩენილად მოწმით ნათხოვნი ქალი ან ნიშან-მიცანილი მამამ რომ გაუთხოოს ღ ან სხვამ კაცმან წართვას, მესამედი სისხლი მისცეს; თუ მაგაზედ შესცილდენ, რომ არ მომითხოვებიაო ისევ იმ მოწმით ღ ჯერით გა-არიგონ.

78. თუ მამამ შეილი მოკლას ან შეიღმან მამა, მაგისი სისხლი ღ სამარ-თალი არ დაიწერებოდა ღ სეგულის კანონით უნდა გარიგდეს; თუ მამამ შეიღსა სცეს, ან ანოს რამე ვერას შეუა, ან უნებლობისათვინ უზამს ღ ან სწავლის თვის, მამის უამებლობა შეიღისაგან არა ხამს, თუ შეიღმან მამა, ან გალახა, ან უკადრისი რამე ჰკადრა, იმას ავად მოპყრობა უნდა; ამიგომ მეთე მცნება მამის ღ ღელისა ჰაცივის ღება არის.

79. ეგრეთვე მოხდება ღედ-მამაში სხვა რამ უმართებულო მოხდეს, თუ გამოჩნდეს კათოლიკოზმა ღ მეფემ გარდახდევისონ, თუ არ გამოჩნდეს მოძღვარ-მა იცის იმისი კანონი.

80. იქნება მამა შეიღსიდა გაურილ იყვნენ ღ გაყრაში განაყოფსავით ჩხუბი ღ შეცილება მოუხდესთ; მაგრამე შეიღს მამის უპაციურობა არ მართებს, ბატონთან ალაპარაკონ ღ ისრე გარიგდეს, თუ ვინ იცის შეიღმა მამაზედ ურიგო დააშავოს, როგორც დაგვიწერია ისრე გარდახდევინონ. იქნება მამას შეილი ერთი მეორეზედ ან უღონობისათვის სძულობდეს, დასჩაგრევდეს ღ სხვას შეიღს უფრო კერძობდეს; მამა ნუ უზამს, არა ხამს უფროსი უფროსად იმყოფოს, უმცროსი უმცროსად, ესეც იქნება სიცოცხლეში მამამ, რომელსაც შეიღს ან იარალი ღ ან საქონელი მისცეს, ერთი მეორეს ვერ უხსენებს, სხუ რაც სი-კუდილს უკან დარჩება ის სასწორო საძმო არის.

81. თუ ქმამან ქმა მოკლას არც მისი სისხლისა ვიციო, ჩვენთან ღიად მძიმე არის ღ თქვენ იციო; მაგრამე, თუ შეილი ჰყავს, სისხლი ღ ნახევარი გაუჩნდების, ღ კათოლიკოზისა იმან იცის, თუ უნდა გაყრილი ქმა იყოს, თუ უნდა გაუყრელი შეილი თუ ღარჩა აღიღებს, ან გაყრილი ვისთანაც არის ისაიღებს ღ თუ მარცო არის იმის სისხლს ვინ აიღებს; თუ ღაჭრას, ან ღაშაოს მისიც სისხლი მისცეს, ან გალახოს; ესეც არის უმცროსი ქმა ღ უცოლშვილო რომ იყოს, სამუშაოს უარისათვის ან უმის წბევისათვის ხელი შემოჭკრას ერთი ორი გოზნი რომ ღაჭკრას არა ფერი არის, მისი სისხლი არ გაჩნდების; მაგრამ ვინც ან ქმა ან სხვა კაცი უწინ ჩხუბს აშლის ღამიზენი შეიქნების იმისი სისხლი ნაკლებია.

82. თუ ქმამან ღა მოკლას ან ღამან ქმა მოკლას ჩვენიმისი სამართალი არ ვიციო მისიც მეფემ ღ კათოლიკოზმან იციან.

თვით თავით თვისით აღმომეცყველი წიგნისა ამის სამსაგულოსა ღ მომღებელი წინაშე ყოველთა მყოფთა ღ ყო ჯაღთა ძე მეფეთა ღ განმგებელი ქართველთა ერთა ბაცონის შეილი ვახცანგ, კვალად ვიცყვი თქვენდა, ეჭა წარჩინებულნო ღ ღუთისა ერთ-უფლებისა ღ სამთვითებისა გულ-მხურვლად მადიდებულნო ღ შეუორგულებულნო, საკუთარნო მამანო, კათოლიკოსნო, ეპისკოპოსნო, მიტროპოლიტნო, წინამძღვარნო, მღუდელნო, ღ სხვანო საღთთაგანნო, ღ შემდგომად ჩვენთა მეფენო, უფლის-წულნო, დიდებულნო, თავადნო, აზნაურნო ღ ყოველნო მყოფნო ქართლისანო, რომელნი ჰკიებთ ღ კვალად სხვანი ეგებოდეთ ღ იხილევდეთ ნაღაწთა ღ წერებულთა წიგნთა ამით სასამართლოთა ჩვენ მიერ თქმულთა ღ თქვენდა მომართ მოღებულსა, ჰირველვე დასწყისამან წიგნისა ამისამანვე გამცნოსთ ღ მუნვე მოგითხრასთ, თუ ვითარ მიზეზ ვექმინით აღწერად თითოეულად სამართალთა ფრიადითა შრომითა ღ მრავლისა გამოძიებლობითა, თვით ვიგუღოს-მოღგინეთ, რომელსა ზედა მოწმობა დართეს ერთა ჩვენთა სრულობით საღმრთოთა ღ გინა სამხედროთა, ბრძენმან ღ მონახულმან ყოველმანვე-ერთბამად ღ ესე ესრეთ არს შემზადებული, ხოლო სხვანიც ზემორე სხენებულნი წიგნები სასამართლონი დიდთა სამეფოთანი მოვიძიეთ ღ მოვიღვეით ღ მრავლის სასგელითა, ვიდრე წელთა მეორედმდე გარდმოვთარგმნეთ ღ იგინიცა უკლებლად აღგვიწერიეს ღ არს შემკობილი ყოველისა სამართლითა; არამედ ვინათვან ქართველთა წესნი ღ ქცევანი სხვა რამე არს ღ არა მიგავს სხვათა ქვეყნისა რიგთა ღ ქცეულებათა, სხვა არს დიდებული ღ თავადი, სხვა არს სისხლი ღ სიკუდილი, სხვა არს ღალატი ღ უკადრისი; ამად ესე ვითარისა სამართალნი სხვათა განაჩენთა შინა მოკლედ იპოების ღ მათი წიგნი უფროს ჩვენდა უხმარ

არს, ნუ სიქაღულად შემირაცხავთ ღ ვგონებთ უმჯობესად უოველთასა წიგნ-
სა ამას სასარგებლოდ ქვეყანის ამისად, ამაღ ნუ რავინ სძულობს ღ იუნდობს,
აწ ვეაგები უოველთა ღ ისმინონ ესე რომელმან ბრძენმან ღ გულის-ხმის-
მყოფელმან მოსამართლემან აღმოკვეთისათვის ქრთამთა ღ მიუდგომელობი-
სათვის მოყვასთა ღ თვალუხვავად სჯათა წურთილებისათვის იმპულფაროთ წიგნი
ესე ღ მოიძაგოთ ღ ინებოთ შეცვლა სამართალთა სხვებრ რათმე, ამას ნუ ჰყოფთ,
ნუცა გარყუნით წერილთა ჩვენთა, რომელი აღკვეწეროს; არამედ რომელმან
უმჯობესი სიბრძნით თვისით ჰპოოს იგი ჩართვით თვისვე თქმულად, საღ ენებოს
მუნ დაწეროს ღ იგიც ეგოს; ხოლო რომელმან, არა ისმინოს ვერლება ესე ღ
მოშალოს სამართლები ჩვენი სხვებრ შეცვალნეს ცოდეათა ჩვენთა მიერ იგიმც
დაისაგებოს.

თუ ვითარ ხაშს დაწერა განაჩენისა.

205. ამ შეკრებულის სასამართლოს წიგნისა ასრე იქნებოდეს ღ ამ წესით
იხმარდენ: ერთის ჩანითთ მდივან-ბეგისაგან დაბეჭდილი საღაროში ებარებოდეს,
როდესაც სასამართლოდ დასხდებოდენ ღ მოჩივარს აჩივლებდენ ამ წიგნს გამო-
იგანდენ ღ მდივან-ბეგი გასსნიდეს, მდივანს წინ ედვას, კითხულობდეს, მოჩივარმა
რომ იჩივლოს, მათი საჩივარი რომ გაიგონონ ღ საგანაჩენოდ მიიყაროს ღ გა-
ნაჩენს წერა დაუწყონ ორისავე მოჩივრის საჩივარი უნდა დაწერონ, ფიცით მოხ-
დეს, თუ უფიცრობა, გინა სისხლი, გინა ბოზობისა, გინა ქურდობისა ღ რომლო-
საც ნივთისა სამართალი დაიწეროს ის სამართალი ამ წიგნის რომლისაც სამარ-
თალიდამ დაიწეროს განაჩენშიაც ისე ჩასწერდენ. „ამა-და-ამ მოსამართლის განაჩე-
ნისა ღ სამართლისა ამდენის თავრდამ ეს სამართალი გავაჩინეთო.“ ამიგომ რომე
როდესაც, ან ამ ჟამად ღ ბოლოს მოჩივარმან როდესმე თქვას ქრთამითა ღ მი-
დგომითა, მოსამართლემ უსამართლო მიყო, მაშინ განაჩენსა ღ ამ სამართლის
წიგნსა შეამოწმებენ ღ აქედამ ნასამართლი იქნების ღ ველარავინ იუარებს; მერმე
არის ღ მოსამართლეს დაღათს ვერავინ დაუჭერს ღ ვერც ეს მოსამართლენი თუ
არ ამ წიგნში წერებულს სხვას მოგონებულს სამართალს ვერ გააჩენენ; როდეს-
საც სამართალი გარდასწყდებოდეს წიგნს ისრევ მდივან-ბეგი დაბეჭდევდეს ღ სა-
ღაროში მიაბარებდეს.

206. ქაშულისა თუ რასაც ფერის განაჩენი რომ იყოს კელმწიფისაგან გა-
სამართლებულთ, თუ სხვის მოსამართლისაგან გაჩენილი, ის მეფე ღ მოსამართლე
რომ გარდაცვალებულ-იყოს ღ ბოლოს ის განაჩენი მოიგანონ ღ არც ის საქმე

გარიგებულ-იყოს ღ იმ მოლაპარაკეს ის მამული, თუ სადაო ისევ ხელთ ეჭიროს დაშოროს, ამბობდეს ეგ განაჩენი ჩვენთან საჩივრით სამართალში არ არის დაწერილიო, ღ ცუდილად განსჯვით მარცო თქვენ აგილიათო ; თუ იმავე მეფის დროს მოვიდეს ის ლაპარაკი მეფემ მოსართლეთა ღ დამწერთ უნდა უწყინოს ღ გარდაახლეინოს, შეცთომით განაჩენი რაცომ დაბეჭდვინეს; თუ აღარ ცოცხლან ღ რაღა გაეწყობის ვისაც მამული, თუ სადაო რამე ხელთ უჭირავს ფიცა იმისი არის. მაშინ რომ მახსოვარი აღარ ცოცხალ იყოს ეს მაშინ უნდა, თორემ რომელსაც მახსოვარი ეშობის ღ სწორე შეიწყობის ის არ მოიშლების.

207. მიზარებულისა რასაც ნივთისა ღ ან ნათხოვრისა ასრე იქნებოდეს: თუ ასრე პირობა დაუდვას ან წიგნით, ან მოწმით ამ გვარად იხდოს რომე, ან მცრის დასხმით, ან ცეცხლით, ან წყლით, ან მოპარვით რასაც ფერის დამარცხებით, თუ ჩემსასაც არა დაუმარცხდარაო არცარას შენსას დაუმარცხებო ღ მერმე ამ მიმზარებელს მენათხოვრეს ერთის რისაც დამარცხებით თავისი წაუხდა ღ ეს სხვისაც არას ემართლებიან, იქნების რომე არ უჯეროს შენი არა წამხდარაო ღ ჩემი უნაღვლელობით დაჰკარგე ღ წამიხდინეო, ფიცით შეიჯეროს, როგორც საქონელი ყოფილიყოს იმ რიგის მოწმით, როგორაც მოსამართლეთ გამონახონ. თუ თავისი არა წაუხდარა ღ მიზარებული ღ ნათხოვარი წახდინა, უკლებლად უნდა მისცეს ისივე თავნი. იქნების უწიგნოდ, უპიროდ, კაცმა კაცის საქონელი მიიზაროს ღ ან ინათხოვროს, რასაც მიზეზით უნდა წაუხდინოს, არას ემართლების, თავისი თავნი უნდა უკლებლივ მისცეს, თვინიერ ცეცხლითა ღ ლაშქრითა, ქურდითა ღ წყლით, თუ ამ ოთხში ერთ ერთითაცარის წახდენია თავად თხოვნა არა მართებს მიმზარებელს ღ თუ სთხოოს სულ აღარ მიეცემის, ნახევარი უბჭონ; ამიგომ რომე უნებური საქმე წაჰკიდებია. კაცსა რომ კაცის რაგინდა რა საქონელი ებაროს, ვისაც რომ აბარია იმას თავისი ბაცონი რომ გაუწყურეს ღ აიკლოს ღ ის მიზარებული საქონელიც თან გააცანონ, ამისი ასრე იქნას: თუ დასთმოს იმ კაცმა მოყურობით ღ მეზობლობით, რადგან რომ იმისთანა ზიანი მოსულია ღ წამხდარა ბაცონის წყრომით ღ საქონლის პაცრონმა არა სთხოვა კარგია ღ თუ სთხოვა უნდა მისცეს თავისას არას ემართლების, იქნების რომ კაცს კაცისა ებაროს რამე რა გინდარა ფერი ღ უთხრას პაცრონს გამაცალეო ღ არ გააცალოს ღ მერმე, ან დაეკარგოს, ან მოჰპარონ, ის მიმზარებელი, თუ ცოცხას რამეს შეუა, თორემ სხვას ველარას სთხოვს; ამიგომ რომე ის რომ უთხრა რაცომ არ გააცალა, თუ წაყვანა არ უთქვამს ღ ისე დაუკარგა თავისი თავნი მისცეს:

208. კაცმა რომ კაცს მიიზაროს რამე ღ მას კაცს ცოლი ჰყვანდეს ღ ის კაცი მოკვდეს ღ თუ მას მის ცოლთან შეილი დარჩეს, ის რაც რომ მამას იმის ბარებია იმ შეილს ეთხოვების ღ თუ შეილი არ დარჩა ღ მარცო ცოლი

დარჩა, თუ იმ ანაბარისა ხელთა ქონდეს რამე იმ ღელაკაცს მიაცემინონ, თუ ღელაკაცი მოკუდეს ზე კაცმან ცოლი სხვა შეირთოს ზე მეორეს ცოლს უკან ის კაციც მოკუდეს, თუ შეილი დარჩეს მეორეს ცოლთან. მიცემული შეილსაც ეთხოვების ვისიც რამ მამას იმისას ზარებია, ზე თუ შეილი არ დარჩა მას ღელაკაცსკი არ ეთხოვების, თუ ვინიცის თავის მზითევსა ზე ნიშნს ვარდა სხვა ნამეცნავი საქონელი იმ ანაბარისა ქონდეს ზე მართლა გამოჩნდეს ისკი უნდა მისცეს თავის საქონლის ჰატრონსა.

209. კაცს რომ კაცისა საქონელი ბარებოდეს რამე მიმბარებელიც ზე საქონლის ჰატრონიც ორნივ მიცვალეზულ-იყვნენ ამისი ასრე უნდა იქნას: თუ შეილი დარჩომოდეს შემნახავსა იმ საქონლის მომღევარს პასუხი შეილმან გასცეს; თუ არა ზე შეილი არ დარჩომოდეს ვინც იმ კაცის საქონელს დამატრონებოდეს პასუხი მან უნდა გასცეს. იქნების რომ შეილი დარჩეს ზე მისმა ჰატრონმა გასცეს ზე დაფანტოს იმ საქონლის ჰატრონს პასუხი მებატრონემ უნდა გასცეს.

210. (17) კაცმან კაცი ინათხოვროს ზე თუ მოკუდეს ვერას შეუა, თუ არა ზე მიზეზი არა არისრა უნდა მისცეს თავისი ჰატრონსა მისსა როსაც სთხოვოს; თუ არ ღებოდდა რატომ ჰატრონს არ მისცა ზე ან არ შეატყობინა, თუ გიჟი იყო, ატრევე თუ არა ზე ყაზახმა ზე ქურდმა მოსტაცა, რატომ განგზავნა ასეთს ალაგს რომე მოაპარვინა, ან მოატაცებინა, თუ ვინ იცის მან არ გაგზავნა, ზე ან მან არა აწყეინა რა ზე ის კაცი თითონ წავიდი, გაიპარა, ღიღია, თუ ცოტა ზე გზაზე ყაზახი შესვდა ზე დაიჭირა ზე წაიყვანა ამისი ასრე იქნას: ვინც ის კაცი ითხოვა, ებარა, ზე ყვანდა ჯერი დაელების რამე, ასრე რომე არც მას კაცს ძალად გაეგზავნოს ზე არცარა დასაპარგავი ეწყეინოს რამე, რადგან ასრე ჯერი უყოს აღარას ემართლების ორთავე სწორედ სძებნონ, როდისაც გამოჩნდეს ზე იპოონ თუ როგორც ჯერი ქნა ისრე ყოფილიყოს ზე მართალი იყოს ის კაცი თავისავ ჰატრონს მიეცეს ზე სხვა საზღაური რაც იმის მომპარავს გამოართვან ვისაც რომ ის კაცი ნათხოვრად ჰყვანდა ზე ებარა იმას მიეცეს; ამისთვის რომე უბრალოდ დაუფიცნია ზე ფიცის საუპაციო მან ქურდმან უნდა გარდაუხადოს. ერთი ესეც რომ ვინც ის კაცი ითხოვა ის კაცი რომ თავის სახლში იყოს ზე მას ნათხოვნს კაცს კარგადც ინახევდეს ზე ანაზღეულად მის სახლში, ან ყაზახი დაესხას ზე ქურდი ზე ის კაცი მოიპირონ ზე მოიტაცონ, ამისი ასრე იქნას: რადგან უთხოვნია ჰატრონი თავისას ისრევე ითხოვს; მაგრამ რადგან იმგვარად მამხდარა სულ აღარ მიეცემის იმ კაცის ნახევარ ფასი უნდა მისცეს ზე ორთავ სწორედ ძებნონ, თუ ვისმე მართლა შეაჩნდეს, ის კაცი გამოერთვას ზე თუ ფასი ფასიცა ზე საზღაურიცა შეა გაიყონ სწორედ; ამისთვის რომე იმ კაცმა ერთი ესე რომ ნახევარი უწინ მისცა, მეორე ესე რომე მანც იმასთან ეძება, მესამე ესე რომე მან კაცის მომპარავმან იმისა სახლი გატეხა ზე იქილამ წაიყვანა.

211. თუ პირუცყვი მიიბაროს კაცმა კაცისა, თუ ლუკარგოს უნდა უზღოს, ღ იმან ქურდი იპოვნოს ღ იმას გამოართვას, თუ ავის პატივით შეუნახოს ღ მართებულზე ნამეცნავი ამუშავოს ღ მჭლე იყოს, მოკუდეს, უნდა უზღოს, თუ ან კლდეს გარდაგლოს, ან მკელს შეაჭამოს, ან მკერს მოაკულევინოს უნდა უზღოს, თუ ვინ იცის ან სენით მოკუდეს, ან სიბრმითა ცყავი ღ ხორცი პატრონს უნდა მიუცანოს სხვას არას ემართლება.

212. მოსამართლეს რომ საეჭო მოხსენდეს სიციყვით, მოწამით თავად მომ-
ხსენეს სთხოვონ, თუ იმან დასაჯერი მოწმები უშოვოს კარგი არის, თუ არა ღ
ვისაც ედავების იმას სთხოვოს მოწამე ღ იმისი უფროც დაიჯერება, ამისთვის
რომე იმაში ეჭვი აქვს თუ არა ღ ფიცით გარდასწყვიტონ.

213. მოსამართლე რომ სიგლის წერილს ვერ მიხუდეს, თუ იმაში დაწე-
რილზედ რომ ისარჩლენ, თუ უცილებლად ყოფილა იმ ღღემინ სიგელის
მართლად ჩაიგდების ღ შიგ წერილიცა უცილებელი ყოფილა, არას ემართლების;
თუ სიგლისა არა შეიცუობარა ღ სადაოსაც ახლა ედავეთის ნუ აღაპარაკებს, და-
ჭკარგვია.

214. ქვეყანისა ღ ქალაქთ შენახვისა უღების დაღება კაცის კლვის ოღენი
არის, ამაღ რომე ბოლო აღარ მოეღების ღ კელმწიფემ მოსამართლე ღ განმგე-
ბელი ღუთისა ღ კელმწიფის მოშიში უნდა დააყენოს რომე კელითაც გამო-
უვიღეს.

215. ბჭის დაღინებისათვის კელმწიფემ ასეთს კაცს უნდა უბძანოს, რომე
ორმოცს წელიწადს იქით იყოს ღ არც ღიაღ სიღარიბე აწუხებდეს, თორემ
მოყუუღება, ღუთის-მოშიში იყოს; ორი ბჭე არა ჯერ არს, ამაღ რომე ერთმან-
ერთისაკენ სთქვას ღ ერთმან მეორისაკენ უსამართლო მოხღების ღ ბჭესა ესეც
უნდა სჭირდეს რომ რაც მოჩივარმა შესჩივლოს ასე დაისწავლოს, ასე უამბოს,
როგორც შეჩივლოს, რომ შენ ასე არ იჩივლეო, თუ სწორედ დაუსწავლია ღ ან
ორთავეს საჩივარი ახსოვს უსამართლოს ნუ იცყვის.

216. ღღედაკაცის საჩივარში მოსღვისა: თუ ღღედაკაცს კაცისაგან საჩივარი
აქვს სამართალშიაც მიესღვება ღ გაგონებაც უნდა; მაგრამ მისის ენით მოადს
არც ფიცი დაღება, არცარა წაერთმის; თუ კაცს დაიმოწმებს მცღარი არის;
თუ ღღედაკაცი ღღედაკაცისგან ჩივოდეს მღივანში კელი არა აქვს, მოთემემ უნდა
გაურიგოს.

217. ეკლესიის მამულის დაღთესველმა, ან დაღნერგველმა, თუ ეკლესიის
პატრონისგან დასცურით მოხნას მართებული ღალა ღ სამსახური გარდაუხა-

ღოს, თუ ცილებით ქნას ღ ისევ ეკლესიას დარჩეს, რაც ეჭირნახულოს სულ ეკლესიას დარჩეს; დანერგვა ეკლესიის პატრონის გამოთხოვნით არ იქნების, ამაღ რომე ღიდის-ხნისათვის დანერგვის ღ თუ ცილობით აქვს ჭირნახული საყდარს უნდა დარჩეს; ბევრს ეკლესიას ცოცხა შეწირულობა აქვს ღ პატრონი არა ჭყავს, ვინც ის მოიხმაროს, როგორც მეპატრონეს მამულის საყიდური მიეცეს ის მისი გამოსავალი ეკლესიის კარზედ მივიდეს, ეკლესიას მოეხმაროს.

218. საფლავის მიწის ფასისათვის. ეკლესიას შიგნით საფლავი არ გაისყიდების, ამაღ რომე კაცი არც თითონ ღირსა დამარხვად; არამ თუ სხვას მიყიდოს. თუ ძალად კაცმან საფლავში მკუდარი დაუმარხოს, რაც საფლავის პატრონს სისხლი სღის მისი მესამედი გარდაიხადოს; ამაღ რომე ხელმწიფე არას გაწყურომით საფლავს არ წართმევს ღ თუ დამმარხველმა თავისი მკუდარი მოთხაროს, საფლავის პატრონი არას ემართლების, საუპაციოდ მოთხრა ეყოფა. ეკლესიას გარეთ მართებული არის რომე საფლავის პატრონმა ფასი გამოართოს, ამისთვის რომე დაჭირვებულს კაცს შეუნდობარი საფლავი არას არგებს. ფასი გლეხმა ზროხა მისცეს, უფროსმა როგორც სისხლი აიწვევს საფლავის ფასმაც ისრე აიწიოს.

219. სამარხის შიცემისათვის მამული არ იხსენების, რომე კელმწიფისა არის, საქონელი შეიღოს არ ეხსენების, იმან იცის ღ ღმერთმან, სხვამ კმამ, ან სხლის კაცმან, ან მიცვლილზედ ან დროული სახლიდამ გავიღეს, თუ სასამართლო გახდეს, საქონლისა ღ სულადის მესამედი მისცენ. თუ ღიდებულ-ში მოხდეს, არათუ სახლის მესამედი მისცენ, ერთის თავის მესამედი მისცეს რაც ჭქონდეს.

220. თუ კელ-მწიფეს ლაშქრიდამ კაცი წაუვიღეს, ღ მტერს მიუვიღეს, ღ იმავე კელ-მწიფეს დარჩეს. თავად კელ-მწიფის მოწყალებაზედ ჭკიღია, თუ არა ღ ფეხის მოკვეთა ჯერ არს. გაღარიბება ღ გახეიბრება ორივე არ არის.

221. ციხიდამ ღ სიმაგრეიდამ, კაცი ან ბატონს, ან ამხანაგს წაუვიღეს ღ გასცეს, ლაშქარი დასხას, იმისი სისხლი არ გაიჩენება, ამისთვის რომე ბევრის სულის მესისხლე არის, რაც გარდაცდება სამართლით იქნება.

222. ვინც კაც-მა ქვეყანას ღ რჯულს უორგულოს, კიღევ ხეღვიღეს იმითი რჯული წახდებოდეს, იმას მიჭყვევს ღუთისა ღ ბატონისა ორისავე მესისხლე იქნების ღ ყველა ავი იმაზედ მართებული არის.

223. ნიშნის მიცანისა ასრე არის. ან ვაჟი მოკვდეს ღ ან ქალი; თუ რამ გასაცვეთი მისვღია, ღ სიცოცხლე-ში გაუცვეთია, ვერას შეუვა, რომე სიძესაც ბევრს მიეცემა მის გარდა, სულ უნდა მიუცეს.

224. წითევისა-თვის. ვისაც სახლ-ში უშვილო ქალი მოკვდეს ჰ ქმარი ღარჩეს ჰ მის სულს კარგად მოუაროს, თუ ღიღის ხნის ცოლ-ქმარნი არიან არა ეთხოვოს რა, თუ ახალნი შეყრილნი არიან ჰ შეილი არა ჰყავს, ზითევი სამღვთაოს: ერთი წილი სულისა-თვის, ერთი წილი ამისთვის, რომ საქორწილო მიუტანია, ჰ მესამელი ქალის პატრონს მიეცეს. თუ ქალს ქმარი მოუკვდეს, უშვილო ქვრივი მოკვდეს, თუ რამ საკაცო აქვს სახლისა არის, სხვა მონაგები სულისა არის; ჰ ზითევი რაც იქნება, თუ რამ სულისა-თვის დაეხარჯება ის არის, სხვა ქალის სამშობლოს უნდა მიეცეს.

225. გიყისა ჰ ბნელიანის ცოლისა-თვის. თუ ეს სენი ქორწინს წინათ სჭირს ჰ ქმარს შეატყუეს ჰ მას უკან გამოჩნდა, ჰ აღარც ქმარმა ინდომა, ის შეიტყუონ სწორედ გასინჯვით; ჰ თუ ქორწილს უკან დამართებია, თუ უწინვე სჭირებია ჰ შეიტყუა, ქორწინს უწინვე გაუშვას, ვერაფერს მიეღებოს. ჰ რად-გან შეუტყუებიათ ჰ ქორწინი უქნია, ღონე მეტი აღარ არის: სამსწელიწადს უნდა მოუაროს, თუ ეშველა, ვერ გაუშვებს, თუ არ ეშველა, ჰ გაუშვას უსისხლოდ, ასე რომე ზითევი ქალისა ქალს მისცენ, ჰ ნიშანი კაცისა არის. აგრევე, თუ კაცი დასნეულდეს იმ სენით ხუთ წელიწადს ქალ-მა მოუცადოს, ჰ მოუაროს. აგრევე ძნელი არის მათი გაყრა; მაგრამ რად-გან აღარ იქნება, კათალიკოზმა ჰ მოსამართლემ გააშვებინონ, ზითევი ჰ ნიშანი უკლებლივ ქალს მისცენ.

226. თუ კაცმა კაცს აგინოს ჯარ-ში, ამ კაც-მა რომ მოსამართლესთან უნდა იჩივლოს, მოსამართლემ გასინჯოს, ბრალი ჰქონია, თუ უბრალო უგინებთა ჰ გაულანძღავს ჰ მართალი გამოვიდა ნაგინები კაცი, მოსამართლემ მაგინებელი დატუქსოს, სწვართოს, ჰ შეაგინოს, რას ემართლებოდა, რად შეარცხვინა.

227. ვინც ვინ სძრახოს, ჰ მოსამართლესთან დაბეჭდოს. „ესე ჰ ეს კაცი ამ საქმის მქნელიაო ჰ გარდააჩვენებო.“ მოწამე დაისწრას, ჰ ის სიტყვა დასწეროს. „ამ კაცმა ამა ჰ იმ კაცს ასე სძრახაო.“ ის კაცი მოაყვანინონ, მარტო ჰკითხონ, თუ თავი იმართლა, პირს დაუყენონ. თუ გამტყუნოს, მთქმელი უბრალო იყოს ჰ თუ გამტყუუნდეს მთქმელი, რაც იმ კაცისა-თვის გარდასახდელი მართებს, ამ მთქმელს უნდა გარდახდეს.

228. თუ ღიღ-მან ღიღსა, ანუ მდაბალ-მან თავის სწორს მუქარა დასთხოვოს, მისი ასრე იქნას. გასინჯვით რაზედ დამუქარებია, ძველი მტერობა აქვთ რამე, ან ცილობენ რაზედმე, ეცადნენ კარგად შეარიგონ. თუ ძველი სადაო რამ აქუსთ მოსამართლესთან იჩივლონ, ჰ რომელიც საჩივარი აქვსთ იმან; გასინჯოს, ჰ შეარიგოს. უერთმან-ერთოდ, არც ერთმან-ერთისა დაიჯერება.

229. კაც-მან რომ კაცი იქირაოს, ჰ საღაც გაგზავნოს, ან სალაშქროდ, ან წყალ-ში შეგზავნოს, ან ხეზე აგზავნოს, ან რასაც ამის-თანა-ზედ, იქ რომ მოკვდეს, ან დაშავდეს, სისხლს არა-ვინ ემართლება, თავისის ქირისა-თვის მამკვლარა; ჰ თუ ეს კაცი ან უთხოვნია, ან ძალად დაუჭერია ჰ გაუგზავნია საღაც, ჰ იქ იმის საქმე-ზედ მამკვლარა, ან დაშავებულია მთელი სისხლი უნდა მისცეს.

230. ვინ ვისი პირ-უცუვი საძოვარ-ზედ წაიყვანოს. „ვაძოებო“ ჰ მუ-შაობა დაწყებინოს, მუშაობა-ზედ ან მოკვდეს, ან დაშავდეს, მთლად უნდა უზღოს; ამისთვის რომ საძოვარ-ზედ წაიყვანა, ფასი გამოართო, ჰ მუშაობა დაწყებინა: აგრევე თუ არ იხმარა ჰ მოუკლელიობით ან ჩავარდა საღმე, ან დაშავდა, ან ნაღირმა აწყინა რამ; ემაშინაც უნდა ნახევარი ჰ ერთი წილი უზღოს ჰ თუ ისე სენი სჭირვებია, ჰ იმ კაცის კელ-ში მოკულა, თუ გული აჟერა წამყვანმა, პატრონი ვერას შეუვა.

231. ვინ მოკვდეს ჰ ღარჩეს ცოლი, ჰ შვილი, ამას უკან შვილიც მოკვდეს ჰ ღარჩეს ღელა-კაცი მამულ-თან კელი არა აქვს ბატონისა არის. ამ ღელა-კაცმა თავისი მზითვეი ჰ ნიშანი წაიღოს. მაგრამ ამ სახლიდამ ჰ მამულიდამ ცოცა რამ სამარხი ღელა-კაცს მიეცემა ბატონისა-გან, ჰ ის კვლარც ბატონ-მა უნდა დამარხოს, რად-გან თავის ნასყიდს მამულს იმისი მეპატრონე დაიჭერს. ჰ თუ შვილი ისევე ჰყავს მამულს ვერა-ვინ წაართმევს, შვილისა არის. თუ იმ ღელა-კაცმა შვილს აღარ უყურა, ჰ სხვა ქმარი შეირთო, თავისის ზითვის მეცს ვერას გაიგანს

232. ღელა-კაცი რომ დაქრივდეს ჰ საქონელი რომ საყდარს შესწიროს, იმისი ასრე იქნას. თუ შვილები ჰყავს ქმრის საქონლისას ვერას ფერს დახარაგავს, შვილებისა არის, ვერა-ვინ ედაება. ჰ თუ მან ღელა-კაც-მან თავისი ზითვეი, ან თავისის კელით მონადღაწები რამ შესწირა, შვილები ვერ ედაებიან, ვერც ბატონი. თუ მამული შესწირა, ვერ დამკვიცდეს ღელა-კაცისა-გან მამულის შესწირვა; ამაღ რომე, თუ შვილი ჰყავს შვილისა არის: თუ უშვილოა არის ბეითალმანი კელ-მწიფისა არის; ჰ თუ იმ ღელა-კაცს თავისის ზითვით უყიღია ჰ ისრე შესწირა, მაშინც ბატონის შეუკითხავად ვერ შესწირავს.

233. კაცი ღიდ-გვარისა, თუ დაბალი, ვინცა-ვინ მიიცვალებოდეს, მან ანდერძით ვინც დაპატრონოს ასრე იქნას. თუ რამ საქონელი თავისი მოკებული ჰქონდეს ვერა-ვინ გაუცებს ანდერძსა, ვისაც დაპატრონებს იმ ნასყიდს მამულს, ჰ თუ საბატონო რამ იყოს, ან ბატონს ებოძებინოს, იმას ვერ გასცემს, ბატონს უნდა ჰკითხოს, ბატონ-ზედ ჰკიღია: ვისაც ეპრიანება იმას უბოძებს: თუ

გაურილი ძმანი ჰყვანდეს, ან შეილი, ღ იმ კაც-მა იმათ უანდერძოსთ რა, ან სხვას უცხოს მისცეს საქონელი, სიყვება არა აქვსთ. თუ ბატონ-მა არ ინდობა ღ ნება არ ღართო, ბატონის უბრძანებლად ვერ წაართმევენ: თუ საქმე რამ არის ღ გაუურელი არიან, ღ იმ კაც-მა თავისი წილი სხვას უანდერძა, ძმები არ ღანებებენ, ესეც ბატონზე ჰკილია.

234. კარგად მყოფ-მან, ანუ ავად მყოფ-მან ვინც ინებოს განთავისუფლება თავის ყმისა ღ აზატი უყოს, იმისი ასრე იქნას. უნდა ღაუწეროს წიგნი რითაც მამულით, რითაც საქონლით გააზატა თავისი ყმა, ან აღაპი ღაადვა, ან სხვა თავისს სულის სამსახური ღ მაშინ შეიქნება წიგნითა ღ მოწმებითა ის კაცი აზატი: თუ არ იყოს სათავისთაო, ან თავისის ცოლის ზითვით ნასყიდი ღ საქმე ღ სასახლო იყოს, მარტო თვითან არ შეუძლია აზატი ჰყოს ის კაცი, ჟველას მოსამსახურე იქნება, არა მარტო იმისი. იმან რომ კიდეც მისცეს აზატი, თუ სხვა ძმები არ ღაუმტვიცებენ, ამის-თანა აზატი ღ საღაო ანდერძი ღაუმტვიცებელი შეიქნება ღ არც გაუთავდება.

235. თავ-ღებობისა-თვის ასრე უნდა იქნას, რომე კაცი კაცთან თავ-ღებად თვითან უნდა მივიდეს, თავისის ნებით, ასე თქვას „მე ამ კაცის თავ-ღები, ან ამ ღროს არ მოგვცეს, ან გაიპაროს, ან რაც საღაო აქვთ.“ იმისი პირობა ისრე მისცეს ღ მოწმები ღაისწრას. იმას სწორე თავ-ღები ჰქვიან: ამას უკანის კაცი ან მოკვდეს, ან გაიპარა, ან იმ პირობა-ზედ გარღახდა, თავ-ღებს სთხოვენ, ღ თუ კაც-მან ტყვილად უთხრას. „ის კაცი შენი თავ-ღები“ ან ყმა ბატონ-მა ძალად ღათავადებოს, ან კაც-მან კაცი ძალად მიიყვანოს, ღ არც მოწმები ყვანდეს, იმ თავ-ღებობას ნუ ირწმუნებენ, მანამღი სარწმუნო მოწმები არა ყვანდეს. „ეს კაცი იმ კაცის თავ-ღები არის ჩვენ მოწამენი ვართო.“

236. მთხრობლობისა-თვის ასრე იქნას, ვინც რომ თქვას. „მე გავიგონე შენი საქონელი იმ კაცს აქვსო.“ იმისი არ ირწმუნება, ტყუის; მთხრობელი იმას ქვიან, რომელსაც უნახავს თვალითა, როგორც მოუპარავს ღ ღაუმაღავს, ყველას უნახობდეს. როღის ქურდი მოსამართლეს-თან მოიყვანონ, ღ არ გატყდეს, პირს წამოუდგეს ღ მთხრობელ-მა გასტყვოს, ამას კარგად გასინჯვა უნდა, ან მტრობა არ ეღვას მთხრობელს ანუ ურჯულო არ იყოს, ან მტრობით არ ეთქვას. თუ მთხრობელი გამართლდა ღ ქურდი გატყვა სამთხრობლო მიეცემის. თუ ქურდი ვერ გატყვა, ღ თვითან გამტყუვდა, სცენ, ჟარიმა წაართვან, ღ ისრე გააგღონ.

238. ტყვილად ღამტვიცებელისა. რომ შეიტყუოთ ტყვილად კაცს ღაუფიცავს მოსამართლე. რას უზავ იმას. ურია არის ღ მასთან პური არ იჭმება: მისმა

მერჯულემ ღიად გარდახდევინოს, ჰ რა-ზედაც ეფიცოს პატრონს თავისი მი-
ეტეს, ამაღ რომე ღუთისა ჰ პატრონის რისხვა ეყოფა.

239. ღელა-კაცის ფიცისა-თვის, ღელა-კაცს არ ეფიცების, არც გარეშე
კაცი შეეგდების, ამისთვის, რომე გარეშეს კაცს არ გაუტყდება, არცა-რას
მისის ფიცისას ჩნაღვლის; უნდა მოსამართლემ მოუძებნოს რაც რამ საყვარელი
ჰყვანდეს ძმა, ან შვილი, ან სიძე ის შეეგდოს.

240. სიგლის წართმევისა-თვის. ვინ ვის მოერიოს, სიგლები წართვას,
ან დაუხიოს, ან დაუწვას, კელ-მწიფის მეტს ამისი სამართალი არ შეუძლიან;
ამაღ რომე წართმევისც კელ-მწიფემ უნდა გარდახდევინოს ერთად, ესეც
იქნება, პატრონს კითხოს, ჰ როგორიც სიგლები ყოფილ იყოს დაუწერიხოს,
დაუბეჭდოს, რომ ცოცხა ცუვილიც გაერიოს სიგლები წართმევისა არის.

241. სამძღვრს გარეგებისა-თვის ასრე უნდა იქნას. რომელიც სამნის
ჩამსხმელია, თავად ძველი სამანი კარგად უნდა მონახოს, თუ ვერ იპოოს,
ასეთს ალაგს გასამზღვროს, რომ ან გორა, ან ხევი, ან კლდე ემოწმებოდეს;
თორემ სამანი ბევრს ალაგს მოგლეჯილა, ჰ ნიშნის ადგილით უფრო არ
მოიშლება.

242. სამნის მოგლეჯისა-თვის, როგორის საქმითაც მგდარ იყოს, ღიდი
იყოს, თუ მცირე თავის ხელის სისხლის ფასი ჯერუმი გარდაიხადოს, ამის-
თვის, რომე სამნის მომგლეჯელი კელ-მოსაჭრელი არის.

243. კაცმა კაცს შორიღამ გაუგზავნოს რამე, ჰ კაცი კვლარი დახედეს,
წამლებს მართებს რომე სახლ-ში თუ ჰყვანდეს ვინმე იმას მიუცნოს: თორემ თუ
დაუბრუნა იმ კაცისა-გან წართმეული იქნება: თუ ბალ-დადგომით ვერ მიუცნა,
იმასთან სამართალ-ში მიუყვს ჰ ღიად გაისარჯოს.

244. რუს გამოღებისა. რომ შუა-ში სხვის მამული ედვას, იმ შუას
მამულის პატრონს არა გაუჟუთლებარა, ფასი უნდა მიეტეს, თუ იმასაც გაუკეთლე-
ბა რამე ჰ კარგად შერიგდენ.

245. ძწყემს-მა რომ წანახელი ქნას, ან საქონლის პატრონი თითონ არის,
ჰ ან სამწყსოს შენახვისათვის ფასი აქვს, წანახელი ძწყემს-მან უნდა ზლოს,
ჰ თუ ისრე საქონელ-მა წახდინოს, ჰ საქონელი იმან უნდა გარდაიხადოს.

246. რასაც მიზეზით კაცს მიწა ჰსჭეროდეს, ჰ ან ბალი, ან ვენახი აეშე-
ნებინოს ჰ სხვას დარჩეს, თუ წაღვებით ჰ მდივნით მიეტემა, რაც იმ მიწაში
ჭირნახული უქნია, მისი პასუხი უნდა მიეტეს: თუ ვინ-იცის სიცყვა არ დაეკლოს

რომე, „ჩემს მიწაში ჩუ ა შენებო.“ ღ არ დაეგვირებინოს, ჭირნახული ნახევარი მი-
ეცეს. ღ თუ პატრონი წართმევს ღ მისცემს, არას საქირნახულოს უსამართლებენ.

247. ვინც სხვის კაცისა-გან მოჭრილი, დამზადებული რაც-ფერი ხე წა-
ელოს, პატრონს თუ არ დაუმალოს, როგორც ყოფილ იყოს, ან ფასით შეი-
გვიროს, ღ ან ისევ იმის-თანა მოუჭრას, დაუმზადოს; თუ შეუცუობრად წაელოს
ღ კიდევ დაუმალოს საზღაურით გარდაუხადოს.

248. ვისაც ყმა ამოუვარდეს, ნასუიდი თუ იყოს, მისი საქონელი პატრონს
უფრო ეხელთვის, თუ ცოლი ღ ქალი დარჩება სამკვიდროთი, ღ შესანახავით
შეიგვიროს; თუ ან წყალობის ყმა, ან პატრონის მინაცემი იმის ცოლსა ღ
ქალს უფრო ცოცხად რამ გამოერთმის: თუ არც ცოლი, არც ქალი დარჩა, პატრონ
მა დამარხვითა ღ სულის საქმითა კარგად უპატრონოს, სხვა ალალი იყოს

249. რასაც ფერის ქურდობისა-თვის: ცხენისა, პირ-უცყვისა, თუ საქონ-
ლისა კაცმა შესწამოს, თუ ქურდი გაუცყდეს, ბოღიში ითხოვოს, შევიდულისა-
გან სამი ეპატიოს, ღ ოთხი გამოერთვას. თუ ღიად უარ-ზედ დადგეს ღ
პატრონი გასარგვოს, შევიდულიც მისცეს, ღ სამთხრობლოცა.

250. ღალის აღებისა-თვის: მიწა ოთხი გვარი არის, ერთი ნაფუძარი,
მეორე ნანახვი, მესამე სარწყავი, მეოთხე ველური. ამათ ხენა-შივე შერიგება
უნდა მისის პატრონისა პირობით

251. ძისანთა ღ კუდიანთა ამყოლი კაცი ღუთისაგან დაწყველილი არის,
ღ პატრონისა-განც წასახდენი: მისნისა ღ კუდიანისა-გან დაჩხუბილნი კაცნი თუ
სამართალ-ში მოვიდნენ მისანნი ღ კუდიანნი გასახეობრებელი არის, ღ რაც
იმ მკითხველს სხვა-ზედან ჩხუბი, ან წანახელი მოუხდენია მოსამართლემ
გაუკითხვად სისხლი უყოს, თუ საუპაციო წაურთოს ღ მისცეს, იქნება საქო-
ნელი წაერთოს მისნის პირით ის ერთი ორად გამოურთოს მოსამართლემ.

252. მოწამლისა-თვის. მოწამლით მკვდარი კაცი სხვას კაცის კვლას არა
ჭვავს, ამაღ რომე ერთმან ერთის უუღლით სიკვდილი სხვა არის, ფაფურკად
სიკვდილი სხვა არის, მტერობის სიკვდილი სხვა არის; მაგ-რამ ეს მოწამლა
ორ-ზომად სისხლად იღლება: ქრისტიანობით სამართლით კელში ის მოწამლავი
მიეცემის მოსისხარს.

253. ცუვილად დამბეზლებელს ორი დანაშაული აქვს, არც კელ-მწიფის
ღოვლათისა-თვის სჯობს, ვისაც დაბეზლებს ის მკვდარი არის იმ მობეზლი-
სა-გან, რაც მობეზლის პირით ამოსულ იყოს ღ ცუვილი იყოს იმ მობეზ-
ლარს უნდა გარდახდეს.

254. ომ-ში კაცის დარჩენისა-თვის. კაც-მა კაცი დაინარჩუნოს, თუ უცხო მგერი დარჩომია ღ შორის ქვეყნისაც არის, არც ჩვენი რგულია არის, თუ კელ-მწიფე არ გამოართმევს, ან თავს არ დახსნევიანებს, სყიდულ-ზედ უფრო ყმა არის. დარჩენაშიაც ეს ურევია, რომ თუ სხვის კაცისა-გან ან ჩამოგდებული არის, ან დაკოდილი, თუ კაც-მა შემოიძახოს რომე „მომეხმარეო.“ ან „ჩემ-გან ჩამოვარდნილი, ან დაკოდილი არიო.“ თუ დაირჩინა, დაანებე, მამაცობა არ გაიყიდება; თუ არა ღ იარალი ჰკრა რამე, ღ გაურა, არა ინაღვროა რა, ვისაც დარჩეს იმისი იყოს: თუ მოწამე ყავს, რომ იმ კაც-ზედ ამჩს იარალი მოხვდა რამ დამნარჩუნებელს უწინ, ერთი რომელიც უკეთესი იარალი ჰქონდეს მოწმობის გულისა-თვის მისცეს: თუ ან ახლოური კაცი ან ჩვენი სჯულისა დაირჩუნოს, იმას თუ კელ-მწიფეს მიართომს ჯილდოს მისცემს, თუ არა ღ ღიდი ნამუსი უნდა რომ თავი დახსნევიანოს ნამუსიანად უნდა.

255. ომ-ში ნაშოვნის საქონლისა-თვის. თუ ან თარეშობით ნაშოვნის იყოს, თუ კელ-მწიფე იქ ბძანდება, რომელიც ეპრიანება იმას მართომს, ღ ფანჯიკასაც აიღებს. თუ არ ბძანდება ფანჯიკს მინც აიღებს, ამხანაგე ში ჯერ თუ გარიგდენ პირობა მისცეს ერთ-მანერთს, რომელიც ამხანაგი სულ ცარიელი დარჩეს წილს ვერ დააკლებს, ღ ათის-თავს საცხენმალოს მამოვარი კაცი აიღებს.

256. ან ორმო დარჩეს პირ-ლია, ან ნათხარი რამ ქნას კაც-მან, ღ იმა-ში ჩავარდეს რამე, თუ თავის ნაცამალ-ში აქეს, უფრო ვერას შეუვლენ ღ თუ სათემოს, სასოფლოს ადგილს არა ინაღვლოს რა კაცმა, თუ საჭმელი პირ-უტყვი წახდეს იმაში ჩავარდნილი ორმო, თუ ნათხრის პაცრონს ღ საქონლის პაცრონს იმის-თანა მთელი მისცეს. თუ ცხენი ან ვირი, მაგის-თანა რომ არ იჭმებოდეს ჩავარდეს ნახევარი ფასი გარდაუხადოს: თუ ყმარწვილი ასეთი ჩავარდეს, რომ პირ-უტყვე-თან ჩაიღებოდეს, რაც იწყინოს მის საფერად შოსამართლემ გაუჩინოს. ჰკუის მყოფელი ან კაცი, ან ღელა-კაცი ჩავარდეს, არა გაუჩნდება არა ამის-თვის თვალი უჩანს, ნუ იქს.

257. უშვილო ვინმე იყოს ღ ქალი დარჩეს, თუ ქრმის კელთ-არის, ანდერძისა-გან მიეცემის, თუ გაუთხოვარი სახლ-ში დარჩეს, თუ ღარიბია, ნახევარი საქონლისა მისცენ. ჩვენს ქვეყანას მამულს არ მისცემენ: თუ მდიარი არის ქალს მის წესით კაი სამზითო მიეცემის; ესეც იქნების რომე თავის ადგილ-ზე ქმარი შეერთოს, პაცრონი ბევრს ნუ რას უკითხავს; ესეც იქნება, რომე ქალი დავარდეს მამის სახლ-ში, იმას ამ გაჩენილის-გან ზითვისა უფროსი უნდა მიეცეს.

258. ვისაც შერისხდეს ღმერთი ღ თავის ბატონი მოკლას, ან დაჭრას, ამისი სისხლი არ გაჩნდება, ამის-თვის რომე უმისა ყველა ბატონისა არის. არას მისცემს. ასე უნდა: კელ-მწიფემ და მოსამართლემ ასეთი წიგნი მისცეს ბატონს უმისა, რომე ნასყიდისა-გან უფრო ვერ-სად დაიკარგოს; ამის-თვის, რომ ეს სამართალი ველა-რას უმას ავს ვერ გააბედვინებს. ვის ბატონსაც წიგნი დააღებინოს, რომე უკელმწიფოთ ვერც მოკლას, ღ ვერც გაახეობროს; საქონელსა ღ მამულს ნუ ჰკითხავთ; ასეთი ბატონ-უმანიც იქნება, რომე უმას იმ ბატონის სისხლის გამოღება შეეძლოს; მაგრამ სისხლის მიცემა არ უნდა დაერქვას, მოსამართლე გაუწყურეს რაც ემწიფებოდეს. ამ სამართალს უკან, თუ ბატონ-მა უმა არ დაინდოს, ან მოკლას, ან გაახეობროს, მოსამართლემ მისი სისხლი გაათავისუფლოს.

259. თუ უმამ ბატონს გაგვარებით, ან გოხით ჰკრას, ან ხელით სცემოს, კელი მოკვეთოს, ან იმ კაცს კელის ფასი წაერთოს: თუ ან გაგვარებით პირის-პირ შეაგინოს, ენა მოეჭრას, ან ენის ფასი წაერთოს; კიდევ ეს არის, რომე თუ უმამ ეს შეიკეთო. „რომ ბატონს ჩემს მოურჩებო.“ ბევრი ავი იქნების: ესეც იქნება რომ უმამ ბატონი ან ცოლ-ზედ დაიჭიროს, ან უსამართლოდ ორი ნაჭერი დათვლების ღ რომელიც ქვრივის რიგია სხვა-გან დაგვიწერია, ისრე უნდა იქნას.

260. ბატონმა რომ უმას თავი დაასხნეინოს, ღ ბატონით ღ თავისის ბეჭდით წიგნი მისცეს, ის სწორე დასხნილი იქნება, კელი აღარა აქვს იმასთან. ღ თუ კარგი რამ სჭირს, ხანდა-ხან ემსახურება, არავინ დაუშლის; თუ წიგნი არა აქვს ღ უწიგნოთ გამოურთმევიან რამე, ღ სიკუყვით დაპირებია, უმა ცუყის, უმაც ბატონისა არის ღ საქონელიც; ყბაველი აზატი ღ თავის დასხნა სარწმუნოს მოწმებით, ღ წიგნით დამტკიცდება.

261. ვინც აიყვანოს უმარწვილი, ან იპოვნოს ღ გაზარდოს, იმისი ასრე იქნას, იმ კაც-ზედ კიდიჲ, თუ უნდა თავის შეილად გაზრდის, ღ თუ უნდა თავის უმად: სიკვდილის დღეს, თუ ან სიცოცხლეში აზატი უყრა ღ გაათავისუფლა, იმის მონათესავეს კაცს კელი არა აქვს. თუ უმობა დაარქვა სამკვიდრო უმა იქნება.

262. კაცი რომე კაც-თან მივიდეს, მოახლე სთხოოს. „მომეც ღ გეუმობო.“ თუ მოახლის პატრონ-მა გაუსინჯავად უმოწმოდ, ღ ან უწიგნოდ საქმის გამოუკითხვად, მოღავის უკითხვად, უმობის სიხარბის გულისა-თვის, მოახლეს მაცემის დასტური მისცეს, მერმე მოღავე გამოჩნდეს, ღ თავის უმა ითხოვოს, რად-გან სიხარბით ღ გაუსინჯავად მიუცემია პატრონს უმა არ წა-

ერთმევის, უნდა მისცეს. მაგრამ არცაღა ამ კაცს ცოლი წაერთმევის, ცოლ-ქმარს ნუ გაჰყრიან და ამ კაც-მან ფასი ცოლის სანაცვლოდ ერთი მართებული გოგო მოახლის პატრონს მისცეს: ვინ-იცის უქორწინოდ მიდგომა ან ოროსულობა მოხვედეს იმისი ეპისკოპოს-მან და მოძღვარმან ჰკითხოს; თუ უმობისა ან მოწამე, ან თავლები მისცეს და ან წიგნი მისცეს და დაატყუოს. „ჩემი მომღე-ფარი არავინ არისო.“ და მერმე მომღეფარი გამოჩნდეს კაცი პატრონს უნდა მი-ეცეს. კიდევ ცოლ-ქმარნი არ გაიყრებიან, ცოლისა-თვინ იმ კაც-მა მართებული გოგო მისცეს, და საუპაციო გაწბილებისა-თვის მოახლის სისხლი მისცეს:

263. თუ სხვას ქვეყანას ერთ-მან კაცმან მეორისა-გან ვალი აიღოს, თამასუქი თავის შვილს თუ სახლის კაცს გამოუგზავნოს, აქ ვინც მიმცემია სამართლიანად მისცეს; თუ ვინ იცის იქივ გარდაუწყვიტოს და იმავ მოვალისაგან გარდაწყვეტის წიგნი აეღოს მოწმით და გარდაუწყვიტოს, თამასუქი გაცუდლება და თუ რამ გამორთმეოდეს ისევ უკლებლად მისცენ, თუ მოვალის გარდაწყვეტის წიგნი არა ქონდეს და ისე შემოსთვალოს, იქნება წიგნის აღება ვერ მოასწრა და თამასუქის პატრონმა კი აიღოს; მაგრამ იმას წიგნი უნდა მისცეს; თუ ვინიცის მიეცეს და მასუკან სწორედ შეიცყონ და რახანც გამორთმეოდეს, როგორც სარგებელი მიეცეს ისე იმ რიგადვე შეუბრუნოს.

264. თუ ღლებულმან და სხვა თავადმან, გინა აზნაურმან, ერთმან მეორეს ჯგონით ან მათრახით თავი გაუტეხოს მისი საქმე ასრე იქნას: თუ ღიად ღიდი დაკრულობა ჰქონდეს, რომ ან ღიად დაჩნდეს, ან ამით ღიდი სწეულება გარდაიხადოს ის გამონახვით ბჭეთა კაცთაგან უნდა გაუჩნდეს ხმლის ნაჭრის ანგარისუხედ კი არა, მაგრამ იქმნების ხლმის განაჭრის ნახევარხედ, იქმნების მესამეხედ ან მეოთხეხედ გაუანგარიშონ და ისრე პასუხი გააცემინონ, ზოგი იპატიონ.

265. თუ ასრე გაუტეხოს, რომე სისხლი აღინოს, თუ უნდა ცოცხად კი-დეც დაჩნდეს იმისთვის ორი ქერის მარცხლის სისხლი აღინონ, რასაც გვარისა იყოს იმ ანგარიშითა, და იმისგან ერთი იპატიონ და ერთის ქერის მარცხლის სისხლი გაუჩინონ.

266. თუ ჯგონი დაჰკრას ნახევარი ქერის მარცხლის სისხლი გარდაუხადოს, რასაც გვარისა იყოს იმ ანგარიშითა.

267. ერთი ესე რომე თუ ბატონის გაგზავნილი კაცი მოსაქმე და მოსამართლე იმ მოჩივართ შუა ჯდეს, ბჭობდეს და არიგებდეს და მოჩივარმან მეორეს ან სცეს, ან თავი გაუტეხოს და ან ჯგონი დაჰკრას იმით სისხლი ხომ გაგვიჩე-

ПО СВѢРКѢ ИЗДАННАГО ТЕКСТА ГРУЗИНСКИХЪ ЗАКОНОВЪ ЦАРЯ ВАХТАНГА VI СЪ ДРУГИМИ ОКАЗАЛИСЬ СЛѢДУЮЩІЯ ИЗМѢНЕНІЯ.

Стран. 394, строка 7. *напеч.* უმცირეს ვიყავ მე ძმათა ჩემთა შორის...
читай: უმცირეს ვიყავ მე ძმათა შორის ჩემთა ღ უმრწემეს სახლსა შინა მამი-
სა ჩემისასა ღ ვმწესიდი საცხოვართა მამისა ჩემისათა, ხელთა ჩემთა ჳქმნეს სა-
გალო ბელი, ღ თითთა ჩემთა განაგეს საქებელი: ღ ვინმე მიუთხრას ესე უფალ-
სა. თავადმან უფალმან, უფალმან შეისმინა ღ თავადმან გამოავლინა ანგელოზი მისი ღ
აღმილო მე საცხოვართაგან მამისა ჩემისათა ღ მცხო მე ჴეთითა ცნებულისა
მისისათა, ძმანი ჩემნი იყუნეს კეთილ ღ ღიდ, ღ არა სთნდეს იგინი უფალსა.
განვედი მე შემთხვევად უცხო თესლისა მისდა, მწუყევდა მე კერპთა მიმართ-
თჳსთა; ხოლო მე ვიხადე მახვილი მისი ღ წარვჳკვეთე თავი მისი ღ ავხოცე
ყვედრება ძეთაგან ისრაილისთა. *см. Библию стр. 494; —, строка 17,*
მარადის ქონება კეთილისა; въ другихъ экземп. პურობად კეთილისა გონე-
ბისა; *Стран. 395, строка 24, საღოთთაგანთათა, въ другихъ, სამღუდელო-*
თაგანთა; —, строк. 24, ღ სახლისა ჩვენისა ხუცისა პაპუთი; въ другихъ
экземплярахъ этого во вся нѣтъ; —, строк. 26, ღურასბითა; въ дру-
гихъ экзѣм. ჴურასბითა.

Статья 1, строка 3, უფროსს, *въ другихъ, გარდა.*

Статья 2, строка, 6, თუ მეფეს მეფობა; *въ другихъ, ღ თუ არ შე-*
ემლოს ღ სახელი მეფობისა უნდოდეს, შეუძლებლად მეფობას უქმნელობა
ჳსჯობს; —, строчка 14, ღ იმათ სამართლონ ქვეყანა, въ другихъ экзѣм.
მათ განაგონ ქვეყანა.

Статья 3, строка 2, *напеч.* გონება აუჩქარებელი; *въ другихъ*
экземп. გონება-წყნარი; —, строка 3, *послѣ* მკითხავი *въ другихъ*
экземплярахъ читается, უნდა იყოს, ვითარჳგერ არს მის საჩივრის გარდა-

წვევა, ეგრეთვე მოწმობის მოძებარი, უნდა იყოს უქრთამო ი. ტ. დ; —, 14, ცალცალკე, вь другихъ, განკერძოებით; —, строка 8, იქმნების მის ალაგს ჯავრიც, вь другихъ экзем. ჰ არის ალაგი რომ გაჯავრებაც უნდოდეს.

Статья 7, строка 2, მსგავს ამათებრზედ, вь другихъ, ესევითართა; —, строка 17, ჰ ცხენი მემათრახისა; прибавлено: ჰ ვინ იცის ორივ გარდასვივდეს, უნდა დაცალონ, ქვევითად ერთმან ერთზედ მიუშვან ჰ რომელიც წაქცევს სამართალი იმას ღარჩება.

Статья 10, строка 2, შეგდებული; вь другихъ экзем. შეუგდებელი; —, строка 9, სსხელ-ღობრივ, вь другихъ экзем. სსხელიცა მისი ჩაიგანოს.

Статья 15, строка 4, პირველს ჟამურს, вь другихъ экзем. პირველის ჟამისა.

Статья 16, строка 8, მინაღთუნი არის; вь другихъ экзем. послѣ сего прибавлено: ჰ სამი ახაზი ერთი მარჩილია.

Статья 49, строка 6, ცალმოგვს; вь другихъ, ცალქლამანს აზნაურზედ; —, строка 8, ოთხი, вь другихъ, სამი; —, строка 11, სანახვი რკინა ჩავა, вь другихъ, სანახვი ფილთა ჩავა.

Статья 185, მეწყერი რომ მოგლგდეს (სხვა არ იბოვება).

Статья 205, строка 14, ჰ ღათს, вь другихъ экзем. ღოს.

Статьи начиная отъ 225 по 237 включительно вь другихъ экземплярахъ изменены такъ :

Статья 225. გიჟისა ჰ ბნედიანის ცოლისათვის. თუ ეს სენი ქორწილს წინათ სჭირს ჰ ქმარს შეატყუეს, თუ გაუშვებს სამკუდრო უნდა მისცეს, ჰ საკანონო მამამა ჰ გამთხოვებელმა უნდა გარდაიხადოს; ამისთვის რომ ქრმის თავი არა ქონდა, რაცომ გაათხოვეს ჰ თუ რაც რა ფერი სენი დედაკაცს ქმრის ხელში დემართოს უნდა მოუაროს, გაშვება არ იქნება ჰ ერთმანერთის შენდობით იქნების მოსამართლე არად აერევის.

Статья 226. უსამართლოდ გინებისათვის. იქნების რომ ასეთ ფერად შეგინოს, რომ სისხლი ჰ კაცთან დიდი მცერობა გაიშალოს. ამის მთქმელს იმითში რაც სისხლი მოხდება ნახევარი რომ რაცომ ასეთი შეგინა რომ სხვას გარდაჰკიდა ჰ სხვებრ უსამართლოს გინებისათვის მოსამართლისაგან გარდაეხდევინოს ცემითა, თუ დატუქსვითა.

Статья 227. წაძრახვის თვის. ვინც ვისაც წაძრახოს იმით სისხლი ჰ რაც რამ ჩხუბი მოხდეს, ნახევარი წამძრახვამან გარდაიხადოს ჰ ნახევარი მქნელმან ჰ თუ იმ წაძრახვიო ჩხუბი არა მოხდესრა ჰ გულის მოწყველისათვის

უთხრას, გულის მოწუვედა ღ თავის გატყეხა ერთად ჩაგვიგდია, რასაც გვარისა იყოს იმ წესით თავის გატყენასთან ჩაიგლება ღ იმთონი გარდაუხდალოს.

СТАТЬЯ 228. კაცმან კაცს მუქარა დასთხოვოს ამისი ქართლში არა გაჩღებარა; ამისთვის რომე ამაჟი კაცნი არიან ღ მოსამართლემ დატუქსოს. ღ კარი გა-
არონინოს.

СТАТЬЯ 229. ვინც ვინმე გაგზავნოს საღმე ღ იქ მოკუდეს, მოგვამაგირე იყოს, თუ სხვა, თუ იქ ავადმყოფებს ღ ღლით მოკუდების, მის სულზე უნდა გაისაგოს, სხვას ვერას შეკუვლენ გამგზავნელს. ეს გაგზავნილი კაცი ან შენს შეესწრა ღ ან იმ ალაგის ავმან სიხაშემემ, თუ უაზახმან მოკლას ნახევარი სისხლი გაუჩნდება რისაც გვარისა არის; ამისთვის რომ არც გამგზავნელს უნდა სიკუდილი, ამ რიგითა რომ თუ ან ყმა არის, ან კაცი გასამრგველოს სთხოვს ღ გამოართმეს, ამისთანას არა ეთხოება, ღ ან თუ სხვის შვილ ღ მოგვამაგირე არის ამისი მეოთხედი სისხლი მიეცემის, ამისთვის რომ მოგვამაგირეთ დაუჭირავს: მაგრამ ამისთვის არ დასდგომია, რომ სასიკუდილოს ადგილს გაგზავნოს.

СТАТЬЯ 230. ვინც ვისი პირუტყვი ან საძოვარზე ან თუ წყალზე წაიყვანოს ღ დაუშაოს ღ თუ მოკლას, თუ იხმარა ღ ისრე დაემართა მთლივ უზღოს, თუ ფათერაკის საქმით მოუხდა ნახევარი დაიკლოს პატრონმან.

СТАТЬЯ 231. ვის შვილი დარჩეს, მასუკან მოკუდეს, დედაკაცი დარჩეს უშვილოდ, თუ სახლში დადგების რადგან ქმარი ღ შვილი იქ მოკლამია ისევ თავის პატივით იყოს, თუ გამოვა ან სამშობლოს მივა ან მონოზნათ შედგება სახლიდამ საკაცოს საქონელს ვერ წაიღებს ღ თუ რამ თავის ქმრის კერძი საქონელი ღ სულადი არის მისი მესამედი სამკვიდროდ გაუყვს იმ დედაკაცს მამულს გარდა; თუ ქმრის სახლში გაუყარი კაცი არა ჰყავს საქონელს თავის ბატონის მეტი ვერავინ შეეცილება

СТАТЬЯ 232. დედაკაცს ქურივს მამულის გასყიდვა ღ შეწირვა. არ შეუძლია ღ საქონელი რაც ხელთ უჭირავს როგორც უნდა მოიხმარებს, თუ სახლის კაცი ღ ან ბატონი გამოეკიდა როგორც ზეთ სწერია ისე უნდა იქნას

СТАТЬЯ 233. ანდერძი. თუ კაცმა მოკუდავმა თავის ალალი საქონელი თავის სულის დააკლო ღ ვისაც უანდერძა მიეცემის მამული, თუ ნასყიდი აქვს ისიც მიეცემის სხვა მამული მის პატრონზე ჰკიდია.

СТАТЬЯ 234. აზაკობისთვის ვინც ან თავის მზევალი ან მონა ნასყიდი ღ თავის უცილებელი ყვეს ღ გააზაკოს, ხელი არავის აქვს, თუ სასახლო ღ საძმორამ არის უერთმანერთოდ აზაკი არ არის.

СТАТЬЯ 235. თავდები ამ სამართლით უნდა, რომ ნებით მოვიდეს ღ უთავდებოს ხელში გამოაბაროს, უცილოდ ისევ უნდა ხელში მიაბაროს, რომ მიბარებოდეს თავდებს; ძალად თავდების დაყენება ცოლდა არის.

СТАТЬЯ 236 მთხრობლობა საქმით ხომ მართლიც ცოდვა არის ღ ცყუ-
ლი მესისხლობა არის; მაგრამ საღთოს წანახედისა ღ ხელმწიფის ორგულო-
ბისა შეიციოს ვინმე ღ არ გაამყლავნოს ის ღამნაშავესთან ჩაიგდების, მასთან
უნდა ღანაშაული გარღახადოს, მთხრობელმა როღისაც უთხრას კაცსა ღ სამ-
თხრობლო გამოართვას, მაშინვე ის პირობა უნდა ღაიღოს რომ თუ გასჭირდეს
პირს ღაუღებო, რომელიც ამის პირს ვერ მისცემს იმაში ცყუილი ურევია, თუ
ცყუილად კაცმა კაცს უმთხრობლოს ღ მთხრობელი გამცყუნდეს რაც იმისი ენით
მართალს კაცს ეღებოდეს იმთონი მოსამართლემ გარღახედვინოს.

СТАТЬЯ 237. ფიცისათვის ღ მოფიცარისა მოსამართლემ გასინჯვით უნდა
ფიცის საქმე გაარიგოს, თუ კაცს ხედვდეს რომ ღუთის მოშიში არ არის ღ
სჯულისაც არა იცისრა, იმას ფიცს ნუ ღასღებ. ბრძენო მოსამართლეც, ხედვ
რომ არას ინაღვლის, ღიღი საქმეც რომ იყოს ბევრს მოფიცარს ნუ შეაღებ,
რომე ორი ცოდვა უძევს; ერთი ამაღ რომ ეგების მართალი იყოს ღ ბევრის
კაცის შოვნა ვერ შეიღლოს; მეორე ესე რომ თუ ბევრნი შეგროვდენ ღაიფიცვენ
არ შეირცხვენენ. მოფიცარი ღროული, ღუთის მცნობელი, სჯულის მეცნიერი ღ
ცოცა უნდა იყოს.

СТАТЬИ 259, 260, 261 ВЪ ДРУГИХЪ ЭКЗЕМП. ИЗМѢНЕНЫ ТАКЪ:

Статья 259. თუ ყმამ ბაცონს გაჯავრებით, ან ჯოხნი ჰკრას, ან ხელით ცემოს,
ხელი მოკვეთოს, ან იმ კაცის ხელის ფასი წაერთოს, თუ ან გაჯავრებით პირის-
პირ შეაგინოს, ენა მოექრას, ან ენის ფასი წაერთვას; კიდეც ეს არის რომე თუ
ყმამ ეს შეიციო რომ ბაცონს ჩემს მოვრჩებით ბევრი ავი იქნება, ესეც იქნება
რომ ყმამ ბაცონი ან ცოლზე ღაიჭიროს ან უსამართლოდ ორი ნაჭერი ღაითუღების
თუ ამას არა შეეკარღებინოს რა მოსამართლემ ან კარგად ღაურღებინოს ღ ან
გაათავისუღლოს, თუ ყმამ ამისთანას საქმისათვის ან აგინოს, ან ჯოხნი სცეს,
ან ცოცათაც ღასჭრას ბაცონმა შეუნღოს სიკუღიღოს მაშინც ნუ შეჰკადრებს.

Статья 260. პაცრონმა რომ თავის მკედრის ყმა ან ნასყიდსა თავი ღაასხნე-
ვინოს ღ მართლის მოწმებით წიგნი მისცეს ღ იმ კაცს წიგნი კელთ ეჭიროს,
ის ყმა აზაღი არის ღ აზაღ ნაქმარისაგან კიდეც უფრო აზაღი იქნების ღ აღარა
ხელი აქვს მის პირველს პაცრონს მასთან; ღ თუ არც წიგნი ეჭიროს ღ არც
მართალი მოწამე ჰყვანდეს ღ ისრე უწიგნოთა ღ უმოწმოდ ამბობღეს ამას კაი
გასინჯვა უნდა, ან რას გზით ამბობს თავის ღაასხნასა, ან წიგნი რაცომ არა აქვს,
ან მოწამე რასათვის არა ყვას, ესე იგი ასე კარგათ გაუსინჯეთ ღ თუ წიგნი
ხელთ უჭირავს თავის თავის ღაასხნისა ღ წავა ეს თავ-ღაასხნილი კაცი ღ ერთს
კაცს ყემობა ღ მამულს გამოართმევს ღ ასეთს წიგნსა ღ პირობას მისცემს
რომე როგორც სხვა შენი მკვიდრი, ყმა გყვანდესო, მეც ისრე მკვიდრად გყმო-

ბივარო, წიგნი გაუსინჯეთ ღ როგორც პირობა ღ წიგნი აქვს იმ რიგად აყმე-
ვით; ღ თუ მკვიდრობის წიგნი ღ პირობა მიუცია ადვილად ველარ წაუა, თუ ისრე
უწიგნოდ ღ უპიროდ წყალობის ყმად მისლვია, რადგან წიგნი არ მიუცია ღ თავი
სამკვიდროდ ყმად; ამ რიგად მისული როდისაც უნდა მამულს დაუგდებს ღ წავა
ხელი არა აქვს, თუ ეს თავ-დასსნილი კაცი თავისთვის არის ღ არავის ყმობია
ღ მასუკან როსაც მოინდომებს ღ ვისმე ყყმობა იმ კაცთან არავის ხელი არა
აქვს, ვისიც ყმობა უნდა იმას ყყმობა, ესეც იქნების რომე წიგნი არა ქონდეს
ღ მოწამეკი ჰყვანდეს კაის მოწმის პირითაც დაიყერების რომე თავი გამოყსსნას
იქნების რომე პატრონიც ამბობდეს რომ თავი დავასხნევინიყო, მართალი არისო,
თუ წიგნი ქონდეს იყმონ, თუ მართალი მოწამე ყვანდეს იყმონ, თუ პატრონი
ამბობდეს ამით კიდეც უფრო იყმონ, თუ ესეები არც ერთი არ იყოს კაცსა მასზე
ცუდ უბრალოდ ნუ რავინ იყმობს; თუ ვინ იყოს იყმოს ვინმე სამართლით
გაურიგეთ.

СТАТЬЯ 261. თუ ერთ-მა კაცმან, უძმომ უსახლის კაცომ, გაყრილმა, უშვი-
ლომ ცოლმან ღ ქმარმან ერთის სხვის კაცის შვილი დედამიანი, თუ უდედ-
მამოდ ნაპოვნი ობოლი ვინმე გაგდებული იყიდას, თუ იპოვნოს, იშვილოს ღ
გაზარდოს თვისი მამული ღ ქონება შვილისებრ მისაკუთროს ღ მას უანდერძოს;
მასუკან ის გამზდელი თუ მსყიდველი კაცი მოკუდეს მისი მეზაცონე ამ ანდერძს
ნუ მოშლის, ვითამ ის არ მომკუდარა, მისი მამული ღ ქონება მასვე აქონოს,
იმით იმსახუროს, ვალი ღ სადაო, ჭირი ღ ღხინი, ბატონის სამსახური მისის
მამობილის მოდავეს პასუხი ყველა მან ნაშვილებმან ქნას. თუ დედაკაცმან
უქმროდ თავის ზითვით ამ რიგი რამე იშოვნოს, თუ იყიდას, თუ გაზარდოს,
ასრე რომე ქმრისა არა ერიოსრა მის დედაკაცისა არის, უნდა აზაცს უზამს უნდა
იმსახურებს ხელი არა ვის აქვს, ქმარი რომ კიდეც მოკუდეს ღ სხვა შვირთოს
თავის მზითვით ნასყიდი თან გაყვების რომე მის მეპატრონეს ხელი არა აქვს.
იქნების შვილად კი არა ისრე სასამსახუროდ ცოლ-ქმართ ერთად იყიდას, სამსა-
ხურისა თუ მადლისათვის ღ მერმე ის მსყიდველი კაცი მოკვდეს, როგორც მისი
საქონელი ღ მამული მის მეპატრონეს ეხელთვის ისბიჭიც მისი იქნების; მაგრამე
იმ კაცის საქონელთან დაითვლების ღ რომელიც ქურივის რიგი სხვაგან დაგვი-
წერია ის ისრე უნდა იქნას.



ПРИБАВЛЕНІЯ КЪ ГРУЗИНСКИМЪ ПОСЛОВИЦАМЪ.

არა შეგდა მწუერი სესა, არა იყო გუ-
არი მისი.
ათგერ გაზომე, ერთხელ გამოსჭერ.
აქ იყავ არა მნახე, ვირზედ შეგექე მო-
ლი მნახე.
აპრუწვით არის მახარა, კალოზედ ბარგი
გაყარა.
აპრუწუწუნის წამალი პრასა ღ ნიანხურია.
ბარში რომ ქკუა დაიკარგება, მთაში
მოსქებნიან.
ბატონის კაცს ნუ გალახავ, თუ გალა-
ხო, ასე რომ გალახვა ერქვას. (ესე ითქმის
ღათრობაზედ: ღვინომ გალახა).
ბელურიდამ გადმოხედ ღ ვირზედ შეგექე.
ბოჯს ბოჯობა არ გაუვიდა, მაჭანკლობას
მიჭყო ხელი.
გიჟი ბევრჯელ მართალს იტყვის.
გიჟი მიუშვი ნებასა, თვთ შეეყრება ცნე-
ბასა.
გავიქცევი ქარიანი მქვიან, დავღებო ლა-
ჯიანი.
გოჭი ქყვილით გაიზღება, ყმაწვილი
ჭირილით.
გზირს სოფელში არ უშეგებენ, ფარხმა-
ლი მამასახლისისს ღამიკიღეთო (ბბა-
ნებდა).
გიუს საქმე დასდევ ღ შენც უკან მიჭყევ.
გვარიანი ცხენი მათრახს არ იკრავს.
დაადარე მსხალი პანჯას.
დაუპატკიებელს სცუმარს აბუჩი ჰქვიან.
ღარბაჯს შესლოვა შენ ხელთ არის, გამო-
სლოვა პატრონისა.

ეშმაკები რუმბებს ჰბერევენ ღ ღვინო
არსად იყო.
ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთს ადგილს
არჩობს.
ერთის ჩივის ჭროკინი გაზაფხულს ვერ
მოიყვანს.
ერთის პირიღამ კიდეც ცივა, კიდეც თბილა.
ღა კუცის კალოის ბრალი, თვარემ ფრთა-
ნი გაფრინდება.
ღირი რომ ბატონად გყვანდეს ჰჩის ნუ
იტყვი.
ღინ ალაღ ალაღს იძახდა, ღ ვინც
მწერს იჭერდა.
ღი დეღვ დეღო, რა დიდი ღორი კვდებაო,
შვილო, შენ რა გენაღვლება დიდი ჩიჩია
გერგებაო.
ღამე, მამო, თარხანო, რა ქკუაზედ
თხლათხარო.
ღსღივე, ვსღივე, ვერ მოვეწიე, დაესღებ
ღ მოვეცადე.
ზოგი მფრინველია იმისს სორცს სჭა-
მენ, ზოგი მფრინველია სორცს აჭმევენ
თუ შენი არა იხარგებოდეს რა ღხინს
ნუ რა გირჩევიან.
თავ-ღადრეკილი, კულ-გაბზეკილი.
თუ ჭირის-უფალი არა სჭირს, მოცი-
რალი ვისი აბულის მოვაგლახეა.
თხას თხის ფეხით დაჭკიდებენ, ცხუნარს
ცხუნრის ფეხით.
ჩმერელმა ცხენის ნალი იპონა (ღ
თქმა), ღმერთო, სარკინეთი ამოაგლეო.
ისევ შეჩვეული ციებ-ცხელება ჰსჯობს
შეუჩვეულსა.

მისი ცოცხალი იცინ მკუდარს საით უზმენ თავსა.

კაკაბმა თქვა: 52 სიმღერა ვიცოდი, ასეთმა ალაღმან წამომიქროლა, რომ სულ დამავიწყაო.

კულა-ხარი თავის თვის არ იყო, სხვას ბუზს უკერებდა.

კაი შინაურსა, თორემ გარეული სად წაგივიაო (კაი აქ ნაკვეთია: ჰკარ, დაჰკარ).

კაი ღვინის ნაძირალი, კაი კაცის ნაცოლარი.

კაცი უნდა ხერხი იყოს გაჰქონდეს და გამოჰქონდეს.

არა თუმცა ეჩო იყოს, მარტო შეგნით შემოჰქონდეს.

მგრულად შეილი გაზარდე, მოყურულად გამოგადგება.

მთქმელი ვერა იქს, მქნელი ვერ იტყვის.

მკუდარს ლომს ცოცხალი ძალი ჰსჯობია. მალალი არ მოდრკა, დაბალი ვერ შესწვდა.

მტერი რომ არა გყუნდეს, ვისაც დაჰპირდები და არ უსრულებ მტერს იშოვი.

მჭედელს დანა არა ჰქონდა და ფეიქარს ხელსახოცი.

მტერს უკან უძრახე და მეგობარს პირში. მისვლა ბერი ცხონებასა.

მორბის მორბის გაბრიელი, არვინ არის მადრიელი.

მკაში პირობას ხენაში პირობა ჰსჯობს. მზანდარელი თათარი გოჭის თავს მეცილებოდა.

მამის სული გაეშვათ პაპის სულს ჰფიცვდენ.

მეცის მეცმა სიწმინდემა ცრაპიზონი დააქცია.

მმალი რომ უდროო დროთ დაიყვილებს თავს მოსჭირან.

მნამ პეტრე მოვიდა პავლეს ცყავი გააძურესო.

მოვიდა სომეხი, მოიცანა სხვა მესი. მუცელი ჩემი ქვევით არის, ჩემ ზეით არ არის.

ნაცარი იყარე დიდის გორისა. ნუ ხარ ავი, ავისაც ნუ გეშინიან.

ნემს-მახათს მგელივი არ ეკჭრის. ნურც ეშმაკს დაინახავ, ნურც პირგუ-

არს დაიწერ. ნეცავი ასი დამკრან და ერთი მართალი მათქმევიზონ.

ორი ბატონის ყმა ვიყავ, ხან ერთი მცემს, ხან მეორე.

პურად ძვირა კაცისა მარილი მეცი და-

ინარგება. პირველი ბედი ბეღია, მეორე გაგონებაა, მესამე ვირზედ შეგდობა, მეოთხე გა-

ჭენებაა. (ითქმის მრავალგერ ქორწინებაზედ).

რეგვენს კაცს თვალში აქუს ქაჭუ. როგორც გეჭირებოდეს, ისე გელირებოდეს

როცა არის თხა მგელთა არის. რაც არ ვშობე შეილი არ იყო, რაც არ

გაფზარდე ყმა. სხვა თევზებს კალმახი სჯობდა, და

კალმახს თხის წვეწუა. საცა არ იყოს ცოცხა კმარ იყოს

სავაგლახოლამ აილე, საციალოზებ დაადევ.

სანამ წნელი პატარაა მაშინ უნდა მო-

იგრიხოს. სართი გოგოხეთს ანთებს.

სიბერემდინ სწავლა კაცს არ მოსჭარბდება.

სულ არარაობის, ისევ ცალ-უღელი ხარი სჯობს.

სევემა ძვალი გაზომამო და ისე შე-

სჭამაო. სხვის გაკეთებულმა გულიო და ჩემმან

წელიო. ურიის პური თუ სჭამო, ურიისთვის ხმა-

ლი მოიქნეო. უწყლოდ, უპუროდ, უღვინოდ უამი

არ ოდეს იწვივის ფურმა იწველა, იწველა, ბოლოს ფესი დაჰკრა და დაღვარა.

ქურდს რა უნდა ლამე ბნელი.

ქურდის ქურდი ცხონებულთა.

ქაშიუ შეშინებული ღოს უბერავდა.

ქურდი ღ ავი შემნახავი ამხანაგნი არიან.

ყმაწვილები შინ მშვივრები იყუნენ, გა-
რეთ ცაბლას რა ხელი აქუს.

ყური იმიცომ არ გაიზღება, რომ ბევრს
რასმე გაიგონებს, ღ თვალი ბევრს ნა-
ხავს.

ყმაწვილი თუ არ იტირებს, ღელა ძუძუს
არ მისცემს.

შავი მიწის მეტი კაცს ვერა გააძღებსრა.

შეჩვეული ჭირი შეუჩვეველს ღზინსა
სგოზს.

შენ წახდი, მეც წამახდინე, ანლა ქრისცე
აღღა გვიხაროდეს.

ჩათრევას ჩაყოლა ჰსგოზს.

ცხვარი ცხვარია, გაცხარდება ცხარია.

ცხვარში მგელი დაერია, ვაი ერთის
პატრონს.

ცხენიანი ქვეითს დასცინობდა.

ცხენი ვიშოვე, უნაგირი ვერ ვიშოვე;

უნაგირი ვიშოვე, ცხენი ვერ ვიშოვე.

ძმა ძმის თვინა შევ-დღის თვინა.

ძერას თვალი არა ჰქონდა, ღმერთსა
წარბსა ჰსთხოვდა.

ძვირად სყიდვა სგოზს კარგისა ზედ-გა-
მოღება სართისა.

წყალი რომ დაგუბდება, აყროლოდება.

წასულთა სგოზს წამავალისა არ დაზმა-
ნება ხანისა.

ხილი მეხილესა.

ხელი ხელსა, გოჭი მგელსა.

ხარს მამობით მოსჭამენ. ფურს ღელობით
ხელმა ხელი დაბანა ორმა პირი.

ხუმრობა თავს ვერ დაიჭერს.

ხაცს სანთელს ნუ დაჰპირდება, ღ ყმა-
წვილს კვერსა, თუ დაჰპირდე ნულარც
უმტყუვენებ.

ხუთს დითში არც ორი არის ერთმან
ერთის ცოლი.

ჰსგოზს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკუდი-
ლი სახელვანი.

ჰსჭედე რკინა, მანამ ცხელია.

სიტყვის მასალები.

ცა ქუდად არ მიჩნია, ღელა-მიწა ქალამნა
ყველას თავზედ კაკალს ამტურევს.

სხვის ხელით ნარს ჰგლეფს.

სიტყვას ბანზედ აგებს.

მადლი მაგლად გარდაექცა.

ფიცი მწამს ღ ბოლო მაკვირვებს.

თვალში ეკლად მიჩნია.

მუნჩრუჭი მოუჭირა, კრიჭა აუკრა (ამა
ნიშნავს რომ თავისნებობა მოაშლევინო
ვისმე).

გაზაფხულისა თავზედა ხეს ფოთოლს
გამოუა,

კაცი რომ გალარიბდება თავში ჰკუა
გამოუა,

ზოგსა ძილად გარდექცევა, ზოგსა ძი
ლიც არ მოუა.

რა ქნას კარგმა მონარღემა თუ ღუშაშ
არ მოუა.



894.63

8, 846